

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი



გიორგი სულაშვილი, ანზორ აბრალავა,
იაშა მურვანიძე, ნინო ფაილოძე

**საქართველოში ბუღალტრული
აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და
ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის
ახალი პარადიგმა**



გამომცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2022

მონოგრაფიაში, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა“ გამოკვეთილია ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის მექანიზმში ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის მსოფლიო პრაქტიკის ადაპტირება-დამკვიდრებასთან დაკავშირებული პრობლემები. ჩამოყალიბებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობისა და პრაქტიკის ანალიზის შედეგად დასკვნები, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის მეთოდის სრულყოფას საქართველოში.

მონოგრაფია ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების ასათვისებლად. ასევე სასარგებლო იქნება თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკოსი მუშაკებისათვის, აღრიცხვა-აუდიტის სფეროში დასაქმებული სპეციალისტებისათვის ეფექტიანი სამეწარმეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.
რედაქტორი: ბ. ცხადაძე



კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით [SP-2-21-162].

სამეცნიერო რედაქტორები:

დავით ჯალაღონია, ეკონომიკის აკადემიური დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი
იური პაპასქუა, აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი, საერთაშორისო სამეცნიერო ანალიტიკური ჟურნალის „ბიზნესი და კანონმდებლობა“ მთავარი რედაქტორი

რეცენზენტები:

ნანა სრესელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღრიცხვის, ანალიზის და აუდიტის კათედრის ასოცირებული პროფესორი
ზურაბ ლიპარტია, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

<https://doi.org/10.36073/978-9941-33-306-4>

© გ. სულაშვილი, ა. აბრალავა, ი. მურვანიძე, ნ. ფაილოძე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა“, 2022.

გამომცემლობა „**უნივერსალი**“, 2022

თბილისი, 0186, ა. ჯორჯიაშვილის №4, ☎: 5(99) 17 22 30; 5(99) 33 52 02
E-mail: universal505@ymail.com; gamomcemlobauniversali@gmail.com

ISBN 978-9941-33-306-4

შინაარსი

რეზიუმე	5
შესავალი	9
ლიტერატურის მიმოხილვა	14
ნაწილი პირველი. ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში	
თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების საკანონმდებლო ნორმატიული აქტები	25
თავი 2. ფინანსური კონტროლის განვითარების ეტაპები საქართველოში	28
თავი 3. ბუღალტრულ აღრიცხვასა და კონტროლში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობანი	38
თავი 4. აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები	43
თავი 5. კონტროლის გარემოს ანალიზი და შეფასება საქართველოში	47
თავი 6. ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების საკითხები	69
თავი 7. ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის სრულყოფის მექანიზმი	89
ნაწილი მეორე. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკაში	
თავი 1. მენეჯმენტის ეკონომიკური მექანიზმები ტრანსნაციონალურ კორპორაციებში და მისი ფორმირების ისტორიული ეტაპები	97
თავი 2. ტრანსნაციონალური კომპანიების ევოლუცია	104
თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ძირითადი მექანიზმები, მახასიათებლები და პრინციპები	120
თავი 4. საერთაშორისო ბიზნესის სტრუქტურა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია	135
თავი 5. წარმოების ტრანსნაციონალიზაცია და მისი ძირითადი მიზეზები	142
თავი 6. კომპანიების ტრანსნაციონალიზაციის დონის შეფასება	147

თავი 7. საერთაშორისო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და მისი თეორიული ასპექტები	151
თავი 8. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მამოძრავებელი ძალები და მეთოდები	158
თავი 9. გლობალიზაცია როგორც ინტერნაციონალიზაციის ახალი თვისება	162
თავი 10. ტნკ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სისტემაშემქმნელი ფაქტორი	166
თავი 11. ტრანსნაციონალური კომპანიის მმართველობის ხარისხი და ფილოსოფია	182
თავი 12. ბიზნესის მართვის საბაზისო ორგანიზაციული სტრუქტურები	185
დანართი 1.	213
დანართი 2.	217
დანართი 3.	222
დანართი 4.	229
დანართი 5.	236
დანართი 6.	241
დასკვნა	251
ბიბლიოგრაფია და გამოყენებული ლიტერატურა	253

რეზიუმე

მონოგრაფია, „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის სისტემის სრულყოფა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა“ შედგება შესავლის, ორი ნაწილის, 19 თავის, დასკვნითი ნაწილისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან.

შესავალში დასაბუთებულია თემის აქტუალურობა, კვლევის მიზანი და ამოცანები, კვლევის ობიექტი და საგანი, წარმოდგენილია კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველი, სიახლე და პრაქტიკული მნიშვნელობა.

ტეკ-ებმა მსოფლიო ეკონომიკა გარდაქმნა საერთაშორისო წარმოებად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას მისი ყველა მიმართულებით: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, მენეჯმენტის ფორმის სრულყოფა, წარმოების მართვა. ისინი მოქმედებენ თავისი შვილობილი ორგანიზაციებისა და ფილიალების მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო და ფინანსური სტრატეგიით, აყალიბებენ მათში “ტვინის ტრესტებს”, რომლებიც ფლობენ დიდ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზრო პოტენციალს, რომლითაც უზრუნველყოფენ განვითარებისაგან, მაღალ დინამიკას.

მონოგრაფიის პირველ ნაწილში „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის ანალიზი საქართველოში“ განხილულია ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების საკანონმდებლო და ნორმატიული აქტები, კონტროლის ძირითადი საკითხები ორგანიზაციების საქმიანობაში, ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების სრულყოფის საკითხები.

კვლევები უჩვენებს, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებით ძირეული ცვლილებები მოხდა. შეიცვალა მისი სტრუქტურული და ორგანიზაციული სახე. დაინერგა სახაზინო სისტემა, რამაც საბიუჯეტო პროცესში დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის შესრულების პროცესში კონტროლთან მიმართებაში ახალი მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, როგორცაა: თემატური შემოწმება, გამოძიება, აუდიტი, სამეურნეო დავა და ა.შ.

მონოგრაფიაში განხილულია ბუღალტრულ აღრიცხვასა და კონტროლში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობანი. მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები, ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი თავისებურებანი, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ნაციონალური კანონმდებლობით, ისტორიული პრაქტიკით, ქვეყანაში არსებული ტრადიციებითა და ჩვევებით.

განხილულია აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები. განხილულია ის ძირითადი

შიდა და გარე ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების რისკის მართვის ღონისძიებებზე. მოსალოდნელი რისკი განსაზღვრავს ორგანიზაციაში საქმიანობის ფინანსური შედეგების დაბალი მაჩვენებლების შესაძლებლობას. რისკები განისაზღვრება მოხდენის ალბათობითა და მოხდენის შემთხვევაში, თუ რა გავლენას მოახდენს შესაძლებლობების მაჩვენებელზე. ეს ის ნიშნებია, რომლის შეფასება საჭიროა უკუკავშირის პრინციპის მიხედვით. კერძოდ, მეტი ყურადღება უნდა დავუთმოთ რისკებს, რომლის მოხდენის ალბათობა მაღალია. შესაბამისად, ორგანიზაციაში უნდა განხორციელდეს არა მარტო რისკების იდენტიფიკაცია, რისკების დალაგება პრიორიტეტების მიხედვით – მოხდენის ალბათობის მიხედვით, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ შეცდომის დაშვების ალბათობა, არამედ უნდა განხორციელდეს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები: განისაზღვროს რისკი, მოხდეს მისი შეფასება, ჩატარდეს მონიტორინგი და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით გატარდეს საპასუხო ღონისძიებები გამოვლენილ უარყოფით ფაქტორებზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარება გავლენას მოახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე.

ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული პროგრამის ბიუჯეტის შესრულებისა და პროგრამის შედეგიანობის, ისე დაწესებულებაში ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა.

შიდა აუდიტი საკონსულტაციო საქმიანობაა და არა სადამსჯელო. შიდა აუდიტის სუბიექტები არ შეიძლება ინსპექტირებით იყვნენ დაკავებული. შიდა აუდიტის ფუნქციები და კონტროლის ფუნქციები მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან.

შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორი მნიშვნელოვანია ფინანსური კონტროლი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის. მისი შედეგების შესრულება აუდიტის შედეგებისგან განსხვავებით სავალდებულოა. აუდიტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. მონოგრაფიაში განხილულია ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის სრულყოფის საკითხები.

თემის აქტუალობა განაპირობა დაწესებულებებში კონტროლთან დაკავშირებულმა პრობლემურმა საკითხებმა. წარმატებული ბიზნესი შეუძლებელია ფინანსების კონტროლისა და მართვის უნარის გარეშე. მიუხედავად იმისა რომ ჩამოყალიბდა აუდიტის სამსახური, რომელმაც ჩაანაცვლა კონტროლის პალატა, არ

არის ჩამოყალიბებული ერთიანი სისტემა კონტროლის და საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის. კონტროლს, რომელსაც ძირითადად ანხორციელებს სახელმწიფო სტრუქტურები, ახასიათებს დარღვევების გამოვლენის და აღმოფხვრის აუცილებლობა. ხოლო ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების დადების დროს ხდება რეკომენდაციების და გარკვეული გარემოებების შემთხვევაში უარყოფითი მოსაზრებების გაცემა.

მონოგრაფიის მეორე ნაწილში „ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკაში“ განხილულია: მენეჯმენტის ეკონომიკური მექანიზმები ტრანსნაციონალურ კორპორაციებში, კერძოდ ტრანსნაციონალური კორპორაციების არსი, ძირითადი მახასიათებელი ნიშნები და ტიპები, ტნკ-ების როლი თანამედროვე მსოფლიო მეურნეობაში, მათი წარმოშობის მიზეზები, ევოლუცია და საქმიანობის თანამედროვე მასშტაბები. განხილულია ტნკ-ების განვითარების ძირითადი ტენდენციები XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში (გაეროს ეკონომიური ინსტიტუტების მონაცემებით). ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ძირითადი მექანიზმები, მახასიათებლები და პრინციპები.

მონოგრაფიაში განხილულია საერთაშორისო ბიზნესი და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია, რომელიც მოიცავს ისეთ თემებს, როგორცაა საერთაშორისო ბიზნესის სტრუქტურა, წარმოების ტრანსნაციონალიზაცია და მისი ძირითადი მიზეზები, ტრანსნაციონალური წარმოების პროცესის აქტიური განვითარების მიზეზები, საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ძირითადი ფორმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებიან საერთაშორისო კომპანიების მიერ თანამედროვე პირობებში; კომპანიების ტრანსნაციონალიზაციის დონის შეფასება და კრიტერიუმები, რომლებიც უფლებას იძლევა გამოვყოთ ტნკ სხვა ფორმებისაგან. სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა გამოკვლევებში გამოიყენებოდა და გამოიყენება კორპორაციის ტრანსნაციონალურთან მიკუთვნების სხვადასხვა კრიტერიუმები.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია ტნკ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სისტემაშემქმნელი ფაქტორი.

განხილულია ტნკ-ების უპირატესობები სისტემური ეფექტის გამოყენებაში, ტნკ და მათი როლი პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების (პსი) ბაზარზე. ჩამოყალიბებულია ძირითადი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური კომპანიების პირდაპირი ინვესტიციების შესაძლებლობებს და ზომებს.

მონოგრაფიაში ყურადღება გამახვილებულია ბიზნესის მართვის საბაზისო ორგანიზაციულ სტრუქტურებზე. მსხვილი კომპანიებისთვის დომინანტური გახდა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის აგების დივიზიონალური სქემა. ჩამოყალიბებულია ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის ადაპტური სტრუქტურები.

საჭიროდ მივიჩნით ქსელური სტრუქტურის, როგორც თანამედროვე ტნკ-ების ორგანიზაციის უახლესი ფორმის განხილვა. ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის თანამედროვე მეთოდებზე გადასვლა განუყრელად დაკავშირებულია მათ ქსელურ ორგანიზაციასთან, შესაბამის სტრუქტურებთან, ქსელურ კომპანიებთან. ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციის ქსელური პრინციპების გამოყენება ხდება წამყვანი მიმართულება მრავალი ტნკ-ს ფუნქციონირების პრაქტიკაში.

ამავე ნაწილში განხილულია ინვესტიციების ხელშეწყობის სააგენტოს ფუნქციები და საქმიანობა, შემოთავაზებულია მისი რესტრუქტურის ღონისძიებები. უცხოური ინვესტიციების მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით სისტემურად უნდა ხდებოდეს დაკვირვება ინვესტიციური უსაფრთხოების ისეთი ხარისხობრივი მაჩვენებლების გამოყენებით, როგორცაა: ინვესტიციების მთლიანი მოცულობა და სტრუქტურა, კერძოდ, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოცულობა, საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ინვესტიციების წილი მთლიან ინვესტიციებში, ადამიანისუფლ კაპიტალში; ინვესტიციები მეცნიერებაში; ინვესტიციების განაწილება დარგობრივ და რეგიონულ ჭრილში; ძირითადი კაპიტალის მთლიანი დაგროვების ცვლილებები და ა.შ.

საერთოდ, კი საჭიროა გათვალისწინებული იქნეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საქმეში მდიდარი საზღვარგარეთული გამოცდილება.

მონოგრაფიის ბოლოს მოცემულია გამოკვლევის შედეგების დასკვნები და საქმიანი რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება და განხორციელება ხელს შეუწყობს ეკონომიკური განვითარების დონის ამაღლებას.

შესავალი

ტნკ-ის ფენომენის შესწავლა მსოფლიო პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში თითქმის არ არსებობს მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შეიძლება მოხდეს ტნკ-ის მონაწილეობის გარეშე. ისინი გამოდიან ძირითად ინსტიტუტებად, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს სახეს, ღებულობენ პირდაპირ და საფუძვლიან მონაწილეობას მსოფლიო და ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ პროცესებში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა და წარმოების გლობალიზაცია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ გახდა ცენტრალური ფაქტორი. იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. მათი გავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე.

ტნკ-ების განსაზღვრების ქვეშ მოიაზრება სუბიექტები (საფინანსო-სამრეწველო გაერთიანებები), რომლებსაც ეკუთვნით ან დომინირებენ წარმოების კომპლექსებსა და მომსახურების სფეროებში, იმყოფებიან ბაზირებულ, ან მის ფარგლებს გარეთ ქვეყნებში, აქვთ ფართო ფილიალებისა და განყოფილებების ქსელი ქვეყნებში და იკავებენ წამყვან მდგომარეობას რეალიზაციაში.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში ტრანსნაციონალური გაერთიანებების როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. გლობალიზაციის პროცესს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობა კიდევ უფრო აღრმავებს. გლობალიზაციამ მოიცვა კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფერო: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, მათ შორის მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. გლობალიზაციის პროცესს აქვს ობიექტური, კანონზომიერი ხასიათი და არის მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის შეუქცევადი შედეგი.

მსოფლიო ბაზრის ფორმირებების, კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემების და მასში ტრანსნაციონალური გაერთიანებების დომინირების შედეგად გაჩნდა ნაციონალური სახელმწიფოების, როგორც ეკონომიკური პროცესების მონაწილის „გაქრობის“ თეორია. ამ კონცეფციის თანახმად გიგანტური კორპორაციების ზრდის პირობებში „ნაციონალური სახელმწიფოები, როგორც ეკონომიკური ერთეული მიდის დასასრულისკენ“. „მსოფლიოს ეკონომიკური მომავალი იმყოფება მსხვილი კორპორაციების ხელში, რომლებიც ახდენენ მსოფლიოს ინტეგრაციას“. ამ პროცესების კულმინაცია უნდა გახდეს „მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნა მსხვილი კორპორაციების ეგიდით“.

ტნკ-ებმა შიგა და გარე კომპანიების მომარაგება-მიწოდების სისტემით შექმნეს საერთაშორისო ქსელი. საერთაშორისო ტნკ უხამებს სავაჭრო ოპერაციებს და კაპიტალის მოძრაობას, კარგად იყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილების სარგებელს გლობალური მასშტაბით, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში განალაგებს წარმოების ცალკეულ კომპლექტურ კვანძებს და დეტალებს და ბოლოს, ერთ-ერთ მათგანში პროდუქციის საბოლოო სახეს უშვებს. ტნკ, ეს არის ახალი “გლობალური სუბიექტი”, რომელიც თავისი ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის სიდიდით უსწრებს ბევრ პატარა სახელმწიფოს.

კომუნიკაციის და ტრანსპორტის სფეროში ტექნოლოგიური მიღწევების “გლობალური ეფექტი“ ხელს უწყობს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

ტნკ-ები მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით.

ტნკ-ებმა მსოფლიო ეკონომიკა გარდაქმნა საერთაშორისო წარმოებად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას მისი ყველა მიმართულებით: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტურობა, მენეჯმენტის ფორმის სრულყოფილება, წარმოების მართვა. ისინი

მოქმედებენ თავისი შვილობილი წარმოებების და ფილიალების მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო და ფინანსური სტრატეგიით, აყალიბებენ მათში “ტვინის ტრესტებს”, რომლებიც ფლობენ დიდ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზრო პოტენციალს, რომლითაც უზრუნველყოფენ განვითარების მაღალ დინამიკას.

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე მოხდა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უპრეცედენტო გააქტიურება (საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციები), რომელშიც ტნკ იყო მოვაჭრე (კომერსანტი), ინვესტორი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამავრცელებელი და შრომის საერთაშორისო მიგრაციის სტიმულის მიმცემი.

სამეურნეო ცხოვრების ყოველმხრივმა ინტერნაციონალიზაციამ, რომელიც გავრცელებულია პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განაპირობა მისი ახალი ფორმის წარმოშობა და განვითარება – სოციალურ-ეკონომიური განვითარების გლობალიზაცია. გლობალიზაცია გაიზარდა მსოფლიო სამეურნეო სისტემის ინტერნაციონალიზაციისაგან და წარმოადგენს მის უახლეს ეტაპს. გლობალიზაციის ეპოქაში სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციების დაგროვებამ მსოფლიო ეკონომიკა გამოიყვანა ხარისხობრივად ახალ დონეზე.

ნაშრომის აქტუალობას განაპირობებს თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საქმიანობის გააქტიურება, გლობალიზაციის შეუქცევადი და წინააღმდეგობრივი ხასიათი. საქართველოში არსებული პრაქტიკის და მიღწეული შედეგების ანალიზის საფუძველზე მოქმედი რეგულაციური ჩარჩოსა და ბუღალტრული აღრიცხვა-კონტროლის ეროვნული სისტემის გაუმჯობესების აუცილებლობა და ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ახალი პარადიგმა.

კვლევის თეორიულ საფუძველია: საბაზრო ეკონომიკის თეორიისა და პრაქტიკის საკითხებზე აღიარებული ეკონომისტთა ფუნდამენტური გამოკვლევები და ანალიტიკოსთა ნაშრომები ტრანსნაციონალური კორპორაციების საკითხებზე; ტრანსნაციონალური კორპორაციების მოტივებზე

ქართველი და უცხოელი წამყვანი ეკონომისტების, სოციოლოგების, იურისტების, პოლიტოლოგების, ფსიქოლოგების თეორიული დასაბუთებანი. ფინანსური ეკონომიკური თეორიის თანამედროვე დებულებები, საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტები. გლობალიზაცია და ტრანსნაციონალური კორპორაციები უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო დიდ ყურადღებას იქცევს, როგორც მეცნიერ ეკონომისტებში, ასევე სხვადასხვა დონის მენეჯერ-პრაქტიკოსებში, ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი მსოფლიო მეურნეობის კომპანიებში.

კვლევის ობიექტად გვევლინება ტრანსნაციონალური კორპორაციები და თანამედროვე გლობალური პრობლემები; ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის როლი გლობალური პრობლემების გადაჭრაში.

კვლევის საგანია ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა სახელმწიფოს, საზოგადოების და პიროვნების სასიცოცხლო ეკონომიკურ ინტერესებზე; ქვეყანაში მიმდინარე ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის ეროვნული სისტემის მართვის პროცესში ჩამოყალიბებული ორგანიზაციულ – სამართლებრივი და ფინანსური ურთიერთობების ერთობლიობა.

კვლევის მიზანი და ამოცანები. კვლევის მიზანია წარმოების ტრანსნაციონალიზაციასთან დაკავშირებული თავისებურებების, ტენდენციების, კანონზომიერების დადგენა და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობების გამოვლენა. ტრანსნაციონალური კორპორაციების: რეალიზაციის თავისებურებების, წარმოების განლაგების თავისებურებების და საკუთრების უფლებათა თავისებურებების საკითხების კვლევა. ქვეყანაში არსებული ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების სამართლებრივი ბაზის სრულყოფის მეთოდოლოგიურ-პრაქტიკული მიდგომის დასაბუთება.

ნაშრომის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

დასაბუთებულია, რომ მსოფლიო ვითარდება ერთიანი სისტემის ჩარჩოებში, რომელსაც აქვს საკუთარი ლოგიკა და დინამიკა. მისი უმთავრესი თვისებაა ტრანსნაციონალური სტრუქტურებისა და ეროვნული ეკონომიკური სივრცეების არსებობა. გლობალური ეკონომიკის ფორმირებადი ერთიანი სისტემა

წარმოადგენს არა მხოლოდ ეროვნული მეურნეობების და ტნკ-ს ჯამს, არამედ თვითორგანიზებად (გარკვეულ დონეზე) სისტემას, რომელიც წარმოიქმნება ეროვნული სახელმწიფოების და ტნკ-ს ურთიერთობების ერთობლიობით.

ნაჩვენებია, რომ ტრანსნაციონალიზაციის დაჩქარებული პროცესები გარკვეულად ხელს უწყობენ ეროვნულ ეკონომიკებს, მათ ტრანსფორმაციას და გარდაქმნას. ძლიერდება ფასწარმოქმნის, მოხმარების, ტექნიკის, ინფორმაციის, კულტურის, ცხოვრების წესის და იდეების „პლანეტარული“ სისტემის ფორმირების ტენდენციები.

წარმოდგენილია ტრანსნაციონალური სტრუქტურებისა და ნაციონალური სახელმწიფოების ურთიეთქმედების დიალექტიკური ხასიათი და შესაბამისი ფორმები, პირდაპირი დაპირისპირებიდან დაწყებული კონსტრუქციული და ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობით დამთავრებული.

ნაჩვენებია, რომ იმ შემთხვევებში, როდესაც ტრანსნაციონალური კაპიტალის ინტერესები ობიექტურად ემთხვევა გარკვეული სახელმწიფოების ინტერესებს, მას შეუძლია უზრუნველყოს ისინი მნიშვნელოვანი უპირატესობით საერთაშორისო ეკონომიკური კონკურენციის პირობებში. ამავე დროს, ნებისმიერი სახელმწიფო უნდა ითვალისწინებდეს შესაძლო კონფლიქტებს თავინთი ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანებსა და ეროვნული და უცხოური ტრანსნაციონალური კორპორაციების სტრატეგიებს შორის, რომლებიც შეიძლება არ ემთხვეოდეს ზოგიერთი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ პრიორიტეტებს.

ნაშრომში შემოთავაზებული ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სტრუქტურულ-ორგანიზაციული პროცესების მართვის სრულყოფის რეკომენდაციებით და ქვეყნის სამეწარმეო-ბიზნესის პრაქტიკაში ადაპტირება-დამკვიდრებით მიიღწევა აღრიცხვა-კონტროლის სამსახურის ეფექტიანობის გაუმჯობესება, რომელიც ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირებას უზრუნველყოფს. ნაშრომში გაკეთებული დასკვნები და მიღებული შედეგები შეიძლება გამოყენებულ იქნას მათ მიერ, ვინც მუშაობს კომპანიების ტრანსნაციონალიზაციის დონის შეფასების საკითხებზე.

ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომში დასმული პრობლემების ცალკეული კვლევის თვალსაზრისით მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე უცხოური ფუნდამენტური წყაროები. აღნიშნული პრობლემის რიგ საკითხებთან დაკავშირებით სხვა ავტორებთან შეხება ირიბია, რადგან თითოეულმა მათგანმა თავის ნაშრომში მოახდინა განსხვავებული ამოცანების რეალიზაცია, ვიდრე ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი აღნიშნულ ნაშრომში.

ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში უამრავი პუბლიკაციაა მიძღვნილი ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) როლსა და მნიშვნელობაზე მსოფლიო მეურნეობაში.

საკითხების საფუძვლიანმა გააზრებამ საშუალება მოგვცა ღრმად ჩავეწვდომოდით დასმული პრობლემის არსს, გაგვეანალიზებინა რთული და ინტეგრალური საკითხები. კერძოდ, გამოვეყოფთ უცხოელი მეცნიერების: ი. ოზეროვის, ა. კოზირინას, ი. ვორონინის, ლ. გალანინას, ნ. ბროვკინა, კ. ბელსკის, ო. ნოგინოს, ნ. პოლოსიანი, ი. სტოიანოვი, ა. ბარილარის და სხვა მეცნიერთა ნაშრომებს. ქართველ მეცნიერთა შრომებიდან შეგვიძლია გამოვეყოთ: ა. აბრალავას, ე. ბარათაშვილის, რ. ძაძამიას, რ. ქუთათელაძის, ლ. ჭუმბურიძის, ე. ხარაბაძის, ლ. გრიგალაშვილის, ნ. სრესელის, ი. პაპასქუას, ნ. ფაილოძის, ნ. ქებაძის, თ. გელაშვილის, დ. ჯალაღონიას, ზ. ლიპარტიას, ც. ზარანდიას, ნ. კვატაშიძის, ი. მესხიას, გ. სახოკიას, გ. სულაშვილის, ნ. დიმცეიშვილის, მ. ჯიქიას, გ. ცაავას და სხვათა ნაშრომები.

აღნიშნულ ნაშრომთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა შემდეგი:

აბრალავა ა. – “ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია”. თბ.2005. 379 გვ. აქ ავტორი განიხილავს გლობალიზაციის კანონზომიერებებსა და მამოძრავებელ ძალებს. საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემაში ინტეგრაციის პროცესებს, ეროვნული ეკონომიკის ადგილს მსოფლიო მეურნეობაში, ასევე გვთავაზობს საქართველოს ეკონომიკური განვითარების ახალ სტრატეგიასა და პერსპექტიულ ხედვებს. აღნიშნულ ნაშრომში ავტორი აღწერს მსოფლიოში

მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში ტრანსნაციონალური გაერთიანებების როლს და ადგილს.

მანველიძე ი. ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, გამომცემლობა “უნივერსალი”, თბილისი, 2009. 275 გვ. – აღნიშნულ ნაშრომში განხილულია ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა და წარმოების გლობალიზაცია. მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ გახდა ცენტრალური ფაქტორი. იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალური კეთილდღეობაზე ტრანსნაციონალური კორპორაციების გავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია.

Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика транснациональной компании: -М.: «Издательство Высшая школа», 2005. 334с. – წარმოდგენილ ნაშრომში ავტორი იხილავს მენეჯმენტის ეკონომიკური მექანიზმს ტრანსნაციონალური კორპორაციებში და ტრანსნაციონალი კომპანიის მართვის ცენტრალიზაციას.

Михайлушкин А.И. – Экономика транснациональной компании. Допущено Учебно-методическим объединением по образованию в области производственного менеджмента в качестве учебного пособия для студентов, обучающихся по специальностям 0870502 Экономика и управление на предприятии (по отраслям). Москва <<Высшая школа>> 2005. აღნიშნულ ნაშრომში ნაჩვენებია ეკონომიკური ზრდის თეორიის თანამედროვე მდგომარეობა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გავლენა ეკონომიკურ ზრდაზე.

Хасбулатов О.Р. – Развитие страны: центры и периферии: ЗАО «Издательство Экономика», 2009. 336с. – ნაშრომში წარმოდგენილია რეგიონული ეკონომიკის მეცნიერული კვლევის როლი ეკონომიკურ მეცნიერებაში და მისი კომპლექსური შესწავლის მეთოდოლოგია.

ლ. გრიგალაშვილი, „საბუღალტრო აღრიცხვა საჯარო სამართლის სუბიექტებში“. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017. – 263 გვ. სახელმძღვანელოში განხილულია საჯარო სამართლის სუბიექტების აქტივების და ვალდებულებების,

შემოსავლებისა და ხარჯების, ფულადი საშუალებების, მატერიალური მარაგების და სხვა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური საკითხები; განხილულია საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია.

ზ. ლიპარტია, „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური აუდიტის ადმინისტრირება საქართველოში“. მონოგრაფია (პროფესორ რ. ქუთათელაძის რედაქტორობით) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“. თბილისი, 2017. – 404 გვ. მონოგრაფიაში მოცემულია ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის გარდაქმნები და მათი ადაპტირებასთან დაკავშირებული საფინანსო-ეკონომიკური და სხვა საკითხები. კორპორაციების მიერ მყარი ფინანსური მდგომარეობის უზრუნველყოფის მიზნით, ფინანსური ანგარიშგების მომზადება, წარდგენა საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისად.

ლიპარტია ზ., გვარამია ნ., ლანჩავა ვ., ეკონომიკური ანალიზი: მიკროეკონომიკური ანალიზის პრაქტიკუმი. სახელმძღვანელო. (პროფესორ გ. ცაავას რედაქტორობით) სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი და აფხაზეთის ეკონომიკისა და სამართლის აკადემია. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2007. – 496 გვ. სახელმძღვანელოში განხილულია ბიზნესის მართვის სისტემის ურთიერთდაკავშირებული ფუნქციების ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვის; ეკონომიკური ანალიზის; მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისა და დაგეგმვა-პროგნოზირების მახასიათებელი ინფორმაციების მსოფლიო პრაქტიკაში დამკვიდრებული მეთოდურ-პრაქტიკული დამუშავების ასპექტები. ასევე, შემოთავაზებულია საქმიანი სიტუაციების, სავარჯიშოების, ტესტებისა და ამოცანების ამოხსნისა და საკონტროლო-საგამოცდო ტესტების კეისების საკითხები.

ლიპარტია ზ., ზარანდია ც., გელაშვილი მ., „მმართველობითი აღრიცხვა და შიდა კონტროლი“, ახალციხე, 2011 წ., – 306გვ. ნაშრომში წარმოდგენილია ბიზნესის ადმინისტრირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილის – მმართველობით აღრიცხვისა და შიდა კონტროლის თეორიულ-მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სამეწარმეო

საქმიანობის წარმატებული ფუნქციონირებისათვის ფინანსურ აღრიცხვასთან ერთად აუცილებელია მმართველობითი აღრიცხვის, როგორც ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულების გამოყენება. ამასთანავე, მნიშვნელოვანია მონიტორინგის განხორციელება დასახული მიზან-ამოცანების რეალიზაციის უზრუნველსაყოფად, რომელიც მოითხოვს მმართველობითი აუდიტის (შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის) შემდგომ განვითარებას, სახელმწიფო (საჯარო) დაწესებულებების კონტროლინგის (შიდა აუდიტისა და ინსპექტირების ასპექტების) და კერძო სამართლის ეკონომიკური სუბიექტების აუდიტური კონტროლის შემდგომი სრულყოფის აუცილებლობას „აუდიტისა და ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებში“ შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

ბასილაია კ., ლიპარტია ზ. – ფინანსური კონტროლი, სახელმძღვანელო. – თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012. – 357 გვ. მასში განხილულია შემდეგი საკითხები: ფინანსური მართვა და კონტროლის სისტემა; ფინანსური კონტროლის საერთაშორისო გამოცდილება და განვითარება; სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ორგანიზაცია, კონტროლინგის სისტემა და სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლი; ფინანსური საქმიანობის შედეგების, რისკების შეფასება და მართვა; საგადასახადო აუდიტის დაგეგმვის მეთოდი მაღალი რისკის იდენტიფიცირების კონტექსტში; საბანკო-საფინანსო დაწესებულებების აუდიტორული საქმიანობის მართვა; მმართველობითი აუდიტი ფინანსური უსაფრთხოების სტრატეგიაში.

ცაავა გ., აბრამია თ., ცაავა დ. – „რისკოლოგია – ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტი“, სახელმძღვანელო, თბილისი, გამომცემლობა „აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემია“, 2007. – 567 გვ., სადაც განხილულია რისკოლოგიის მსოფლიო გამოცდილება, ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების მენეჯმენტის ფართო სპექტრი თანამედროვე პირობების გათვალისწინებით. ცენტრალური ადგილი დათმობილი აქვს ფინანსური და საბანკო საკრედიტო რისკების აღქმის, ანალიზის, შეფასებისა და მინიმიზაციის პრობლემის განხილვას. ყურადღება გამახვილებულია ფინანსური და საბანკო

საკრედიტო რისკების „VAR“ (Value at Risk)-ის მეთოდოლოგიით მართვის საკითხებზე.

ბარათაშვილი ე., ბაკაშვილი ნ., ფარესაშვილი ნ., გეგზაია ბ., მესხიშვილი დ., “თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები“. სახელმძღვანელო. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011. – 246გვ. სახელმძღვანელო მომზადებულია ბიზნესის მენეჯმენტის სფეროში არსებული თანამედროვე სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენების საფუძველზე. მასში ლოგიკური თანმიმდევრობითაა განხილული ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა გლობალიზაცია და ბიზნესი, კონკურენტული ქცევის სტრატეგიული დეტერმინანტები, სტრატეგიული მენეჯმენტის სისტემა და სხვა, რომლებსაც დღეისთვის დიდი პრაქტიკული ღირებულება გააჩნია.

სახოკია გ., ანანიძე ჯ., გიორგიძე ბ., „ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი“, დამხმარე სახელმძღვანელო, გამომცემლობა: „გეორგიკა“, თბ., 2016. – 825 გვ. წიგნში გადმოცემულია ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის საქმიანობის ორგანიზაციის საკითხები, მიმდინარე და გრძელვადიანი აქტივების, ვალდებულებებისა და საკუთარი კაპიტალის, შემოსავლებისა და ხარჯების ძირითადი სამეურნეო ოპერაციების, ფინანსური ანგარიშგების შედგენისა, ბიუჯეტთან საგადასახადო ურთიერთობების, ბუღალტრული, ფინანსური აღრიცხვისა და აუდიტის მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური საკითხები.

ჯალალონია დ. “ბუღალტრული აღრიცხვა საერთაშორისო სტანდარტებით”, ნაწილი I (პროფესორ ი.მესხიას რედაქტორობით) საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, თბ., 2011 წ.– 356გვ. წარმოდგენილი სახელმძღვანელო დამუშავებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ქვეყნის ნორმატიული აქტების გათვალისწინებით. გადმოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის ისეთი საკვანძო საკითხები, როგორცაა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კონცეფტუალური საკითხები. პირველადი აღრიცხვის ორგანიზების აუცილებლობა, ბუღალტრული ბალანსის სტრუქტურა, ბუღალტრული ანგარიშგების კლასიფიკაცია და მნიშვნელობა, ორმაგი ჩაწერის წესი და ა.შ. ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის

საფუძველზე დამუშავებულია და შედგენილია ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის პრაქტიკული ასპექტები.

ფაილოძე ნ., ალანია ჯ., ლიპარტია ზ., კეკელიძე ვ., ხუციშვილი ო., სულაშვილი გ., „საბუღალტრო საქმე“, ტ. 1, (მესამე შევსებული გამოცემა), სახელმძღვანელო. (პროფესორ ა. აბრალავას და დ. ჯალაღონიას რედაქტორობით) გამომც.: „ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბ., 2013.– 354გვ. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია ბუღალტრული აღრიცხვის თეორიის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე სააღრიცხვო პოლიტიკის ფორმირების ფუძემდებლური პრინციპები, ფინანსურ მენეჯმენტში ეკონომიკური ინფორმაციების მოპოვების, დამუშავებისა და ანალიზის მეთოდოლოგიური და პრაქტიკული ასპექტები. სახელმძღვანელო ორიენტირებულია ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების ასათვისებლად. ასევე სასარგებლო იქნება თანამედროვე ფინანსური მენეჯმენტის პრაქტიკოსი მუშაკებისათვის ეფექტური სამეწარმეო საქმიანობის უზრუნველსაყოფად.

გ. სულაშვილი, მ. სულაშვილი, ნ. ფაილოძე, ჯ. ალანია, ვ. კეკელიძე, ო. ხუციშვილი, გიორგი გ. სახოკია. წიგნი – საბუღალტრო საქმე, ტომი III, (აუდიტის კომპიუტერული საინფორმაციო სისტემები), სტუ-ს გამომცემლობა, 2017წ. 270 გვ. სახელმძღვანელოში ჩამოყალიბებულია აუდიტორული საქმიანობის ორგანიზაციის საფუძვლები, აუდიტის მეთოდოლოგიურ-მეთოდიკური საკითხები, თანამედროვე ტექნოლოგიების როლი აუდიტორულ საქმიანობაში, აუდიტორული საქმიანობის განხორციელება კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების საშუალებით.

მაძამია რ., ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება, დამხმარე სახელმძღვანელო. საქ.ბაფ-ი, თბ.2008. – 564 გვ., ნაშრომი მომზადებულია ფასს 2007 წლის რედაქციის შესაბამისად. წიგნში განხილულია შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების საკითხები. ფასს-ით განსაზღვრული ძირითადი პრინციპების აღქმის გასაადვილებლად გაშუქებულია მრავალი

მაგალითი და სიტუაცია. მოცემულია კითხვები და მაგალითები განსჯისა და მიღებული ცოდნის შემოწმებისთვის. წიგნი დაწერილია კერძო ბიზნესში დასაქმებული ბუღალტრების, მაგისტრების, დოქტორებისა და ინფორმაციის მომხმარებელთა ფართო წრისათვის.

ფინანსური კონტროლი თავისთავად წარმოადგენს საერთო სახელმწიფოებრივი კონტროლის ერთ-ერთ განუყოფელ ნაწილს და მართვის რგოლს. კონტროლი გვევლინება ეკონომიკური ურთიერთობების საძირკვლად. პროფესორ ი. ოზეროვის განმარტებით „კონტროლი არის ბოლო, მაგრამ მნიშვნელოვან რგოლი ბიუჯეტის სახელმწიფო მექანიზმში“, რაც გადაიქცა „აუცილებელ რგოლად სახელმწიფო მეურნეობისთვის“. შესაბამისად, ოზეროვის კვლევაზე დაყრდნობით შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ფინანსური კონტროლის ქვეშ იგულისხმება საბიუჯეტო კონტროლი¹.

ერთ-ერთი მკვლევარის ა. კოზირინის მიხედვით²: „ფინანსური კონტროლი უნდა წარმოვიდგინოთ როგორც სპეციალური საორგანიზაციო ფორმების და მეთოდების გამოყენებით სახელმწიფო და ზოგ შემთხვევაში არასახელმწიფო ორგანოების მიერ კანონით მინიჭებული უფლებების საფუძველზე ფინანსური ოპერაციების კანონთან შესაბამისობის სიზუსტის დასამტკიცებლად, ეკონომიკური ეფექტიანობის, სამეურნეო საფინანსო საქმიანობის ახალი რეზერვების გამოვლენის და გაზრდის, შემოსავლების ზრდის, გადასახადების გადახდის მაჩვენებლების ზრდის ბიუჯეტში და სახელმწიფო საკუთრების შენარჩუნების მიზნით“. ამ განმარტებიდან ფინანსური კონტროლი გვევლინება, როგორც ფინანსური საქმიანობის გაუმჯობესების გზად. ძირითადად მაინც ფინანსური კონტროლი, განმარტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შემოწმება საგადასახადო კუთხით, აგრეთვე ერთ-ერთ მექანიზმად ეკონომიკური საქმიანობის გაუმჯობესების, ახალი ფინანსური წყაროების მოძიების მეთოდად. აუდიტი, ამ შემთხვევაში კონტროლისგან განსხვავდება იმით, რომ აუდიტორული საქმიანობა წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის

¹ Озеров И.Х. Основы финансовой науки. М., 2008.

² Козырин А.Н. Правовые основы бюджетного федерализма в России // Модернизация экономики России, итоги и перспективы. Кн. 2. М., 2003

ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის და შესაბამისობის დადგენას, ფინანსური კონტროლისგან განსხვავებით.

ფინანსური კონტროლი გვევლინება, როგორც ფინანსური ნაკადების მართვის ფუნქცია. კონტროლის განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ მნიშვნელოვანია მისი როლი ორგანიზაციების საქმიანობაში. მისი გამოყენება ეყრდნობა სიღრმისეულ შესწავლას, როგორც თეორიულ მეთოდოლოგიურ, ასევე პრაქტიკულ საფუძვლებში.

ი. ვორონინის კვლევებში მოცემულია კონტროლი, როგორც მექანიზმი, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს სახელმწიფოს ფუნქციონირებისთვის. კონტროლის ანალიზი გვიჩვენებს, რომ კონტროლი მეტად მნიშვნელოვანია საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში. მისი საფუძვლების რეალიზება ეფუძნება მეთოდოლოგიურ და პრაქტიკულ ცოდნას და გვევლინება, როგორც კომპლექსური მოვლენა საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში.³

კონტროლი – სოციალური და ეკონომიკური მოვლენა. ლ. გალანინას კვლევით:⁴ „კონტროლი ხასიათდება იმით რომ უმეტეს შემთხვევაში ხელქვეითებსა და უწყებათა შორის ობიექტის კონტროლი არის კანონზომიერი. ზოგიერთ შემთხვევაში კონტროლის შედეგებით ხდება პასუხისმგებლობის განსაზღვრა და ზომების მიღება დაშვებული შეცდომებისთვის.“

ეკონომისტები, ისევე როგორც ადმინისტრაციულ სამართლებლივი მეცნიერებები ფინანსურ კონტროლს განმარტავენ, როგორც მმართველობითი საქმიანობის ნაირსახეობას. მაგალითად ნ. ბროვკინა თავის ნაშრომში მიუთითებს რომ ფინანსური კონტროლი არის მართვის ფუნქცია, რომელიც წარმოადგენს კონტროლირებადი სუბიექტების საქმიანობის შეფასებას მართვადი სუბიექტების მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობის ფინანსურ ინტერესებთან.⁵

სხვადასხვა ელემენტების გარდაქმნა უწყვეტ თვისობრივ სივრცეში, რომელიც ამაღლებს ხარისხს – წარმოადგენს სისტემურობის ძირითად ასპექტს, რომელიც არა აქვს მკვეთრად გამოხატული ფინანსურ კონტროლს.

³ Воронин Ю.М. Государственный финансовый контроль: вопросы теории и практики. М.

⁴ Галанина Л.А. Организационно-правовое обеспечение контроля за исполнением нормативно-правовых актов в субъектах Российской Федерации. М., 2001.

⁵ Бровкина Н.Д. Основы финансового контроля. М., 2007.

საზოგადოებრივი მართვის დროს აუცილებელია საზოგადოების მაღალი ინტერესის უპირატესობა კერძო ინტერესებთან შედარებით. ფინანსური კონტროლი კ. ბელსკის აზრით არის ხერხი აზროვნების, რომელიც რომელიმე ობიექტის მეცნიერულ მიმოხილვით კვლევაზე არის დაფუძნებული და განიხილავს მის ელემენტებს არა იზოლირებულად არამედ ურთიერთქმედებაში სისტემურად, შერწყმისას რაღაც ერთობლიობაში.⁶

ო. ნოგინოს კვლევაში კონტროლის ქვეშ იგულისხმება მექანიზმი, რომლითაც მოწმდება შესაბამისობა ქვევის და ქმედების შესამოწმებელი სუბიექტის იურიდიულ ნორმებთან, რაც ნიშნავს ტექნოლოგიას, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა შედეგი, ფინანსური საქმიანობის განხორციელების კანონთან შესაბამისობაში.⁷

ფინანსური კონტროლი წარმოადგენს ზომების ერთობლიობას, გამიზნული სისტემის შექმნაზე, რათა თავიდან აცილებულ იქნას ფინანსური ნაკადების, აქტივების ან/და სხვა ფასეულობების ბოროტად გამოყენება.

ეფექტური ფინანსური კონტროლი არის მაშინ, როცა მკაცრად და მკაფიოდ ორგანიზებულია სისტემა, ფუნქციების გამიჯვრებით დასახული მიზნების მისაღწევად, აგრეთვე საუკეთესო მეთოდების შემუშავება დარღვევების აღმოსაფხვრელად და გამოსავლენად. მკვლევარი ნ. პოლოსიანი აღნიშნავს, რომ ეფექტური ფინანსური მართვის და კონტროლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი რეგულარული და მუდგმივი ღონისძიებების გატარებაა.⁸

საზღვარგარეთ ფინანსური კონტროლი განიხილება, როგორც ღონისძიებათა ერთ-ერთი ხერხი ეკონომიკური მაჩვენებლების ასამაღლებლად, რომელიც განისაზღვრება, არა როგორც შემოწმება, არამედ ანალიზი, თუ რატომ შეიქმნა პრობლემა ასეთის არსებობის შემთხვევაში და ფინანსური სტრატეგიის შემუშავება, რათა გაუმჯობესდეს ფინანსური სუბიექტის მართვა, რაც გამოიწვევს სუბიექტის გეგმაზომიერ განვითარებას. ჩვენთან კონტროლი თავისი მიზნებით მაინც გაიგივებულია აუდიტთან. ბულგარეთში ამ პრობლემას იკვლევს მეცნიერი

⁶ Бельский К.С. Налоговая система: генезис, основные элементы, принципы // Государство и право. 2006.

⁷ Ногина О.А. Налоговый контроль: вопросы теории. СПб., 2002.

⁸ Погосян Н.Д. Счетная палата Российской Федерации. М., 1998.

ი. სტოიანოვი. ი.სტოიანოვის განსაზღვრით, ფინანსური კონტროლი არის როგორც განსაკუთრებულ ფინანსური ხერხი საზოგადოებრივი საკუთრების დასაცავად.⁹

ბულგარულ კანონმდებლობაში ფინანსური კონტროლი განისაზღვრება, როგორც კონტროლი კანონიერების და მიზნობრიობის მოქმედებები სახსრების შეგროვებისას, განაწილებისას და გამოყენებისას. აქ გვევლინება გაერთიანება ფინანსური კონტროლის და სახელმწიფო კონტროლის, როგორც ზეგავლენა საბჭოთა სამართლებრივი სკოლის. თუ შევადარებთ ჩვენს კანონმდებლობასთან კონტროლი საქართველოს საგადასახადო კოდექსში განმარტებულია, როგორც¹⁰ იმ წესების, მეთოდების და ფორმების ერთობლიობა, რომლებსაც საგადასახადო ორგანოები ახორციელებენ გადასახადების გამოანგარიშებასთან, გადახდასთან და დეკლარირებასთან, საგადასახადო კონტროლთან, აგრეთვე გადასახადის გადამხდელთა/საგადასახადო აგენტთა აღრიცხვასთან, ინფორმირებასთან და საგადასახადო ვალდებულებათა შესრულების უზრუნველყოფასთან დაკავშირებით საგადასახადო კანონმდებლობის აღსრულების პროცესში.

კიდევ ერთი განმარტება კონტროლის შესახებ მოცემულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ კანონში, რომლითაც ხელმძღვანელობს ძირითადად სახელმწიფო სექტორი. ამ კანონის თანახმად კონტროლი გვევლინება როგორც ორგანიზაციის ფინანსური, მენეჯერული და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა.¹¹

1. დაწესებულებების მიერ დასახული მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად ინერგება ფინანსური კონტროლის და ფინანსური მართვის სისტემა რაც ხელს უწყობს ორგანიზაციებში გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებას. ყველა საკითხი ხორციელდება შემდეგი საშუალებებით:

ა) ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციების როგორც საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობით, ასევე საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებთან, შიდა პოლიტიკასთან, მარეგულირებელ წესებთან შესაბამისობით;

⁹ Стоянов И.Г. Финансовият контрол – важен способ за обеспечиваването на законността в сферата на публичните финанси // Правна мисъл. 2002.

¹⁰ საქართველოს საგადასახადო კოდექსი – თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი

¹¹ საქართველო კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ -#2839

ბ) როგორც ფინანსური ასევე ოპერაციული ინფორმაციის შესახებ სანდო, ამომწურავი და სრულყოფილი ანგარიშგებების არსებობით;

გ) რესურსებისა და სახსრების პროდუქტიულად, ეკონომიურად და ეფექტიანად გამოყენებით;

დ) აქტივების, ინფორმაციისა და ნებისმიერი სხა რესურსის დაკარგვისაგან, დაზიანებისაგან და არამართლზომიერი მართვისაგან ან გამოყენებისაგან დაცვით.

2. ხელმძღვანელების მიერ ფინანსური კონტროლი და ფინანსური მართვა ხორციელდება ორგანიზაციის ყველა სტრუქტურულ ერთეულში და დაწესებულებისადმი დაქვემდებარებულ ნებისმიერ სხვა ქვედანაყოფში.

3. მართვა და კონტროლი მოიცავს ორგანიზაციის საქმიანობასთან დაკავშირებულ არა მხოლოდ ფინანსურ, არამედ დაწესებულების მიერ განხორციელებულ არაფინანსურ პროცესებსაც, ყველა იმ ოპერაციებსა და ქმედებებს, რაც ხელს უწყობს დაწესებულების მიზნების მიღწევას დაგეგმილი ბიუჯეტისა და დროის ფარგლებში, პროდუქტიულობისა და ეფექტიანობის პრინციპების დაცვით.

ფრანგი მეცნიერის ა. ბარილარის ნაშრომში ავტორი მიუთითებს, რომ საბიუჯეტო სახსრების კონტროლი არის დემოკრატიის ძირითადი ელემენტი.¹² აღნიშნული განმარტება ფინანსურ კონტროლს ანიჭებს არა მარტო როგორც სახელმწიფოებრივ, არამედ საზოგადოებრივ მნიშვნელობასაც. ფინანსური კონტროლის ზუსტი განმარტების არარსებობის გამო შეუძლებელია ერთიანი კონცეფციის და სტანდარტების შემუშავება მისი განხორციელებისთვის. რაც გვიქმნის ზოგადად ფინანსური კონტროლის არაორგანიზებულობის შთაბეჭდილებას, თუმცა ცალკეული კონტროლის მექანიზმები გვამღევეს იმის საშუალებას რომ მიმდინარეობდეს კონტროლის სისტემის ჰარმონიზაცია.

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია არა მხოლოდ აღნიშნული ლიტერატურა, არამედ ბიბლიოგრაფიაში მითითებული თითქმის ყველა წყარო.

ყოველივე ამან საშუალება მოგვცა საფუძვლიანად გაგვეანალიზებინა თემაში დასმული პრობლემატიკა და წარმოგვეჩინა ჩვენეული ხედვა.

¹² Barilari A. Les controles financiers comptables, administratifs et juridictionnels des finances publiques. Paris, 2003.

ნაწილი პირველი.
ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების პრაქტიკის
ანალიზი საქართველოში

თავი 1. ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის რეგულირების საკანონმდებლო ნორმატიული აქტები

საქართველოში არსებული ბუღალტრული აღრიცხვის და აუდიტის რეგულირების პრაქტიკის შეფასებიდან იკვეთება, რომ ქვეყანაში XX საუკუნის 90-იანი წლებიდან, როდესაც ცენტრალიზებული ეკონომიკიდან მოხდა გადასვლა საბაზრო სისტემაზე ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის სფეროში, არ იყო წინასწარ შემუშავებული ინსტიტუციური და საკანონმდებლო ცვლილება. ერთ-ერთი პირველი ნორმატიული აქტი, რომელიც საქართველოს მთავრობამ გამოსცა იყო 1992 წლის 4 სექტემბრის №888 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“. ამ დებულებით განისაზღვრა საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ერთიანი მეთოდოლოგიური საფუძვლები და მთავარ ბუღალტერთა უფლება-მოვალეობები საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ყველა ორგანიზაციული-სამართლებრივი ფორმის საწარმოსთვის. ასევე, დებულებით დადგენილ იქნა სააღრიცხვო სისტემის ძირითადი წესები, ქონებისა და სამეურნეო ობიექტების შეფასების პრინციპები, ინვენტარიზაციის ჩატარების წესები, საბუღალტრო ანგარიშგების შედგენისა და წარდგენის ვადები და ფორმები. ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა დაევალა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს. 1993 წლის აპრილიდან ამოქმედდა ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი ანგარიშთა გეგმა¹³.

კვლევები მოწმობს, რომ ქვეყანაში მრავალი მიზეზის გამო ვერ მოხერხდა ახალი სისტემის ჩამოყალიბება აღრიცხვა-კონტროლის სფეროში და

¹³ 1992 წლის 4 სექტემბრის №888 დადგენილებით დამტკიცებული დროებითი დებულება „საქართველოს რესპუბლიკაში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“.

აღრიცხვისადმი დაკისრებული მისიის შესრულება ვერც ერთიანმა ანგარიშთა გეგმამ და ვერც „დროებითა დებულებამ აღრიცხვის შესახებ“ ვერ უზრუნველყო. საქართველოში საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში უფრო და უფრო მეტი პრობლემა იქმნებოდა ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების რეგულირების სფეროში.

მიუხედავად 90-იანი წლების პოლიტიკური კრიზისისა საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის განვითარების პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა კი მოითხოვდა ინვესტიციების მოზიდვისა და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისთვის საჭირო მარეგულირებელი ნორმების სასწრაფო შემოღებას. ეკონომიკის გარდამავალ ეტაპზე მიღებული ნორმატიული აქტები არ იძლეოდა ამის საშუალებას და აუცილებელი ხდებოდა ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის მარეგულირებელი ნორმების შეცვლა. დასავლეთის ქვეყნების მხარდაჭერით შეიქმნა ახალი კანონები. ასეთ კანონთა რიგს მიეკუთვნება – საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“ (1994 წ.) და საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ (N623. 07.02.1995 წ.)¹⁴, რომელიც ძალადაკარგულია საქართველოს 06/08/2016 N 5386 კანონით [1,2].

რაც შეეხება საქართველოს სააღრიცხვო სისტემას, მისი რეგულირება ხორციელდება სახელმწიფოს მიერ და ეფუძნება საქართველოს საგადასახადო კოდექსის და ბუღალტრული აღრიცხვის მარეგულირებელი სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნებს, საქართველოს პარლამენტის მიერ დამტკიცებულ და ნორმატიულ აქტად აღიარებულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს-ს)¹⁵.

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდოლოგიური საფუძვლები, ორგანიზაციისა და წარმოების წესი რეგლამენტირებული არის ნორმატიული დოკუმენტების სისტემით.

ნორმატიული დოკუმენტების სისტემას მიეკუთვნება საქართველოს კანონები და კანონქვემდებარე აქტები:

¹⁴ საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“, თბ. 07.02.1995.

¹⁵ საქართველოს საგადასახადო კოდექსი (შემდგომი ცვლილებების გათვალისწინებით), თბილისი. 2014.

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს კანონი “მეწარმეთა შესახებ“;
- საქართველოს 08/06/2016 №5386 კანონი – “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ნორმატიული დოკუმენტების სისტემას მიეკუთვნება ცალკეული მეთოდური მითითებები, რომლებშიც ასახული არის დარგობრივი თავისებურებები ან საკუთრების ფორმების სხვადასხვაობით გამოწვეული სპეციფიკა. მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმა და ინსტრუქცია მისი გამოყენების შესახებ.

ნორმატიული დოკუმენტების სისტემას ასევე მიეკუთვნება ორგანიზაციებში შექმნილი სამუშაო დოკუმენტები, რომლებიც ამ ორგანიზაციებში შიდა აღრიცხვის მოწესრიგებას შეუწყობს ხელს.

ნორმატიული აქტი, რომელიც არეგულირებს საქართველოში ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას არის “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონი.” ეს კანონი არეგულირებს და ადგენს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების და მმართველობის ანგარიშგების სფეროებში სამართლებრივი საფუძვლების და სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების პასუხისმგებლობის დაკისრებას¹⁶.

ეს კანონი მიზანად ისახავს სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის სფეროს რეგულაციების ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებას და რაც მთავარია ფინანსურ გამჭვირვალობასა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობას.

აღრიცხვა – ანგარიშგების ნორმატიული აქტებით რეგულირების მიზანია მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით სწორი და გამჭვირვალე აღრიცხვა და ანგარიშგება.

¹⁶ საქართველოს კანონი – “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, 08 ივნისი, 2016 წელი, №5386.

თავი 2. ფინანსური კონტროლის განვითარების ეტაპები საქართველოში

სამეურნეო სუბიექტების ფუნქციური, ორგანიზაციული და მეთოდური უზრუნველყოფა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება კონტროლის მეშვეობით. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლით შემცირდა სახელმწიფო კონტროლი კერძო სამეურნეო სუბიექტებზე. კონტროლის მექანიზმი შეინარჩუნა საგადასახადო შემოწმებამ, თუმცა ისიც სახემეცვლილი გვევლინება და მიიღო შემოსავლების სამსახურის აუდიტის სახელწოდება. კერძო სუბიექტების შემოწმებას დაერქვა საგადასახადო აუდიტი. კონტროლის ფუნქციები შენარჩუნდა სახელმწიფო-საბიუჯეტო სამეურნეო სუბიექტების შემოწმებისას. ამ ფუნქციას ასრულებდა კონტროლის პალატა, რომელიც გარდაიქმნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურად.

1918 წლის 28 ივნისს საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ იქნა კანონი “სახელმწიფო კონტროლიორის თანამდებობის დაარსების” შესახებ. სწორედ ამ დროიდან იწყება ისტორია საქართველოს კონტროლის პალატასთან დაკავშირებით.

2008 წლიდან კონტროლის პალატამ დაიწყო ახალი საკანონმდებლო მეთოდოლოგიური გარდაქმნები. ამავე წლებში კონტროლის პალატამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ჩამოყალიბება დაიწყო. აღნიშნულ პერიოდში შემუშავდა გრძელვადიანი კორპორაციული სტრატეგიების და განვითარების გეგმები. 2010 წლიდან დაიწყო დასახული ამოცანების განხორციელება. 2012 წლიდან ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის სახით ჩამოყალიბდა. ამ სამსახურმა დაიწყო ფინანსური კონტროლის ფუნქციის შესრულება.

ფინანსური კონტროლი შედარებით ახალი ტერმინია, როგორც ეკონომიკურ, ასევე იურიდიულ მეცნიერებაში.

საბჭოთა წყობილების დროს გამოიყენებოდა ტერმინი „სახელმწიფო კონტროლი“. ძირითადი კონტროლი, რაც ხორციელდებოდა საბჭოთა წყობილების პერიოდში წარმოადგენდა საბიუჯეტო კონტროლს, რაც გულისხმობდა სახელმწიფო სახსრების განკარგვას და ამასთან დაკავშირებულ შემოწმებას.

უნდა აღინიშნოს რომ ფინანსების გასაჯაროება ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ ცხოვრებაში წარმოდგენილია, როგორც გამანაწილებელი კონტროლის ფუნქციებში. ძირითად ფუნქციას სახელმწიფოში წარმოადგენს დოვლათის განაწილება, ამ ფუნქციის შესრულება შეუძლებელია კონტროლის ფუნქციის გარეშე. კონტროლი შედგება რამოდენიმე ელემენტისგან. ერთ-ერთს წარმოადგენს საბიუჯეტო ეგრეთწოდებული სახელმწიფო კონტროლი, რომელიც გვევლინება როგორც ნაირსახეობა ფინანსური კონტროლის.

საქართველოში ფინანსთა სამინისტრო თავიდანვე აქტიურად არის ჩართული შიდა ფინანსური კონტროლის დაარსებასა და შემდგომში განვითარების ეტაპებში, შიდა ფინანსური კონტროლის მიზნების და ამოცანების მისაღწევად. საქართველოს მთავრობის პრიორიტეტებს შორის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სახელმწიფოში ეფექტური შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება. 2009 წელს ფინანსთა სამინისტროში დაარსდა და შემდეგ საქართველოს მთავრობის მიერ იქნა დამტკიცებული „სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური კონტროლის განვითარების სტრატეგია“ („Public Internal Financial Control“ (PIFC)), რომელშიც დეტალურად და კარგად არის აღწერილი ის გეგმა, რომელიც სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას ისახავს მიზნად. საწყის ეტაპზე აუცილებელი იყო შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის არსებობა ფინანსური კონტროლის, შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის. შესაბამისად საქართველოს პარლამენტმა 2010 წლის 26 მარტს მიიღო კანონი „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“¹⁷. აღნიშნულმა კანონონმა საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფოში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვას.

აღნიშნული კანონის მუხლი 2-ის თანახმად, შიდა კონტროლი არის მენეჯერული, ფინანსური და სხვა სახის კონტროლის მექანიზმების სისტემა, რომელიც მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს და შიდა აუდიტს, რომელიც ჩამოყალიბებულია, რათა დაწესებულებას დაეხმაროს, კანონიერად, ეკონომიურად, ეფექტურად წარმართოს საქმიანობა; ხოლო

¹⁷ სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ-თბილისი, 2010 წლის 26 ოქტომბერი

ინსპექტირება არის სამსახურებრივი გადაცდომის ან/და დაწესებულების მიზნებთან შეუსაბამო ქმედების განხორციელების პრევენციის ან/და მისი აღმოჩენის მიზნით განხორციელებული შემოწმების ღონისძიება.

2010 წლის 9 ნოემბრის 345 დადგენილების საფუძველზე დაარსდა ჰარმონიზაციის ცენტრი – „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო“. ჰარმონიზაციის ცენტრი შეიქმნა „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და დამტკიცდა „შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭო“-ს დებულება, ასევე განისაზღვრა ჰარმონიზაციის ცენტრში არსებული სამდივნოს უფლებები და მოვალეობები. ჰარმონიზაციის ცენტრის ძირითად საქმიანობა ითვალისწინებდა შიდა აუდიტის პროცედურების შემუშავებას, პროფესიული განვითარების უწყვეტობის უზრუნველყოფას, ტრენინგების ჩატარების ორგანიზებას შიდა აუდიტორთათვის, ამოცანების დუბლირების თავიდან აცილებას, სინქრონიზებული ფუნქციონირების უზრუნველყოფას და შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის კოორდინაციას.

„შიდა აუდიტთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს – ჰარმონიზაციის ცენტრის მხრიდან შემუშავდა და საქართველოს მთავრობისა მიერ დამტკიცდა შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი, სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელო და შიდა აუდიტის სტანდარტები, შიდა აუდიტორთა სახელმძღვანელო პრინციპები და შიდა აუდიტის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტები.

2016 წლის 11 თებერვლის საქართველოს მთავრობის „შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკითხების განმხილველი საბჭოს (ჰარმონიზაციის ცენტრის) დებულების დამტკიცების შესახებ“ №67 დადგენილებით ძალადაკარგულად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის 2010 წლის 9 ნოემბრის №345 დადგენილება[3].

ჰარმონიზაციის ცენტრის კომპეტენციას მიკუთვნებული უფლება-მოვალეობებისა და დაკისრებული ამოცანების განხორციელებას, რომელიც განსაზღვრულია „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“

საქართველოს კანონით, ითვალისწინებს 2017 წლის 31 მარტის საქართველოს მთავრობის №168 დადგენილება „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“, მუხლის 16, ა-პუნქტი[4].

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარება წარმოადგენს უწყვეტ პროცესს, რისთვისაც მუდმივად ხორციელდება შესაბამისი აქტივობები.

აღსანიშნავია და განსაკუთრებული მნიშვნელობის მატარებელია, საქართველოს კანონში „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ“ 2011 წელს განხორციელებული ცვლილებები და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, INTOSAI (The International Organization of Supreme Audit Institutions)-თან და IIA (The Institute of Internal Auditors)-თან. 2011 წლის 9 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა, საქართველოს კანონში „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ“ შეიტანა ძირეული ცვლილებები და დამატებები. გარდა დამატებებისა და შეტანილი ცვლილებებისა, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინპექტირების შესახებ“ დასახელებაც კი შეიცვალა და დამტკიცდა როგორც საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“.

ფინანსური აუდიტი საქართველოს კანონმდებლობასთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ამოწმებს შიდა აუდიტის ობიექტის ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებებს; შიდა ფინანსურ აუდიტთან ერთად შიდა კონტროლი, დაწესებულების ხელმძღვანელების მიერ ამ კანონის თანახმად ინერგება და ხორციელდება რაც ორგანიზაციის მიზნების მიღწევისას საბიუჯეტო სახსრების გამჭვირვალე, ეფექტიან, კანონიერ, ეკონომიურ და პროდუქტიულ გამოყენებას უზრუნველყოფს;¹⁸

სახელმწიფო სექტორში, ფინანსური კონტროლის სისტემის დანერგვის პრინციპებს, წესს და ისეთ საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის განხორციელებისათვის, სისტემის შემუშავებისათვის და ჩამოყალიბებისთვის არეგულირებს „სახელმწიფო შიდა ფინანსური

¹⁸ საქართველო კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, #5447. თბილისი, 2011 წლის 09 დეკემბერი;

კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონი. ასევე ეს კანონი განსაზღვრავს იმ აუცილებელ მეთოდოლოგიას, სტანდარტებს, მოვალეობებსა და უფლებამოსილებებს რომელიც საჭიროა სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას და ჩამოყალიბებასა კოორდინაციას უწევს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

ქვეყნები თავიანთი კანონმდებლობის საფუძველზე იყენებენ აღრიცხვის საკუთარ სტანდარტებს. საბჭოთა წყობილებაში გამოიყენებოდა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ერთი სტანდარტი, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ემსახურებოდა.

ეკონომიკურმა რეფორმებმა ბუღალტრული აღრიცხვის სრულყოფილი და სისტემური მართვისათვის საჭირო გახადა არა მარტო სტრუქტურული ცვლილებები, არამედ სრული ცვლილებები მეთოდოლოგიაშიც. დადგა აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასს) შემოღების საჭიროება, რომელსაც დღეს უკვე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იყენებენ.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოსაღებად 1994 წლის 28 ოქტომბერს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „მეწარმეთა შესახებ“, სადაც მოცემული იყო ზოგადი პრინციპები ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისათვის.¹⁹ ეს იყო საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღების საწყისი ეტაპი.

სტანდარტები ყველა ქვეყანაში განსხვავებულია, თუმცა პრინციპები, დანიშნულება და მიზანი ყველა ქვეყანას ერთი აქვს – შიდა და გარე მომხმარებლებზე ინფორმაციის მიწოდება, სწორი და გამჭვირვალე ფინანსური ანგარიშგების წარმოება.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტი (ბასსკ) შეიქმნა 1973 წლის 29 ივნისს პროფესიული ორგანიზაციების – საფრანგეთის, გერმანიის, ავსტრალიის, კანადის, იაპონიის, გაერთიანებული სამეფოს,

¹⁹ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, 28 ოქტომბერი, 1994 წელი, N 578.

ირლანდიის, მექსიკის, ნიდერლანდებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ბუღალტერთა შეთანხმების შედეგად, რომელთა საქმიანობას სათავეში ჩაუდგა გამგეობა. ბასსკ-ში გააერთიანებულია 100-ზე მეტი ქვეყნის 140-მდე პროფესიული ბუღალტრული ორგანიზაცია. ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების ხარისხის ასამაღლებლად, რომელიც თავის კვალს დასტოვებს ეკონომიკის განვითარებაზე[5].

2001 წელს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) დაფუძნების სხდომაზე შემოღებული იქნა სახელწოდება „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები“ (ფასს). ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებს (ბასს), ინტერპრეტაციებს და წინა წესდებით გამოცემულ ინტერპრეტაციებს.

მართალია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შემოღებით მოხდა ერთიან სააღრიცხვო სისტემაზე გადასვლა, მაგრამ ამ ფაქტს გარკვეულწილად მოჰყვა დამატებითი პრობლემები, რომლებიც გამოწვეულია საგადასახადო სისტემასთან ურთიერთობით. ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით საგადასახადო სისტემა მოითხოვს გარკვეული პრინციპების დაცვას, რაც გამოიხატება არაფინანსურ აქტივებზე დარიცხული ცვეთის ნორმებში, დარიცხვისა და საკასო მეთოდებთან მიმართებაში, აქტივების შეფასების განსხვავებული პრინციპების გამოყენებასა და სხვა საკითხებში. საგადასახადო პოლიტიკის ცვლილება გავლენას ვეღარ ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, რადგან ფინანსური ანგარიშგება გამოყოფილია საგადასახადო ანგარიშგებისაგან.

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ეხმარება მომხმარებელს ფინანსური ანგარიშგების სრული კომპლექტის ინტერპრეტაციაში, აუმჯობესებს ეფექტური ეკონომიკური გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

ფინანსური კონტროლი მოიცავს იმ სახელმწიფო ელემენტების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის ეროვნული სიმდიდრის გამოყენებასთან დაკავშირებულ მმართველობით საქმიანობას უკავშირდება.

ქვეყანაში ფინანსური კონტროლის მზარდი როლი საბაზრო ურთიერთობათა

პირობებში განპირობებულია იმით, რომ სწორედ საბაზრო ეკონომიკა აყენებს წინა პლანზე სამეწარმეო საქმიანობის მაღალი ეფექტიანობის აუცილებლობას, რის გამოც იზრდება ქვეყნის მატერიალური და ფინანსური რესურსების ფორმირების, დაცვის, რაციონალური და ეფექტური გამოყენების პროცესებზე კონტროლის მნიშვნელობა.

ფინანსური კონტროლის, როგორც სახელმწიფოებრივი მართვის ფუნქციათა შემადგენელი ნაწილის და მართვაზე ზემოქმედების მძლავრი იარაღის საგანს შეადგენს საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების გაფართოებული კვლავწარმოების პროცესის გარკვეული მონაკვეთის შემოწმება სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის, მართვის მეთოდების სრულყოფით მასზე ზემოქმედებისა და მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესების, მატერიალური და შრომითი დანახარჯების შემცირებისა და ეფექტიანობის ამაღლების მიზნით.

სახელმწიფო სექტორის ფინანსური კონტროლის ობიექტებად გვევლინება: ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები (მათი აპარატების საფინანსო ეკონომიკური საქმიანობა); ბ) სახელმწიფო საწარმოები და ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოები; გ) სახელმწიფო საბიუჯეტო და არასაბიუჯეტო ფონდები; დ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები; ე) საწარმოები და ორგანიზაციები, მიუხედავად მათი საკუთრების ფორმისა და სახეების, აგრეთვე ფიზიკური პირები, რომლებიც იღებენ ან იყენებენ სახელმწიფო სახსრებს ან საგადასახადო, საბიუჯეტო და სხვა სახის შეღავათებით სარგებლობენ; ვ) საზოგადოებრივი გაერთიანებები, არასახელმწიფო ფონდები და სხვა არასახელმწიფო კომერციული ორგანიზაციები იმ ნაწილში, რომელიც ითვალისწინებს ამ ორგანიზაციებისათვის საგადასახადო, საბაჟო და სხვა სახის შეღავათებსა და უპირატესობების მინიჭებას; ზ) სამეწარმეო სტრუქტურები და ფიზიკური პირები საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც დაკავშირებულია გადასახადების გადახდასთან და რეგულირდება სახელმწიფოს მიერ[6].

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემა მოიცავს შემდეგ ელემენტებს: კონტროლის სუბიექტი; კონტროლის ობიექტი; კონტროლის საგანი; კონტროლის პრინციპები; კონტროლის მეთოდები; კონტროლის მექანიზმი და კონტროლის სისტემა.

ფინანსური კონტროლის განხორციელება ხელს უწყობს საფინანსო სამეურნეო მმართველობის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებას. ამასთანავე, სახელმწიფო ორგანოების, იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ფინანსური სამართლის ნორმების მკაცრი დაცვა პირველ რიგში სწორედ ფინანსური კონტროლის საშუალებით მიიღწევა, რაც, ბუნებრივია, კიდევ უფრო ზრდის საბაზრო ეკონომიკის პირობებში მის როლსა და მნიშვნელობას.

კონტროლის ყველაზე მნიშვნელოვანი და არსებითი ელემენტი, რაზედაც დამოკიდებულია ჩატარებული საკონტროლო სარევიზიო ღონისძიებათა ეფექტიანობა არის კონტროლის სუბიექტები (მაღალი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე შემოწმებელი პიროვნებები: რევიზორები, კონტროლიორები, აუდიტები და ა.შ.), რომელთა საქმიანობაც რეგლამენტირებულია ნორმატიული იურიდიული აქტებით და მთლიანობაში ქმნიან ფინანსურ სამართალს.

ცნობილია, სახელმწიფო ფინანსური კონტროლი მოიცავს ეკონომიკის მხოლოდ სახელმწიფო სექტორს, მაგრამ იგი, როგორც მისი ძირითადი ამოცანების ჩამონათვალიდან ჩანს, ვრცელდება კერძო სამეწარმეო (ბიზნესის) საქმიანობაზეც.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფინანსური კონტროლის განხორციელების ფორმებსა და წესებს. საქართველოს პრაქტიკაში გამოიყენება ფინანსური კონტროლის განხორციელების ისეთი ფორმები, როგორცაა: საფინანსო დარღვევათა პრევენცია, მიმდინარე საფინანსო შემოწმება, რაც განხორციელებული უნდა იქნეს ფინანსური კონტროლის სუბიექტების მიერ.

კვლევები უჩვენებს, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სახელმწიფო ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებით ძირეული ცვლილებები მოხდა. შეიცვალა მისი სტრუქტურული და ორგანიზაციული სახე. დაინერგა საბაზინო სისტემა, რამაც საბიუჯეტო პროცესში დღის წესრიგში დააყენა ბიუჯეტის შესრულების პროცესში კონტროლთან მიმართებაში ახალი მეთოდების

გამოყენების აუცილებლობა, როგორცაა: აუდიტი, თემატური შემოწმება, ეკონომიკური ანალიზი, გამოძიება (გამოკვლევა), სამეურნეო დავა და ა.შ.

საქართველოს ეკონომიკის საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლასთან დაკავშირებით, იზრდება მოთხოვნა აუდიტორულ კონტროლზე. მოთხოვნილების ზრდა გამოწვეულია ისეთი ობიექტური მიზეზებით, როგორცაა: მეწარმეობისა და კაპიტალის ბაზრის განვითარება, ორგანიზაციების მისწრაფება თვითრეგულირებისაკენ, ფინანსური ფონდების შექმნის აუცილებლობა, რომლებიც მოახდენენ ეკონომიკური მდგრადობის, მესაკუთრეებისა (კრედიტორების) მატერიალურ-ფულადი დაბანდების გარანტირებასა და საქმიან პარტნიორებს შორის ურთიერთნდობის განმტკიცებას უზრუნველყოფს.

საქართველოს კანონით „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“, საქართველოს კონტროლის პალატა იყო სახელმწიფო საფინანსო-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, ზედამხედველობდა სახელმწიფო სახსრებისა და სახელმწიფოს სხვა მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებასა და ხარჯვას, ემსახურებოდა ეროვნული სიმდიდრისა და სახელმწიფო ქონების დაცვას, აკონტროლებდა და აანალიზებდა სახელმწიფო მატერიალური და ფულადი რესურსების გამოყენების კანონიერებას, მიზნობრიობასა და ეფექტიანობას. აღნიშნული საქართველოს 1997 წლის 15 აპრილის კანონი „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ“ ძალადაკარგულად გამოცხადდა და 2008 წლის 26 დეკემბერს ძალაში შევიდა ახალი კანონი #880 იგივე სახელწოდებით „საქართველოს კონტროლის პალატის შესახებ („სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ)“. „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ კანონის მიხედვით „სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის სახელმწიფო ფინანსური-ეკონომიკური კონტროლის უმაღლესი ორგანო, რომელიც ანხორციელებს აუდიტს.“

საქართველოს კანონში „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“²⁰ მოცემულია რისკის მართვა და კონტროლის ღონისძიებები, ფინანსური მართვისა და კონტროლის მიზანი, კომპონენტები და კონტროლის გარემო. სისტემის დანერგვისას კანონის საფუძველზე განისაზღვრება საქართველოს ფინანსთა

²⁰ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ #5447, 9.12.2011წ

სამინისტროს, ჰარმონიზაციის ცენტრის უფლებამოსილებები და მოვალეობები, ურთიერთობები სხვა სუბიექტებს შორის. განისაზღვრა ის სტანდარტები და მეთოდოლოგია, რომელიც აუცილებელია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის არსებობისთვის.

საქართველოში დაწესებულების ხელმძღვანელები ახორციელებენ ფინანსურ მართვასა და კონტროლს დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებში და მათ დაქვემდებარებაში მყოფ ყველა ერთეულში, რომელიც მოიცავს იმ ფინანსურ და არაფინანსურ პროცესებს, ოპერაციებსა და ქმედებებს, რომელიც დაწესებულების საქმიანობასთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, ფინანსური მართვა და კონტროლი ეფუძნება შიდა კონტროლის სტანდარტებს და ხორციელდება იმ კომპონენტების საშუალებით, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთკავშირშია. კერძოდ: ა) რისკის მართვა; ბ) კონტროლის გარემო; გ) კონტროლის ღონისძიებები; დ) ინფორმაცია და კომუნიკაცია; ე) მონიტორინგი და შეფასება.

ქვეყანაში მიმდინარე დემოკრატიული პროცესების გაღრმავება საჭიროებს საქართველოში დღეისათვის მოქმედი სახელმწიფო ფინანსური კონტროლის სისტემის ტრანსფორმაციის აუცილებლობას.

საქართველოს სახელმწიფოს აუდიტის სამსახურმა შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით შეიმუშავა:

1) ხარისხის უზრუნველყოფის ინსტიტუციური პოლიტიკა, რომელიც ემსახურება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მანდატისა და ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას, ინსტიტუციურ დონეზე ხარისხის კონტროლის სისტემის სწორად დანერგვასა და მართვას.

2) ხარისხის კონტროლის სახელმძღვანელო, რომელიც წარმოადგენს აუდიტორთა და პროცესში მონაწილე სხვა პირთათვის განკუთვნილ მეთოდურ ინსტრუქციას, აუდიტის პროცესისა და პროცედურების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის ხარისხის უზრუნველსაყოფად.

საბაზრო ეკონომიკის ტრანსფორმაციის პროცესების თანამედროვე ეტაპზე საქართველოში კონტროლის პროცესების მართვა საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირების ერთ-ერთ

წინაპირობას წარმოადგენს და მთლიანობაში ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის შექმნისა და განაწილების პროცესში საკუთრების ყველა ფორმის დაცულობას, კანონიერებასა და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის დაცვას უზრუნველყოფს.

ამრიგად, შიდა კონტროლის სისტემის შექმნა არის საწარმოს მართვის მთელი სისტემის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. ამ სისტემის საფუძველია საკონტროლო ვალდებულებების დანაწილება ცალკეულ სამსახურებსა და მის მენეჯერებს შორის. შიდა კონტროლის ამ ტრადიციულ სისტემებში ორგანული ნაწილია ფინანსური კონტროლის სისტემა.

საქართველოში საბაზრო ურთიერთობაზე გადასვლამ, ორგანიზაციების მისწრაფებამ თვითრეგულირებისაკენ მოითხოვა, ობიექტურად შეფასებულიყო ეკონომიკური სუბიექტის საქმიანობა, ზუსტად განსაზღვრულიყო მისი სამეურნეო და ფინანსური ოპერაციების ეკონომიკური უტყუარობა და გამოვლენილიყო მისი ეფექტურობის ამაღლების და შემოსავლების ზრდის რესურსები. ამ მოთხოვნებმა ბიძგი მისცა კონტროლის ახალი ინსტრუმენტის – აუდიტორული საქმიანობის და-წერგვას პრაქტიკაში და განაპირობა ქვეყანაში ახალი მაკონტროლებელი ორგანოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შექმნა.

თავი 3. ბუღალტრულ აღრიცხვასა და კონტროლში საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენების შესაძლებლობანი

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ფუნქციონირებადი ეკონომიკური სუბიექტების სამეურნეო პროცესებისა და ფინანსური ოპერაციების კანონიერების შესწავლა შესაძლებელია კონტროლის ობიექტურობის ფაქტიური მდგომარეობის გამოკვლევის საფუძველზე.

როგორც დასავლეთის განვითარებული ქვეყნების გამოცდილება გვიჩვენებს, XX საუკუნის ბოლომდე სხვადასხვა ქვეყნებში კონტროლის განსხვავებული მეთოდები გამოიყენებოდა. თუმცა, ეკონომიკური გლობალიზაციის გაღრმავებასთან ერთად, დაიწყო მათი დაახლოებისა და უნივერსალიზაციის პროცესი.

ზოგადად, ორგანიზაციას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში უფლება აქვს აირჩიოს ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპები. ქვეყნების უმრავლესობაში ასეთი პრინციპები (კონცეფციები) სახელმწიფო ორგანოების მიერ დგინდება. აშშ-ში, მაგალითად, ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების დამუშავება კერძო ორგანიზაციის საქმიანობასთან – ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ფინანსურ სამმართველოსთან (Financial Accounting standards Board FASB) არის დაკავშირებული. აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (International Accounting standards, IAS) ბევრად განსხვავდება აშშ-ში გამოყენებადი საერთოდ მიღებული ბუღალტრული პრინციპებისაგან (Generally Accepted Accounting principles, GAAP)²¹. აღნიშნული განსხვავებები პრაქტიკულად ფინანსური ანგარიშგების თითოეულ პუნქტში წარმოიშობა: ამორტიზაციის ნორმების, პენსიების აღრიცხვის, გადავადებული გადასახადების, რეზერვების აღრიცხვაში, აქტივების შეფასებაში, რეზერვების უფულო ვალებთან მიმართებაში ან დებიტორული დავალიანების და ა.შ. ჩათვლით.

ევროკავშირის ზოგიერთი ქვეყნები, როგორცაა ბულგარეთი, ჩეხეთი, ხორვატია, სლოვენია, პოლონეთი, სლოვაკეთი, ასევე პოსტსაბჭოთა ქვეყნები: ლიტვა, ესტონეთი, ლატვია ბუღალტრულ და აუდიტორულ საქმიანობას ანხორციელებენ „ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტორული საქმიანობის შესახებ“ კანონის შესაბამისად. კანონის დასახელებები ერთმანეთისაგან განსხვავებულია, მაგრამ ძირითადი პრინციპები და ამოცანები ერთნაირია. საჯარო ზედამხედველობას ამ სფეროში ხორვატიაში და ლატვიაში ფინანსთა სამინისტრო ანხორციელებს; ესტონეთში, ჩეხეთში, ბულგარეთში, ლიტვაში, პოლონეთში, სლოვაკეთში და სლოვენიაში საჯარო ზედამხედველობას ანხორციელებს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული აუდიტის ზედამხედველობის სამსახური (Audit Oversight Authority), რომელიც წარმოადგენს საჯარო ზედამხედველობის ორგანოს²². საჯარო ზედამხედველობის ორგანოს საქმიანობასა და სტატუსს განსაზღვრავს ქვეყნის აღმასრულებელი ხელისუფლება.

²¹ <https://www.investopedia.com/terms/g/gaap.asp>

²² <https://www.rab-asr.ch/en/>

აღნიშნულ ქვეყნებში აუდიტის საჯარო ზედამხედველობის ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს ზედამხედველობა სახელმწიფო და ტერიტორიული თვითმმართველობის ორგანოებისაგან დამოუკიდებლად²³.

მმართველი საბჭოს, დირექტორის, აუდიტის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის კომიტეტის, საზედამხედველო კომიტეტის, გამომიების და სანქციების კომიტეტის მართვის ორგანოები, ეს ის ერთეულებია, რომელთა საშუალებითაც აუდიტის საჯარო ზედამხედველობის სამსახური ანხორციელებს თავის საქმიანობას.

ფინანსთა მინისტრი ნიშნავს მმართველი საბჭოს შემადგენელ წევრებს, რომლებიც შეიძლება იყვნენ ეროვნული ბანკის წარმომადგენლები; ეკონომიკის სამინისტროს, ფასიანი ქაღალდების ბირჟის, ფასიანი ქაღალდების კომისიის, ფინანსთა სამინისტროს, სახელმწიფო უნივერსიტეტის, ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის პროფესიული ორგანიზაციის თანამშრომლები.

გარდა ბულგარეთისა ყველა ჩამოთვლილ ქვეყანაში ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ინიშნება და თავისუფლდება დირექტორი. ხოლო ბულგარეთში – დირექტორი აირჩევა პარლამენტის მიერ საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წარდგინებით, ოთხი წლის ვადით).²⁴

აუდიტის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის კომიტეტის ფუნქციებს წარმოადგენს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დაცვაზე ზედამხედველობა; ზედამხედველობა პროფესიული ორგანიზაციის მიერ შესრულებული აუდიტის ხარისხის კონტროლის; აუდიტორთა ეთიკის კოდექსის დაცვა; განგრძობით განათლებაზე ზედამხედველობა კომპეტენციის განვითარებისა და შენარჩუნებისათვის.

ორგანო, რომელიც საჯარო ზედამხედველობის სამსახურს აკონტროლებს არის საზედამხედველო კომიტეტი. საზედამხედველო კომიტეტის შემადგენლობაში არის თავმჯდომარე და ორი წევრი, რომლებიც ფინანსთა მინისტრის ბრძანებით ინიშნება. საზედამხედველო კომიტეტის მიერ ხდება

²³ <https://int.search.myway.com/search>

²⁴ წყარო: კერძო აღმასრულებელთა პალატის მონაცემები. ხელმისაწვდომია: http://www.bcpea.org/english/viewpage.php?page_id=5, ბულგარეთის კანონი კერძო აღმასრულებლების შესახებ.

საჯარო ზედამხედველობის სამსახურის ბიუჯეტის დამტკიცება და საჯარო ზედამხედველობის სამსახურის ფინანსური მენეჯმენტის კონტროლი.

აუდიტის ხარისხის კონტროლის უზრუნველყოფის კომიტეტი მიაწოდებს წინადადებებს გამოძიების და სანქციების კომიტეტს, რომელიც შეისწავლის მოწოდებულ წინადადებებს, შეამოწმებს პროფესიული ორგანიზაციის დისციპლინარული საბჭოს საქმიანობას. მას ასევე აქვს ფუნქცია შეწყვიტოს საკითხი სანქციების დაკისრების შესახებ და მიიღოს გადაწყვეტილება კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულების გაუქმებაზე.

მიუხედავად იმისა, რომ საზღვარგარეთის ქვეყნებში ჩამოყალიბდა საყოველთაოდ აღიარებული პრინციპები და მეთოდები, ყველა ქვეყანას გააჩნია საკუთარი თავისებურებანი, რომელიც თავის მხრივ განპირობებულია ნაციონალური კანონმდებლობით, ისტორიული პრაქტიკით, ქვეყანაში არსებული ტრადიციებითა და ჩვევებით.

უნდა აღინიშნოს, რომ განხილულ ქვეყნებში არ გამოიკვეთება აუდიტის ჩატარების ერთი და იგივე სტანდარტი და მეთოდოლოგია. სხვადასხვა ქვეყანაში საკონტროლო მანდატის, მისი ორგანიზებისა და გამოყენებული მეთოდის გამო იგი სხვადასხვაგვარად ხორციელდება.

თითოეული ქვეყნის უმაღლესი აუდიტორული ორგანოს მუშაობისა და მიდგომების გაცნობისას შესამჩნევი და ყურადსაღებია აუდიტის ჩატარებისა და ორგანიზების მრავალფეროვნება. მათ უმრავლესობას აქვს შემუშავებული საკუთარი მიდგომები.

გერმანიაში გამიჯნულია ფინანსური კონტროლი და აუდიტი. ფინანსური კონტროლი არის სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ორგანოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები.

საფრანგეთში ფინანსური კონტროლი გულისხმობს საზოგადოებრივი ფინანსების კონტროლს, მათ განაწილებას და განხორციელებული ოპერაციების მიზანშეწონილობას.

ცალკეულ ქვეყნებში ფინანსური კონტროლის განსხვავებული ფორმების, წესების, მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებას ემსახურება კონტროლის

საერთაშორისო და რეგიონალური ორგანიზაციები, კერძოდ: INTOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო ორგანიზაცია, EUROSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების ევროპის ორგანიზაცია, ASOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების აზიის ორგანიზაცია, INCOSAI – უმაღლესი აუდიტორული ინსტიტუტების საერთაშორისო კონგრესი [7].

INTOSAI-ს სახელმძღვანელოს მიხედვით აუდიტი გულისხმობს შემოწმების იმ ფორმას, რომელიც ძირითადად საჯარო სექტორში გამოიყენება. იგი ეფუძნება სამთავრობო პროგრამებისა და უწყებების ეკონომიურობის, პროდუქტიულობისა და მიზნობრიობის დამოუკიდებელი და ყოვლისმომცველი შემოწმების მოთხოვნას, რაც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებული სახით ვლინდება²⁵.

უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI – უმაღლესი აუდიტორული ორგანოების ევროპული ორგანიზაციის (EUROSAI), უმაღლესი აუდიტორული ორგანოების აზიის ორგანიზაციის (ASOSAI), საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და მასთან სხვადასხვა ერთობლივ პროექტებში მონაწილე პარტნიორი ორგანიზაციების (გერმანიის, შვედეთის, ლატვიის, პოლონეთის, ლიტვის, რუმინეთის და ა.შ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურების სანიმუშო თეორიული და პრაქტიკული გამოცდილებები გვიჩვენებს, რომ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვადასხვა ქვეყნების მიერ შემუშავებული ნორმებისა და წესების შესრულების დროს, შეიძლება გარკვეული სიძნელებისა და პრობლემების წინაშე აღმოჩენა. აღნიშნული განპირობებულია ყველა ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესისა და არსებული კანონმდებლობის თავისებურებებით. თუმცა ძირითადად მაინც გამოიყოფა ორი ერთმანეთისაგან პრინციპულად განსხვავებული მიდგომა – შედეგზე ორიენტირებული მიდგომა და პრობლემაზე ორიენტირებული მიდგომა.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური INTOSAI-ს წევრია 1992 წლიდან²⁶. დღეისათვის იგი წარმოდგენილია აღნიშნული ორგანიზაციის

²⁵ ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები – INTOSAI-ს სახელმძღვანელო.

²⁶ <http://www.intosai.org/about-us.html>

პროფესიული სტანდარტების კომიტეტში, შიდა კონტროლის სტანდარტებისა და შესაბამისობის აუდიტის ქვეკომიტეტებში, პროგრამის შეფასებისა და გარემოს დაცვის აუდიტის სამუშაო ჯგუფებში. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო და რეგიონულ გაერთიანებებთან (EUROSAI, ASOSAI და ა.შ) და საერთაშორისო პარტნიორ ორგანიზაციებთან. სხვადასხვა ერთობლივ პროექტებს ანხორციელებს გერმანიის, შვედეთის, ლატვიის, პოლონეთის, ლიტვის, რუმინეთის სახელმწიფო აუდიტის სამსახურებთან. აღნიშნული ურთიერთობები ხელს უწყობს საქართველოში საჯარო სექტორის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების დანერგვასა და სანიმუშო პრაქტიკის გადმოღებას.

აუდიტის დანერგვაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ლიმას დეკლარაციამ, რომელიც მიღებული იქნა 1997 წელს ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის INTOSAI-ის მე-9 კონგრესზე ქ. ლიმაში (პერუ)²⁷. აღნიშნულ დოკუმენტში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული სახელმწიფო ფინანსური კონტროლის მიზნები, ამოცანები, პრინციპები, ფორმები და მეთოდები. ამ კონგრესზე მიიღეს ფინანსური კონტროლის სახელმძღვანელო პრინციპების შესახებ დეკლარაცია, რომელმაც დღის წესრიგში დააყენა ფინანსური კონტროლის უმაღლესი ორგანოების საქმიანობის პრაქტიკაში ეფექტიანობის აუდიტის შემოღება და დამკვიდრება²⁸.

თავი 4. აღრიცხვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკების კლასიფიკაცია და მათი შემცირების მექანიზმები

რისკი არის იმ შედეგის დადგომის ალბათობა, რომელიც წარმოადგენს გადახრას დაგეგმილი/მოსალოდნელი შედეგიდან და უარყოფითად მოქმედებს დაწესებულების მიზნების მიღწევაზე²⁹.

²⁷ ლიმას დეკლარაციის დირექტივები აუდიტის პროცედურათა შესახებ. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება. თბილისი. 2005 წ.

²⁸ იაკობ მესხია, ეფექტიანობის აუდიტი, როგორც ფინანსური კონტროლის ახალი ფორმა. economicprofile.org/wp-content/uploads/1/1g2.pdf

²⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №644. “სახელმწიფო სექტორში რისკის მართვის სახელმძღვანელოს დამტკიცების თაობაზე” 2011 წლის 30 დეკემბერი ქ. თბილისი

მოსალოდნელი რისკი განსაზღვრავს ორგანიზაციაში საქმიანობის ფინანსური შედეგების დაბალი მაჩვენებლების შესაძლებლობას.

რისკები განისაზღვრება მოხდენის ალბათობითა და მოხდენის შემთხვევაში, თუ რა გავლენას მოახდენს შესაძლებლობების მაჩვენებელზე. ეს ის ნიშნებია, რომლის შეფასება საჭიროა უკუკავშირის პრინციპის მიხედვით. კერძოდ, მეტი ყურადღება უნდა დაუთმოთ რისკებს, რომლის მოხდენის ალბათობა მაღალია. შესაბამისად, ორგანიზაციაში უნდა განხორციელდეს არა მარტო რისკების იდენტიფიკაცია, რისკების დალაგება პრიორიტეტების მიხედვით – მოხდენის ალბათობის მიხედვით, რათა მინიმუმამდე დავიყვანოთ შეცდომის დაშვების ალბათობა, არამედ უნდა განხორციელდეს შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები რისკის განსაზღვრის, შეფასების, მონიტორინგის და რისკის მისაღებ დონეზე შენარჩუნების მიზნით და გატარდეს საპასუხო ღონისძიებები გამოვლენილ უარყოფითი ფაქტორებზე. აღნიშნული ღონისძიებების გატარება გავლენას მოახდენს ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების მიღწევაზე.

რისკის კონტროლის პროცესში მონაწილეობა უნდა მიიღოს ორგანიზაციის თითოეულმა თანამშრომელმა თავისი უფლებამოსილების ფარგლებში. ასევე უნდა განისაზღვროს ორგანიზაციის ყველა სტრუქტურული ერთეულის როლი და მათი პასუხისმგებლობა რისკის მართვის პროცესში. სპეციფიკიდან გამომდინარე ორგანიზაციაში რისკები უნდა დაჯგუფდეს და გამოიკვეთოს მათი წარმოქმნის მიზეზები. რისკები არსებობს სტრატეგიული, ოპერაციული, ფინანსური, ასევე არის ცოდნითი რესურსების ეფექტურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებული რისკები და მონაცემთა ბაზის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული რისკები.

რისკი შეიძლება წარმოქმნილი იყოს როგორც შიდა ფაქტორებით, ასევე გარე ფაქტორებითაც. პირველ შემთხვევაში შეიძლება მომდინარეობდეს ორგანიზაციის სტრუქტურული ერთეულებიდან, ხოლო მეორე შემთხვევაში რისკებს იწვევს გარე ფაქტორები. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მოსალოდნელია ორივე საშიშროების ერთდროულად არსებობის შესაძლებლობაც.

ორგანიზაციაში შიდა ფაქტორებით გამოწვეული რისკი შესაძლებელია იყოს მმართველი ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი, ხელშეკრულების პირობები, ადამიანური რესურსების კვალიფიკაცია, დებიტორ-კრედიტორები. გარე ფაქტორებით გამოწვეული რისკი არის გამოყენებული ნორმატიული აქტები და ინსტრუქციები, კურსთაშორის სხვაობა, საგარეო პოლიტიკა.


წარმოქმნილი რისკის იდენტიფიკაცია – დეტალური აღწერა ზუსტად უნდა იქნეს გაანალიზებული, რამდენადაც ეს მნიშვნელოვანია ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად. იდენტიფიცირებული, დეტალურად აღწერილი რისკის ანალიზისათვის უნდა განხორციელდეს წინასწარი ანალიზი, რომელიც მოიცავს რისკების დაჯგუფებას და მისი მასშტაბის განსაზღვრას. წინასწარი ანალიზის შემდეგ რისკის ანალიზს ვანხორციელებთ რაოდენობრივი, ხარისხობრივი ან კომბინირებული რისკის ანალიზის მეთოდებიდან ერთ-ერთი მეთოდით.

იდენტიფიცირებული და გაანალიზებული რისკების შემდეგ ხდება რისკის გაზომვა – შედეგების შედარება და კონტროლის მექანიზმების განსაზღვრა. კონტროლის მექანიზმების ხარისხი ფასდება თუ რამდენად ძლიერია, ადეკვატურია, გადაჭარბებულია, არაადეკვატურია და არარსებულია კონტროლის მექანიზმები.

რისკის შეფასების შედეგად, ორგანიზაციაში უნდა განხორციელდეს ისეთი საპასუხო ღონისძიებების სტრატეგია, რომელიც დადებითად იმოქმედებს ორგანიზაციის მიერ დასახული მიზნების გადაჭრაზე.

რისკების თავიდან ასაცილებლად არსებული კონტროლის ღონისძიებების: პრევენციული კონტროლი, მაკორექტირებელი კონტროლი, მიმართული კონტროლი და აღმოჩენითი კონტროლის ჩატარების შემდეგ კომუნიკაცია და კონსულტაციის მეშვეობით ყველა დაინტერესებულ პირს შეუძლია მიიღოს საჭირო ინფორმაცია, რომელიც დაეხმარება მათ სწორად შეასრულონ დაკისრებული მოვალეობა. კომუნიკაცია და კონსულტაციასთან ერთად საჭიროა არსებობდეს მონიტორინგი, რომელიც გვაჩვენებს, რომ ორგანიზაციაში კონტროლის ღონისძიებები ყველასთვის გასაგებია და სრულდება. მონიტორინგის შემდეგ იწყება რისკის შემცირებაზე მუშაობა.

რისკის მართვის პროცესი მოცემულია ნახაზ 1-ზე.




ნახ. 1. რისკის მართვის პროცესი

რისკების შემცირებისათვის საჭიროა ორგანიზაციამ დეტალურად განახორციელოს აღმოჩენილი რისკების გამომწვევი მიზეზების ანალიზი, შეაფასოს რისკი და განახორციელოს მუდმივი კონტროლი.

თავი 5. კონტროლის გარემოს ანალიზი და შეფასება საქართველოში

საბიუჯეტო სისტემამ უნდა უზრუნველყოს იმ წესებისა და საშუალებების დაცვა, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობით არის გათვალისწინებული და უნდა იზრუნოს მათ შესრულებაზე, რათა დაცული იქნეს გადასახადების გამონაგარიშების სისწორე, დროულად იქნას გადახდილი გადასახადი ბიუჯეტსა და სახელმწიფო ფონდებში.

პრაქტიკაში ფინანსური კონტროლის სახეებს განასხვავებენ წყაროების მიხედვით: დოკუმენტურ და ფაქტიურ კონტროლს; ვადების მიხედვით – ოპერატიულსა და პერიოდულს; დონის მიხედვით – შიდა სამეურნეო კონტროლს (შიდა აუდიტს და გარე აუდიტს). (იხ. ნახაზი 2).



ნახ. 2. ფინანსური კონტროლის სახეები

ფინანსური კონტროლის ელემენტად შეგვიძლია გამოვყოთ საბიუჯეტო კონტროლი, საგადასახადო, სავალუტო კონტროლი, საბანკო კონტროლი და აუდიტორული კონტროლი.

საბიუჯეტო სახსრების დაგეგმარება და მისი ხარჯვითი ნაწილი განსაზღვრულია კანონმდებლობით. საბიუჯეტო კონტროლი გაიგივებულია ფინანსურ კონტროლთან. ჩვეულებრივ კონტროლის ქვეშ იგულისხმება უფლებამოსილი სუბიექტების მიერ ზედამხედველობის განხორციელება, თუ რამდენად კანონთან შესაბამისია და ეფექტურია საერთო სახელმწიფოებრივი და ადგილობრივი ბიუჯეტების დაგეგმარება, მართვა და ხარჯვა. საბიუჯეტო კონტროლი სპეციფიურია და ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოების მიერ. ასევე შიდასაუწყებო სამსახურების მიერ.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია საგადასახადო კონტროლის განხორციელების ფორმები, სადაც აღნიშნულია, რომ საგადასახადო ორგანოების მიერ საგადასახადო კონტროლი ხორციელდება გადასახადის გადამხდელებისა და გადასახადით დაბეგვრის ობიექტების აღრიცხვის, საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების, საგადასახადო შემოწმების, გადასახადის გადამხდელთა და სხვა პირთა გამოკითხვის, გადასახადით დასაბეგრი და შემოსავლის (მოგების) მისაღებად გამოყენებული ობიექტების დათვალიერება – გამოკვლევისა და საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული სხვა ფორმებით[6].

შესაბამისად, საგადასახადო კონტროლს ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები, აუდიტორული ფირმები, საწარმოს საბუღალტრო საფინანსო სამსახურები.

საგადასახადო კონტროლი არის სახელმწიფო სტრუქტურების მიერ სამეურნეო სუბიექტების შემოწმება, გადასახადების გადახდების შესაბამისობა არსებულ კანონმდებლობასთან, უფლებამოსილი ორგანოების მიერ ზედამხედველობა და კონტროლი, თუ რამდენად სწორად ხორციელდა მეწარმეების და საგადასახადო აგენტების მიერ გადასახადების ადმინისტრირება და გადახდა.

საგადასახადო კონტროლის მეშვეობით გამოვლენილ დარღვევებს აქვს დასჯადი ხასიათი, რაც უმეტეს შემთხვევაში იწვევს საგადასახადო აგენტის ან მეწარმის დაჯარიმებას, საგადასახადო და საბიუჯეტო კონტროლი ფინანსური კონტროლის ელემენტია, მაგრამ განსხვავდება ერთმანეთისგან. მთავარი განსხვავება არის შესამოწმებელ და კონტროლ დაქვემდებარებულ სუბიექტებს შორის.

საგადასახადო კონტროლის შედეგებს სავალდებულო სახე აქვს. საგადასახადო კონტროლი მკაცრად არის გაწერილი საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რათა არ მოხდეს გადამხდელის უფლებამოვალეობების ან მათი ინტერესების შელახვა.

სავალუტო კონტროლი არის ნაღდი ფულის მონიტორინგის ერთ-ერთი ხერხი.

საბანკო კონტროლი არის ეროვნული ბანკის პრეროგატივა და მისი განხორციელების ძირითადი მიზანი არის საბანკო სექტორის სტაბილურობის შენარჩუნება.


ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფისათვის, საქართველოს ეროვნული ბანკის საქმიანობაა განხორციელოს საბანკო ზედამხედველობა. საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ ორგანული კანონი, საქართველოს კონსტიტუციის 95-ე და 96-ე მუხლები, საქართველოს კანონი „კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ“ და სხვა კანონქვემდებარე აქტები განსაზღვრავს ეროვნული ბანკის, როგორც საბანკო ზედამხედველის მანდატს. საბანკო სექტორი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ რისკებზე დაფუძნებული ზედამხედველობის პრინციპებზე დაყრდნობით.

კიდევ ერთი ცნება, რომელიც კონტროლის დროს გვხვდება არის აუდიტი. დღევანდელ დღეს აუდიტმა მოიცვა ბევრი სფერო და სუბიექტის შემოწმება ხდება არა მხოლოდ ფინანსურად, არამედ სხვა სფეროების შემოწმებაც. მაგალითად საბაჟო, სადაზღვეო, ტექნოლოგიური, საბუღალტრო აუდიტი და ა.შ. სახელმწიფო აუდიტს მაინც აქვს ფინანსური კონტროლის მახასიათებლები.

თავდაპირველად აუდიტი აღნიშნავდა დამოუკიდებელ აუდიტს და დამოუკიდებელ საექსპერტო დასკვნას წარმოადგენდა, თუმცა ბოლო პერიოდში სახელმწიფო კონტროლი გარდაიქმნა და ჩამოყალიბდა, როგორც სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური არის დამოუკიდებელი სახელმწიფო სტრუქტურა, რომელიც ანხორციელებს ზედამხედველობით ფუნქციას. ფინანსური აუდიტი შეგვიძლია გავყოთ ორ ნაწილად, სახელმწიფო აუდიტი და კერძო აუდიტი.

აუდიტორული კონტროლის ამოცანებს წარმოადგენს: ზედამხედველობა გაუწიოს საკონტროლო ობიექტების საქმიანობას; გააანალიზოს მიღებული ინფორმაციები, გააკეთოს პროგნოზირება და შესაბამისად დაგეგმვა; აიცილოს კანონმდებლობის დარღვევები თავიდან და დაადგინოს მათი გამომწვევი მიზეზები; აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა; გამოაშკარავოს დამნაშავეები და დააყენოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი. (იხ. ნახაზი 3)



ნახ. 3. აუდიტორული კონტროლის ამოცანები

აუდიტორულ კონტროლს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონი განსაზღვრავს. ამ კანონში განმარტებულია რომ, საქართველოში აუდიტი უნდა ჩატარდეს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების – ISA-ს შესაბამისად.

აღნიშნული კანონის თანახმად, სერტიფიცირებულ ბუღალტერს, რომელიც რეგისტრირებულია აუდიტორული ფირმების სახელმწიფო რეესტრში და არის ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი ან აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი შეუძლია აწარმოოს აუდიტორული საქმიანობა და აუდიტორული მომსახურება, ასევე შეუძლია ინდივიდუალურადაც განახორციელოს აუდიტორული მომსახურება³⁰. პირველად შემოდის ტერმინი „რეესტრი“. ახალი კანონის თანახმად ყველა პროფესიული ორგანიზაცია ვალდებულია აწარმოოს ელექტრონული რეესტრი და ვებ გვერდზე განათავსოს ინფორმაცია სერტიფიცირებული აუდიტორების და ბუღალტრების შესახებ. კანონი ითვალისწინებს შეიქმნას რეესტრი, სადაც რეგისტრირებული იქნება სერტიფიცირებული ბუღალტერი, რომელიც ბუღალტერთა პროფესიული ორგანიზაციის წევრი ან აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაციის წევრია და აუდიტორული კომპანიები. შეიქმნას სპეციალური სამსახური, რომელიც შეიმუშავებს სტანდარტებს და კრიტერიუმებს, რის მიხედვითაც მოხდება ბუღალტრების და აუდიტორების ატესტაცია. ახალი შექმნილი სპეციალური სამსახური ადგენს პროფესიული განგრძობითი განათლების სტანდარტებს და პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტებს, რომლებიც შეესაბამება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) მიერ დადგენილ განათლების საერთაშორისო სტანდარტებს (IES) და ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებს. ახალი სამსახური მიერ დადგენილი პროფესიული განგრძობითი განათლების სტანდარტების და სერტიფიცირების სტანდარტების მიხედვით მიიღებს პირი სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებას და ამ სტანდარტების მიხედვით მოხდება კვალიფიკაციის შენარჩუნება.

³⁰ საქართველოს კანონი #5386 ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ”-8 ივნისი 2016 წ.;

სერტიფიცირებულ ბუღალტრად აღიარებისათვის წარსადგენ დოკუმენტაციას და სერტიფიკატის გაცემის წესს, ასევე სასწავლო დისციპლინებს, საგამოცდო პროცესის წარმართვის, საგნების ჩათვლის და გამოცდებისაგან გათავისუფლების წესებს, განსაზღვრავს პროფესიული სერტიფიცირების სტანდარტი. ხოლო განათლების პროგრამას და განათლების პროგრამის განხორციელების წესებს, განსაზღვრავს განგრძობითი განათლების სტანდარტი.

პროფესიული სერტიფიცირების მიღების შესაბამისად დასტურდება პირის კვალიფიკაცია. სამსახური, რომელიც ამ კანონის საფუძველზე შეიქმნა ადგენს საგამოცდო პროცესისა და სასერტიფიკაციო პროგრამების აღიარების წესს. პროფესიულ სერტიფიცირების პროგრამებს ახორციელებენ და შესაბამის სერტიფიკატებს გაცემენ ის პროფესიული ორგანიზაციები, რომელთა სასერტიფიკაციო პროგრამები აკმაყოფილებს, როგორც ამ კანონით გათვალისწინებული სამსახურის მიერ დადგენილ სტანდარტებს, ასევე სამსახურის მიერ აღიარებული საგამოცდო პროცესის წესს სასერტიფიკაციო პროგრამების შესაბამისად.

ახალ სამსახურს უფლება აქვს, მხოლოდ გამოცდების ჩატარების მიზნებისათვის, გამოცდების განმახორციელებელი სპეციალიზებული დაწესებულებები აღიაროს უფლებამოსილ ორგანოდ. პროფესიული დაწესებულება, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამებს და მის მიერ განხორციელებული სასერტიფიკაციო პროგრამები არის აღიარებული, უფლება აქვს მხოლოდ სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელი დაწესებულების ჩატარებული გამოცდების საფუძველზე პროფესიული სერტიფიცირება განახორციელოს და გასცეს შესაბამისი სერტიფიკატი. აგრეთვე პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს მხოლოდ სასერტიფიკაციო პროგრამებს, დასაშვებია სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოდ აღიარდეს.

პირს სერტიფიცირებული ბუღალტრის სტატუსი ენიჭება, მხოლოდ სპეციალიზებული გამოცდების განმახორციელებელ ორგანოს მიერ ჩატარებული გამოცდის საფუძველზე, პროფესიული დაწესებულების მიერ პირისადმი გაცემული ამ სტატუსის დამადასტურებელი სერტიფიკატის გადაცემით. პირს აუდი-

ტის ჩატარების უფლება ენიჭება მაშინ, როცა განახორციელებს სერტიფიკატის რეგისტრაციას რეესტრში. განგრძობით განათლების პროცესს უზრუნველყოფენ პროფესიული ორგანიზაციები პროფესიული კომპეტენტურობის შენარჩუნებისა და განვითარებისათვის ახალი სამსახურის მიერ დადგენილი წესით.

პროფესიული დაწესებულებები ვალდებული არიან, აწარმოონ შესაბამისი აღრიცხვა და მონიტორინგი გაუწიონ სერტიფიცირებულ ბუღალტერთა განგრძობით განათლებას. თუ პირი აღარ აკმაყოფილებს განგრძობითი განათლების შესაბამის მოთხოვნებს, პროფესიული ორგანიზაცია იღებს გადაწყვეტილებას და ვალდებულია ამ გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობოს სპეციალურ სამსახურს.

ნებისმიერი პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს სასერტიფიკაციო პროგრამებს, განგრძობითი განათლებისათვის და პროფესიული სერტიფიცირებისათვის, დადგენილი წესების დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება კანონით დადგენილი წესის მიხედვითა და იმ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, რომელიც კანონის საფუძველზე არის მიღებული.

რეესტრის წარმოებას, რეესტრში ასახული ინფორმაციის საჯაროობასა და ასახული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს ახალი სამსახური. ამისათვის სამსახური იყენებს სპეციალურ პროგრამულ უზრუნველყოფას.

აუდიტორის და აუდიტორული ფირმის იდენტიფიკაცია უზრუნველყოფილია რეესტრში ასახული პირის ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომრით.

რეესტრში აუდიტორის შესახებ ასახული იქნება შემდეგი ინფორმაცია:

– სახელი და გვარი, საქმიანობის ადგილი, იურიდიული მისამართი და სარეგისტრაციო ნომერი;

– იმ აუდიტორული ორგანიზაციის დასახელება, მისამართი, სარეგისტრაციო ნომერი და ვებგვერდის მისამართი, თუ რომელ აუდიტორულ ფირმაში არის დასაქმებული აუდიტორი ან რომელშიც აუდიტორი არის პარტნიორი /აქციონერი ან რომელ აუდიტორულ ფირმასთანაც სხვაგვარად არის დაკავშირებული;

– სხვა ქვეყანაში მისი აუდიტორად რეგისტრირების შესახებ ინფორმაცია, მითითებული იქნება რეგისტრაციასთან დაკავშირებული ინფორმაცია;

– პროფესიული ორგანიზაცია, რომლის წევრსაც წარმოადგენს აუდიტორი;

– ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

– შემოსავლები, რომლებიც მიღებულია აუდიტორული საქმიანობიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში;

– თანხისა და იმ სადაზღვევო კომპანიის მითითება, რომლის პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევაც ხდება.

აუდიტორულ ფირმასთან დაკავშირებით რეესტრში არსებული ინფორმაცია უნდა შეესაბამებოდეს შემდეგს:

– აუდიტორული ფირმის რეკვიზიტები სამართლებრივი ფორმის მითითებით;

– აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული აუდიტორის/სერტიფიცირებული ბუღალტრის რეკვიზიტები; რომელიც გარკვეული ფორმით არის მასთან დაკავშირებული;

– ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის შედეგები;

– პარტნიორთა/აქციონერთა წილობრივი მონაწილეობა;

– თანხისა და სადაზღვევო კომპანიის მითითება პროფესიული პასუხისმგებლობის დასაზღვევად;

– შემოსავლები, რომლებიც მიღებული იყო აუდიტორული საქმიანობიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში.

ასევე ახალი კანონის თანახმად კომპანიები დაიყო 4 კატეგორიად:

მოთხე კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება ის სუბიექტი, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აკმაყოფილებს სამი კრიტერიუმიდან ორს: მისი შემოსავალი არ უნდა იყოს 2000000 ლარზე მეტი, აქტივები არ უნდა იყოს 1000000 ლარზე მეტი ღირებულების და დასაქმებული პერსონალი საანგარიშგებო პერიოდში არ უნდა იყოს 10-ზე მეტი;

მესამე კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება ის სუბიექტი, რომელიც არ მიეკუთვნება მეოთხე კატეგორიის საწარმოს და აკმაყოფილებს სამი კრიტე-

რიუმიდან ორს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: მისი შემოსავალი არ უნდა იყოს 20 000 000 ლარზე მეტი, აქტივები არ უნდა იყოს 10 000 000 ლარზე მეტი ღირებულების და დასაქმებული პერსონალი საანგარიშგებო პერიოდში არ უნდა იყოს 50-ზე მეტი;

მეორე კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება ის სუბიექტი, რომელიც არ მიეკუთვნება მესამე და მეოთხე კატეგორიის საწარმოს და აკმაყოფილებს სამი კრიტერიუმიდან ორს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: მისი შემოსავალი არ უნდა იყოს 100 000 000 ლარზე მეტი, აქტივები არ უნდა იყოს 50 000 000 ლარზე მეტი ღირებულების და დასაქმებული პერსონალი საანგარიშგებო პერიოდში არ უნდა იყოს 250-ზე მეტი;

პირველი კატეგორიის საწარმოს მიეკუთვნება ის სუბიექტი, რომელიც აკმაყოფილებს სამი კრიტერიუმიდან ორს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს: მისი შემოსავალი მეტია 100 000 000 ლარზე, აქტივები არის 50 000 000 ლარზე მეტი ღირებულების და დასაქმებული პერსონალი საანგარიშგებო პერიოდში არის 250-ზე მეტი.

ზოგიერთი კომპანიისთვის შემოღებულია სდპ – საზოგადოებრივი დაინტერესების პირის სპეციალური სტატუსი, რომლის ფასიანი ქაღალდები დაშვებულია სავაჭროდ საფონდო ბირჟაზე საქართველოს კანონმდებლობის ფარგლებში.

სდპ – საზოგადოებრივი დაინტერესების პირებმა, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოებმა და ჯგუფებმა უნდა უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს და მესამე და მეოთხე კატეგორიების საწარმოებს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ვალდებულება არა აქვთ.

გამკაცრდა მოთხოვნები სამეურნეო სუბიექტების მიმართ. სამეურნეო სუბიექტები ვალდებული არიან აწარმოონ აღრიცხვა სტანდარტების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილებების თანახმად და ახალ ესტონურ მოდელზე გადასვლით შეიცვალა საგადასახადო მოთხოვნები. მოგების გადასახადის გაუქმებამ გამოიწვია რიგი ცვლილებები და დაავალდებულა

კომპანიები აღრიცხვა აწარმოონ სტანდარტების შესაბამისად. ეს ცვლილებები გავლენას მოახდენს ბუღალტრული და აუდიტორული მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ამ საკითხების რეგულაცია სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების პრეროგატივაა, რომელიც ფინანსთა სამინისტროს სისტემას ექვემდებარება³¹.

აუდიტორმა, შემოწმების პროცესში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისათვის უნდა იხელმძღვანელოს "სიტუაციური სახელმძღვანელოებით" განსაზღვრული შეფასებებით და გასატარებელი ღონისძიებებით, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო აუდიტის პროცესში გამოკვეთილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასებისათვის და სათანადო გასატარებელი ღონისძიებებისათვის არ არის დამტკიცებული შესაბამისი სიტუაციური სახელმძღვანელო, საგადასახადო ვალდებულების განსაზღვრა საგადასახადო აუდიტორმა უნდა განახორციელოს შემოსავლების სამსახურის უფროსის მიერ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ან აუდიტის დეპარტამენტის საკოორდინაციო საბჭოს საოქმო გადაწყვეტილების საფუძველზე.

კვლევის საწყის ეტაპზე შევარჩიეთ დეტალური სქემა, რომელიც მოიცავს ფინანსური კონტროლის დასახასიათებლად შერჩეულ ორგანიზაციებს, კერძოდ სსიპ "საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს" და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“.

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი წარმოადგენს აკრედიტებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებას“ და საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი განთავისუფლებულია დღგ-ს გადასახადისაგან. გარდა ამისა, უნივერსიტეტი ეწევა ისეთ ეკონომიკურ საქმიანობას, რომელიც ექვემდებარება დღგ-თი დაბეგვრას. კერძოდ, უნივერსიტეტი შემოსავალს ღებულობს შენობების იჯარიდან და იურიდიული პირებისგან, რომლებსაც ხელშეკრულების საფუძველზე, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თავიანთი სპეციალობების მიხედვით უწევენ მომსახურებას.


³¹ საქართველოს კანონი საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ. 2004 წლის 11 თებერვალი. №3277-III.

სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ ბიუჯეტის შემოსულობები ფორმირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებით, სამეცნიერო-კვლევითი გრანტების დაფინანსებით, კანონმდებლობით ნებადართული ეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლებით, საიდანაც შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სწავლის საფასურიდან მიღებული შემოსავალი. ცხრილ 1-ში მოცემულია სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019-2021 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები.

დასახელება	2019 წელი	2020 წელი	2021 წელი
სულ შემოსულობები მათ შორის:	55 200 402	56 377 475	57 137 460
-საკუთარი სახსრები	49 749 815	49 643 115	49 169 190
-სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	5 105 320	5 283 830	6 260 630
-სამეცნიერო-კვლევითი გრანტები	345 267	1 450 530	1 707 640

ცხრილი 1. 2019-2021 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2019-2021 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები წარმოდგენილია დიაგრამის სახით. იხ. ნახ. 4.



ნახ. 4. 2019-2021 წლების ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ წარმოადგენს კერძო სტრუქტურას, რომელიც დაარსდა თურქეთის რესპუბლიკასა და საქართველოს შორის განათლების სფეროში დადებული მემორანდუმის ფარგლებში, 1995 წელს, საქართველოს მინისტრთა კაბინეტის დადგენილებისა და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ გაცემული ლიცენზიის საფუძველზე. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი ორიენტირებულია ხარისხიანი განათლებაზე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გამოყენებით კვლევებს, ინოვაციებს, ინტერნაციონალიზაციასა და უწყვეტ განათლებას, ისწრაფვის შეინარჩუნოს ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზარზე კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი და წვლილი შეიტანოს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარებაში. კომპანიის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობა.

ორგანიზაციაში მნიშვნელოვანია ფინანსურ პოლიტიკასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების გადანაწილება, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დადგენა. ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მიზანია უზრუნველყოს ორგანიზაციაში დასახული მისიითა და ხედვით განსაზღვრული

პრიორიტეტების მიღწევისათვის, შესაბამისი ფინანსური რესურსების მართლზომიერი და ეფექტური გამოყენება იმ აქტივობების განსახორციელებლად, რაც განისაზღვრება ორგანიზაციის სამოქმედო გეგმით.

ცენტრალური/სტრუქტურული ერთეულის ბიუჯეტიდან გახარჯული /შემოსული თანხების მართლზომიერების შემოწმების მიზნით შესაძლოა კონტროლი ხორციელდებოდეს როგორც შიდა, ასევე გარე მექანიზმების გამოყენებით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ფინანსური რესურსების ბრუნვის კონტროლის შემოწმების შიდა მექანიზმები:

ყოველთვიურად ბუღალტერიის მიერ კომპანიის მიერ გახარჯული და შემოსული თანხის კლასიფიცირება. დადგენა რა ტიპის აქტივობისათვის მოხდა თანხის გახარჯვა, რა წყაროდან მოხდა თანხის შემოსვლა და წარდგენა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან;

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დახარჯული/შემოსული თანხების შესაბამისობას დაგეგმილ ბიუჯეტთან შეაფასებს, შედარების აქტს მოამზადებს და განსახილველად წარუდგენს დირექტორს;

დირექტორი აფასებს შედარების აქტში მოცემულ ინფორმაციას და საჭიროების შემთხვევაში, ბრძანებით ახდენს ბიუჯეტის კომპონენტებს შორის გადანაცვლებას.

ფინანსური რესურსების ბრუნვის კონტროლის შემოწმების გარე მექანიზმები:

ბუღალტერია ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ავსებს და წარადგენს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ვებ-გვერდზე საოპერაციო თვის საშემოსავლო, მოგების, განაცემთა ინფორმაციისა, დღგ-ს ან და ორგანიზაციის ტიპის მიხედვით საჭირო დეკლარაციებს;

დაქირავებული აუდიტორული კომპანია შესაძლოა ყოველკვირეულად/ყოველთვიურად/ყოველწლიურად ამოწმებდეს ბუღალტერიის მიერ განხორციელებული ფინანსური აქტივობების მართლზომიერებას და მის შესაბამისობას ცენტრალური/სტრუქტურული ერთეულების ბიუჯეტებში ასახულ ხარჯვით ნაწილთან, ასევე ამზადებდეს შესაბამის დასკვნას.

განვიხილოთ საკითხები, რომლებიც ორივე ორგანიზაციისათვის თანაბრად პრობლემურია:

- **პრობლემა 1.** დაწესებულებაში ხშირია თვეების მიხედვით ჩაბარებული დეკლარაციების დაზუსტება. აღნიშნული დაზუსტება კანონდარღვევას არ წარმოადგენს, მაგრამ ფაქტი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ხელშეკრულებით შესრულებულ სამუშაოებზე პირველადი დოკუმენტაცია (ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტი) ბუღალტერიას მიეწოდება დაგვიანებით, რის გამოც, ოპერაციები ასახვას ვერ ჰპოვებს შესაბამის პერიოდში და ბუღალტერია იძულებულია მოახდინოს დეკლარაციის დაზუსტება.

შედეგი. ორგანიზაციას ერიცხება გადასახადის საურავი გადასახდელი თანხის გადაუხდელობისათვის საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილ ვადაში. გადასახადის თანხა არის სხვაობა ზედმეტად გადახდილი გადასახადების ჯამსა და იმ საგადასახადო ვალდებულებებს შორის, რომელიც გადასახადის გადამხდელის მიერ არ შესრულებულა. საურავი შეადგენს 0.05 პროცენტს. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 272-ე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით საურავი შემცირდა გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,07 პროცენტიდან 0.05 პროცენტამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის. გადასახადის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გადასახადის გადახდის დღე ვადაგადაცილებულ დღედ ითვლება³².

რეკომენდაცია. უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის თანამშრომელმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“, იხელმძღვანელონ ამავე ბრძანების მე-6 მუხლით, რომლითაც პირველადი აღრიცხვის დოკუმენტები უნდა შედგეს მოვლენის შინაარსიდან და მონაცემების დამუშავების ტექნოლოგიის თავისებურებებიდან გამომდინარე

³² 01.05.2015. N3581 საქართველოს კანონი საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

ერთეულის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო ინფორმაციის დამუშავების ვადების გათვალისწინებით და ბუღალტერიას უნდა გადაეცეს ერთეულის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით დადგენილ ვადებში.

სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ პრობლემა-1-ის ანალიზი მოცემულია ცხრილ 2-ში.

	სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”	შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“
პრობლემა	დაწესებულებაში ხშირია თვეების მიხედვით ჩაბარებული დეკლარაციების დაზუსტება.	დაწესებულებაში ხშირია თვეების მიხედვით ჩაბარებული დეკლარაციების დაზუსტება.
რისკი	ორგანიზაციას ერიცხება საურავი გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.	ორგანიზაციას ერიცხება საურავი გადაუხდელი გადასახადის თანხის 0,05 პროცენტი ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის.
რეკომენდაცია	უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის თანამშრომელმა შეასრულოს თავისი ვალდებულება საქართველოს ფინანსთა მინისტრის N108 ბრძანების მე-6 მუხლის დაცვით	უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის თანამშრომელმა შეასრულოს თავისი ვალდებულება საქართველოს კანონი #5386 „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ დაცვით

ცხრილი 2. სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ პრობლემა-1-ის ანალიზი

- **პრობლემა 2.** საწვავის გაცემისა და ჩამოწერის საკითხებთან დაკავშირებით. რიგ ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მფლობელებთან (უნივერსიტეტის თანამშრომლები) გაფორმებულია **თხოვების ხელშეკრულებები**, რომელიც ადასტურებს, რომ დაქირავებული ფიზიკური პირის ავტოსატრანსპორტო საშუალება გამოყენებული იქნება **საწარმოო დანიშნულებით**. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოწერილია **საგზურის ფურცელი და საწვავის**

ჩამოწერა ხორციელდება ავტომანქანის გარბენის მიხედვით, 100 კმ.-ზე საწვავის ხარჯის ნორმებიდან გამომდინარე. ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გამოსაწერი საგზურის ფურცლის შაბლონის ფორმა, რომელსაც იყენებენ სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში“ შემუშავებულ იქნა სტუ-ს აღრიცხვა-ანგარიშგების დეპარტამენტში. იხ. ნახაზი 5.

ორგანიზაცია: _____ გაცემის თარიღი: “___” _____ წ.
 მისამართი: _____ გამცემის ხელმოწერა: _____
 ბეჭედი ან შტამპი: _____

ავტომობილის საგზურის ფურცელი №

საგზურის მოქმედების ვადა: “-----”-დან – “-----”-მდე წ.

ავტომობილის მარკა: _____ სპიდომეტრის ჩვენება გასვლისას:

	კმ
--	----

 სახელმწიფო №: _____ სპიდომეტრის ჩვენება მოსვლისას:

	კმ
--	----

 მძღოლის ს.გ.: _____ გარბენი:

	კმ
--	----

 მიზანი: _____

№	გასვლის ადგილი	გასვლის თარიღი	დანიშნულების ადგილი (მისამართი)	გარბენი კმ-ში	შენიშვნა
1.					
2.					
3.					
4.					
5.					
6.					
7.					
8.					
9.					
10.					
11.					
12.					
13.					
14.					
15.					

სულ გარბენი

ხელმოწერა: მექანიკოსი
 მძღოლი:

საწვავის ჩამოწერა:

საწვავის ჩამოწერის პერიოდი	გარბენი კმ-ში	საწვ. ხარჯის ნორმა 100 კმ-ზე	დახარჯული საწვავი ლიტრებში	ერთი ლიტრი საწვავის ფასი	ჩამოწერილი საწვავის ლირებულება ლარებში	მძღოლზე გაცემული საწვავი ლიტრებში	ნაშთი გრ (4-7)
1.	2.	3.	4.	5.	6.	7.	8.
ბარჯამამ. ნაშთი							

ხელმოწერა:

ნახ. 5. ავტომობილის საგზურის ფურცელი და საწვავის ჩამოწერა

რისკი. თხოვების ხელშეკრულება და საგზურის ფურცლები, რომლებიც წარმოადგენენ ხარჯებში საწვავის ჩამოწერის საფუძველს, ადასტურებენ ა/მანქანის გადაადგილებას, მაგრამ ვერ ადასტურებენ ავტოსატრანსპორტო საშუალების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების ფაქტს და აღნიშნული დოკუმენტების საფუძველზე, საწვავის ხარჯში გატარება მოგების გადასახადის გაანგარიშების დროს, საგადასახადო რისკის მატარებელია. შესაბამისად, უნივერსიტეტის მიერ არ არის დაცული საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 18 აპრილის N230 ბრძანებით დამტკიცებული „ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენებულ ძირითად საშუალებებზე (ტრანსპორტი, სპეც. ტექნიკა და სხვა) გახარჯული საწვავის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითვის წესი“. აღნიშნული ბრძანების მე-4 მუხლის (გახარჯული საწვავის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენების დადასტურება) პირველი პუნქტის შესაბამისად, დოკუმენტების შექმნის (რეგისტრირების წარმოების) მიზანია დოკუმენტურად დადასტურდეს, რომ წესების დაცვით შეძენილი და გახარჯული საწვავის რაოდენობა უკავშირდება ეკონომიკურ საქმიანობას. ხოლო, მე-2 პუნქტის თანახმად, ავტომანქანის გარბენის მიხედვით ბენზინის ჩამოწერაზე, სააღრიცხვო პოლიტიკაში გათვალისწინებულია „საგზაო ფურცელი“, რომელიც არის ავტოსატრანსპორტო საშუალების (სპეციალური ტექნიკის) კონკრეტულ ერთეულზე გაწერილი დოკუმენტი, რომელიც ადგენს მხოლოდ ავტოსატრანსპორტო საშუალების მოძრაობის მარშრუტს, მაგრამ აღნიშნული დოკუმენტით ვერ ხერხდება კონკრეტული სატრანსპორტო ერთეულის ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართულობის დადგენა.

უნდა ავლნიშნოთ, რომ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებთან, რომლებიც არიან დაქირავებული ფიზიკური პირები, გაფორმებულია უსასყიდლო თხოვების ხელშეკრულებები. თუ ვერ დავადასტურეთ ავტოსატრანსპორტო საშუალებების სამსახურებრივ საქმიანობაში გამოყენება (ხელშეკრულებით, საგზურის ფურცლით არ დასტურდება), მაშინ საგადასახადო რისკი წარმოიქმნება, როგორც საშემოსავლო, ასევე დღგ-ს გადასახადში. კერძოდ:

1. სსკ-ის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის „ჭ“ პუნქტის საფუძველზე, „ფიზიკური პირი საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისაგან თავისუფლდება

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ თანამშრომლისათვის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პირად მფლობელობაში არსებული ავტომობილისათვის საწვავის უსასყიდლოდ გადაცემით მიღებული სარგებელი.“ განმარტებიდან ირკვევა, რომ თუ ვერ დავადასტურეთ ავტომანქანის სამსახურებრივ საქმიანობაში გამოყენება, მაშინ დაქირავებულ ფიზიკურ პირზე უსასყიდლოდ გადაცემული საწვავის საბაზრო ღირებულება, მას ჩაეთვლება სარგებლად და დაიბეგრება საშემოსავლო გადასახადის 20%-იანი განაკვეთით;

2.თუ ავტომანქანის გამოყენება სამსახურებრივ საქმიანობაში არ დასტურდება, დაქირავებულზე გაცემული საწვავი, სსკ-ის 103-ე მუხლის საფუძველზე განიხილება, როგორც ფიზიკური პირის სარგებელი. პირის მიერ სხვა პირისგან ქონების ან სარგებლის მიღების შემთხვევაში, ერთობლივ შემოსავალში შესატანი ქონების ან სარგებლის ღირებულება განისაზღვრება ამ კოდექსის 101-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით.³³ აღნიშნულ შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უნდა ისარგებლოს 101-ე მუხლის მე-4 ნაწილით. ასევე, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით. მე-4 ნაწილი განმარტავს, რომ „ამ მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული თანხა მოიცავს აქციზს, დამატებული ღირებულების გადასახადს და სხვა გადასახადებს, რომელიც უნდა გადაიხადოს დამქირავებელმა.“ ჩვენს შემთხვევაში, დაქირავებულზე უსასყიდლოდ (კომპენსაციის გარეშე) გადაცემული საწვავის ღირებულება, რომლის სამსახურებრივ საქმიანობაში გამოყენება არ დასტურდება, დაქირავებით მუშაობას არ უკავშირდება და ექვემდებარება დღგ-თი დაბეგრვას. 101-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, საქონლის კომპენსაციის გარეშე მიწოდებისას, საქონლის ღირებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით. ზემოთ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, თუ ავტომანქანის სამსახურებრივ საქმიანობაში გამოყენება არ დასტურდება, ავტომანქანის მფლობელზე გადაცემული საწვავის საბაზრო ღირებულება დაექვემდებარება დამატებული ღირებულების გადასახადით დაბეგრვას [13].

შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ გახარჯული საწვავის დოკუმენტურად დადასტურება ხდება მხოლოდ საწვავის აღრიცხვის ფორმის შევსებით, რომელიც დასტურდება ხელმოწერებით. იხ. ნახ. 6.

³³ საგადასახადო კოდექსი, თბილისი, 2010 წლის 17 სექტემბერი. N 3591

საწვავის აღრიცხვის ფორმა

ეკრო დიზელი

ტალონის გატანის თარიღი	რაო დღეო ბა	ზომ. ერთ	ტალონის გამტანის სახელი და გვარი	დამიშვლება	გამტანის ხელმოწერა	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა

ნახ. 6. საწვავის აღრიცხვის ფორმა

რეკომენდაცია. ა/მანქანების უნივერსიტეტის ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება შეიძლება დაადასტუროს ავტომანქანის მფლობელზე მივლინების ბრძანებამ, ან ხელმძღვანელის მითითებით რაიმე დავალების შესრულებამ, რომელიც ასევე დოკუმენტურად დადასტურებული უნდა იყოს.

სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი” და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ პრობლემა-2-ის ანალიზი მოცემულია ცხრილ 3-ში.

	სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი”	შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“
პრობლემა	საწვავის გაცემისა და ჩამოწერის საკითხები	საწვავის გაცემისა და ჩამოწერის საკითხები
რისკი	საგადასახადო რისკი, რომელიც წარმოიქმნება, როგორც საშემოსავლო, ასევე დღგ-ს გადასახადში	საგადასახადო რისკი, რომელიც წარმოიქმნება, როგორც საშემოსავლო, ასევე დღგ-ს გადასახადში
რეკომენდაცია	ა/მანქანების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება დადასტურდეს მივლინების ბრძანებით, ან ხელმძღვანელის მითითებით, რომელიც დოკუმენტურად დასტურდება.	ა/მანქანების ეკონომიკურ საქმიანობაში გამოყენება დადასტურდეს მივლინების ბრძანებით, ან ხელმძღვანელის მითითებით, რომელიც დოკუმენტურად დასტურდება.

ცხრილი 3. სსიპ “საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის” და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ პრობლემა-2-ის ანალიზი

პრობლემა 3. ფასთა კვლევის ეტაპზე, შემსყიდველი ორგანიზაციის ინტერესებს განსაზღვრავს ორი კომპონენტი: ა) მაღალი ხარისხის საქონლის შექმნა ბ) სახელმწიფო სახსრების ეკონომიური ხარჯვა. ტენდერი ცხადდება ამ ორი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის გათვალისწინებით გამოვლენილი მაღალი ხარისხობრივი მაჩვენებლების მქონე საქონლის ფასის მითითებით. ანუ, ფასთა კვლევის პროცესში შემსყიდველი ირჩევს მისთვის მისაღები ბრენდის საქონელს შესაბამისი ფასით.

პრობლემის შედეგი. ტენდერის გამოცხადებისას, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შესყიდვის ობიექტის ტექნიკური, შესრულების ან/და ფუნქციური სპეციფიკაციების აღწერისას გამოყენებული ტექსტური მასალები და სხვა მაჩვენებლები შეუსაბამოს საერთაშორისო, ევროპის ან საქართველოს სტანდარტებს. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია მიუთითოს შესაბამისი გამოყენებული სტანდარტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). იმავდროულად, უპირატესობა უნდა მიენიჭოს შესრულებისა და ფუნქციური სპეციფიკაციების ზოგად აღწერას. შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება დაუშვებელია, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შესყიდვის ობიექტის ზუსტი აღწერის სხვა საშუალება არ არსებობს. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის აღწერისას აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული ტერმინი „მსგავსი“ ან „ეკვივალენტური“ და სხვა.

რეკომენდაცია. ტენდერის გამოცხადებისას, შემსყიდველს მიეცეს შესაძლებლობა, თავად განსაზღვროს შესყიდვის ობიექტის არა მხოლოდ ტექნიკური პარამეტრები, არამედ, ბაზარზე არსებული ხარისხის ნიშნის მქონე ბრენდები, რითაც იგი თავს აარიდებს რისკებს, შეიძინოს მისთვის არასასურველი პროდუქცია მხოლოდ დაბალი ღირებულების გამო.

აღნიშნული პრობლემა არ ეხება შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“, რადგან მათზე არ ვრცელდება საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“.

პრობლემა 4. საგადასახადო შემოწმების აქტი, რომლის მიხედვითაც უნივერსიტეტს ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დაერიცხა საგადასახადო

ვალდებულება. უნივერსიტეტისთვის პრობლემას წარმოადგენს საკუთარი წარმოების შენობა-ნაგებობების ღირებულებაზე დღგ-ის თანხის დარიცხვა. თანხები ფაქტიურად არ წარმოადგენს ბიუჯეტში გადაუხდელ თანხებს. შემოწმებით დაფიქსირებულია სადავო ფორმალური და არა შინაარსობრივი დარღვევები, რაც წარმოადგენს არა გადასახადის შემცირების "გასწორებას" და "სამართლიანობას", არამედ არაპროპორციულ დამატებით დარიცხვას. ფორმალური პირობების დაუცველობის გამო წართმეულია მათი ჩათვლის შესაძლებლობა და კვლავ ხელმეორედ იბეგრება დღგ-ით.

რისკი. დავალიანებად დაფიქსირებული თანხების გადახდა საფრთხეს უქმნის ქვეყანაში ინვესტიციების შემდგომ განხორციელებას.

უნივერსიტეტის მიერ მობილიზებული თანხებით დავალიანების დაფარვის შემთხვევაში განხორციელდება ხარჯების მკვეთრი შემცირება, რაც ნიშნავს ადმინისტრაციულ-სამეცნიერო პერსონალისა და ლექტორების რაოდენობის შემცირებას, ასევე დარჩენილთათვის ხელფასების შემცირებას, სტუდენტთათვის განსაზღვრული ღონისძიებების და სწავლებისათვის საჭირო პირობების გაუარესებას. დარიცხული საურავები დამატებით პრობლემებს ქმნის და უნივერსიტეტისათვის ფერხდება სამომავლო პროგნოზების გაკეთება.

აღნიშნული, განვითარების ნაცვლად გამოიწვევს უნივერსიტეტის პრესტიჟის მომენტალურ დაცემას, მოხდება სტუდენტთა გადინება და შესაბამისად თანხებიც ვერ იქნება მობილიზებული.

რეკომენდაცია. საკითხი, არაორდინალურობიდან გამომდინარე, შესწავლილი უნდა იქნეს განსაკუთრებული გულისყურით და დროულად, ფაქტობრივად ბიუჯეტს თანხები არ დაკლებია, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი ორგანოების მიერ.

აღნიშნული პრობლემა ეხება მხოლოდ შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“, თუმცა იგივე პრობლემა სხვა ორგანიზაციასაც შეიძლება დაეწიოს წარმოქმნოდა.

სტუ-ში წარმოქმნილი პრობლემები, მასთან დაკავშირებული რისკები და რეკომენდაციები სპეციფიკურია სახელმწიფო სექტორისათვის (საკანონმდებლო

ჩარჩოები, ზემდგომი ორგანოების მოთხოვნები და სხვა). იგივე პრობლემები გაანალიზებულია და მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“-სათვის.

ცხრილი #4-ში ნაჩვენებია გვაქვს ის განსხვავებები, რაც გამოიკვეთა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის“ და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ კვლევების საფუძველზე.

სსიპ „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“	შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი“
სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა	კერძო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვა
მოგების გადასახადების დეკლარაციების ჩაბარება შემოსავლების სამსახურში ხორციელდება სსკ-ის მოთხოვნათა დაცვით.	ბუღალტერია ყოველი საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვამდე, ავსებს და წარადგენს შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ ვებ-გვერდზე საოპერაციო თვის საშემოსავლო, მოგების, განაცემთა ინფორმაციისა, დღგ-ს ან და ორგანიზაციის ტიპის მიხედვით საჭირო დეკლარაციებს; 2017 წლიდან ამოქმედდა ესტონური მოდელი – ახალი მოგების გადასახადი. „ესტონური მოდელი“ ითვალისწინებს დაბეგვრას არა მოგების მიღებისთანავე, არამედ მოგების განაწილებისას.
საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ ვრცელდება იმ ორგანიზაციებზე, რომლებიც განსაზღვრულია ამავე კანონის მე-3 მუხლის, 1-ლი პუნქტის, ბ ქვეპუნქტით.	არ ვრცელდება საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“
მოქმედებს შიდა აუდიტის სამსახური, რომელიც წარმოადგენს უნივერსიტეტის სისტემაში შემავალ აუდიტის განმახორციელებელ სტრუქტურულ ერთეულს	უნივერსიტეტის სტრუქტურაში არ არსებობს აუდიტის სამსახურის სტრუქტურული ერთეული, ხელშეკრულება არის გაფორმებული კერძო აუდიტორულ კომპანიასთან

ცხრილი №4. განსხვავებები სსიპ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა“ და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“ შორის

თავი 6. ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის გაუმჯობესების საკითხები

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ“ თანახმად,³⁴ 2010 წელს შიდა აუდიტის სუბიექტი ჩამოყალიბდა 12 სამინისტროში³⁵. 2013 წლისთვის საქართველოში არსებობდა 24 შიდა აუდიტის ერთეული. მათ შორის შიდა აუდიტის ერთეული ჩამოყალიბდა საქართველოს სამინისტროებში, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ხუთ-ხუთი ერთეული, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში და საქართველოს მთავრობის კანცელარიაში თითო-თითო ერთეული³⁶.

საქართველოს კანონში „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ 2017 წლის 26 ივლისს შეტანილი ცვლილების საფუძველზე, შემდეგ დაწესებულებებში იქმნება შიდა აუდიტის სუბიექტები³⁷:

- ა) საქართველოს სამინისტროებში;
- ბ) აფხაზეთის ავტონომიურ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების სამინისტროებში;
- გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირების ჩამონათვალში, რომლებშიც შიდა აუდიტის სისტემის დანერგვისა და განვითარების სტრატეგიას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
- დ) შესაბამისი საკრებულოს გადაწყვეტილების საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერიაში.

უკანასკნელი მონაცემებით შიდა აუდიტის სუბიექტი ჩამოყალიბებულია შემდეგ ავტონომიურ რესპუბლიკებსა და თვითმმართველ ერთეულებში: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში – 6 ერთეული, კახეთის მხარე – 8 ერთეული,

³⁴ სახელმწიფო შიდა აუდიტისა და ინსპექტირების შესახებ-თბილისი, 2010 წლის 26 ოქტომბერი. #2839.

³⁵ საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ საქართველოს 2011 წლის 9 დეკემბრის კანონი №5447

³⁶ <https://mof.ge/4178>

³⁷ საქართველოს 2017 წლის 26 ივლისის კანონი №1266 „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

იმერეთის მხარე – 12 ერთეული, სამეგრელო ზემო სვანეთის მხარე – 9 ერთეული, შიდა ქართლის მხარე – 7 ერთეული, ქვემო ქართლის მხარე – 7 ერთეული, გურიის მხარე – 3 ერთეული, სამცხე-ჯავახეთის მხარე – 6 ერთეული, მცხეთა-მთიანეთის მხარე – 5 ერთეული, რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვანეთის მხარე – 4 ერთეული. შიდა აუდიტის სუბიექტი ფუნქციონირებს 13 სამინისტროში და იმ სსიპ-ებში, რომელთა ჩამონათვალი და განვითარების სტრატეგია უნდა დაამტკიცოს საქართველოს მთავრობამ ფინანსთა სამინისტროს წარდგინებით. თუმცა აღნიშნული ჩამონათვალის მოძიება ამ ეტაპისთვის შეუძლებელია. კვლევამ გვაჩვენა, რომ შიდა აუდიტის სუბიექტი ჩამოყალიბებულია შემდეგ ერთეულებში: საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციაში, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურში, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში, საქართველოს დაზვერვის სამსახურში, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ 2011 წლის 9 დეკემბრის საქართველოს №5447 კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად შიდა აუდიტის სუბიექტი შეიძლება შეიქმნას კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და სხვა საბიუჯეტო ორგანიზაციაში, მათივე გადაწყვეტილებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნა მათთვის ნებაყოფლობითია (არა აქვთ ვალდებულება). კვლევამ გვაჩვენა, რომ არა აქვთ შიდა აუდიტის სუბიექტი (არც ვალდებულება) შემდეგ ერთეულებს: საქართველოს პარლამენტს და საქართველოს პარლამენტთან არსებულ ორგანიზაციებს; საქართველოს უზენაესი სასამართლოს; საქართველოში არსებულ ეროვნულ უშიშროების საბჭოს აპარატს; როგორც საკონსტიტუციო სასამართლოს ასევე საერთო სასამართლოებს; იუსტიციის უმაღლესი საბჭოს. საქართველოს სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ზუგდიდში, აბაშაში, სენაკში, ხობში, ფოთში, ჩხოროწყოში, მარტვილში, მესტიში, წალენჯიხაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურში, ოზურგეთში, ზესტაფონში, ბაღდათში, სამტრედიაში, ვანში, საჩხერეში, თერჯოლაში, წყალტუბოში, ტყიბულში, ჭიათურაში, ხონში, ხარაგაულში, ქუთაისში, დედოფლისწყაროში, ახმეტაში, გურჯაანში, თელავში, საგარეჯოში,

სიღალღში, ლაგოდებში, ყვარლში, თიანეთში, დუშეთში, მცხეთაში, ცაგერში, ყაზბეგში, ამბროლაურში, ონში, ლენტეხში, ახალციხეში, ახალქალაქში, ადიგენში, ასპინძაში, ბორჯომში, ნინოწმინდაში, ბოლნისში, რუსთავში, გარდაბნში, მარნეულში, კასპში, ქარელში, წალკაში, დმანისში, თეთრი წყაროში, გორში, ხაშურში არსებულ მუნიციპალიტეტებში; საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ორ აპარატში, ერთი ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში და მეორე შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში; საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში; საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში; სსიპ – კონკურენციის სააგენტოში; საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში და სსიპ – რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოში.

შიდა აუდიტის სუბიექტის შექმნა ნებაყოფლობითი არ უნდა იყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისათვის და ეს საკითხი უნდა რეგულირდებოდეს შესაბამისი კანონმდებლობით.

2015 წლის 18 დეკემბერს, საქართველოს კანონში „სახელმწიფოს შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ შეტანილ იქნა ცვლილებები, სადაც განისაზღვრა საკითხები ფინანსური კონტროლის სისტემის მეთოდოლოგიის სტანდარტების შემუშავებასა და დანერგვასთან დაკავშირებით. ამაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ფინანსთა სამინისტრო. მათ მიერ შემუშავებული ღონისძიებები და გეგმები გაწერილია განვითარების გეგმაში, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებით³⁸.

1. დაწესებულებები ამ კანონის, კანონქვემდებარე აქტების და სხვა საკანონმდებლო რეგულაციების საფუძველზე აწვითარებს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემას და ახორციელებს შიდა ფინანსურ კონტროლთან დაკავშირებული საკითხების კოორდინაციას. დაწესებულებები შეიმუშავებენ ფინანსურ მართვისთან და კონტროლთან დაკავშირებულ საკუთარ სისტემას.

³⁸ სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ-თბილისი, 2011 წლის 09 დეკემბერი, #5447.

2. დაწესებულების ნებისმიერი ერთეულის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია რომ ფინანსურ მართვასა და კონტროლთან დაკავშირებით ყველა განხორციელებულ ქმედებების შესახებ თავისი კომპეტენციის ფარგლებში აცნობოს თავის ხელმძღვანელს.

შიდა აუდიტი საკონსულტაციო საქმიანობაა და არა სადამსჯელო. შიდა აუდიტის სუბიექტები არ შეიძლება ინსპექტირებით იყვნენ დაკავებული. მნიშვნელოვანია შიდა აუდიტის ფუნქციები და კონტროლის ფუნქციები ერთმანეთისაგან მკვეთრად გაიმიჯნოს.

საქართველოს კანონის „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდა „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქცია“ დანართთან ერთად.

ამ ინსტრუქციის მე-12-ე მუხლის პირველი პუნქტით, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ფარგლებში ანგარიშგების ჩამოყალიბების მიზანია დაწესებულების ხელმძღვანელობისთვის სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდება, როგორც ცალკეული პროგრამის ბიუჯეტის შესრულებისა და პროგრამის შედეგიანობის, ისე დაწესებულებაში ფინანსური მართვისა და კონტროლის დანერგვის და არსებული მდგომარეობის შესახებ, რის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ფინანსური და საოპერაციო შედეგების დროული და ეფექტიანი ანალიზი, ასევე აღნიშნული ინსტრუქციის პრაქტიკაში დანერგვის ხელშეწყობა, ხარვეზების დროული იდენტიფიცირება, აღმოფხვრა და არსებული სისტემის მუდმივი სრულყოფა[8].

არ არსებობს ერთიანი აზრი იმის შესახებ, თუ რას მოიცავს ფინანსური კონტროლი. უმრავლესობა მკვლევარების აღიარებს, რომ ფინანსური კონტროლი არის საერთო განზოგადოებული დისციპლინა, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ვიწრო სპეციალიზაციებს.

საქართველოში სახელმწიფო აუდიტის სამსახური ჩამოყალიბდა ცალკე მიმართულებად, რომელიც აკონტროლებს ადგილობრივ და ცენტრალურ ბიუჯეტს. აუცილებელია განვსაზღვროთ რომ სახელმწიფო კონტროლი

გულისხმობს საბიუჯეტო კონტროლს, ვინაიდან დანარჩენ ფუნქციებს შეიძლება ითავსებდეს სხვა ზედამხედველობის ორგანოები.

გარე აუდიტი არის აუდიტორული შემოწმება, რომელსაც ანხორციელებენ როგორც აუდიტორები, ასევე აუდიტორული კომპანიები. გარე აუდიტი შეგვიძლია დავყოთ აუდიტის ნაირსახეობებად, როგორც ნებაყოფლობითი, ასევე სავალდებულო. სახელმწიფო აუდიტს ანხორციელებს შესაბამისი სამსახური კანონით დადგენილი წესით. როგორც ზემოთ აღნიშნულიდან ჩანს, თანამედროვე მეცნიერებაში ბევრი განმარტებაა ფინანსური კონტროლის. ზოგი განმარტება ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს რამოდენიმე ელემენტს, ზოგიერთისთვის კი წარმოადგენს ბიუჯეტის კონტროლს. კონტროლი განიხილება როგორც სახელმწიფო თანხების, ფონდების, ფულადი ნაკადების რაციონალურად და ეფექტურად მართვის, განკარგვის და გაფლანგვის აცილების ღონისძიებების ერთობლიობა, სამართლებლივი ურთიერთკავშირები, რომლებიც ყალიბდება სხვადასხვა სახელმწიფოებრივი უწყებებს შორის ბიუჯეტის დაგეგმარების და შესრულებისას (ხარჯების და შემოსავლების გათვალისწინებით).

ფინანსური აუდიტის ამოცანებში შედის სისტემის შექმნა, საკადრო რესურსების და თანამდებობების განსაზღვრა, ვისაც ევალება კონტროლის განხორციელება, საკანონმდებლო ბაზის შექმნა ამ ფუნქციების განსახორციელებლად. **ფინანსური კონტროლის** ძირითადი ფუნქციებია საბიუჯეტო კანონმდებლობის დაცვა, შესაბამისობა სხვადასხვა მოთხოვნებთან საბიუჯეტო ანგარიშების, ეკონომიკური შედეგების ეფექტურობა საბიუჯეტო თანხების გამოყენებისას.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლი შეიცავს მართვის კომპონენტებს, აუცილებელია მისი სრულყოფა და შესაბამისობა კონცეპტუალურ მიდგომებთან, ადმინისტრაციულ და ფინანსურ კანონმდებლობასთან. ამაში უნდა შედიოდეს ორგანიზაციული პრინციპები და ამ სტრუქტურების მოწყობა. კონტროლის ძირითადი ფუნქციაა დარღვევების გამოვლენა და აღმოფხვრა, ან ქმედებები დამნაშავეების დასასჯელად. ამ ფუნქციის შეფასება კატეგორიულად

დაუშვებელია. რაც შეუძლია განახორციელოს კონტროლის ორგანოებმა არის მიმართვა კომპეტენტურ ორგანოებთან შესაბამისი ზომების მისაღებად.

ფინანსური კონტროლის შესუსტება პროვოცირებას ახდენს ნეგატიურ პროცესებზე ეკონომიკაში. სახელმწიფო აუდიტს გააჩნია საერთო და კერძო მიზნები. საერთო მიზანია სახელმწიფო ფინანსების კონტროლის ზემოქმედება ეკონომიკის ზრდის ტემპებზე, სტაბილური ფინანსური სისტემის შექმნა, შემოსავლების ზრდის და თანხების დაზოგვა ბიუჯეტში. ძალიან ძნელია განისაზღვროს, თუ როგორი როლი უკავია ამ მიზნის მიღწევაში კონტროლს. მაგრამ ცალსახაა რომ ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია ფინანსური კონტროლი. კერძო მიზანია ფინანსური კონტროლის დანაშაულებრივი ქმედებების და სამართალდარღვევების შემცირება ფინანსურ სფეროში. კონტროლი ხორციელდება პოსტ ფაქტუმ და არა ხარჯვის პროცესში, ფინანსურ კონტროლს არა აქვს მკვეთრად გამოხატული სისტემურობა. თანამედროვე მმართველობით მეცნიერების განვითარების მიზანია რესურსების ეფექტური მართვა არა მხოლოდ ბუნებრივი, არამედ სოციალური პროცესების.

სისტემური მიდგომა და სისტემური ანალიზი გულისხმობს მეთოდოლოგიის შემუშავებას. მსხვილი კომპლექსური პრობლემების აღმოსაფხვრელად მართვის სფეროში, აქედან გამომდინარე **ფინანსური კონტროლი და საბიუჯეტო აუდიტი** განიხილება როგორც ღია ელემენტი მართვის სისტემური ანალიზის გამოყენებით.

სისტემურობა წარმოადგენს სხვადასხვა ელემენტების გარდაქმნას უწყვეტ თვისობრივ სივრცეში, რომელიც ამაღლებს ხარისხს. სისტემური კონტროლის მიდგომები შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც მიმართულება სისტემის, რომელიც შედგება სუბიექტებისა და ობიექტებისგან და მათი ურთიერთ-დამოკიდებულების, ინფორმაციის გაცვლის პროცესისგან. სისტემური ანალიზის მეთოდი არის კონტროლის ძირითადი ასპექტი, რომელიც ეყრდნობა რომელიმე ობიექტის მეცნიერულ მიმოხილვით კვლევას და განიხილავს მის ელემენტებს არა იზოლირებულად არამედ ურთიერთქმედებაში სისტემურად, შერწყმისას რაღაც ერთობლიობაში. ერთობლიობა არის სისტემა, მეთოდოლოგიური გეგმა, ახალი სისტემის ცოდნა. შესაბამისად სისტემური მეთოდის გამოყენებისას ფინანსური

კონტროლის დროს გვეხმარება უმეტესად განვახორციელოთ **საბიუჯეტო ფინანსური კონტროლი**.

ზემოთ აღნიშნული მოსაზრებიდან გამომდინარე აუდიტი ფინანსური კონტროლის განუყოფელი ნაწილია. საბაზრო ეკონომიკის პირობებში სახელმწიფო კონტროლის სისტემასთან ერთად ფინანსურ კონტროლში მონაწილეობს აუდიტორული საქმიანობაც. აუდიტორული საქმიანობა გამოიყენება საფინანსო სამეურნეო საქმიანობის შესამოწმებლად და შესაბამისი დასკვნების გასაკეთებლად. ფინანსური კონტროლი კი გვეხმარება საზოგადოების ეკონომიკურ ურთიერთობათა ნორმალური ფუნქციონირების რეგულირებისთვის. ჩვენი რეალობიდან გამომდინარე **ფინანსური კონტროლი შეგვიძლია გავაიგივოთ სახელმწიფო კონტროლთან**. სახელმწიფო კონტროლი აქტიურ მონაწილეობას იღებს ერთობლივი ეროვნული დოვლათის შექმნის და განაწილების პროცესში. იგი მონაწილეობს და უზრუნველყოფს სახელმწიფოს ძირითადი ფუნქციის შესრულებისას, რომელიც მდგომარეობს სახელმწიფო დოვლათის სწორად, კანონიერად, ეფექტურად და სამართლიანად განაწილებაში. ამ მექანიზმით იდენტურია ყველა სახის ფინანსურ კონტროლთან.


ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგი სახით:

- მიზანმიმართული საქმიანობა, რომელიც ანხორციელებს კონტროლის ფუნქციას.

- შიდა კონტროლის მექანიზმი, კონტროლის გარემოს და კონტროლის პროცედურების ერთობლიობა. მოიცავს იმ პოლიტიკას და პროცედურებს, რომელიც დადგენილია სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ საქმიანობის მოწესრიგებული და ეფექტური წარმართვის მიზნით, რათა უზრუნველყონ სამეურნეო სუბიექტის მიზნის მიღწევა – საიმედო ფინანსური ინფორმაციის დროულად მომზადება;

- „კონტროლის გარემო“ ხელმძღვანელობის საერთო პოზიციას, ინფორმირებულობას, შეხედულებებსა და ქმედებებს აღნიშნავს. რომლებიც დაკავშირებულია შიდა ფინანსური კონტროლის სისტემასა და სამეურნეო

სუბიექტისათვის კონტროლთან. აქ იგულისხმება ხელმძღვანელობის საქმიანობის სტილი, ზნეობრივი ფასეულობები, საკადრო პოლიტიკა, პროცედურები.



ნახ.7. ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები

- კონტროლის პროცედურები წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტების დადგენილ პროცედურებს, რომელიც სამეურნეო სუბიექტებს ეხმარება კონკრეტული მიზნების მისაღწევად. კონტროლის პროცედურების შერჩევა პრაქტიკაში დამოკიდებულია ცალკეულ კონტროლის პროცედურების

დანერგვისთვის საჭირო დანახარჯების და იმ სარგებლის თანაფარდობაზე, რომლის მიღებაც ივარაუდება მათი გამოყენებით.

ფინანსური კონტროლის ძირითადი ასპექტები შეიძლება გამოვსახოთ სქემის სახით. იხ. ნახ. 7.

შიდა ფინანსური კონტროლის პროცედურები მოიცავს:

- მონაცემთა შედარების ანგარიშების მომზადება, მათი განხილვა და დამტკიცება.

- ჩანაწერების არითმეტიკული სიზუსტის შემოწმება. კონტროლის ეს პროცედურა მოიცავს შესყიდვის ანგარიშფაქტურების ჯამური შემოწმებისა და მათი შესაბამისობა გაანგარიშებებთან.

- გამოყენებითი პროგრამების კონტროლი და კომპიუტერული საინფორმაციო სისტემების გარემოს ანალიზი.

- საკონტროლო ანგარიშებისა და საცდელი ბალანსების განხილვა და წარმოება.


საკონტროლო ანგარიშგებები მოიცავს მოთხოვნების და ვალდებულებების, საბანკო ნაშთების შედარების უწყისების და ძირითადი საშუალებების აღრიცხვის რეგისტრებს. ორგანიზაციის შიდა მონაცემების შედარების დროს ინფორმაციის გარე წყაროებთან შეიძლება გათვალისწინებული იყოს მომწოდებელთა ანგარიშების რეგულარული შედარების პროცედურა. ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების და სასაქონლო მატერიალური მარაგების ინვენტარიზაციის შედეგების შეჯერება ბუღალტრულ დოკუმენტაციასთან. აქტივების და ბუღალტრული ჩანაწერების პირდაპირი ფიზიკური ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. აქტივების და ჩანაწერების მიმართ გამოიყენება ერთი მნიშვნელოვანი ხასიათის პრინციპი – ფუნქციების დანაწილება უნდა განხორციელდეს შემდგომი პასუხისმგებლობის სფეროებში: ოპერაციების სანქციონირებისა და შესრულების; აქტივების ფიზიკური დაცვის და კონტროლის; ოპერაციების აღრიცხვის. არცერთ პიროვნებას არ უნდა ჰქონდეს აქტივების უკანონოდ მითვისების და ამ ფაქტის დამალვის შესაძლებლობა დოკუმენტების ფალსიფიცირებით.

შიდა ფინანსური კონტროლი გვაძლევს საშუალებას თავიდან ავიცილოთ განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი თანხების არამიზნობრივი ხარჯვა. ან ასეთის არსებობის შემთხვევაში მოვახდინოთ დაუყოვნებლივ იდენტიფიცირება. ყველა ტიპის ფინანსური კონტროლისთვის ფუნდამენტური საკითხია ფუნქციების განაწილება.

შიდა კონტროლის საოპერაციო სისტემის ეფექტურობა, მათი მუშაობა მუდმივად უნდა კონტროლირდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ. შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს შემოსავლების ზუსტ აღრიცხვას.

სახელმწიფო კონტროლის სისტემა არეგულირებს სახელმწიფო სექტორში შიდა ფინანსური სისტემის დანერგვას, მის პრინციპებს და სხვა საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვანია სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის შესამუშავებლად და განსახორციელებლად. ამ სისტემის არსებობისთვის აუცილებელია მეთოდოლოგია – სტანდარტები და ამ სისტემის დანერგვის ჰარმონიზაცია სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის. ფინანსთა სამინისტრო არის უფლებამოსილი ორგანო, რომელიც კოორდინაციას უწევს სახელმწიფო შიდა კონტროლის სისტემის ჩამოყალიბებას და განვითარებას.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა ფინანსურ მართვას და კონტროლს, ჰარმონიზაციის ცენტრს და შიდა აუდიტს მოიცავს[9].



ნახ. 8. სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა საქართველოში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური ფინანსური შესაბამისობისა და ეფექტიანობის აუდიტების საშუალებით ამოწმებს აუდიტის საქმიანობის შესაბამის მიმართულებას და მათ საფუძველზე უზრუნველყოფს აუდიტის ანგარიშების მომზადებას და გაცემას.

ანგარიში, **ფინანსური აუდიტის** შესახებ მოიცავს როგორც აუდიტის შემოწმებისა და შეფასების შედეგად მიღებულ ინფორმაციას, ასევე, სახელმწიფო და კერძო აუდიტის ფუნქციონირებას და მართვის შეფასებას აუდიტის ობიექტის შესახებ.

ფინანსური აუდიტის ანგარიშების შედეგად შესაძლებელია გაუმჯობესდეს საჯარო ფინანსების მართვა. შესაბამისად ორგანიზაციებში ფინანსური აუდიტის ანგარიშებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში, კანონთან და ორგანიზაციის მიზნებთან შესაბამისობის ინფორმაციას მოიცავს.

ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში პროდუქტიულობის, ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პროექტების ეკონომიურობის, ასევე საქმიანობის ეკონომიურობის და ეფექტიანობის შესახებ ინფორმაციას მოიცავს.

სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისტემა უზრუნველყოფს დამოუკიდებელი, ობიექტური, საჯარო, გამჭვირვალე და პროფესიული სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის და შიდა აუდიტის სისტემის ჩამოყალიბებას. შიდა კონტროლი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც უზრუნველყოფს ფინანსური მართვის და ფინანსური კონტროლის პრინციპების გამჭვირვალობას და დამოუკიდებლობას სახელმწიფო ფინანსური სტაბილურობის შესანარჩუნებლად და გასაძლიერებლად[10].

კონტროლი, ეკონომიკურ მართვაში ადამიანთა საქმიანობის შემადგენელი ნაწილია, რომლის ობიექტს წარმოადგენს საზოგადოებრივი პროცესის მონაწილე ადამიანების ქცევა.

ეკონომიკურ ფინანსური კონტროლი, როგორც საქმიანობის მართვის ფუნქცია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს სხვა ფუნქციების ეფექტურობაზე. მაგალითად კონტროლის ურთიერთქმედება რეგულირების ფუნქციასთან გამოიხატება მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებისა და წარმოებაში მიმდინარე ცვლილებებზე თავისდროული რეაგირების შესაძლებლობების მიცემაში.

ეკონომიკური ფინანსური კონტროლი, როგორც საქმიანობის მართვის დამოუკიდებელი ფუნქცია აქტიურ ზემოქმედებას ახდენს მართვის სხვა ფუნქციების ეფექტურობაზე. მაგალითად კონტროლის ურთიერთქმედება რეგულირების ფუნქციასთან გამოიხატება მიღებული მმართველობითი გადაწყვეტილების შესრულების შემოწმებისა და წარმოებაში მიმდინარე ცვლილებაზე რეაგირების შესაძლებლობის მიცემაში.

საჯარო აუდიტის მიზანს წარმოადგენს ობიექტურად შეფასოს საჯარო რესურსების მართვა დი იმის დადგენა, თუ რამდენად ეფექტიანად ხდება

სამეურნეო სუბიექტის მიერ დასახული მიზნის მიღწევა. აუდიტორი ეხმარება სამეურნეო სუბიექტს ანგარიშვალდებულებისა და ოპერაციული საქმიანობის გაუმჯობესებაში, აგრეთვე დაინტერესებულ მხარეებთან ნდობის განმტკიცებაში [11].


საჯარო აუდიტი უზრუნველყოფს:

- ხარვეზების გამოვლენას საჯარო რესურსების მართვაში;
- რეკომენდაციების გაცემას ხარვეზების პრევენციისათვის;
- განსაზღვრავს ტენდენციებს და ახალ გამოწვევებს.

აუდიტის ჩატარების დროს პირველ რიგში ხდება მისი დაგეგმვა, რომლის დროსაც აუდიტი სწავლობს გამოსაკვლევი ობიექტის საქმიანობას და მის შიდა კონტროლის სისტემებს. ასევე ადგენს აუდიტორული რისკების იდენტიფიცირებას. მეორე ეტაპზე ხდება სამუშაოების შესრულება ადგილზე. სამუშაოების შესრულების დროს ხდება იმ მტკიცებულებების მოპოვება, რომელიც დასკვნის გაცემის საფუძველი იქნება. მესამე ეტაპი წარმოადგენს ანგარიშგების ეტაპს. ანგარიშგების ეტაპზე ხდება დასკვნების გამოტანა და შეფასება; გამოვლენილ დარღვევებზე რეკომენდაციების მომზადება; საბოლოო ანგარიშის შედგენა და დასკვნის გაცემა. შესრულებული აუდიტის ბოლო ეტაპს წარმოადგენს გაცემული რეკომენდაციების მონიტორინგი, რომელიც გამოვლენილ დარღვევებზე გაიცა.

სახელმწიფო ფინანსური კონტროლის გარდა შეიძლება განხორციელდეს არასახელმწიფო ფინანსური კონტროლი, რომლის ფორმებს შორის სულ უფრო მნიშვნელოვან ადგილს იკავებს აუდიტორული შემოწმება³⁹.

³⁹<https://webcache.googleusercontent.com>



ნახ. 9. არასახელმწიფო ფინანსური კონტროლი საქართველოში

შიდა კონტროლის სისტემა არის ორგანიზაციის მართვის მნიშვნელოვანი ნაწილი. შიდა კონტროლის სისტემის არსებობისას ორგანიზაციაში ხდება ხელმძღვანელის მიერ ფუნქციების დანაწილება ცალკეულ სტრუქტურებსა და ქვესტრუქტურებს შორის. შიდა კონტროლის ამ სისტემაში მნიშვნელოვანია ფინანსური კონტროლის სისტემა.

არასახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებში კერძო აუდიტი ხელშეკრულების საფუძველზე ამოწმებს ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებას და ანხორციელებს საკონსულტაციო მომსახურებას.

საქართველოში აუდიტორულ საქმიანობას საფუძველი ჩაეყარა გასული საუკუნის 90-იან წლებში, რომლის სამართლებრივ ბაზას წარმოადგენს საქართველოს კანონი „აუდიტორული საქმიანობის შესახებ“.

სახელმწიფო აუდიტის კონტროლის ფუნქცია ჩვეულებრივი ფინანსური კონტროლისაგან განსხვავდება შედეგებით.

ფინანსური არასახელმწიფო შემოწმებისგან განსხვავებით მისი შემოწმება ხშირად სრულდება არა მხოლოდ რეკომენდაციების შემუშავებით, არამედ სამართლებრივი პასუხისმგებლობით.

2010 წელს შემუშავებულ იქნა ფინანსური აუდიტის და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია შვედეთის ეროვნული აუდიტორული ოფისის მხარდაჭერით, რომლის საფუძველზეც სახელმწიფო აუდიტის სამსახური წარმართავს აუდიტორულ საქმიანობას. აღნიშნული მეთოდოლოგია საჯარო აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებს ეფუძნება. აუდიტის და შესაბამისობის აუდიტის მეთოდოლოგია ითვალისწინებს აუდიტორული სამუშაოს შესრულებას იმ მიდგომებით, რომელიც რისკზეა დაფუძნებული. ობიექტზე აუდიტორული სამუშაოს ჩატარების დროს ხდება აუდიტორის მიერ გარკვეული ასპექტების ოპერაციების განხორციელება, როგორცაა შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის ანალიზი; კონტროლის გარემოს ანალიზი; ხდება იმ სფეროების განსაზღვრა, რომელსაც მომეტებული რისკი გააჩნიათ. აუდიტის სწორად დაგეგმვის შესრულების შემთხვევაში, როდესაც მომეტებულ რისკებზე მოხდება კონცენტრირება, შესაბამისად დაიზოგება დრო. აუდიტის რწმუნების დონე უნდა განისაზღვროს 98%-ით. ეს იმას ნიშნავს, რომ აუდიტორულმა შემოწმებამ უნდა გამოავლინოს ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული უზუსტობები 98%-ით. დარჩენილი 2% ნიშნავს იმის საშიშროების არსებობას, რომ აუდიტორმა ვერ გამოავლინოს ის დარღვევები, რომელსაც ფინანსური ანგარიშგება შეიცავს.

ფინანსური აუდიტის მიზანს წარმოადგენს ინფორმაციისა და დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიღება ფინანსური ანგარიშგებასთან დაკავშირებით; არის თუ არა რაიმე უზუსტობა ფინანსური ანგარიშგებაში და დასკვნის მომზადება, თუ როგორ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგება კანონით დადგენილი მოთხოვნებს და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტებს. შესაბამისობის აუდიტის მიზანს წარმოადგენს შეაფასოს თუ რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის ობიექტის ოპერაციები და საქმიანობა კანონმდებლობასთან, საგრანტო მოთხოვნებთან, სახელშეკრულებო პირობებთან, მარეგულირებელ ნორმებთან [14].

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხდება ოთხი ტიპის დასკვნის მომზადება:

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად, სწორად, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინების შემთხვევაში გაიცემა **უპირობო დასკვნა**; როდესაც ფინანსური ანგარიშგება ისეა წარმოდგენილი, რომ საჭიროებდეს უარყოფითი დასკვნის გაცემას, მაშინ აუდიტორის მიერ ხდება **პირობითი დასკვნის** გაცემა. არსებითი უზუსტობების შემთხვევაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგება არასრულყოფილად არის წარმოდგენილი მაშინ აუდიტორის მიერ ხდება **უარყოფითი დასკვნის** გაცემა. როდესაც შეუძლებელია საკმარისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვება, ამ შემთხვევაში აუდიტორი უარს ამბობს დასკვნის გაცემაზე.

ნაშრომში წარმოდგენილი მაქვს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2014 – 2016 წლების საქმიანობის ანგარიშები. ხოლო 2017 წლის საქმიანობის ანგარიშს, „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო აუდიტის სამსახური საქართველოს პარლამენტს წარუდგენს არა უგვიანეს 2018 წლის 1 ივნისისა [12].

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ხდება სახელმწიფო სამეურნეო სუბიექტების ფინანსურ ანგარიშგების შემოწმება, მათ მიერ განხორციელებულ საქმიანობის ეფექტიანობის შეფასება. სახელმწიფო აუდიტის სამსახური დებს დასკვნას ფინანსურ ანგარიშგებაზე (ფინანსური აქტივები და მოთხოვნები,

ვალდებულებები, არაფინანსური აქტივები, ძირითადი კაპიტალის მოხმარება) და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე, როგორცაა: განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები, შრომის ანაზღაურებაში არსებული ნაკლოვანებები, ტრანსპორტის ხარჯების ოპტიმიზაციის საკითხი; ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე. აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე მდგომარეობს შემდეგში: აჩვენოს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, არის თუ არა ფინანსური ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობები და შეადგინოს აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს მათ შეხედულებას. დასაბუთებული რწმუნება თუმცა მაღალი დონის რწმუნებად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ არ ნიშნავს გარანტიას, რომ აუდიტი, რომელიც ჩატარებულია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI 1000-1810) მიხედვით ყოველთვის შეძლებს გამოავლინოს ნებისმიერი არსებითი უზუსტობა, რომელიც არსებობს. არსებითი უზუსტობები ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას ახდენენ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებსაც იღებენ მომხმარებლები წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით.

აუდიტორი ადგენს და აფასებს რისკებს, რომლებიც გამოწვეულია ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობებით; ოპერაციების სპეციალურად გამოტოვებით, აუდიტორისათვის შეგნებულად და მიზანმიმართულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებით ან ორგანიზაციის შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებით. აუდიტორი მიერ ხდება შიდა კონტროლის მექანიზმების შესწავლა, რათა დაიგეგმოს კონკრეტული აუდიტორული პროცედურები, რომელიც გარემოებების შესაფერისი იქნება და არა იმისათვის, რომ მოსაზრება გამოითქვას ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

აუდიტორი აფასებს იმ მიზანშეწონილობას, საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას, ახსნა-განმარტებების მართებულობას, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ არის გამოყენებული. დასკვნა გამოაქვს ხელმძღვანელების მიერ ანგარიშგების საფუძვლად უწყვეტობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ადგენს

არსებობს თუ არა ფინანსურ ანგარიშგებაში რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომლებიც გარკვეულ მოვლენებს უკავშირდება. არსებობის შემთხვევაში, ვალდებული არიან ყურადღება გაამახვილონ ორგანიზაციის განმარტებით შენიშვნებზე, სადაც აღწერილი იქნება აღნიშნული განუსაზღვრელობები ან, თუ ამგვარი შენიშვნები ადეკვატური არ არის, გამოთქვან მოდიფიცირებული მოსაზრება.

ბოლოს აუდიტორი ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების შესახებ გასცემს რეკომენდაციებს შედეგების გასაუმჯობესებლად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 2018-2021 წლებში ჩაატარა 269 აუდიტი, მათ შორის: 63 – ფინანსური, 152 – შესაბამისობისა და 54 ეფექტიანობის აუდიტი.⁴⁰

ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი 81%-დან (2017 წელი) გაიზარდა 90%-მდე, ხოლო ეფექტიანობის აუდიტების წილმა მთლიან აუდიტორულ საქმიანობაში 11%-დან 33%-ს მიაღწია 2021 წელს; დაინერგა საერთაშორისოდ აღიარებული აუდიტის ხარისხის კონტროლის მიმოხილვის სისტემა და განახლდა აუდიტორთა ეთიკის სისტემა, რომელშიც სრულად აისახა ISSAI-ის სტანდარტების ყველა მოთხოვნა; შემუშავდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის IT განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია და ინფორმაციული უსაფრთხოების სამოქმედო გეგმა.

2021 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა 49 აუდიტი და ჯამურად დაფარა 16.5 მლრდ ლარზე მეტი. 2020 წელთან შედარებით 1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა ქვეყნის ნაერთი ბიუჯეტის თანხობრივი დაფარვის მაჩვენებელი და 90% შეადგინა, რის შედეგად სამსახურმა პირველად დააკმაყოფილა საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკით დადგენილი აუდიტის დაფარვის სტანდარტი. ჩატარდა 11 – ფინანსური, 22 – შესაბამისობისა და 16 – ეფექტიანობის აუდიტი.⁴¹

სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ტრენინგებიდან მიღებული შემოსავლების მოცულობა მუდმივად მზარდი ტენდენციით ხასიათდება და 2017 წელთან შედარებით 355%-ით გაიზარდა, 540 ათას ლარამდე;

⁴⁰ <https://parliament.ge>

⁴¹ <https://sao.ge/Uploads>

2021 წელს სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტმა ჩაატარა 40-მდე ტრენინგკურსი, რომელსაც დაესწრო 1,092 მსმენელი. საჯარო სექტორის აუდიტორული მომსახურების სასერტიფიკაციო პროგრამა გაიარა 52-მა პირმა; • სსიპ – საჯარო აუდიტის ინსტიტუტის ორგანიზებით, „მუნიციპალური განვითარების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში ჩატარებული სასწავლო კურსი გაიარა მუნიციპალიტეტების 70-ზე მეტმა წარმომადგენელმა.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის საშუალებით. შედეგად, 2018-2019 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე Deloitte-ის, ხოლო უკვე 2020-2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური კონტროლის განხორციელება მსოფლიოს ოთხი უმსხვილესი კერძო აუდიტორული კომპანიის საშუალებით. შედეგად, 2018-2019 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე Deloitte-ის, ხოლო უკვე 2020-2021 წლების ფინანსურ ანგარიშგებებზე – PwC-ის მიერ ჩატარებული ფინანსური აუდიტის ფარგლებში სამსახური იღებს უპირობო დასკვნას, რაც ნიშნავს იმას, რომ სამსახურის ფინანსური ანგარიშგება სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

სახელმწიფო აუდიტის სამსახური 2018 წლიდან ყოველწლიურად ატარებს მსოფლიო ბანკის პროექტის – „შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვა (SRAMP)“ დამოუკიდებელ ეფექტიანობის აუდიტს.¹³ სწორედ აუდიტის სამსახურის დასკვნის საფუძველზე მიიღება პროექტის შემდგომი ტრანშის გამოყოფის შესახებ გადაწყვეტილება. სამსახურის მიერ განხორციელებული სამი აუდიტის ფარგლებში დაიფარა პროექტის 2016– 2020 წლების საქმიანობა. ამჟამად სამსახური ატარებს 2021 წლის საქმიანობის შესახებ აუდიტს.

ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების მიმართულებით 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული 63 აუდიტიდან, 62-ში

გაცემულია პირობითი ან უარყოფითი მოსაზრება. მხოლოდ 1 აუდიტის შემთხვევაში გამოითქვა უპირობო მოსაზრება, ანუ აუდიტის ფარგლებში არ გამოვლენილა არსებითი ხასიათის უზუსტობები.

აღნიშნული ხარვეზების გამოსასწორებლად გაიცა რეკომენდაციები. 2018-2021 წლებში სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა 2,800-ზე მეტი რეკომენდაცია, საიდანაც 32% ეკუთვნის 2021 წლის აუდიტებს.³¹ ჩატარებული ანალიზის მიხედვით, სრულად შესრულებულია ამ რეკომენდაციების 43% და ნაწილობრივ შესრულებულია – 17%. გასათვალისწინებელია, რომ რეკომენდაციების თითქმის მესამედი (31%) ახალი გაცემულია და ორგანიზაციების მიერ მათი საბოლოო შესრულებისთვის დაგეგმილი თარიღი ჯერ არ დამდგარა. შესაბამისად, რეკომენდაციების 31% მიმდინარეა. მნიშვნელოვანია იმის ხაზგასმა, რომ აუდიტორული შემოწმების სარგებელი არ გამოიხატება მხოლოდ რეკომენდაციების გაცემაში, არამედ – მათ შესრულებაში.

აღსანიშნავია, რომ მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ძირითადად ეფექტიანობის აუდიტისას გაიცემა, ეფექტიანობის აუდიტების რაოდენობა კი ბოლო წლებში მზარდი ტენდენციით გამოირჩევა. შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება გაცემული მნიშვნელოვანი ტიპის რეკომენდაციების რაოდენობაც. ეფექტიანობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების 53% მიმდინარეა, ხოლო შესრულებულია მხოლოდ 24%. შედარებით მაღალია შესაბამისობის აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულება, რომელიც 44%-ს აღწევს. შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება ფინანსური აუდიტების ფარგლებში გაცემული რეკომენდაციები, რომელთა შესრულება 51%-ს შეადგენს.

მოცემული სტატისტიკიდან და შედეგებიდან გამომდინარე შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა იმის შესახებ, თუ როგორი მნიშვნელოვანია ფინანსური კონტროლი ქვეყნისთვის და საზოგადოებისთვის. მისი შედეგების შესრულება აუდიტის შედეგებისგან განსხვავებით სავალდებულოა.

აუდიტმა და ფინანსურმა კონტროლმა საქართველოს ეკონომიკაში მნიშვნელოვანი როლი დაიკავა, ბოლო პერიოდში აქტიურად დაიწყო ამ სფეროს

პოპულარიზაცია და საკანონმდებლო აქტების დახვეწა. აუდიტი განსხვავდება ფინანსური კონტროლისგან მეთოდოლოგიით და შედეგებით. აუდიტის შედეგები სარეკომენდაციო ხასიათს ატარებს. აუდიტს ახასიათებს დადასტურებითი ფუნქცია, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობის და შესაბამისობის საერთაშორისო სტანდარტებთან და ადგილობრივ კანონმდებლობასთან [22]. კონტროლს ახასიათებს დარღვევების გამოვლენის და აღმოფხვრის აუცილებლობა. კონტროლს ძირითადად ანხორციელებს სახელმწიფო სტრუქტურები, დანაშაულებრივი ქმედებების აღკვეთის მიზნით, ან ასეთი სახის ქმედებების დასასჯელად.

თავი 7. ფინანსური კონტროლის ერთიანი სისტემის სრულყოფის მექანიზმი

საქართველოში თანამედროვე ეტაპზე ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული განათლებისა და სერთიფიცირების რეგულირების მოთხოვნები ეფუძნება ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ – IFAC – The International Federation of Accountants) და უცხოელი პარტნიორების მიერ რეკომენდირებული ინგლისისა და უელსის ნაფიც სერთიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის – ACCA (Association of Chartered Certified Accountants) პროგრამას (როგორც ინგლისურს, ასევე ადაპტრებულ ქართულენოვანს). ACCA პროგრამის საერთაშორისო აღიარებისა და პრაქტიკაში მოპოვებული პოპულარობის მიუხედავად, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და ბუღალტრის პროფესიული განათლების სფეროში არსებული რეალობის სრულყოფა არის აუცილებელი.

საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სტანდარტების დროული თარგმნის უზრუნველსაყოფად, უწყვეტი პროფესიული განათლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუდიტზე ხარისხის კონტროლის დასაწესებლად და ფასს-თან შესაბამისობის ასამაღლებლად საჭიროა მჭიდრო თანამშრომლობის გაძლიერება მთავრობასა და ბუღალტრული აღრიცხვის (აუდიტის) პროფესიულ ასოციაციებს შორის. ასევე სტანდარტებთან შესაბამისობაზე მონიტორინგის

განსახორციელებლად და შეუსაბამობისათვის შესაბამისი სანქციების დასაწესებლად, აუცილებელია შესაბამისობის მარეგულირებელ ორგანოებში მექანიზმების გაძლიერება.

საქართველოში ბუღალტრის (აუდიტორის) პროფესიული სწავლების სერტიფიცირების და კვალიფიკაციის აღიარების სფეროების საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოსაყვანად მნიშვნელოვანია ბუღალტრის პროფესიული განათლების მარეგულირებელი მექანიზმების სრულყოფა, კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, ასევე აკრედიტებული პროფესიული ორგანიზაციებისა და აკადემიური სექტორის საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფა.

დაწესებულებაში შიდა აუდიტის ფაქტობრივად არ არსებობის შემთხვევაში მაღალი რისკის ქვეშ დგება საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის მიზნობრიობა და მისი კანონიერება. შიდა აუდიტორულ ანგარიშებსა და დასკვნებში შემოწმების შედეგად რაიმე პროცესის თუ პრაქტიკის გაუმჯობესების შესახებ რეკომენდაციის არ არსებობა მიუთითებს სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის სისუსტეზე. შიდა აუდიტის სუბიექტს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით თუ რა სააღრიცხვო პოლიტიკას იყენებს დაწესებულება [23].

ჩვენს მიერ წარმოდგენილი 2015-2017 წლების კვლევის ანგარიში შიდა ფინანსური კონტროლის სისტემის მდგომარეობის და გამოწვევების და მისი განვითარების ხელისშემშლელი ფაქტორების ანალიზს წარმოადგენს. კვლევის საწყის ეტაპზე შედგა შერჩევის დეტალური სქემა, რომელიც მოიცავდა შიდა ფინანსური კონტროლის დასახასიათებლად შერჩეულ ორგანიზაციას, კერძოდ სსიპ “საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს“ და შპს „შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს“. განვიხილეთ, ერთის მხრივ ის პრობლემები, რომლებიც საერთო იყო ორივე უნივერსიტეტისათვის და ასევე სპეციფიკური იყო კონკრეტული მათგანისათვის, მეორეს მხრივ გამოკვეთილია საუკეთესო პრაქტიკა.

კვლევამ შემდეგი ძირითადი პრობლემები გამოავლინა:

- ზემდგომი ორგანოების მხრიდან მათთვის გადაგზავნილ საქმის მასალებზე რეაგირების განუსაზღვრელი დროით დაყოვნება;
- მხარჯავი დაწესებულებების მიერ ბიუჯეტის ზოგადი ფორმულირებით დაგეგმვა პირდაპირ განაპირობებს შიდა აუდიტის არა ეფექტურობას: როცა დაწესებულებამ არ იცის რა ღონისძიებებით და საშუალებებით აპირებს მიზნების მიღწევას, ან როგორ გაზომავს შუალედურ და საბოლოო შედეგებს;
- ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების გამოკვეთა და შეფასება, კონტროლის ღონისძიებების განსაზღვრა, შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციებში შედის. ორგანიზაციებში, რომელთაც შიდა აუდიტის სტრუქტურული ერთეული არ გააჩნიათ, ეს პრობლემა თავისთავად არსებობს. თუმცა საუკეთესო მხარჯავი დაწესებულებების შიდა აუდიტის სტრუქტურულ ერთეულებსაც ამ კუთხით არანაკლები პრობლემები აქვთ;
- არ არსებობს რისკების სია, ორგანიზაციის სტრუქტურულ ერთეულებს შორის კოორდინაცია, მათი ჩართულობა რისკის ღონის განსაზღვრის პროცესში;
- დაწესებულების სტრუქტურულ ქვედანაყოფებს არა აქვთ პასუხისმგებლობა გაატარონ შესაბამისი კონტროლის ღონისძიებები გამოვლენილ უარყოფით ფაქტორებზე;
- კადრების მონაცვლეობა, შემადგენლობის პერიოდული განახლება; მოვალეობების გადაფარვის შემთხვევები, ადამიანური რესურსების მართვის სფეროში დასაქმებულთა როტაცია, ეს სტრუქტურული ერთეულები რისკების დაახლოებით 50%-ს ვერ ხედავენ. უარყოფითი იმ გარემოებაში, რომ „ძველი“ კადრები საქმეებიან ან აგრძელებენ მუშაობას ცუდი არაფერია. ნებისმიერი პირის მრავალწლიანი გამოცდილება შეუფასებელია ამა თუ იმ სამუშაოს ეფექტურად შესრულებისათვის. სრული პასუხისმგებლობა მათ მართლზომიერ პროფესიულ საქმიანობაზე ერთერთ მნიშვნელოვან რისკს წარმოადგენს. თუმცა შემადგენლობის როტაცია რისკია, მაგრამ აუცილებელი, რომელიც საბოლოო შედეგით ფასდება;

- დაწესებულებების დებიტორ-კრედიტორების მიერ საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობა ან სათანადოდ შეუსრულებლობა, დაწესებულებების უმეტესობის პრობლემაა;

- როგორც სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის, ისე საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მარეგულირებელი კანონმდებლობის ხარვეზი.- მაგალითად, გრანტის სახსრებით შემენილი ქონება საკუთრებაში რჩებათ გრანტის მიმღებ პირებს, წამყვან/თანამონაწილე ორგანიზაციას ან/და ფიზიკურ პირს/პირთა ჯგუფს, მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით. უნივერსიტეტის პრაქტიკა ამ საკითხებთან დაკავშირებით გვიჩვენებს იმას, რომ პროექტის თანხებით შემენილი ქონება უნივერსიტეტის მიერ პროექტის დასრულებამდე აიღება შემოსავალში და აისახება ბალანსზე. რაც თავის მხრივ შეუძლებელს ხდის სწორ აღრიცხვას⁴².

რაც შეეხება საუკეთესო პრაქტიკას, შეიძლება მივაკუთვნოთ:

- მონიტორინგის განახორციელება შესრულებულ სამუშაოზე, დაკისრებულ მოვალეობაზე. სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი პრინციპულობის და ზრუნვის კარგი მაგალითია;

- ბალანსიდან ხანდაზმული უიმედო დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ჩამოწერა, მათ ამოსაღებად და დასაფარად სრულყოფილი ღონისძიებების გატარება;

- ზედმეტად ანაზღაურებული თანხების კონტროლი და უკან დაბრუნება;

- დროულად და შეუფერხებლად ხელფასების გაცემა და სხვა ფულადი სახსრების გადარიცხვა ანგარიშებიდან;

- საწყობის პერმანენტული შემოწმება. ექსპლუატაციისათვის უვარგისი სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა. ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების და მცირეფასიანი ინვენტარის აღწერა. ინვენტარიზაციის მდგომარეობის სრული შეფასება.

⁴² საქართველოს კანონი გრანტების შესახებ, №331. 1996 წლის 28 ივნისი

შიდა გარემო	
ძლიერი მხარეები – Strengths	სუსტი მხარეები – Weaknesses
ინტერნეტით უზრუნველყოფა	სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდა
მატერიალურ-ტექნიკური ბაზა	ადამიანური რესურსების გადამზადება მათი განვითარებისათვის
მდიდარი საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი	თანამშრომელთა სამუშაო და აღრიცხვის სისტემის მოწესრიგება
გარე ფაქტორები	
შესაძლებლობები – Opportunities	საფრთხეები, რისკები – Threats
კვალიფიციური პერსონალის მომზადება შესაბამის შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანობის მიზნით	სტუდენტების სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებით ზომების გამკაცრება, რაც გამოიწვევს სტუდენტთა რაოდენობის შემცირებას
უახლესი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების მზარდი შესაძლებლობა	ქვეყანაში ცუდი ეკონომიკური მდგომარეობა
უცხოური გამოცდილების გაცნობა და სტაჟირება ევროპის წამყვან უნივერსიტეტებში	გაუთვალისწინებელი გარე ფაქტორები

ცხრილი 6. SWOT-ანალიზი ორგანიზაციების მდგომარეობის შესაფასებლად

ცხრილი 6-ზე ნაჩვენებია SWOT-ანალიზი ორგანიზაციების მდგომარეობის შესაფასებლად. SWOT(strengths, weakness, opportunities, threates) – ანალიზის მეთოდი ყველაზე მეტად გავრცელებული მეთოდია ორგანიზაციების მდგომარეობის შესაფასებლად, რომლის მეშვეობითაც ჩვენი შესაძლებლობების და საქმიანი გარემოს შესწავლა არის შესაძლებელი.

SWOT-ანალიზის გაკეთების დროს განვიხილეთ წარმოდგენილი ორგანიზაციების ძლიერი და სუსტი მხარეები, ასევე ის შესაძლებლობები და

რისკები, რომლებიც ორგანიზაციის წინაშე დგას. ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვანია ძლიერი მხარეების შენარჩუნება, სუსტი მხარეების გამოსწორება, რისკების თავიდან აცილება, შესაძლებლობების ეფექტურად გამოყენება.

როდესაც სამუშაო კარგად არის სტრუქტურირებული, ამოცანები ნათლადაა დასმული, სტანდარტიზებული, ჩამოყალიბებული, ასეთ შემთხვევაში ამგვარი სტრუქტურირებული ინფორმაცია საფუძველია მონაცემთა თანამედროვე ბაზის ფორმირებისათვის, რაც შესაძლებელს ხდის ინფორმაცია უფრო აბსტრაქტულად იყოს სტრუქტურირებული მნიშვნელობის შესაბამისად.

ფინანსური გამჭვირვალობისა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობის მიზნით სუბიექტთა ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი შესაბამისი ევროკავშირის დირექტივების მოთხოვნებთან მიახლოებით 2016 წელს შემოღებულმა კანონმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“, მნიშვნელოვნად შეცვალა საქართველოში აუდიტის სტანდარტები და დაგვანახა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი ხდება ეს სფერო სახელმწიფოსათვის.

ორგანიზაციების საქმიანობის სწორად დაგეგმვა და ხარჯვის ეფექტიანობაზე კონტროლის განხორციელება შესაძლებელია მათ ფინანსურ მდგომარეობაზე და შედეგებზე სრულყოფილი ინფორმაციის არსებობით, რაც შესაძლებელია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებით.

ნაშრომში **განხილულია და ჩამოყალიბებულია** ის პრობლემები და ნაკლოვანებები, რომელიც ახასიათებს საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვასა და კონტროლის მექანიზმს. განხორციელებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია დასკვნები და შემოთავაზებულია შესაბამისი რეკომენდაციები.

- საჭიროა დაზუსტდეს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში გამოყენებულ ტერმინებს შორის არსებული განსხვავებები და უფრო ნათლად და კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მათი განმარტება. შესაბამისად გამოთქმულია მოსაზრება მარეგულირებელი ნორმების დახვეწასთან დაკავშირებით. საქართველოს კანონმდებლობით მკაცრად უნდა განისაზღვროს შიდა აუდიტთან და კონტროლთან დაკავშირებული ტერმინოლოგია და მათი მნიშვნელობები.

- მოცემულია კონტროლის საკანონმდებლო ბაზის შეფასება, კონტროლის ინსტრუმენტების და ძირითადი ასპექტების დახასიათება და დასაბუთებულია შიდა კონტროლის სისტემის აუცილებლობა, რაც უზრუნველყოფს დაწესებულების მიზნების მიღწევისას სახსრების კანონიერ, გამჭვირვალე, ეკონომიურ, ეფექტიან და პროდუქტიულ გამოყენებას; ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის შესაძლებლობების გაძლიერებისათვის ნაჩვენებია, რომ აუცილებელია საქართველოს ნორმატიული აქტების დახვეწა და მისი სრული შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან – INTOSAI (The International Organization of Supreme Audit Institutions)-თან და IIA (The Institute of Internal Auditors)-თან. ასევე აუცილებელია INTOSAI-ის სტანდარტების შესაბამისად ბუღალტრული აღრიცხვისა და კონტროლის სისტემის შესაძლებლობების პრაქტიკაში დანერგვა, საზოგადოების ნდობის ხარისხის ამაღლება, მჭიდრო თანამშრომლობის დამყარება საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

- შემოთავაზებულია შიდა აუდიტის და კონტროლის ფუნქციების მკვეთრად გამიჯვნის აუცილებლობა. კრიტიკულად არის შეფასებული კონტროლის და საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის ერთიანი სისტემა. უნდა განისაზღვროს კონტროლის სისტემის მდგომარეობის შედეგების შეფასების, ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის მონიტორინგის მნიშვნელობა და საჭიროება.

- დასაბუთებულია დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად აღრიცხვისათვის რისკების მართვის აუცილებლობა და ჩამოყალიბებულია მათი გადაჭრის გზები; ჩვენი რეკომენდაცია არის რისკების მინიმიზაციისათვის ორგანიზაცია დეტალურად ახორციელებდეს რისკის წინასწარ გამოვლენას, შეფასებას, მონიტორინგს, მომხდარი რისკების გამომწვევი ფაქტორების ანალიზს და შესაბამისი რისკის კონტროლის ღონისძიებებს, რომელიც კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი შიდა აუდიტის სამსახურის ფუნქციებში;

- ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების დადების დროს ხდება რეკომენდაციების გაცემა. გაცემული რეკომენდაციების შესრულების

მონიტორინგი წარმოადგენს აუდიტის ბოლო ეტაპს, რომლის დროსაც სახელმწიფო აუდიტის სამსახური განიხილავს წინასწარ დადგენილი ვადების მიხედვით აუდიტის ობიექტის მიერ რეკომენდაციების შესრულების მიმდინარეობას. დაყენებულია საკითხი იმის შესახებ, რომ აუდიტორული საქმიანობის შედეგად გაცემული რეკომენდაციები და მისი შესრულების მონიტორინგი კი არ არის მხოლოდ მნიშვნელოვანი, არამედ მნიშვნელოვანია რამდენად დროულად და სწორად განხორციელდება მათი შესრულება. გამოთქმულია მოსაზრება გაცემული რეკომენდაციების შესახებ სავალდებულო წესით შესრულებასთან დაკავშირებით.

მიგვაჩნია, რომ ანგარიშში წარმოდგენილი კვლევის მიგნებებზე და რეკომენდაციებზე შესაბამისი სამსახურების რეაგირება მნიშვნელოვანია, რაც ხელს შეუწყობს ფინანსური კონტროლის სისტემის განვითარებას და მისი ხელისშემშლელი მიზეზების აღმოფხვრას.

წარმატებული ბიზნესი შეუძლებელია ფინანსების კონტროლისა და მართვის უნარის გარეშე. მიუხედავად იმისა რომ ჩამოყალიბდა აუდიტის სამსახური, რომელმაც ჩაანაცვლა კონტროლის პალატა, არ არის ჩამოყალიბებული ერთიანი სისტემა კონტროლის და საბიუჯეტო სახსრების მონიტორინგის. კონტროლს, რომელსაც ძირითადად ანხორციელებს სახელმწიფო სტრუქტურები, ახასიათებს დარღვევების გამოვლენის და აღმოფხვრის აუცილებლობა. ხოლო ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიშის შედეგების დადების დროს ხდება რეკომენდაციების და გარკვეული გარემოებების შემთხვევაში უარყოფითი მოსაზრებების გაცემა.

კონტროლის შესრულების რა ტექნოლოგია შეიძლება გამოვიყენოთ მართვის სხვადასხვა სფეროში? როგორ შეიძლება დავიცვათ ორგანიზაცია პრობლემებისაგან? რა სირთულეები არის მოსალოდნელი მუშაობის პროცესში? როგორ შეიძლება დავიცვათ კომპანიის ფინანსური ანგარიშგება? ეს ის საკითხებია, რაც განვიხილეთ ნაშრომის ამ ნაწილში. ვთვლით, რომ საჭიროა ამ სფეროში პრიორიტეტული პროექტების შექმნა და შექმნილ გარემოში ინოვაციური გადაწყვეტილებების მხარდაჭერა.

ნანილი მეორე. ტრანსნაციონალური კომპანიების როლი მსოფლიო ეკონომიკაში

თავი 1. მენეჯმენტის ეკონომიკური მექანიზმები ტრანსნაციონალურ კორპორაციებში და მისი ფორმირების ისტორიული ეტაპები

თანამედროვე გლობალურ მსოფლიოში ტრანსნაციონალური კორპორაციების (ტნკ) საქმიანობა კიდევ უფრო აქტიური ხდება. ტნკ-ის ფენომენის შესწავლა პოლიტიკური და ეკონომიკური მეცნიერებების ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. თითქმის არ არსებობს მნიშვნელოვანი პროცესი, რომელიც შეიძლება მოხდეს ტნკ-ის მონაწილეობის გარეშე. ისინი გამოდიან ძირითად ინსტიტუტებად, რომლებიც აყალიბებენ თანამედროვე და მომავალი მსოფლიოს სახეს, ღებულობენ პირდაპირ და საფუძვლიან მონაწილეობას ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მნიშვნელობა და წარმოების გლობალიზაცია საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია. მსოფლიო ეკონომიკაში ტნკ გახდა ცენტრალური ფაქტორი. იგი არის ეკონომიკური ზრდის მამოძრავებელი ძალა. განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალური კეთილდღეობაზე მათი გავლენა უაღრესად მნიშვნელოვანია⁴³.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესებში ტრანსნაციონალური გაერთიანებების როლი და ადგილი მნიშვნელოვნად იზრდება. გლობალიზაციის პროცესს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობა კიდევ უფრო აღრმავებს. გლობალიზაციამ მოიცვა კაცობრიობის ცხოვრების ყველა სფერო: ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, კულტურული, მათ შორის მსოფლიოს სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფია. გლობალიზაციის პროცესს აქვს ობიექტური, კანონზომიერი ხასიათი და არის მსოფლიო ეკონომიკის ევოლუციის შეუქცევადი შედეგი.

მსოფლიო ბაზრის ფორმირებების, კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემების და მასში ტრანსნაციონალური გაერთიანებების დომინირების შედეგად გაჩნდა

⁴³ Transnational Corporation and International Trade and Paymentt, volum 8, Edited by H. Peter Gray. General Editer John H. Dunning, London, 1993. P.7.

ნაციონალური სახელმწიფოების, როგორც ეკონომიკური პროცესების მონაწილის “გაქრობის” თეორია. ამ კონცეფციის თანახმად გიგანტური კორპორაციების ზრდის პირობებში “ნაციონალური სახელმწიფოები, როგორც ეკონომიკური ერთეული მიდის დასასრულისკენ”. “მსოფლიოს ეკონომიკური მომავალი იმყოფება მსხვილი კორპორაციების ხელში, რომლებიც ახდენენ მსოფლიოს ინტეგრაციას”. ამ პროცესების კულმინაცია უნდა გახდეს “მსოფლიოს ეკონომიკური ორგანიზაციის შექმნა მსხვილი კორპორაციების ეგიდით”.

ტნკ-ებმა შიგა და გარე კომპანიების მომარაგება-მიწოდების სისტემით შექმნეს საერთაშორისო ქსელი⁴⁴. საერთაშორისო ტნკ უხამებს სავაჭრო ოპერაციებს და კაპიტალის მოძრაობას, კარგად იყენებს შრომის საერთაშორისო დანაწილების სარგებელს გლობალური მასშტაბით, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში განლაგებს წარმოების ცალკეულ კომპლექტურ კვანძებს და დეტალებს და ბოლოს ერთ-ერთ მათგანში პროდუქციის საბოლოო სახეს უშვებს. ტნკ ეს არის ახალი “გლობალური სუბიექტი”, რომელიც თავისი ფინანსურ-ეკონომიკური და ტექნოლოგიური პოტენციალის სიდიდით უსწრებს ბევრ პატარა სახელმწიფოს⁴⁵.

კომუნიკაციის და ტრანსპორტის სფეროში ტექნოლოგიური მიღწევების “გლობალური ეფექტი” ხელს უწყობს ტრანსნაციონალური გაერთიანებების საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

ტნკ-ები მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ექსპორტის ერთობლივი წარმოების თუ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალებით.

ტნკ-ამ მსოფლიო ეკონომიკა გარდაქმნა საერთაშორისო წარმოებად, რომელიც უზრუნველყოფს წარმოების განვითარებას მისი ყველა მიმართულებით: ტექნიკური დონე და პროდუქციის ხარისხი, წარმოების ეფექტიანობა, მენეჯმენტის ფორმის სრულყოფა, წარმოების მართვა. ისინი მოქმედებენ თავისი შვილობილი წარმოებების და ფილიალების მეშვეობით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ერთიანი სამეცნიერო-საწარმოო და ფინანსური სტრატეგიით,

⁴⁴ A.Giround. Transnational Corporation. Technology and Economic Development, Published by Edward Elgar Publishing Limited Glensanda House. Massachusetts, 2003. P.2.

⁴⁵ Моесеев П.М., Модели глобализации // География в школе. 2002. №5. С. 3-7.

აყალიბებენ მათში “ტვინის ტრესტებს”, რომლებიც ფლობენ დიდ სამეცნიერო-საწარმოო და საბაზრო პოტენციალს, რომლითაც უზრუნველყოფენ განვითარების მაღალ დინამიკას.

მე-20 და 21-ე საუკუნეების მიჯნაზე შეიმჩნევა საგარეო ეკონომიკური საქმიანობის უპრეცედენტო გააქტიურება (საერთაშორისო ეკონომიკური ოპერაციები), რომელშიც ტნკ არის მოვაჭრე (კომერსანტი), ინვესტორი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამავრცელებელი და შრომის საერთაშორისო მიგრაციის სტიმულის მიმცემი.

ტნკ-ების ისტორიულმა განვითარებამ რამდენიმე ეტაპი განვლო⁴⁶. თანამედროვე ტნკ-ები განვითარდნენ და გაძლიერდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. თუმცა, მათი შორეული წინამორბედები დიდი ხანია არსებობდნენ. თანამედროვე ტიპის ნაციონალური სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე საზღვარგარეთ პირდაპირი ბიზნეს ოპერაციები მრავალი საუკუნეა არსებობს. მაგ., მე-15 საუკუნის ფლორენციაში “medici bank”– ი თავისი ბიზნეს საქმიანობით შეიძლება ჩაითვალოს მსგავსი ტიპის კომპანიად.

მე-17-მე-18-ე საუკუნეებში ჩამოყალიბდა რამდენიმე კომპანია, რომლებიც ვაჭრობდნენ ევროპასა და აზიას შორის. მაგ., “east indi Company”, “roial afrikan Company” და სხვები მიჩნეულია თანამედროვე ტნკ-ების წინაპრებად. ეს კომპანიები დაქირავებული იყვნენ მთავრობის მიერ და გარკვეული მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ. ფაქტობრივად მთავრობები მოქმედებდნენ ამ კომპანიების მეშვეობით, რადგან იმ დროს ევროპის სახელმწიფოებს არ გააჩნდათ სხვა უფრო მოსახერხებელი საშუალება იმისათვის, რომ თავიანთი პოლიტიკა გაეტარებინათ კოლონიურ ტერიტორიებზე.

ტნკ-ების წარმოქმნის მომენტიდან (მე-19 ს-ის დასაბრუნო) დღემდე მათ არსებითი ტრანსფორმაცია განიცადეს და ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს.

პირველი თაობის ტნკ-ების საქმიანობა მნიშვნელოვანწილად დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიური ქვეყნების ნედლეულის გადამამუშავებასთან, რაც იძლევა საფუძველს განისაზღვროს ისინი, როგორც

⁴⁶ Шагурин С.В., Шимко П.Д. Экономика транснационального предприятия, Санкт-Петербург, 2008. С.16

“სანედლეულო-ეროვნული ტნკ-ები”. თავისი ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმებით და ფუნქციონირების მექანიზმებით ეს იყო კარტელები, სინდიკატები და პირველი ტრესტები. შემდეგ მსოფლიო არენაზე გამოჩნდნენ ტრესტული ტიპის ტნკ-ები, რომლებიც დაკავშირებული იყო სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან⁴⁷.

მეორე თაობის მსგავსი ტიპის ზოგიერთმა ტნკ-ებმა ვინაიდან აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის სამხედრო ტექნიკას, საკუთარი პოზიცია მსოფლიო ეკონომიკაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც კი შეინარჩუნა.

მე-20 საუკუნის 60-იან წლებში ბევრად უფრო მნიშვნელოვანი როლის თამაშს იწყებს მესამე თაობის ტნკ-ები. ისინი ფართოდ გამოიყენებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს. ესენი იყვნენ ტექნო-მომხმარებელი კომპანიები, რომლებიც მოგვევლინენ კონცერნებისა და კონგლომერატების ორგანიზაციულ-ეკონომიკური ფორმებით.

მე-20 საუკუნის 60-80-იან წლებში ტნკ-ებმა თავიანთ საქმიანობაში ერთმანეთს შეზღუდულად დაუკავშირეს ეროვნული და უცხოური წარმოების ელემენტები: საქონლის რეალიზაცია, პერსონალის შრომის ორგანიზაცია და მართვა, მარკეტინგის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა და გაყიდვების შემდგომი მომსახურება. კვლავწარმოების პროცესის ძირითადი ელემენტებიც გადავიდა შესაბამისი ქვეყნების საერთო სტანდარტებსა და პრინციპებზე.

მესამე თაობის ტნკ-ები მოხერხებულად ავრცელებდნენ სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის მიღწევებს მსოფლიო მეურნეობის პერიფერიულ ზონებში და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია ქმნიდნენ ეკონომიკურ წინამძღვრებს საერთაშორისო წარმოების გაჩენისათვის ერთიან საბაზრო და საინფორმაციო სივრცესთან, კაპიტალის და შრომითი ძალების საერთაშორისო ბაზართან, სამეცნიერო-ტექნიკურ მომსახურებასთან ერთად. მათი მიზანი იყო გასაღების ბაზრის, ნედლეულის წყაროებისა და კაპიტალის გამოყენების სფეროს მოპოვება.

⁴⁷ Grazia Letto-Gillies, *Transnational Corporation and International Production*, Published by Edward Elgar Publishing Limited Glensanda House. Massachusetts, 2005. P.6.

მე-20 საუკუნის 80-იან წლების დასაწყისში თანდათანობით გამოჩნდნენ და ფეხი მოიკიდეს მეოთხე თაობის გლობალურმა ტნკ-ებმა. მათი განმასხვავებელი ნიშნები იყო:

- ბაზრის პლანეტარული ხედვა და კონკურენციის განხორციელება მსოფლიოს მასშტაბით;
- შრომის ბაზრის დაყოფა რამდენიმე მსგავს ტნკ-ებთან ერთად;
- ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძველზე საკუთარი ფილიალების საქმიანობის კოორდინაცია;
- თითოეული საწარმოო კვანძის მოქნილი ორგანიზაცია, კორპორაციის სტრუქტურის ადაპტირება, საბუღალტრო ანგარიშების და აუდიტის ერთიანი ორგანიზაცია;
- საკუთარი ფილიალების, ქარხნების და ერთობლივი საწარმოების გაერთიანება მართვის ერთიან საერთაშორისო ქსელში, რომელიც თავის მხრივ ინტეგრირებულია ტნკ-ების სხვა ქსელებთან;
- ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის მცდელობა იმ სახელმწიფოებზე სადაც მოქმედებენ.

ამჟამად ძირითადად შეიქმნა ისეთი ქსელი, სადაც ტნკ-ები აკონტროლებენ მსოფლიოს სამრეწველო წარმოების ნახევარზე მეტს, საგარეო ვაჭრობის 63%-ს. ასევე, დაახლოებით ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების და “ნოუ ჰაუების” 415 პატენტს და ლიცენზიას. ტნკ-ების კონტროლის ქვეშ არის ფეტვის, სიმინდის, ყავის, ხე-ტყის, თამბაქოს, რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%, სპილენძის და ბოქსიტის 85%, ჩაის და კალის 80%, ბანანის, ნატურალური კაუჩუკის და ნავთობის ნედლეულის 75%⁴⁸.

ამერიკის შეერთებული შტატების ექსპორტის ნახევარს ანხორციელებენ ამერიკული და უცხოური ტნკ-ები. დიდ ბრიტანეთში მათი წილი აღწევს 80%, სინგაპურში 90%. გაყიდვების დიდი ნაწილი, რომელიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერთან, რომელიც ხორციელდება ტნკ-ების შიგნით

⁴⁸ მანველიძე ი. ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. გვ.24

ამერიკის შეერთებულ შტატებში მათი წილი შეადგენს 80%, ხოლო დიდ ბრიტანეთში 90%,

რაც შეეხება ტერმინს “გლობალური კორპორაციები”, დღეს იგი ხშირად გამოიყენება ეკონომიკურ ლიტერატურაში, რაც ნიშნავს იმას, რომ ისინი მთელი მსოფლიოს მასშტაბით და ყველგან მოქმედებენ. ასეთებად შეიძლება ჩაითვალოს “ექსონი” (აქვს საკუთარი ფილიალები მსოფლიოს 110 ქვეყანაში),” კოკა-კოლა” (მას 190 ქვეყანაში აქვს ფილიალი).

ამრიგად, მათი სტრატეგია ხასიათდება ინოვაციური აგრესიულობითა და დინამიზმით, რომელიც გამოდის ცალმხრივი დარგობრივი სტრუქტურიდან და თანდათანობით სრულყოფილს ხდის შიდა კორპორაციულ სტრუქტურას. ასევე, მიზანმიმართულად ახდენს არა ბაზრის ცალკეული სეგმენტების მოპოვებას, არამედ მთავარი მსოფლიო მეურნეობის პოზიციის მოპოვებას წარმოებაში და პროდუქციის რეალიზაციაში.

პირველი თაობის ტნკ-ების ძირითად მიზანს წარმოადგენდა მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში მსოფლიოში რესურსების იაფი წყაროების ხელში ჩაგდება, აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში ამიერკავკასიის რეგიონი მოხვდა მათი ინტერესების სფეროში, ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობა და აქ არსებული სანედლეულო რესურსი (მაგ.საქართველოში ჭიათურის მანგანუმი, აზერბაიჯანში ნავთობი და ა.შ. ასევე გასათვალისწინებელია ის გარემოებაც რომ აქედან ნედლეული უფრო იაფად და უსაფრთხოდ გაჰქონდათ) იმთავითვე განაპირობებდა ევროპული კომპანიების ინტერესს რეგიონისადმი. მაშინ საქართველოს ეკონომიკაში დამკვიდრების თვალსაზრისით ერთერთი წამყვანი ადგილი ეკუთვნოდა გერმანული, ფრანგული, ინგლისური კომპანიების კაპიტალს. პირველ მსოფლიო ომამდე ჭიათურა იძლეოდა მანგანუმის მსოფლიო ექსპორტის 30-50%-ს. გერმანიის მზარდი მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობა დიდად იყო დამოკიდებული ჭიათურის მანგანუმზე.

საქართველოში თუ უცხოელებს მანგანუმი იზიდავდა, აზერბაიჯანში ნავთობი იყო. 1874 წელს ბაქოში, პირველად მსოფლიოში შეიქმნა ვერტიკალურად ინტეგრირებული ნავთობის კომპანია “ბაქოს ნავთობის საზოგადოება”.

1876 წელს ძმებმა ნობელებმა ბაქოში დაარსეს ნავთობის კომპანია, რომელიც ნავთობის მოპოვებითა და გადამამუშავებით იყო დაკავებული. 1883 წლიდან როტშილდები აქტიურად ჩაებნენ საფინანსო-საკრედიტო ოპერაციებში ბაქოში. მათი საქმიანობა ძირითადად მოიცავდა ნავთობის რეალიზაციას.

1883 წელს ექსპლოატაციაში შევიდა ბაქო-ბათუმის სარკინიგზო, ხოლო 1907 წელს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენი, რამაც ამიერკავკასიის რეგიონი კიდევ უფრო დააკავშირა მსოფლიო ბაზარს.

1886 წელს შეიქმნა კასპი-შავი ზღვის ნავთობის როტშილდების კომპანია. 1890 წელს ბაქოს ნავთობის ექსპორტის 42% ბანკ როტშილდის კონტროლით ხორციელდებოდა.

1901 წელს ბაქოში მოპოვებული იქნა 11 მლნ ტონა ნავთობი, რაც მსოფლიო მოპოვების 50% შეადგენდა. აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე ფუნქციონირებდა 109 სააქციო საზოგადოება, რომელთაგან 72 ეკუთვნოდა რუსულ კაპიტალს (240 მლნ რუბლი), ხოლო 37 ინგლისურ კაპიტალს (100 მლნ ფუნტი სტერლინგი). ნობელის კაპიტალ დაბანდება 30 მლნ რუბლს შეადგენდა.

გარდა აღნიშნული კომპანიებისა, საქართველოში ასევე წარმატებით საქმიანობდნენ ფრანგული კომპანიებიც. “ახტალის საბადოების ფრანგული კომპანია”, “კავკასიის სამრეწველო და მეტალურგიული ანონიმური საზოგადოება”, “ტერნიუარი”, “დარკვეთის საბადოთა საზოგადოება” და “სამთო-სამრეწველო და კომერციული საზოგადოება”.

ასევე აღსანიშნავია ევროპული კომპანიის “სიმენსი და ჰალსკეს” საქმიანობა ამიერკავკასიაში. მე-19 ს-ის 50-იან წლებში კომპანიამ ამიერკავკასიაში დაიწყო სატელეგრაფო ხაზების გაყვანა. გარდა ამისა, იგი საქმიანობდა ნავთობისა და სპილენძის წარმოებაში, ძვირფასი ლითონებისა და კობალტის მოპოვებაში და ა.შ. აღნიშნულმა კომპანიამ დიდი წვლილი შეიტანა ამიერკავკასიის ელექტროსადგურის მშენებლობასა და ელექტრო-ტექნიკური საქონლის შემოტანა – რეალიზაციის საქმეში.

ამრიგად, პირველი ევროპული კომპანიები ამიერკავკასიის რეგიონში ნედლეულის მოპოვებასა და რეალიზაციას ემსახურებოდნენ.

თავი 2. ტრანსნაციონალური კომპანიების ევოლუცია

პირველი ტრანსნაციონალური კომპანიების წარმოშობა შეიძლება მიეკუთვნოს XVII საუკუნეს-კომპანია „East India Company“-ის წარმოქმნის დროს, მაგრამ მკვლევართა უმრავლესობა თვლის ამ პერიოდს XIX საუკუნის ბოლოდან. ტნკ-ის პირველი თაობის საქმიანობა მნიშვნელოვნად დაკავშირებული იყო ყოფილი კოლონიების ნედლეულის რესურსების დამუშავებასთან, რაც გვამძლევს იმის საფუძველს, რომ განვსაზღვროთ ისინი როგორც კოლონიურ-სანედლეულო ტნკ-ები.

თავისი წარმოშობის დროიდან ტნკ-ებმა განიცადეს მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომლებიც გაჩნდნენ შრომის საერთაშორისო განაწილების ევოლუციის შედეგად, ასევე წარმოების ფაქტორების, მათი ინტეგრაციის და ინტენსიფიკაციის ევოლუციით. ტრანსნაციონალური კომპანიები თავისი არსით წარმოადგენენ ადაპტაციის შედეგს, წარმოებათა ურთიერთობის საერთაშორისო დონესთან, რომელიც გამოხატულია დივერსიფიცირებული მონოპოლიების ფორმით, რომლებიც დაფუძნებულია კაპიტალის შერწყმაზე, რაც ქმნის არეს წარმოების ფაქტორების განვითარებისათვის(საწარმოო ძალების), რომლებსაც ეროვნული საზღვრების ჩარჩოებში უკვე არ შუემდლიათ ადეკვატურად განვითარება. ისტორიულად ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებამ გაიარა რიგი ეტაპებისა.

პირველი თაობის ტნკ-ის საქმიანობა მიმართული იყო იმისკენ, რომ უზრუნველყოფილიყო მეტროპოლები სასოფლო-სამეურნეო და მინერალური ნედლეულით კოლონიებიდან. ამასთან ერთად ისინი მიისწრაფოდნენ თავისი საზღვარგარეთული ფილიალების მეშვეობით გაეფართოებინათ საკუთარი პროდუქციის გასაღების ბაზრები. XX-ე საუკუნის პირველ ნახევარში მსოფლიოს ყველა ქვეყანა იცავდა თავის შიგა ბაზრებს საკმაოდ მაღალი საბაჟო ბარიერებით, რომელთა გადალახვაც საქონლის და მომსახურების გარე მომწოდებლებისათვის იყო ძალიან ძნელი. უფრო ადვილი იყო მათი თავიდან აცილება სხვა გზით, რაც მდგომარეობდა ამა თუ იმ ქვეყანაში კომპანია-ექსპორტიორის ფილიალის

შექმნაში. დაცული ბაზრის შიგნით ყოფნისას ასეთ ფილიალს შეუძლია კომპანიის პროდუქციის გასაღება პრაქტიკულად საბაჟო შეფერხების გარეშე. საერთაშორისო კომპანიების საერთო რიცხვი XX-ე საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისში არ აღემატებოდა 300.

ნაციონალური კომპანიის ტრანსფორმაცია ტრანსნაციონალურში გაივლის როგორც წესი ეტაპების რიგს:

- პირველ ეტაპზე საზღვარგარეთული სამეურნეო საქმიანობა პრაქტიკულად მცირე გავლენას ახდენს მთლიანობაში კომპანიის მდგომარეობაზე. ის მხოლოდ ახლა იწყებს ეკონომიკური მოღვაწეობის გაშლას, როგორც წესი ექსპორტის ფორმით ამ ეტაპზე კომპანია იურიდიულად მიბმულია ერთ სახელმწიფოზე.

- მეორე ეტაპზე საზღვარგარეთული სამეურნეო საქმიანობა იძენს შედარებით დამოუკიდებლობას. კომპანია შედის ურთიერთდამოკიდებულობის რთულ სისტემაში საქმიანობის სხვა მხარეებთან, სტიმულს აძლევს გაატაროს ხარისხობრივი ცვლილებები. საერთაშორისო მოღვაწეობის ცენტრი ინაცვლებს ექსპორტიდან უცხოურ წარმოებაზე, ხდება საზღვარგარეთული საქმიანობის გამოყოფა შიგა ბაზარზე საქმიანობისაგან. ეს აისახება კომპანიის ორგანიზაციულ სტრუქტურებზე, ის იღებს საერთაშორისო იერს.

- მესამე ეტაპზე იზრდება კომპანიის საზღვარგარეთული საქმიანობის როლი. შიგა ბაზარი კარგავს პრიორიტეტს და დგება ერთ რიგში სხვა მრავალ საგარეო ბაზართან ერთად. სახელდობრ ამ ეტაპზე კომპანია ხდება ნამდვილად საერთაშორისო, ყველა თავისი ნიშნებით. თავისი გაჩენის მომენტიდან საერთაშორისო კომპანიები თანდათანობით გამოიმუშავენდნენ ქვეყნის სტრატეგიულ ხაზს, რომლის ძირითად მახასიათებლებს მოეკუთვნებიან:

1. საკუთარი წარმოების უზრუნველყოფა უცხოური ნედლეულით;
2. ფილიალების ქსელების საშუალებით უცხოურ ბაზრებზე დამკვიდრება და განმტკიცება;
3. წარმოების განლაგება იმ ქვეყნებში, სადაც საწარმოო დანაკარგები დაბალია, ვიდრე საბაზო ქვეყანაში;

4. ორიენტაცია საწარმოო-სავაჭრო დივერსიფიკაციაზე და ფინანსურ საქმიანობაზე.

XX-ე საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს მსოფლიო ეკონომიკაში დაიწყო ტრესტული ტიპის ტრანსნაციონალური კომპანიების რიცხვის ზრდა, რაც დაკავშირებულია სამხედრო-ტექნიკური პროდუქციის წარმოებასთან, მეორე თაობის ტნკ-ები ფუნქციონირებდნენ ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდში, ხოლო ზოგიერთმა მათგანმა შეინარჩუნა პოზიციები მეორე მსოფლიო ომის შემდეგაც. უნდა აღინიშნოს რომ პირველი და მეორე თაობის ტნკ-ებისთვის დამახასიათებელია საერთაშორისო ინვესტიციები, რომლებიც მიმართული იყო საზღვარგარეთ საწარმოო სიმძლავრეების შექმნასა და გაფართოებაზე, რადგანაც სახელდობრ მათი არსებობა იმ მომენტისათვის განსაზღვრავდა უცხოური კომპანიების ძირითად კონკურენტულ უფირატესობებს. ამასთან განხილული პერიოდი ხასიათდებოდა ახალი ტნკ-ების რიცხვის ზრდით და ადგილობრივი ფირმების საერთაშორისო წარმოებაში თანდათანობითი ჩართვით, რამაც შექმნა წინაპირობა შემდგომი შერწყმისა და შთანთქმის, ასევე ფართო სტრატეგიული აღიარებისათვის.

განსაკუთრებით აქტიური მოქმედებები მსოფლიო ბაზრების დაპყრობის მიზნით, ტრანსნაციონალურმა კომპანიებმა დაიწყეს 1950-იანი წლების დასაწყისიდან, რასაც ხელს უწყობდა საერთაშორისო ეკონომიკური კავშირების ლიბერალიზაციის პოლიტიკა, კოლონიალიზმისაგან განთავისუფლებული ახალ სახელმწიფოთა გამოჩენა, მომახმარებელთა მზარდი მოთხოვნილება და სხვა ფაქტორები.

ტრანსნაციონალური კომპანიების სწრაფი განვითარება, როგორც რაოდენობრივად, ასევე მოქმედების მასშტაბებით და მოცულობებით ხელს უწყობდა იმას, რომ მათ დაიწყეს საერთაშორისო ეკონომიკაში ერთერთი მნიშვნელოვანი როლის თამაში. ტნკ-ებმა რომლებმაც დაიკავეს წამყვანი პოზიციები მსოფლიო ეკონომიკაში ამ წლებისათვის მიაკუთვნებენ ტნკ-ს მე-3 თაობას.

XX საუკუნის 50–80-იან წლებში მე-3 თაობის ტნკ-ების საქმიანობაში ხდებოდა ნაციონალური და უცხოური წარმოებების ელემენტების ორგანული შერწყმა. კარტელური ტიპის საერთაშორისო გაერთიანებებმა ადგილი დაუთმეს საერთაშორისო კონცერნებს, რომელთა ჩარჩოებში იქმნებოდა მრავალდარგოვანი კომპლექსები. ეს განაპირობებული იყო რიგი მიზეზებით, რომელთა შორის ძირითდს წარმოადგენდა: კაპიტალისა და წარმოების კონცენტრაციის გაძლიერება, სამეცნიერო ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება, რამაც მნიშვნელოვნად განაპირობა მრავალი, ახალი მრეწველობის პირველადი დარგების გამოყოფა, წარმოების დივერსიფიკაცია, მართვის დეცენტრალიზებულ სტრუქტურაზე გადასვლა, ცალკეულ კომპანიებისა და ფინანსური ჯგუფების შიგნით ფინანსური კავშირების გაძლიერება. მე-3 თაობის ტნკ-ების განმასხვავებელი თავისებურებანი გახდა მათი მოქმედების ინტენსიფიკაცია და გაფართოება მომსახურების სფეროში.

1980-იანი წლების დასაწყისში დაიწყო გამოჩენა და თავისი პოზიციების გამაგრება მე-4 თაობის ტნკ-ებმა. რომელთა განმასხვავებელი ნიშნებია:

- ბაზრისა და კონკურენციის განხილვა პლანეტარული პოზიციებიდან;
- გლობალური კონკურენტული ბრძოლის მეთოდებისა და კონკურენტების კარგად ცნობა(ცოდნა);
- მოღვაწეობის განხორციელება საერთო მსოფლიო ან მსხვილ რეგიონალურ მასშტაბში;
- მოგების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმართვა მეცნიერულ კვლევებზე, პირველ რიგში მაღალტექნოლოგიურ დარგებში;
- საკუთრი ფილიალების ფუნქციონირების კოორდინაცია, თანამედროვე, უახლესი ინფორმაციული ტექნოლოგიების საფუძველზე;
- კომპანიის თვითოეული ცალკეული წარმოების ხისტი ორგანიზაცია, მისი სტრუქტურის ადაპტაცია საერთაშორისო წარმოების მუდმივად ცვალებად პირობებთან;
- თავისი საწარმოებების ფილიალების და მწარმოებლების ინტეგრაცია მართვის ერთიან საერთაშორისო ქსელში;

- ინტეგრაციული შეთანხმებების დადება სხვა ტნკ-ებთან.

აღნიშნული ეტაპი ტნკ-ების განვითარებისა ხასიათდება უცხოური ინვესტიციების ფართო გამოყენებით, როგორცაა სტრატეგიული ალიანსები, შერწყმა და შთნთქმა უპირატესად საწარმო კომპანიებისა დერივატივების კლასის ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით. გლობალური ტნკ-ების მექანიზმის ფუნქციონირებაში განსაკუთრებულ როლს თამაშობენ საბანკო და ფინანსური ინსტიტუტები. მსოფლიო ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციისა და გლობალიზაციის პროცესები, მწვავე კონკურენტული ბრძოლა ფინანსურ სფეროში ხელს უწყობდა ტრანსნაციონალური ბანკების ფორმირებას და მოქმედების გაშლას.

ნორმად იქცევა, როდესაც ტნკ-ების შემადგენლობაში აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს მძლავრი ფინანსური ინსტიტუტები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით ახორციელებენ ოპერაციების შთანთქმას და შერწყმას სხვა კომპანიებთან, ლიზინგს, ინვესტირებას და დაკრედიტირებას.

გლობალური ტნკ-ები თანმიმდევრობით ახორციელებენ მსხვილი ჯგუფების წარმოქმნის სტრატეგიას, რომლებიც აერთიანებენ საწარმოო, სავაჭრო და ფინანსურ კომპანიებს. მაგრამ, მსხვილი და უმსხვილესი ტნკ-ების ეკონომიური ალიანსების გარდა ტრანსნაციონალური გლობალური კომპანიები აძლიერებენ ურთიერთქმედებას საშუალო და პატარა ბიზნესთან, როგორც საბაზო ქვეყანაში, ასევე უცხოურ ბიზნესთან. სახელდობრ, ფართოვდება ტნკ-ების საიჯარო კავშირების ქსელი პატარა ფირმებთან, რომლებიც ძლიან წარმატებით ასრულებენ ფუნქციებს, როგორც გამოგონებების ძებნასა და მათ დანერგვას, ასევე ახალი პროდუქციისა და ტექნიკის დამოუკიდებელ დამუშავებას.

გაშლილი საიჯარო სისტემის განვითარება საშუალებას აძლევს ტნკ განთავისუფლდეს მისთვის ბევრი არარენტაბელური ოპერაციებისა და ფუნქციებისაგან, მიაპყროს ყურადღება უფრო მეტად მომგებიან და პერსპექტიულ სფეროებს. ამასთან ერთად გლობალური ტნკ-ები დაინტერესებული არიან თვიანთი მეიჯარეებისაგან მიიღონ ხარისხიანი ნახევარფაბრიკატები და მაკომპლექტებლები, იძულებული არიან გადასცენ მათ თანამედროვე ტექნოლოგიები. ამიტომ, წვრილი

წარმოების მაღლტექნოლოგიური საფუძვლით უზრუნველყოფით, გლობალური ტნკ-ები ხელ უწყობენ მის ტრანსნაციონალიზაციას.

გაეროს ექსპერტებმა აღნიშნეს ამასთან მცირე ზომის კომპანიების რიცხვის ზრდა, რომლებიც აქტიურად ანვითარებენ უცხოურ მოღვაწეობას. ინგლისში ეს „მცირე ტნკ“-ები დასაქმებულთა რიცხვით 20–დან 499 ადამიანამდე შეადგენს ყველა ტრანსნაციონალურ კომპანიის 80%-ს, აშშ-ში „მცირე ტნკ“-ის წილი შეადგენს დაახლოებით 40%-ს, იაპონიაში–ყველა ტნკ-ის 23%-ს. საქონლის სიცოცხლის ხანგრძლივობის შემცირება და ინვესტიციების გამოსყიდვა წარმოებაში ითხოვს საწარმოო ერთეულებისაგან მეტ მოქნილობას და წარმოების სწრაფ განახლებას, რაც მსხვილ საწარმოებში ძნელად განსახორციელებელია. სპეციალისტთა აზრით, მომავალი ეკუთვნის საშუალო ზომის წარმოებებს (200–დან 400–მდე დასაქმებული), საკმაოდ მცირეებს, რომ დარჩნენ მოქნილები და საკმაოდ დიდებს, რომ შესძლონ მსხვილი თანხების ინვესტირება და სიახლის დანერგვა.

ამიტომ უკვე დღეს კომპანიის მოღვაწეობის გამსხვილებასთან და დივერსიფიკაციასთან ერთად შეინიშნება საწარმოო ერთეულების შექმნის დროს გიგანტომანიის უარყოფა, რომელთა ოპტომალური ზომა მცირდება, ხოლო სპეციალიზაციის დონე იზრდება. ასე ვთქვათ ტნკ-ები „წონაში კლებულობენ,, ანუ ხდებიან ნაკლებად ვებერთელები, მაგრამ „იმაგრებენ კუნთებს,,_ხდებიან უფრო ძლიერნი მანევრირებისა და მოქნილობის ხარჯზე.

დაწყებული XX საუკუნის 90–იანი წლების შუა პერიოდიდან, გაეროს ექსპერტები ტნკ-ების ფუნქციონირების პერიოდს განსაზღვრავენ, როგორც მათი მეხუთე თაობის ეტაპს, რომლებიც თავისი ეკონომიკური და ფინანსური სიმძლავრით გახდნენ დამოუკიდებელი სუბიექტები მსოფლიო ეკონომიკაში ნაციონალური ეკონომიკური სისტემებისა და მათი შესაბამისი სახელმწიფოების გვერდით. გარდა ამისა მეხუთე თაობის ტნკ-ებისთვის დამახასიათებელია უპირატესი ზრდა კაპიტალდაბანდებებისა მომსახურების სფეროში. სახელდობრ, უმსხვილესი ტნკ-ების პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 50% 1990–იანი წლების შუა პერიოდიდან მიმართული იყო ეკონომიკის მოცემულ სექტორში, ასევე უნდა აღინიშნოს ტნკ-ების განვითარების ამ ეტაპზე მათ კონკურენტულ

ბრძოლაში ტექნოლოგიების გაძლიერების მნიშვნელობა, რამაც ჰპოვა ასახვა მაღლტექნოლოგიური კაპიტალის უცხოურ ქვეყნებში ექსპორტზე დანახარჯების ზრდაში, ტექნოლოგიების შესყიდვაში, პერსონალის სწავლაში, ასევე ლიცენზიების ანაზღურებაზე.

მე-5 თაობის ტნკ-ებში სულ უფრო მეტ როლს თამაშობენ ინოვაციები და სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები. საერთაშორისო კომპანიები იძულებულნი არიან გაზარდონ დანახარჯები სამეცნიერო კვლევით დამუშავებებზე, რათა მიიღონ კონკურენტული უპირატესობები.

თანამედროვე ტნკ-ების მოღვაწეობის მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ტრანსნაციონალური ბანკების ინტეგრაცია, რასაც მივყევართ უდიდესი ტრანსნაციონალური ფინანსური კონგლომერატების წარმოქმნასთან და რაც სულ უფრო აძლიერებს ტნკ-ების პოზიციებს მსოფლიო სამეურნეო სისტემაში.

უკანასკნელ ათწლეულში გაძლიერდა ტნკ-ების გამსხვილების ტენდენცია, რაც დაკავშირებულია პირველ რიგში შერწყმის და შთანთქმის რიცხვის ზრდასთან. ეს განპირობებულია რამოდენიმე მიზეზით. ჯერ ერთი, ასეთნაერ ტნკ-ებს ეძლევათ საშუალება შედარებით ოპერატიულად და ეფექტურად მოახდინონ შესვლა იმ ბაზრებზე, რომლებიც მათ აინტერესებთ. მეორე: ერთდროულად რამოდენიმე ბაზარზე ყოფნა იწვევს მათი კონიუქტურის გაუარესებას. მესამე: მსხვილი ტრანსნაციონალური კომპანიებისათვის უფრო ხელმისაწვდომია მათ მიერ მოზიდული ფინანსური რესურსები, რომლებიც განკუთვნილია თანამედროვე ტექნოლოგიური დონის წარმოებისა და სულ უფრო მზარდი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების უზრუნველსაყოფად.

სხვა მიზეზებს შორის, რაც უღვიძებს სურვილს კომპანიებს შერწყმისა და შთანთქმისაკენ, შეძლება გამოვყოთ მისწრაფება დაიკავონ დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე და კომპანიის საბაზრო კაპიტალიზაციის მოკლევადიანი ზრდის გათვლა, რაც გამოწვეულია მის აქციებზე ფასების ზრდით.

მე-5 თაობის ტნკ-ების ფუნქციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს მათი სტრატეგიული ალიანსების აქტიური განვითარება, ალიანსები წარმოადგენენ კომპანიებს, რომლებიც მიუხედევად იმისა რომ

გაერთიანებული არიან საერთო მიზნების მისაღწევად, არ კარგავენ თავიანთ სტრატეგიულ ავტონომიას და რჩებიან ინდივიდუალური ინტერესების ერთგულნი. პარტნიორობის ამ სახეობას ასეთი სწრაფი განვითარების პრაქტიკული შედეგები იმდენად დიდია, რომ მკვლევარების უმრავლესობა დარწმუნებულია, რომ ალიანსების მეშვეობით საერთაშორისო ეკონომიკა დღეს სტრატეგიული მენეჯმენტის ახალი ერის ზღურბლზეა.

მრავალრიცხოვანი შერწყმისა და შთანთქმების, ასევე სტრატეგიული ალიანსების შედეგს წარმოადგენს ოლიგოპოლიტური ტიპის ახალი ტნკ-ების წარმოქმნა. თანამედროვე მსოფლიოში განვითარებულ ქვეყნებში თითოეულ დარგში დომინირებული მდგომარეობა უკავია სულ ორ-სამ სუპერგიგანტს, რომლებიც კონკურენციას უწევენ ერთმანეთს ყველა ქვეყნის ბაზრებზე.

ტნკ-ების განვითარების ძირითადი ტენდენციები XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში (გაეროს ეკონომიური ინსტიტუტების მონაცემებით) წარმოდგენილია ცხრილ 1-ში.

წლები	დამფუძნებელი კომპანიები	შვილობილი კომპანიები/ფილიალები
1991	35000	150000
1992	37000	170000
1993	37000	200000
1994	40000	250000
1995	39000	270000
1996	44000	280000
1997	53000	450000
1998	60000	500000
1999	63000	690000
2000	63000	830000

ცხრილი 7. ტრანსნაციონალური კომპანიების და მათი შვილობილი კომპანიების რიცხვის ზრდის დინამიკა 1991–2000წწ.

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005, с.32.

ცხრილი 7-დან შეგვიძლია დავახასიათოთ ტნკ-ების განვითარების ძირითადი ტენდენციები განხილული დროის პერიოდში:

- შეინიშნება ტნკ-ების საერთო რაოდენობის და მათი ფილიალების აშკარა ზრდა;

- უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში შეიმჩნევა დედა კომპანიების რიცხვის პროგრესული ზრდა, რომელთა საერთო რიცხვი განხილულ პერიოდში გაიზარდა 1,8-ჯერ;

- უფრო მნიშვნელოვანი ზრდა შეიმჩნევა შვილობილი კომპანიების შექმნის მხრივ, რომელთა რიცხვობრივმა ზრდამ შეადგინა 5.5-ჯერ მეტი;

შვილობილი კომპანიების მნიშვნელოვანი წინსწრება შეიძლება ახსნილ იქნას, მაგალითად ტნკ-ების მოღვაწეობის სფეროს გაფართოებით, ჰორიზონტალური და ვერტიკალური ინვესტიციისაკენ მისწრაფებით. გლობალური კონკურენციის გამძლიერებით, ასევე შემდგომი ექსპანსიისათვის, პლაცდარმის შექმნით და კონკურენტებისადმი წარმატებული წინააღმდეგობის გაწევით.

830 ათასი ტნკ-ის უცხოური ფილიალიდან 270 ათასი იყო განლაგებული განვითარებულ ქვეყნებში, 360 ათასი განვითარებად და 200 ათასი გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში.

ტნკ-ების დედა კომპანიების ძირითადი მასა ბაზირებულია ქვეყნებში, რომლებიც მიეკუთვნება ეკონომიკურ „ტრიადას,, აშშ, ე.კ და იაპონია-78,8% (1996წ-81,7%). მეორე ადგილზე დგანან განვითარებადი ქვეყნები-19,9% (1996წ-17,8%). გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების წილი(ანუ ყოფილი სოციალისტური ბანაკი)შეადგენს 1,2%-ს (1996წ.- 0,5%).

ტრანსნაციონალური კომპანიები ამჟამად წარმოშობით შედარებით ინტერნაციონალურნი არიან, ვიდრე ოდესმე. ჯერ კიდევ 1970წ. 7000 ტნკ-დან აღნიშნულნი გაეროს მიერ, ნახევარზე მეტი იყო ორი ქვეყნიდან-აშშ და დიდი ბრიტანეთი. ამჟამად 63000-ი ტნკ-დან ნახევარზე მეტი მოდის მსოფლიოს ათეულობით ქვეყანაზე. მსხვილი ტნკ-ების გაკონტროლებად რიცხვში შედიან ისეთი ქვეყნებიც, როგორცაა ჩინეთი, (ჰონკონგი), ინდოეთი, ბრაზილია, არგენტინა, სამხრეთ კორეის რესპუბლიკა და სხვა. ძირითადად ისინი მიეკუთვნებიან ელექტრონულ და

ელექტროტექნიკურ მრეწველობას, სათბობ-ენერგეტიკულ სექტორს, ქიმიურ და ფარმაცოლოგიურ მრეწველობას, მანქანათმშენებლობას და განაწილების სფეროს.

ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ ტნკ-ები გადაიქცნენ მსოფლიო ეკონომიკის სისტემაშემქმნელ ფაქტორად, რომელიც იმსახურებს პერმანენტურ შესწავლას და ანალიზს.

ტნკ-ების სტრუქტურა და ტიპოლოგია. ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენენ ფირმების ეკონომიკურ გაერთიანებებს საკუთრების ერთიანი ტიტულის ბაზაზე, რომელიც მიეკუთვნება დედა კომპანიას და რომელიც აკონტროლებს ნათესავი კომპანიების უცხოურ აქტივებს მათი კაპიტალის გარკვეული ნაწილის მფლობელობის საშუალებით. დედა კომპანიის კუთვნილი კაპიტალის ოდენობაზე დამოკიდებულებით, ასევე კანონიერი მდგომარეობით და ფირმის დაქვემდებარების ხარისხით, რომლებიც იმყოფებიან დედა კომპანიის სფეროში, შეიძლება მივცეთ შემდეგნაირი კლასიფიკაცია: ფილიალები, შვილობილი (სუბსიდირებული) კომპანიები, ასოცირებული კომპანიები და ერთობლივი საწარმოები⁴⁹.

დედა კომპანია რეგისტრირდება, როგორც იურიდიული პირი და წარმოადგენს ტნკ-ების სათაო კომპანიას, როგორც ორგანიზაციულ ეკონომიკური ცენტრი, ის ამუშავებს მთელი ტრანსნაციონალური კომპანიის ფუნქციონირებისა და განვითარების საერთო მიმართულებებს და კონკრეტულ მიზნებს; საზღვრავს ამ მიზნების მისაღწევად საჭირო სახსრებს, ფორმებს და მეთოდებს; აკონტროლებს თავისი მითითებების შესრულებას და შეაქვს მათში კორექტივები, ასევე აკონტროლებს ყველა დანაყოფის ფინანსურ ქმედებებს ტნკ-ების აქციონერებისათვის წარდგენილი კონსოლიდირებული ბალანსის შედგენის გზით.

დედა კომპანიის მიერ ტრანსნაციონალური კომპანიების ქვედანაყოფის კონტროლი ხორციელდება სამეცნიერო ტექნიკური, საწარმოო, ტექნოლოგიური და სხვა ხაზებით. მისი საშუალებები და მეთოდები ბევრადაა დამოკიდებული

⁴⁹ მანველიძე ი. ტრანსნაციონალური კომპანიები ამიერკავკასიის ქვეყნების ეკონომიკასა და პოლიტიკაში, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2009. გვ.24

დედა კომპანიის ორგანიზაციულ ფორმაზე, რომელიც შეიძლება იყოს ოპერატიულ-წარმოებითი ან ჰოლდინგური.

ოპერატიულ-წარმოებითი დედა კომპანია თვითონ არის დაკავებული საწარმოო საქმიანობით და ამ შემთხვევაში ცენტრალიზებული მართვა მოიცავს საწარმოო პროცესის ყველა მხარეს, რაც იწყება ახალი პროდუქციის დამუშავებით და მთავრდება მისი რეალიზაციით.

ჰოლდინგური დედა კომპანია არ არის დაკავებული საწარმოო მოღვაწეობით, ის მხოლოდ კონცენტრირებას უკეთებს თავისთან საწარმოო კომპანიების საკონტროლო პაკეტების აქციებს, რომლებიც ფლობენ იურიდიულ და სამეურნეო დამოუკიდებლობას, მაგრამ ექვემდებარებიან ჰოლდინგს ფინანსურ ურთიერთობაში. ის ანხორციელებს მართვას ტრანსნაციონალური კომპანიის ჩარჩოებში უპირატესად ფინანსური მეთოდების ზემოქმედებით, თითოეული ქვედანაყოფისათვის ამკვიდრებს ძირითად ფინანსურ მაჩვენებლებს: მოგების ოდენობა, საწარმოო დანაკარგები, დივიდენდების გადარიცხვების ოდენობა და მეთოდები, მოგების გადაგზავნის მეთოდები და სხვა.

ტრანსნაციონალური კომპანიის ფილიალს არ აქვს იურიდიული დამოუკიდებლობა და ბუნებრივია არ შეუძლია საქმეების წარმართვა თავისი სახელით: ის მოქმედებს დედა კომპანიის დავალებით და როგორც წესი აქვს ისეთივე დასახელება, როგორც მას. უცხოური საწარმოო ფილიალის ვალდებულებაში შედის უფრო ხშირად იმ სახის პროდუქციის გამოშვება, რაშიც დაინტერესებულია დედა-კომპანია და მათი გასაღება იმ ბაზრებზე, რომლებსაც ის განსაზღვრავს.

შვილობილი კომპანიები ფილიალებისაგან განსხვავებით არიან იურიდიულად დამოუკიდებლები: შეთანხმების დადება ხორციელდება დედა კომპანიისაგან დამოუკიდებლად, რომელიც არ იღებს არავითარ პასუხისმგებლობას იმ ვალდებულებების მიმართ, რომელიც აღებული აქვს შვილობილ კომპანიას. ამასთან ერთად დედა კომპანია ყოველთვის ანხორციელებს აუცილებელ კონტროლს იმ საქმიანობაზე, რასაც ანხორციელებს მის კუთვნილებაში მყოფი კომპანიები, რაც ხორციელდება მისი „შვილების,,

საკონტროლო პაკეტის აქციების ქონით მის კუთვნილებაში, ეს კონტროლი გამოიხატება არა მარტო სამეურნეო საქმიანობის მეთვალყურეობით და კოორდინაციით, არამედ მართვის შემადგენლობის განსაზღვრით, ასევე დირექტორების დანიშვნით, რომლებიც თავის მხრივ ვალდებული არიან შეასრულონ დედა კომპანიის მითითებები, იყვნენ მათ მიმართ ანგარიშვალდებული. შვილობილი კომპანიის შექმნისას დედა კომპანია წინასწარ საზღვრავს მის საწარმოო სპეციალიზაციას, ასევე ვალდებულებებს გასაღების და რეალიზებული პროდუქციის ტექნიკურ მომსახურებაზე, ბაზრების შესწავლაზე და სხვა. შვილობილ კომპანიებს შეუძლიათ ფლობდნენ აქციების საკონტროლო პაკეტებს სხვა კომპანიისა—რომლებიც არიან შვილობილი დედა კომპანიის და ა.შ.

ასოცირებული კომპანიები იურიდიულად და მეურნეობით დამოკიდებული არიან და არ იმყოფებიან რომელიმე სხვა კომპანიების კონტროლის ქვეშ, რადგანაც ისინი არ ფლობენ მათი აქციების საკონტროლო პაკეტებს, მაგრამ დაინტერესებული არიან კონკრეტული ტრანსნაციონალური კომპანიების ბიზნესით, ქმნიან მათთან ერთად ურთულეს მრავალსაფეხურიან კომპანიების კომპლექსებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან, ასოცირებული კომპანიები კონტროლდება ტნკ-ების დედა კომპანიით, როგორც წესი მოლაპარაკების სისტემებით.

ერთბლივ საწარმოს საერთაშორისო ბიზნესის პრაქტიკაში უწოდებენ ფირმას, რომელშიც მონაწილეობას იღებს ერთი ან რამოდენიმე უცხოური პარტნიორ-ინვესტორი. თუ ტრანსნაციონალური კომპანია სწორად ირჩევს პარტნიორის ადგილსამყოფელს, ერთობლივი საწარმო მას და მიმღებ ქვეყანას შორის, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, წარმოადგენს საკმაოდ სიცოცხლისუნარიან სტრუქტურას. აი რამოდენიმე თვალნათლივი უპირატესობა ასეთ პარტნიორებთან ურთიერთობისა:

1. ადგილობრივმა პარტნიორმა უკეთ იცის მყიდველები, ტრადიციები, კონკრეტული ქვეყნის საზოგადოებრივი ურთიერთობები (ამ საკითხების შესასწავლად ტნკ-ას დასჭირდებოდა წლები):

2. ადგილობრივმა პარტნიორებმა შეიძლება განახორციელონ კომპეტენტური მართვა არა მარტო უმაღლესი, არამედ საშუალო რგოლის:

3. თუ მიმღები ქვეყანა ითხოვს, რომ უცხოური ფირმები იყოფდნენ საკუთრების უფლებას ადგილობრივ ფირმებთან ან ინვესტორებთან, 100%-იანი უცხოური მფლობელობა ხდება უბრალოდ არარეალური და უცხოური ბიზნესის ერთად-ერთი შესაძლო ფორმა ხდება ერთობლივი საწარმო:

4. ადგილობრივი პარტნიორების კონტაქტები და რეკუტაცია მიმღები ქვეყნის კაპიტალის ბაზართან მიახლოებას ააქტიურებს:

5. ადგილობრივი პარტნიორი შეიძლება ფლობდეს მოცემული არესათვის სასურველ ტექნოლოგიებს, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მთელ მსოფლიოში:

6. ფირმის საზოგადოებრივმა იმიჯმა შეიძლება გააფართოვოს გაყიდვების შესაძლებლობა, თუ ინვესტირების მიზანია ადგილობრივი ბაზრის მომსახურება:

მიუხედავად უპირატესობების ასეთი შთამბეჭდავი ჩამონათვალისა, ადგილობრივი საწარმოები ისეთი პოპულარული არ არიან, როგორც შვილობილი, რომლებიც 100%-ით ეკუთვნიან ტნკებს, რადგანაც ტნკები შიშობენ, რომ არ მოხდეს ადგილობრივი პარტნიორების ჩარევა კომპანიის კრიტიკული გადაწყვეტილებების კონკურენტულ სფეროში.

დედა კომპანიისა და მისი უცხოური ნაშვილები საწარმოების ურთიერთდამოკიდებულებების მიხედვით, ყველა ტრანსნაციონალური კომპანია (კორპორაციები) შეიძლება დაყოფილი იქნას სამ სახედ;

– ეთნოცენტრული:

– პოლიცენტრული ან რეგიოცენტრული:

– გეოცენტრული:

ეთნოცენტრული ტიპი ხასიათდება ტნკ-ს უმაღლესი ხელმძღვანელობის თანამიმდევრული ორიენტაციით დედა (საბაჟო) კომპანიის პრიორიტეტზე. ამ ტიპის დროს უცხოური ბაზრები, რჩებიან კორპორაციისათვის – უპირველეს ყოვლისა, ქვეყნის შიგა ბაზრის გაგრძელებად, რომელიც ეფუძვნება საბაზო (დედა) კომპანიას. ტნკ-ები ამ შემთხვევაში ქმნიან ფილიალებს საზღვარგარეთ

უმთავრესად იმ მიზნით, რომ უზრუნველყონ თავიანთთვის იაფი ნედლეულის მყარი (სისტემატური) მიწოდება ან უცხო ქვეყნების გასაღების ბაზრების უზრუნველყოფა. ამ ტიპის ტნკ-ებისათვის დამახასიათებელია მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება უპირატესად დედა კომპანიაში, ასეთი ტიპის კომპორაციის უპირატეს მახასიათებლებს წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილებების მაღალი ცენტრალიზაცია და ძლიერი კონტროლი უცხოურ ფილიალებზე დედა კომპანიის მხრიდან.

რუსეთში დაგროვილი გამოცდილება დედა კომპანიებსა და უცხოურ კომპანიებ შორის დამოკიდებულებებისა უპირატესად მიეკუთვნება ტნკ-ს განხილულ ტიპს.

პოლიცენტრული ან რეგიოცენტრული ტიპი სახიათდება გარე ბაზრის მნიშვნელობის ზრდით, როდესაც გარე ბაზარი ხშირად ხდება უფრო მნიშვნელოვან სექტორად ტნკ-ს მოქმედებისა, ვიდრე შიგა ბაზარი. ასეთ ტნკ-ებს უცხოური ფილიალები უფრო მსხვილი და მრავალფეროვანი აქვს, ისინი არა იმდენად ყიდნიან დედა კომპანიის პროდუქციას, რამდენადაც აწარმოებენ მას ადგილზე, მათი ბაზრების მოთხოვნილების შესაბამისად. უცხოური ფილიალებში ჭარბობენ ადგილობრივი მენეჯერები, თვითონ ფილიალები-ავტონომიურები არიან. ამ სახეობის ტნკ-ები ხასიათდებიან მართვის ფუნქციის დეცენტრიზაციის საკმაოდ მაღალი დონით, და შვილობილი ფირმების უფლებების დელეგირებით.

რეგიონალური მიდგომით, ტნკ-ები ორიენტირებულნი არიან უკვე არა ცალკეული ქვეყნების ბაზრებზე, არამედ რეგიონებზე, მაგალითად მთელ დასავლეთ ევროპაზე და არა საფრანგეთსა და ესპანეთზე, თუმცა უცხოური ფილიალები ამ შემთხვევაშიც კი განლაგებულნი არიან ცალკეულ ქვეყნებში, მაგრამ ისინი ორიენტირებულნი არიან მთელს რეგიონებზე. მოცემული ტიპის ტნკ-ების განმასხვავებელი ნიშნებია:

- პირველ რიგში ორიენტაცია უცხოურ ბაზრებზე;
- მრავალეროვნული აქციონირებული კაპიტალის არსებობა;
- მრავალეროვნული მმართველობითი ცენტრის არსებობა;

- უცხოური ფილიალების ადმინისტრაციის დაკომპლექტება ისეთი კადრებით, რომლებმაც იციან ადგილობრივი პირობები.

ტნკ–ს ეს ტიპი განსაკუთრებით პოპულარულია ინტეგრირებულ–ეკონომიკურ დაჯგუფებებში და ამიტომაც შეიძლება წარმოადგენდნენ რუსეთის იმ ტნკ–ებისათვის მნიშვნელოვანს, რომლებსაც წინასწარ დაგეგმილი აქვთ დადონ ფსონი დსთ–ს ბაზარზე.

ტნკ–ების მატნაკლებად მომწიფებული ტიპის გლობალური კორპორაციებისათვის დამახასიათებელია გეოცენტრული მიდგომა დედა კომპანიებსა და მის ფილიალებს შორის. ეს ტნკ–ები წარმოადგენენ ასე ვთქვათ, რეგიონალური ფილიალების დეცენტრალიზებულ ფედერაციას. დედა კომპანია აქ განიხილავს თავის თავს არა როგორც ტნკ–ს ცენტრს, არამედ მხოლოდ მის ერთერთ ნაწილს. გეოცენტრული ტნკ–ების მოქმედების არენა მთელი მსოფლიოა. კომპანია, რომლის უმაღლესი მმართველი პერსონალი მიჰყვება გეოცენტრულ პოზიციას, შეიძლება იწოდებოდეს–გლობალურად. ტნკ–ს განვითარების მოცემულ ეტაპზე გლობალურებს უმეტესწილად უახლოვდებიან ქიმიური, ელექტროტექნიკური, ნავთობგადამამუშავებელი, მანქანათმშენებელი, საბანკო და ზოგიერთი სხვა დარგების ტნკ–ები.

ზემოთ განხილული ტნკ–ების ტიპების შედარებითი დახასიათება მოცემულია ცხრილ 8-ში.

დამახასიათებელი ნიშნები	ტნკ–ის ტიპი		
	ეთნოცენტრული	პოლიცენტრული ან რეგიოცენტრული	გეოცენტრული
1,საერთაშორისო ბიზნესის ორიენტაცია.	დედა კომპანიის აბსოლიუტური მატება უცხოური ფილიალები როგორც წესი იქმნებიან, მხოლოდ მომარაგებისა და გასაღების უზრუნველსაყოფად.	რიგი ქვეყნების კომპანიების გაერთიანება საწარმოო ან სამეცნიერო–ტექნიკურ საფუძველზე, დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი ოპერაციის ჩატარებისას თითოეულ ქვეყანაში. ფილიალები მსხვილია და ანხორციელებენ სხვა და სხვა სახის მოღვაწეობას, მათ შორის მწარმოებლურსაც	ერთიანი მოღვაწეობის ინტეგრაცია რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებში,მაგალითად სხვადასხვა ქვეყნებში შეიძლება იწარმოებოდეს ერთი ნაკეთობის შემადგენელი ნაწილები. დედა კომპანია განიხილავს თავის თავს არა ცენტრალ, არამედ კორპორაციის ერთ ერთ შემადგენელ ნაწილად.

2. დამოკიდებულება უცხოურ ბაზართან.	უცხოური ბაზრები განიხილებიან მხოლოდ როგორც დედა კომპანიის ბაზრის გაგრძელებას.	უცხოური ბაზრები ხშირად განიხილება, როგორც მეტად მნიშვნელოვანი სექტორი ტნკ-ის მოქმედებისა შიგა ბაზართან შედარებით.	მოღვაწეობის არენას წარმოადგენს მთელი მსოფლიო.
3. მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ცენტრალიზაციის დონე.	მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების მაღალი ცენტრალიზაცია დედა კომპანიის დონეზე.	მართვის ცალკეული ფუნქციის დეცენტრალიზაცია. უფლებამოსილების დელეგირება შვილობილ ფირმებს. მმართველობითი გადაწყვეტილებები მიიღება დედა კომპანიისა და ფილიალებს შორის მჭიდრო კოორდინაციის საფუძველზე.	გადაწყვეტილებების მიღების მაღალი დეცენტრალიზაცია დედა კომპანიისა და ფილიალებს შორის მჭიდრო კოორდინაციის დროს.
4. უცხოური ფირმების მოღვაწეობაზე კონტროლი	ძლიერი კონტროლი დედა კომპანიის მხრიდან.	ფილიალები, როგორც წესი ავტონომიური არიან.	ფილიალები, როგორც წესი ავტონომიური არიან.
5. კომპანიის საკადრო ფოლიტიკა.	უპირატესობა ეძლევა თანამემამულეებს უცხოურ ფილიალებში. ტნკ-ის საბაზო ქვეყნის მომუშავეები ინიშნებიან ყველა შესაძლო პოსტებზე საზღვარგარეთ.	უცხოურ ფილიალებში ჭარბობს ადგილობრივი მენეჯმენტები. მიმღები ქვეყნის ადგილობრივი კადრები ინიშნებიან გადამწყვეტ თანამდებობებზე.	ყველა ქვეყნიდან აუკეთესო თანამშრომლები ინიშნებიან ნებისმიერ პოსტზე.
6. საორგანიზაციო სტრუქტურა.	დედა კომპანიის რთული ორგოსტრუქტურა ძალიან უბრალოა უცხოურ ფილიალებში.	ურგოსტრუქტურა ფილიალების დამოუკიდებლობის მაღალი დონით.	რთული ორგოსტრუქტურა ავტონომიური ფილიალებით.
საინფორმაციო ნაკადები	ბრძანებების დიდი ოცულობა ფილიალების მისამართით.	დედა კომპანიის ინფორმაციის მცირე ნაკადი და იქიდან მცირე ნაკადი ფილიალებს ორის.	ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაკადები დედა კომპანიაში და ყველა ფილიალს შორის.

ცხრილი 8. ტნკ-ების ტიპების შედარებითი დახასიათება

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005, с.37.

საზღვრები განხილულ საერთაშორისო კომპანიებს შორის მეტად მოძრავია, რაც გულისხმობს, შემდგომში მეტნაკლებად ხშირად მათი ტრანსფორმაციის შესაძლებლობების არსებობას: ეროვნული კორპორაცია, ტრანსნაციონალური კორპორაცია, მრავალეროვნული კორპორაცია და გლობალური კორპორაცია.

თავი 3. ტრანსნაციონალური კორპორაციების მართვის ძირითადი მექანიზმები, მახასიათებლები და პრინციპები

ტრანსნაციონალური კომპანიის რთული სტრუქტურა ქმნის ერთიანობას მის ძირითად კავშირებსა და პროცესებზე მიზანმიმართული მოქმედების წყალობით. ეს მიიღწევა მართველობითი საქმიანობით, რომელიც წარმოადგენს სხვადასხვა ფუნქციის ურთიერკავშირს, რომლის თითოეული მათგანი მიმართულია სპეციფიური, სხვადასხვაგვარი და რთული პრობლემების გადასაჭრელად ფირმის სხვადასხვა განყოფილებებს შორის, რომელსაც სჭირდებათ კონკრეტული ღონისძიებების დიდი კომპლექსის განხორციელება. მართვის სფერო მოიცავს არა მარტო წარმოებას, არამედ მეცნიერულ-კვლევით და გამოსაცდელ-კონსტრუქციულ სამუშაოებს, გაყიდვას, ფინანსებს, კომუნიკაციებს და ა.შ. ტრანსნაციონალური კომპანიის ყოველ მხრივ ფართო საქმიანობას.

თუ პრობლემათა ფორმირების ტიპებს შევადგენთ, რომელიც გვარდება მმართველობითი საქმიანობით, მაშინ იგი შეიძლება დავიყვანოთ შემდეგზე: პირველ რიგში განისაზღვრება განვითარების კონკრეტული მიზნები, გამომჟღავნდება მათი პრიორიტეტულობა, რიგი და გადაწყვეტილების შედეგიანობა. ამის საფუძველზე მუშავდება სამეურნეო ამოცანები, განისაზღვრება ძირითადი მიმართულებები, და ამ ამოცანათა ამოხსნის გზები, მუშავდება საღონისძიებო სისტემა აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, განისაზღვრება აუცილებელი რესურსები და მათი უზრუნველყოფის წყაროები, დგინდება კონტროლი დასახული ამოცანის შესასრულებლად.

მართვის საერთო ამოცანათა რეალიზაცია მოითხოვს შეიქმნას აუცილებელი ორგანიზაციულ-ეკონომიკური სტრუქტურა და მისი ფუნქციონირების მყარი

პირობები. ასე რომ, წარმოების შესაბამისობის ამოცანა საჭიროებასა და ბაზრის მოთხოვნების მიხედვით, მოითხოვს მარკეტინგის ფუნქციის შესრულებას; ძირითადი მიმართულებების და მატერიალური წარმოების განვითარება რეგულირდება დაგეგმვის ფუნქციების შესრულების გზით. სხვადასხვა განყოფილებების მიერ გადაწყვეტილებებისა და გეგმიური სამეურნეო მაჩვენებლების მოგვარება შესაბამისი განყოფილებების მიერ კონკრეტულ პერიოდში ხორციელდება ორგანიზაციის ფუნქციის რეალიზების გზით; სამუშაოს შემოწმების ამოცანა და ასევე დასახულ მიზნებთან და განვითარების მიმართულებებთან შედარება ხორციელდება კონტროლის გზით. ეს ნიშნავს, ყოველი მართვის ფუნქციის შემადგენლობა განისაზღვრება ამოცანის სპეციფიკურობით, რომელიც სრულდება ფუნქციის ფარგლებში. ამიტომ წარმოებაში დასახული ამოცანის სირთულე განსაზღვრავს მისი ფუნქციის მართვის სირთულეს.

ტრანსნაციონალურ კომპანიაში მმართველობითი ფუნქციები სრულდება სპეციალური აპარატის (მართვის ორგანოს) დახმარებით, რომელიც შედგება ერთმანეთთან დაკავშირებული განყოფილებებისაგან. ყოველ მათგანზე მიბმულია განსაზღვრული ფუნქცია (როგორც მართვის აპარატის ფუნქცია). მათი შესრულება დაკავშირებულია კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტასთან, რომელიც შესაბამისად შედის მმართველობითი ორგანოს საქმიანობის (პასუხისმგებლობის) სფეროში. ეს კიდევ მოითხოვს ცალკეული მეთოდების და საშუალებების გამოყენებას. ასე რომ, მარკეტინგის ფუნქციის რეალიზებისათვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, როგორცაა შიდასაფირმო მარკეტინგის პროგრამების შემუშავება ყოველი პროდუქტისთვის და განვითარების პროგნოზი; ფუნქციის დაგეგმვისათვის – გეგმებისა და პროგნოზების დამუშავება; კონტროლის ფუნქციის განხორციელებისათვის – ბალანსის შედგენა, მოგებისა და ზარალის ანგარიში და სხვა.

მართვის აპარატის ფუნქციის ორგანიზაციულ–ტექნიკური ხასიათი განისაზღვრება იმით, რომ ისინი თავის თავშივე მოიცავენ ნაკრებს, სისტემატიზაციას, ინფორმაციის დამუშავებას და ანალიზს; გამომუშავებას და

გადაწყვეტილების მიღებას; გადაწყვეტილების კონკრეტულ აღსრულებამდე დაყვანას და მათი შესრულების ორგანიზებას; გადაწყვეტილების აღსრულებაზე კონტროლს.

მართვის აპარატის ყოველი განყოფილება ახორციელებს ასეთ საქმიანობას თავიანთი კომპეტენციის საზღვრებში, ე.ი. მართვის ფუნქციის რეალიზაციის შესაბამისად.

ტრანსნაციონალური კომპანიის მართვის ფუნქციის კვლევის პრობლემა თანამედროვე პირობებში გვევლინება განსაკუთრებით აქტუალურად, წინააღმდეგობრივად და შრომატევადად. იგი უშუალოდ ეხება მართვის აპარატის ორგანიზების პრობლემას, სისტემის ხელმძღვანელობის ტექნიკურ-მეცნიერულ და წარმოება-გაყიდვის (გასაღების) ფორმის საქმიანობის სრულყოფას. ერთის მხრივ, როგორ კარგადაც არ უნდა იყოს განვითარებული მართვის ფუნქცია, მის განსახორციელებლად ეს არ არის საკმარისი. აუცილებელია დამატებით ისეთი ეკონომიკური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები, რომლებიც ამ ფუნქციების ეფექტიანად რეალიზებას შეუწყობენ ხელს. ჩვენ გამოვდივართ მდგომარეობიდან, რომლის თანახმადაც მართვის ფუნქცია და ეკონომიკური ხელსაწყოები და ინსტრუმენტები ურთიერთდაკავშირე-ბულია და ქმნიან ერთიან ეკონომიკურ მართვის მექანიზმს.

ტრანსნაციონალური კომპანიის საქმიანობის მართვის ფუნქცია და შესაბამისად მათი რეალიზების მეთოდები, ერთხელ და სამუდამოდ ფორმირების შედეგად არ რჩება უცვლელი. ისინი განუწყვეტლივ მოდიფიცირდება. თითოეული განხილული მართვის ფუნქციის განვითარება და გაღრმავება არა მარტო შიდა ეკონომიკური მოქმედებით და ურთიედამოკიდებულებითაა განპირობებული, არამედ სხვა ფუნქციების განვითარების მოთხოვნის ზემოქმედებით.

აქედან გამომდინარეობს აუცილებელი პირობა, რომლის თანახმადაც თითოეული მართვის ფუნქციის განვითარება განპირობებულია ობიექტური მოთხოვნების ზემოქმედებით. კონკრეტულ პირობებში ფორმის განვითარება დამოკიდებულია ცალკეული ფუნქციების განვითარებაზე, მის შესაბამისობაზე

საერთო მიზნებთან და ამოცანებთან. ამას მივყევართ თვითოეული ფუნქციის მნიშვნელობის შეცვლამდე.

- ასე რომ, მცნება „მარკეტინგის“ შემადგენლობა თავდაპირველად კავშირში იყო ყველა ფაქტორის შეგროვება და ანალიზთან, რომელიც ეხებოდა საქონელბრუნვას და მომსახურებას, დაწყებული მწარმოებლის მიერ ამ საქონლის გამოშვებიდან დამთავრებული მომხმარებლის მიერ გამოყენებამდე. მაგრამ ამ გაგებამ დროთა განმავლობაში განიცადა არსებითი ცვლიება და მას მიანიჭეს განსხვავებული მნიშვნელობა.

- დაგეგმვის ფუნქციამ შეიძინა ასევე ხარისხობრივი ახალი სახე და განსაკუთრებულობა. თანამდეროვე პირობებში შიდასაფირმო დაგეგმვამ შეიძინა პრინციპულად ახალი შემადგენლობა, ვინაიდან ფირმაში მოთხოვნა გამომდინარეობს წარმოების გაფართოების დიდი მაშტაბებიდან. ეს ფუნქცია ვითარდება და ემატება მარკეტინგის სხვა ფუნქციებს, რომლის შესრულების შედეგადაც დაგეგმვა იძენს ახალ სახეს. გასაკუთრებულად უნდა აღვნიშნოთ დაგეგმვის ჰორიზონტის ზრდა. ეს იმას ნიშნავს რომ, დაგეგმვა არა მხოლოდ ოპერატიულ დავალებებს ასრულებს, არამედ პერსპექტიული განვითარების დავალებებსაც, რომელიც არის დაგეგმვის ახალი მომენტი და ასახავს ხარისხობრივად ამ ფუნქციის სხვა მნიშვნელობას.

- ამასთან დაკავშირებით მართვის ფუნქციის შემადგენლობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლიება, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია დაგეგმვის ფუნქციის შესრულებასთან და ხელს უწყობს მის სრულ რეალიზაციას.

ეს ნიშნავს, რომ ტრანსნაციონალური კომპანიის მართვის ფუნქციის შესწავლას არ შეიძლება მიუდგეთ სუფთა ფორმალური მხრიდან, აუცილებელია ცვლილებების გამოაშკარავება და გაანალიზება, რომელიც ხდება მართვის გაგებასა და წარმოდგენაში. ეს ცვლილება ასახავს ღრმა პროცესებს, რომელიც ხდება მსოფლიო ეკონომიკაში, და რომლებსაც ცდილობენ შეეთავსონ თანამდეროვე ტრანსნაციონალური კომპანიები.

კომპლექსური მიდგომა ტრანსნაციონალური კომპანიის ცენტრალიზებული მართვის ფუნქციის შესწავლისადმი მოიცავს ისეთ ფუნქციებს, როგორცაა

შიდასაფირმო დაგეგმვა და კონტროლი, რომლებიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული და ავსებენ ერთმანეთს.

თანამედროვე ეტაპზე მზარდ მნიშვნელობას ღებულობს მართვის ეკონომიკური მეთოდების სრულყოფა, რომლებიც დაფუძნებულია მარკეტინგის სიტემის გამოყენებაზე. ეს განპირობებულია როგორც ფირმის ზომების ზრდით, შემაღენლობისა და ხასიათის გართულებით, ასევე პროდუქციის რეალიზების სირთულის ზრდით მსოფლიო ბაზარზე. ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება ფირმის გლობალური სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც დაფუძნებულია კონკრეტული სახის პროდუქციის ხანგრძლივ და სტაბილურ წარმოებაზე, კონკრეტულ ბაზრებზე. თავისი წარმოების და გაყიდვების პროგრამების კონკრეტულ ბაზართან შეთავსებით, ტრანსნაციონალური კომპანია მუშაობს, რომ მიიღოს მოგება ეკონომიკური სხვაობიდან სხვადასხვა ქვეყნის ბაზრებს შორის; დაიპყროს ან შეინარჩუნოს პოზიცია; უზრუნველყოს თავისი წარმოება მატერიალურად, ისარგებლოს მეცნიერულ – ტექნიკური პროცესებით. ხოლო ეს მოითხოვს ყოველ მხრივ და ღრმად შესწავლილ იქნეს ცალკეული ბაზრების მოთხოვნა და შეთავსდეს მომხმარებელთა მოთხოვნასთან. ის ფაქტი, რომ ბაზრის შესწავლა და ანალიზი თამაშობს განსაზღვრულ როლს ტრანსნაციონალური კომპანიის ძირითადი მიმართულების ფუნქციონირებასა და განვითარების ფორმირებაში, განსაზღვრავს გარკვეულწილად მთელ მათ საქმიანობას და ზრდის მოხოვნებს მეურნეობის ეკონომიკური მეთოდებით.

უმთავრეს შემადგენელ ნაწილს ტრანსნაციონალური კომპანიის ეკონომიკური მექანიზმის სრულყოფისა წარმოადგენს მარკეტინგის და დაგეგმვის შემდგომი განვითარება, მათი მჭიდრო კავშირი. ეს ნიშნავს, რომ ტრანსნაციონალური კომპანიის მართვის ოგანიზების შესწავლას არ შეიძლება მივუდგეთ საერთო კრიტერიუმებით, აუცილებელია გამოვავაშკაროთ და გავაანალიზოთ კონკრეტული ფირმის მართვის სფეროში მიმდინარე ცვლილებები, რომელიც გამოყოფს მათ განსაკუთრებულ დამახასიათებელ ნაწილებს.

ცენტრალიზების დონის ზრდა ტრანსნაციონალური კომპანიის მმართველობაში თანამედროვე ეტაპზე ვარაუდობს მომავალი განვითარების ისეთ

მართვის ფუნქციებს, როგორცაა მარკეტინგი, შიდასაფირმო დაგეგმვა და კონტროლი. სახეცვლილებით, ეს ფუნქციები ახდენენ გავლენას ცენტრალურ მართვაზე, იღებენ ახალ სახეს და მახასიათებლებს, რომელიც მიიღწევა მხოლოდ მათი საქმიანობით და კონპლექსური შესწავლით.

ცენტრალიზებული მართვა გამომდინარეობს ფირმის ჩარჩოებში გლობალური სამეურნეო პოლიტიკის გატარების აუცილებლობით, რომელიც ითვალისწინებს, ძირითადად, საერთო ამოცანების შემუშავებას და ყველა განყოფილების შეთანხმებულ მოქმედებას მათი შესრულების მიზნით. ამიტომ რეალიზების პროცესში რომლებიც მითითებულია ზედა ფუნქციაში, მთავარ როლს თამაშობს მათი უშუალო კავშირი დაბალი რგოლის მართვასთან ე.ი. საწარმოო განყოფილება და შვილობილი კომპანია, რომელიც ჯამში უზრუნველყოფს ტრანსნაციონალური კომპანიის ეფექტურ მუშაობას თანამედროვე პირობებში.

შიდასაფირმო დაგეგმვისა და კონტროლის განხილვა – ცალკე, და ასევე მათი ურთიერთკავშირი – გვაძლევენ შესაძლებლობას გამოვააშკარაოთ და უფრო ღრმად გავიგოთ მარკეტინგის ფუნქცია, როგორც დეცენტრალიზებული მართვის სფეციფიური ფუნქცია.

თანამედროვე ტრანსნაციონალურ კომპანიებში მართვის ორგანიზების მახასიათებელ დეტალს წარმოადგენს ცენტრალიზაციისა და დეცენტრალიზაციის პრინციპების შესაბამისობა, როდესაც უფლებამოსილება სტრატეგიული რიგის კითხვებთან დაკავშირებით ექმვემდებარება სათაო კომპანიის მაღალ დონეს, ხოლო ოპერატიული კითხვები, როგორც წესი – მართვის დაბალ დონეს. ხშირ შემთხვევაში კი ტერიტორიულად გაწონასწორებულ წარმოება – სამეურნეო განყოფილებებს.

დეცენტრალიზაცია ითვალისწინებს სათაო კომპანიაში ავტონომიურ საწარმოო განყოფილებების შექმნას, რომლებიც სარგებლობენ სამეურნეო დამოუკიდებლობით. ე.ი. გათვალისწინებული უფლებამოსილებით როგორც წარმოების, ასევე გაყიდვებისა სფეროში და პასუხისმგებელია მოგების მიღებაზე. სათაო კომპანიის უმაღლეს ადმინისტრაციულ ფუნქციებში შედის განყოფილების

ოპერატიული საქმიანობის კონტროლი, მათი სამუშაოს კოორდინაცია და ძირითადი მიმართულების განსაზღვრა საქმიანობის ეფექტურობისა და მოგების უზრუნველსაყოფად. დეცენტრალიზაციის საზღვარი განისაზღვრება უფლებამოსილების საზღვრებში.

ფირმის ყველა განყოფილების ერთიანად დაქვემდებარება და საერთო პოლიტიკის გატარება ხდება საწარმოო საქმიანობის განყოფილებებზე ოპერატიული კონტროლის გაძლიერების გზით, მათი გაერთიანება საწარმოო – სამეურნეო ჯგუფებად და ასევე ფინანსური კონტროლის გამკაცრების გზით. დაგეგმვა გახდა მაღალცენტრალიზებული, განსაკუთრებულად პერსპექტიული, ტექნიკური პოლიტიკა და ინვესტიციის პოლიტიკა, ოგანიზაციულ მეცნიერულ – კვლევითი სამუშაოებისა და ახალი ტექნიკის დანერგვა, ბაზრების განყოფილებები და მომარაგების სფერო, რომელიც მჭიროდაა კავშირში წარმოებასთან, ფინანსური ანგარიშგორების და სატრანსპორტო ოპერაციების მართვა.

ტრანსნაციონალი კომპანიის მართვის ცენტრალიზების პრინციპების გაძლიერებაში დიდ მნიშვნელობას იძენს ისეთი მეთოდების ფართოდ გამოყენება, როგორცაა სისტემური ანალიზი, პროგრამირება და მოდელირება, ეკონომიკურ – მათემატიკური მეთოდები, ოპერაციებისა და თამაშების თეორია, ასევე ინფორმაციული სისტემების დანერგვა, ავტომატური შეგროვების და ინფორმაციის დამუშავების მეთოდები და ა.შ.

კომუნიკაციური საშუალებების პროგრესი ხელმძღვანელობის მაღალ დონეს აძლევს საშუალებას ოპერატიულად და მთელი ფართო მაშტაბით დაუყოვნებლივ მიიღოს ინფორმაცია, სამეცნიერო ლაბორატორიებიდან, რომლებიც განლაგებულია სხვადასხვა ქვეყნებში. ხშირ შემთხვევაში ამით არის განპირობებული მართვის სტრუქტურის გამარტივება, რომელიც თანაშობს გადამწყვეტ როლს წარმოების ეფექტიან ამაღლებაში.

შესამჩნევია ტრანსნაციონალური კომპანიისათვის დამახასიათებელი ორი ერთნამეთის საწინააღმდეგო ტენდენციის განვითარება: ერთის მხრივ, ხდება გაერთიანება და შერწყმა სხვადასხვა საწარმოო პროცესებისა ერთიან ტექნოლოგიურ პროცესად, რომელსაც მოიცავს ფირმა და მეორეს მხრივ

ძლიერდება დანაწევრიანების ტენდენცია – წარმოების პროცესების განცალკევება, ე.ი. წარმოების სპეციალიზაციის გაღრმავება. ამ პირობებში იზრდება მართვის ცენტრალიზაციის მნიშვნელობა, შეგნებულად შექმნილი ურთიერთკავშირი.

ტრანსნაციონალური კომპანიის მართვის ცენტრალიზებული და არაცენტრალიზებული მართვის პრინციპი ურთიერთ შეთავსებადობაზეა აწყობილი. წარმოების მაშტაბის ზრდა, საწარმოო სირთულეები, ტერიტორიული ინტერესების სიმრავლე და გამოშვებული პროდუქციის მრავალფეროვნება ლოგიკურად ითხოვს ორგანიზაციის მართველობითი ქვედანაყოფების დაარსებას, რომელთაც ორგანიზაციის ცენტრის მოთხოვნების შესასრულებლად ოპერატიული გადაწყვეტილების მიღების უფლება უნდა მიენიჭოს, ხოლო ასეთი გადაწყვეტილება ორგანიზაციის მართვას დეცენტრალიზაციისკენ გადახრის. ამავდროულად უწყვეტი რეფორმები წარმოებაში, რომლებიც გამოწვეულია მეცნიერულ ტექნოლოგიური რევოლუციით, წარმოების ორიენტირება კონკრეტულ ბაზარსა და მომხმარებელზე იწვევს ორგანიზაციის შიდა მართველობაში ისეთ მარკეტიგულ გათვლებს, როგორცაა დაგეგმვა, ანალიზი, პროგნოზირება, ახალი მეთოდებისა და ურთიერთობის ძიებას ბანკებით სხვა საწარმოო ორგანიზაციებთან, მკაცრი კონტროლის და კოორდინაციის გაწევა ყველა ქვედანაყოფებთან / სტრუქტურულ ერთეულებთან. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედება ორგანიზაციას უფრო ცენტრალიზებული მართველობისაკენ აძლევს მიმართულებას.

აღნიშნული დასტურდება 1980–იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების წამყვანი ფირმების მართვის მაგალითებზე დაყრდნობით. აქ ორგანიზაციის ცენტრალიზაციის გაძლიერებისა და პროდუქციის დივერსიფიკაციის პროცესი ურთიერთშეთანხმებულად მიმდინარეობდა. ამ წლებში სტრუქტურული რეორგანიზაცია პერმანენტულად ხორციელდებოდა ისეთ ორგანიზაციებში როგორებიცაა: „ჯენერალ მოტორსი“, „ჯენერალ ელექტრიკი“, „დიჯიტალ ექვიპმენტ“ და სხვ..

პარტნიორულ პრინციპებზე დაფუძნებული სააქციო საზოგადოება სარგებლის მისაღებად მართვის და ადამიანური რესურსების მენეჯმენტის სხვა და სხვა მეთოდებს მიმართავს.

თანამედროვე მსხვილ საწარმოებში ადამიანური რესურსების, მათი კვალიფიკაციის და თვითშეგნების გამოყენება ხშირად და აუცილებლად ორგანიზაციის მართვაში გადაწყვეტილების მიღების დროს ხდება. დღეს ყველა ხვდება, რომ ორგანიზაციის მმართველებსა და დაქირავებულებს შორის ურთიერთთანამშრომლობაზე დამოკიდებული წარმოებისა და პროდუქციის ხარისხი. აქედან გამომდინარე ყველაზე ოპტიმალური მართველობის ფორმაა სააქციო საზოგადოება სადაც აქციების მფლობელები თავად ორგანიზაციაში მომუშავე პირები არიან და შესაბამისად ინტერესიც უკეთესი შედეგის მიღწევის, წარმოების პროცესის სრულყოფის საგრძნობლად მაღალია. აქციის მფლობელ თანამშრომლებს უვითარდებათ ახალი ფასეულობები, როგორცაა: თვითრეალიზაციისაკენ სწრაფვა, გადაწყვეტილებების მიღებისა და მათი ფორმირების პროცესში მონაწილეობის მიღება, ხოლო შემდგომ ეტაპზე კი პასუხისმგებლობის მძაფრი განცდა მიღწეული გადაწყვეტილების შესრულებაზე. აქედან გამომდინარე პარტნიორული ურთიერთობები ორგანიზაციაში კანონზომიერია და ობიექტური პროცესია, რომელიც ყველა განვითარებულ ქვეყანაში უპირობოდ სრულდება.

პარტნიორული ურთიერთობების განვითარება დამქირავებელსა და თანამშრომლებს შორის ითვალისწინებს:

- მენეჯმენტში დიქტატურის შესუსტებას;
- თანამშრომელთა დაინტერესებას ორგანიზაციის წარმატებული საქმიანობით;
- საქმიანი ურთიერთობის გაუმჯობესებას წარმოებაში, კადრების გადინების, გაცდენების და გაფიცვების შემცირებას, კლიმატის გაუმჯობესებას წარმოების მთელ ციკლში;
- სახელმწიფოს მხარდაჭერა, საკანონმდებლო ბაზის შექმნა დაქირავებულთა მონაწილეობაზე ორგანიზაციის სტრუქტურებში, სოციალური ფონდების შექმნა

რათა თანამშრომლების მიერ მოხდეს ორგანიზაციის აქციების შესყიდვა, დამატებითი შემოსავლების განაწილება თანამშრომელთა შორის, მიეცეს საგადასახადო შეღავათები ფირმებს.

სამუშაო პროცესის გართულებასთან ერთად იცვლებოდა თანამშრომლებთან მიდგომაც. მართველობითი ობიექტიდან იგი იქცა წარმოების პროცესის სუბიექტად. დემოკრატიზაციის პროცესის სურვილი წარმოებაში, როგორ დასაქმებულთა ასევე დამსაქმებელთა ყველა ჯგუფიდან გამოიკვეთა. პროფესიული კვალიფიკაციის დონე, სპეციალური განათლება და თანამედროვე დაქირავებულის მუშაობის კულტურა მასში ორგანიზაციის მართვაში მონაწილეობის მიღების მოთხოვნას წარმოშობს.

პროფესიონალიზაცია გულისხმობს როგორც პროფესიულ სპეციფიკურ განათლებას ასევე საქმიან ეთიკას, შინაგანი მოტივაციის ზრდას, კონკურენტუნარიანობის შემცირებას თანამშრომლებს შორის.

საწარმოო დემოკრატია ითვალისწინებს არა მარტო მომუშვეთა ინტერესებს არამედ იგი ასევე რენტაბელურია. ტერმინმა „საწარმოო დემოკრატია“ პირველად 1897 წელს გაიჟღერა ამავე სახელწოდების ვ.ს. უების წიგნში. ეს ტერმინი მეტწილად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დღესაც გამოიყენება, ფირმებში, სადაც თანამშრომელთა მონაწილეობა განისაზღვრება ორგანიზაციულ მართვაში. ასეთ ქვეყნებში თანამშრომელთა უფლებები და პასუხისმგებლობა განიხილება სწორედ საწარმოო დემოკრატიის კუთხით მიუხედავად იმისი თუ როგორ ზემოქმედებას ახდენს იგი წარმოებაზე.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის ურთიერთთანამშრომლობისას საწარმოო დემოკრატიის გამოყენება ბევრად მნიშვნელოვანია ვიდრე აშშ-ში. ეს ყოველივე გამოხატულია თანამშრომელთა მეტი ჩართულობით საწარმოო პროცესებში, მოგებაში თუ პროდუქტების რეალიზაციაში. ჩართულობა მესაკუთრეობაში მეტწილად გამოწვეულია დასავლეთ ევროპის ქვეყნების ორგანიზაციული მოწყობით, რომელიც საგრძნობლად განსხვავდება აშშ-ში დაარსებული ფირმების მართვის პოლიტიკისაგან. ამ ქვეყნებში მეტად განვითარებულია საწარმოო კოოპერატივები,

რომლებიც თვითმართვად სტრუქტურულ ერთეულებად განიხილება, ასევე სახელმწიფო ორგანიზაციები სადაც თანამშრომლები მონაწილეობენ საწარმოს ოპერატიულ მართვაში.

კოოპერატიული ფირმების მართვაში გადაწყვეტილებები მიიღება კოლექტიურად, ერთი კაცი ერთი ხმის პრინციპით. ასეთი ფირმები კონკურენციას უწევენ კერძო კომპანიებს შემდეგ საკითხებში: შრომის ნაყოფიერება, სოციალური კლიმატი, კადრების გადინება, სამუშაო დროის გაცდენა, გაფიცვები და ასევე მოგების თანაბარი გადანაწილება. თუმცა ჩამორჩებიან ინვესტიციის საკითხებში, რადგან ასეთი მმართველობა ნიშანდობლივია ქონების/მოგების განიავებაში, რისკების ფაქტორების გაუთვალისწინებლობისა და ტექნოლოგიური სიახლეების უგულვებელყოფისათვის. გარდა ამისა კოოპერატივები ცდილობენ დაიქირაონ ნაკლები მენეჯერი, რაც ხელს უშლის მართვის პროფესიონალურ განვითარებას.

კოოპერატივები ხშირად აწყდებიან სირთულეებს კაპიტალის მოზიდვაში, რადგან ინვესტორები ერიდებიან განახორციელონ კაპიტალდაბანდება ისეთ ფირმებში რომლებიც არ არიან პასუხისმგებელნი რისკის ფაქტორებზე.

საწარმოო დემოკრატიზაციის დანერგვა გერმანიაში გაცილებით ადრე დაიწყო ვიდრე სხვა ევროპულ ქვეყნებში და გამყარებული იქნა სამეწარმეო კანონმდებლობით.

კომპანიებში სდაც თანამშრომელთა რაოდენობა მოიცავს 500–2000 მუშაკს, მათ ეძლევათ კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოში ადგილების ერთი მესამედი. მართველობაში მუშა მოსამსახურეების ინტერესებს წარმოადგენს ერთი დირექტორი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი ურთიერთთანამშრომლობა დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის წარმოადგენს წარმოების ჯანსაღ კლიმატს.

მუშა მოსამსახურეების აუცილებელ მონაწილეობას კომპანიის დირექტორთა საბჭოში ხმის უფლებით ასევე ითვალისწინებს შვედეთის, ავსტრიის, ჰოლანდიის, დანიის და ლუქსემბურგის ქვეყნების კანონმდებლობაც. საფრანგეთში დირექტორთა საბჭოში ასევე წარმოადგენილია კადრი, გადაწყვეტილების მიღებისას ხმის მიცემის გარეშე.

1975 წელს ევროკავშირმა გამოსცა „მწვანე წიგნი“ კომპანიის საორგანიზაციო საკითხებში მუშა მოსამსახურეთა მონაწილეობის შესახებ. იმ ფორმებს სადაც დაკავებულია 500 თანამშრომელზე მეტი რეკომენდაცია გაეწიათ ჩამოაყალიბონ დირექტორთა სამეთვალყურეო საბჭო, სადაც ხმების ერთი მესამედი მიეკუთვნება აქციონერებს, ერთი მესამედი პერსონალს და დანარჩენილი ერთი მესამედი პირებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული არც თანამშრომლებთან და არც მესაკუთრებთან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში თანამშრომელთა მონაწილეობა მართვის ქვედა დონეებში ბევრად უფრო ხშირია ვიდრე ზედა დონეებში გარდა ინგლისისა. თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ წარმოების ოპერატიულ მართვაში საამქროს ფარგლებში. ზოგიერთ კომპანიებში იქმნება თანამშრომელთა საბჭოები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას თანამშრომელთა დაქირავება განთავისუფლების, სამუშაო რეჟიმის, უსაფრთხოებისა და პროდუქციის ხარისხის კონტროლთან დაკავშირებით.

ევროპულ კომპანიებში გათვალისწინებულია შესაძლებლობა შეიქმნას დამოუკიდებელი საბჭო, რომელიც წარმოდგენილი იქნება მუშა მოსამსახურეთა სახით. საბჭოს წევრთა რაოდენობა და ინსტრუქციები რომლებიც არეგულირებს მათ არჩვენებს, მუშა მოსამსახურებთან კონსულტაციის შემდეგ, განისაზღვრება ფირმის წესდებით.

დამოუკიდებელი საბჭო უფლებამოსილია სამ თვეში ერთხელ მიიღოს ამომწურავი ინფორმაცია კომპანიის მდგომარეობის და განვითარების სამომავლო პროსპექტივების შესახებ, მოამზადოს და მიიღოს გადაწყვეტილებები აქტუალური პრობლემების გადასაჭრელად ორგანიზაციის მმართველობაში.

1970-იან წლებში ამერიკის შეერთებულ შტატებში აპრობირებული იყო ავტოკრატული მმართველობითი სისტემა, რომელიც გადაწყვეტილებების მიღების ფუნქციას მხოლოდ პროფესიონალ მენეჯერებს აკისრებდა. ევროპის ქვეყნებთან შედარებით ამერიკის შეერთებულ შტატებში დღესაც არ გამოიყენება თანამშრომელთა მონაწილეობის პრაქტიკა ორგანიზაციის მართვაში დირექტორთა საბჭოს დონეზე.

ორგანიზაციის მართვის საკითხებში თანამშრომელთა ხმის უფლება მწირია. კერძო ორგანიზაციებში კანონმდებლობაზე დაყრდნობით თანამშრომელთა წარმომადგენელს მონაწილეობის მიღების უფლება აქვს გარკვეული საკითხების გადაწყვეტაში. მაგ.: ფირმის ლიკვიდაცია, სხვა ფირმასთან შერწყმა, ადგილმდებარეობის შეცვლა.

კომპანიის მართვასა და კონტროლში მონაწილეობის მიღების უფლებას თანამშრომლები ხშირად გადასცემენ სპეციალურ კომიტეტს, რომელიც შედგენილია კომპანიის ადმინისტრაციის მიერ და მასში ასვე შეიძლება იღებდეს მონაწილეობას პროფკავშირებიც. ეს გამოწვეულია თანამშრომელთა ნაკლები დაინტერესებით ფორმალურ წარმომადგენლობებში ორგანიზაციის მართველობით სტრუქტურებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ორგანიზაციის მართველობით საკითხებში თანამშრომლების ტრადიციული ჩართულობის ფორმა გამოიყენება ქვედა საწარმოო რგოლში. საუბარია მცირე პრობლემურ ჯგუფებზე სადაც 15%-მდე თანამშრომლები იღებენ მონაწილეობას. ასეთი ჯგუფები უპირველეს ყოვლისა ორიენტირებული არიან კონკრეტული საწარმოო პროცესების დახვეწაზე, ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტაზე და თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

ამერიკული კომპანიაბისათვის შედარებით ახალ ფორმას წარმოადგენს ხარისხის რგოლების მეთოდი, რომელიც იაპონური ფირმებიდან არის ნასესხები. ამჟამად ამერიკულ ფირმებში 300 000-მდე ხარისხის რგოლი მოქმედებს.

პრობლემური ჯგუფების მზგავსად ხარისხის რგოლებიც ცდილობენ თანამშრომლების ტექნოლოგიურ დონეზე წარმოებაში ჩართვას და უპირველეს ყოვლისა გამოშვებული პროდუქციის ხარისხის კუთხით მათ გამოყენებას. ხარისხის რგოლები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ახალი სისტემების დანერგვაში, როგორც არის „ზუსტად დროში“, მომსახურების ახალი სისტემები და წარმოების განახლებული მიმართულებები. ამასთან ერთად პრობლემური ჯგუფებისა და ხარისხის რგოლების საქმიანობა ხშირად განსხვავდება ორგანიზაციის არჩეული მიმართულებისაგან. მართველობით მაღალ რგოლში თანამშრომელთა ჩართვისათვის ამერიკაში დირექტორთა საბჭოებში იქმნება სპეციალური კომიტეტები, რომლებშიც შედიან ყველა რგოლის თანამშრომელთა

წარმომადგენლები. ისინი ძირითადად ორიენტირებული არიან კონკრეტული პრობლემების გადაჭრაზე, ფირმის რეორგანიზაციაზე და ასევე თანამშრომელთა მართვის ახალი სისტემების დანერგვაზე. ზოგიერთ ფირმებში იქმნება დროებითი ჯგუფები, რომლებიც მოგების განაწილებით არიან დაკავებული.

იაპონიაში თანამშრომლებს არ ყავთ თავიანთი წარმომადგენელი დირექტორთა საბჭოში. მიუხედავად ამისა იაპონური სისტემა გულისხმობს დამქირავებელსა და დაქირავებულს შორის ურთიერთთანამშრომლობას რაც დემოკრატიულად ითვლება. იგი დაფუძნებულია ერთობლივი კონსულტაციების ჩატარებაზე საერთო კონსენსუსის მიღწევის მიზნით.

ეფექტური მართვის ცხრა პრინციპი

ვ. დოვგანი

პირველი პრინციპი გულისხმობს: ჩვენ მმართველები ვმუშაობთ არა ჩვენთვის არამედ ხალხისათვის.

მართვა არის მუშაობა ხალხისათვის და არა ძალაუფლებისათვის. სახსრები, რომლებიც ჩართულია წარმოებაში, ფინანსურ სფეროში, წარმოადგენს ბრწყინვალე ინსტრუმენტს საზოგადოების განვითარებისათვის. როდესაც ფინანსები მიმართულია პირადი ინტერესების დასაკმაყოფილებლად და წარმოადგენს გადაჭარბებულ უსაფუძვლო დანახარჯებს, იგი გარდაიქმნება გამოუსწორებელ სიბოროტედ.

პირველი თეზისის უკუპრინციპია მმართველის მოტივაცია. ძალზედ მნიშვნელოვანია მმართველის მიზანი, გეგმები და მიღწევის საშუალებები. რას მოელის საკუთარი თავისაგან? თავისთვის, საზოგადოებისათვის, კომპანიისათვის? მმართველის მოღვაწეობამ უპირველეს ყოვლისა კეთილდღეობა უნდა მოუტანოს თანამშრომლებს კომპანიაში და კომპანიამ საზოგადოებას.

მეორე პრინციპი: არ არსებობს ცუდი კადრი, ის უბრალოდ არასწორ პოზიციაზე მუშაობს. კადრი არ ცდება/იპარავს არამედ მმართველები აყენებენ მათ ცუდ მდგომარეობაში.

ადამიანი ყველა თავისებურად ნიჭიერია. ხელმძღვანელის ნიჭი კი ამ ხალხის მიზანმიმართულად გამოყენებაა. როცა რაიმე არ გამოდის ამ შემთხვევაში ისჯება კონკრეტული პიროვნება, არადა ხელმძღვანელმა სიტუაციიდან გამოსა-

ვალი უნდა მოძებნოს. მენეჯერს უნდა შესწევდეს უნარი თანამშრომლის ნიჭის შეცნობის და კომპანიაში მისი შესაძლებლობების ოპტიმალურად გამოყენების: ერთ-ერთი თანამშრომელი კარგი ორგანიზატორია, მეორეს შეუძლია ნებისმიერი სირთულის გადალახვა, მესამე კი აფიქსირებს და ინიშნავს. მმართველმა ეს ძვირფასი ქვეები მოზაიკაში თუ ჰარმონიულად არ განალაგა ქაოსი გარდაუვალა.

მესამე პრინციპია: ადამიანებზე მუდმივი ზრუნვა.

ხელმძღვანელს უნდა ახსოვდეს: ის კომპანიის თავია, წარმატება მისი, კოლექტივის და ქვეყნის ინტერესია, თუმცა მიზნის მისაღწევად არ უნდა დაივიწყოს ხალხი, რომელიც მას დაქირავებული ყავს ამ საქმისთვის. თუმცა ბუნებრივია რიგითი თანამშრომლები არ ითავისებდნენ ხელმძღვანელობის ინტერესებს, ფირმის მომავალს 50 წლის შემდეგ, ხელმძღვანელობის სწრაფვას განავითაროს კომპანია და გაზარდოს შემოსავალი.

ბევრი ხელმძღვანელის შეცდომაა ის, რომ იგი იმდენად გართულია მმართველობით ილუზიით, რომ ვეღარ აღიქვამს ზღვარს თავისი და დაქირავებული მუშახელის მოთხოვნილებებს შორის.

მეოთხე პრინციპი: შეთანხმებული გუნდური მუშაობა.

ნებისმიერი გუნდი ერგება ხელმძღვანელს, თუ გუნდის წევრთა მიზანი საერთო წარმატება ადვილად მიღწევადია. ყველაზე რთული სწორედ ასეთი გუნდის შეკვრაა, რომელსაც სჯერა თავისი ლიდერის ისიც თავის მხრივ დარწმუნებული უნდა იყოს წარმატებაში.

მეხუთე პრინციპი: „არ დასაჯო თანამშრომელი“

მეექვსე პრინციპი: პირადი მაგალითი.

ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა საქმისადმი ყოველთვის მაგალითია თანამშრომელთათვის. თუ ხელმძღვანელი ბოროტად იყენებს სამსახურეობრივ უფლებებს იტყუება და საქმისადმი იჩენს ზერელე დამოკიდებულებას, თანამშრომლებისაგან იგივეს მიიღებს, თუნდაც ზედმეტი ხელფასი რომ უხადოს მათ. სამწუხაროდ ახალგაზრდა ხელმძღვანელებს უჭირთ გაანალიზონ, რომ წარმატების მიღწევის შემდეგ თუ სურთ მიიღონ თანამშრომლებიდან მეტი სარგებელი, ამისთვის

თავად ორმაგი მუშაობა მოუწევთ. თავს მეტი მოთხოვო და იყო პრინციპული მხოლოდ ამ შემთხვევაში მიიღებ კოლექტივისგან თანადგომასა და წარმატებას.

მეშვიდე პრინციპი: მართვა კაბინეტის გარეთ.

მცდარია აზრი, რომ წარმოების წარმატებული მართვა შესაძლებელია ოთახიდან. ეფექტური მართვა შესაძლებელია უშუალოდ წარმოებაში ჩართვით და ხალხთან ურთიერთობით.

მერვე პრინციპი: მოვალეობების სრული დელეგირება.

ეს თემა დღეს ბევრი მმართველისთვის მიუღებელია. ხელმძღვანელები გადაზღვევისას ზედმეტად აწუხებენ თანამშრომლებს. დაავალე თანამშრომელს და აცადე საქმის კეთება დაარწმუნე საკუთარ ძალებში და წარმატებაც გარდაუვალია.

მეცხრე პრინციპი: კომპეტენტურობა.

მმართველი ვალდებულია დეტალურად შეისწავლოს საქმე, გაანალიზოს სრული პროცესი და გაიაროს ყველა რგოლი, მხოლოდ ამის გათავისების შემდეგ შეუძლია აიღოს პასუხისმგებლობა მმართველობაზე და კონტროლზე.

ხელმძღვანელმა უნდა გადაუნაწილოს პასუხისმგებლობა თანამშრომლებს. სურვილი, იყო ჩართული ყველა მიმდინარე პროცესში, შუძლებელია და ვერ მოუტანს კომპანიას განვითარებას. პროცესების დელეგირება თანამშრომლებზე, მათი ნდობა, ძლიერი მმართველის თვისებაა, რომელსაც კოლექტივი აუცილებლად დააფასებს და თავდაუზოგავად იშრომებს საერთო საქმისათვის.

თავი 4. საერთაშორისო ბიზნესის სტრუქტურა და წარმოების ტრანსნაციონალიზაცია

ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებულია კომპანიის საერთაშორისო ბიზნესის აქტივიზაცია, რომლის შიგნითაც იგულისხმება სხვადასხვა ქვეყნების საწარმოებს შორის ხანგრძლივი და მყარი სამეცნიერო-ტექნიკური, ფინანსური და კომერციული კავშირების განვითარება. საერთაშორისო ბიზნესი, როგორც გლობალიზაციის ინსტრუმენტი თანამედროვე პირობებში, განისაზღვრება შემდეგი დამახასიათებელი ნიშნებით:

1. საერთო–საზოგადოებით და უნივერსალიზმით, თუმცა საერთაშორისო ბიზნესი რეგულირდება ასევე ქვეყნების შესაბამისი კანონებით, ის ითვლება ყველა საერთაშორისო კომპანიების საქმიანობის განუყოფელ ნაწილად;

2. ტექნოლოგიური გლობალიზაცია. კომპიუტერიზაციის, ინფორმატიზაციის და ასევე ტელეკომუნიკაციის შესაძლებლობებმა პრინციპიალურად შეცვალა საერთაშორისო ბიზნესის ხასიათი, რომელიც დღეს მთლიანად ფლობს მთელ მსოფლიო სისტემას საქმიანი საინფორმაციო გაცვლებისას, მსოფლიო ფინანსურ ბაზარს, ახალი ტექნოლოგიური დანერგვების გლობალ სტრუქტურას და აშ;

3. კროს–კულტურული ფაქტორი, რომელშიც იგულისხმება მოთხოვნათა თვითღირებულება და შეზღუდვები, დაფუძნებული თითოეული კონკრეტული ქვეყნის თვითმყოფადი კულტურის მატარებელ საერთაშორისო კომპანიებზე, რომლებიც აწარმოებენ ამ ქვეყნებში ბიზნესს;

4. ინტერნაციონალიზაციის დონე, რომელიც ერთი საერთაშორისო კომპანიისა მეორეს მიმართ არსებითად შეიძლება განსხვავდებოდეს.

5. კონკურენციის დონე: კერძოდ, ზოგიერთი საერთაშორისო კომპანიები შეიძლება სარგებლობდნენ საკუთარი ქვეყნის მხარდაჭერით სხვა კომპანიებთან ბრძოლაში.


საერთაშორისო ბიზნესი ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებებით, ფორმებით და სახეობებით, რომელთა კლასიფიკაცია მოცემულია ნახ. 1–ში.

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მოქმედებს საქმიანობის ფორმის არჩევაზე საერთაშორისო ბაზარზე წარმოადგენს:

- სამართლებრივი ასპექტები ბიზნესის მართვისა, რომლებიც ითვალისწინებს ზოგიერთი ფორმების პირდაპირ ან არაპირდაპირ აკრძალვას, საზღვარგარეთის მთავრობებისაგან საერთაშორისო კომპანიების საქმიანობაში;

- საერთაშორისო კომპანიების დანახარჯების სიდიდე;

- კონკურენციისა და რისკის დონე, რომელიც განსაზღვრავს საერთაშორისო ბიზნესის ფორმის თავისუფალ არჩევას და ასევე აქტივების და საერთაშორისო კომპანიების შემოსავლების დაცულობას.



ნახ. 10. საერთაშორისო ბიზნესის სტრუქტურა

განვიხილოთ მოკლედ საერთაშორისო ბიზნესის წარმოების ძირითადი ფორმები, რომლებიც აქტიურად გამოიყენებიან საერთაშორისო კომპანიების მიერ თანამედროვე პირობებში:

ექსპორტი. ექსპორტი – ყველაზე ტრადიციული და ყველაზე უბრალო ფორმაა საერთაშორისო ბიზნესის წარმოების, დაყოფილი პირდაპირ და არაპირდაპირ ბიზნესად. პირველ რიგში საექსპორტო ფუნქციებს ასრულებს სპეციალური კომპანია, რომლის მუშაობის ხარისხი მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ექსპორტიორი კომპანიის იმიჯზე. გაყიდვის მოცულობა ასეთი ფორმის ექსპორტის შემთხვევაში საკმაოდ უმნიშვნელოა. მეორე შემთხვევაში კომპანია უკეთებს ექსპორტს თავის საკუთარ პროდუქციას, ჩართული აქვს ამისათვის კომერციული ფილიალები, კომპანიის წარმომადგენლები, დისტრიბუტორები, რაც აძლევს მას საშუალებას ოპერატიულად თვალყური ადევნოს კონიუქტურას და ადაპტირება გაუკეთოს თავის პროდუქციას (საზღვარგარეთელი მომხმარებლის მოთხოვნილების მიხედვით).

ითვლება რომ ექსპორტი წარმოადგენს ყველაზე უფრო რისკიან მიმართულებას საერთაშორისო ბიზნესისას, ამიტომ ბევრი საერთაშორისო კომპანიისათვის ის ხდება სტრატეგიული, რომლის შედეგადაც ისინი იღებენ გამოცდილებას მართვის ბიზნესის უცხო გარემოში და საჭიროების შემთხვევაში, რისგანაც შეუძლიათ თქვან უარი კომპანიისათვის არამნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე.

ინტელექტუალურ საკუთრებებზე უფლებების გაცემა. ინტელექტუალური საკუთრება წარმოადგენს მთავარ კომერციულ აქტივს საერთაშორისო კომპანიისა და ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მნიშვნელოვან წყაროს კომპანიის კონკურენტუნარიანობისა. მასშტაბი და შესაძლებლობები საქმიანობის ლიცენზირებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბიზნესში. მართლია მიახლოებით 80% გადახდებისა ტექნოლოგიების გადაცემაზე და ნოუ-ჰაუ ხდება საერთაშორისო კომპანიების შიგნით (დედა კომპანიებისა და მის საზღვრებ გარეთ ფილიალებს შორის), თუმცა ლიცენზიების გადაცემა დამოკიდებული კომპანიებისათვის რჩება არანაკლებ მომგებიან ბიზნესად.

ლიცენზირებას უფრო ხშირად აქვს ეკონომიკური მოტივები, მაგალითად წარმოების საწყისი ეტაპის დაჩქარება, შეზღუდვის შემცირება, უფლების მიღება დამატებით რესურსებზე. ახალი პროდუქცია კომპანიის ან ტექნოლოგიური პროცესი, რომელსაც ფლობს საერთაშორისო კომპანია ხშირად გავლენას ახდენს მხოლოდ ნაწილზე, კომპანიის მიერ გამოშვებული პროდუქციის ძველ რაოდენობაზე და მხოლოდ დროის გარკვეულ პერიოდში. გაყიდვების მოცულობა შეიძლება აღმოჩნდეს არა ისეთი დიდი რომ შეძლოს დაფაროს ხარჯები საზღვარგარეთ შექმნილი საერთაშორისო კომპანიის წარმოების სიმძლავრეებისა და გაყიდვების სისტემის. გარდა ამისა არსებობს საშიშროება რომ, განვითარების პროცესში კონკურენტები გააუმჯობესებენ თავიანთ პროდუქციას, რის ხარჯზეც კომპანია დაკარგავს თავის უპირატესობას.

საზღვარგარეთ მოქმედი კომპანია, რომელიც ყიდულობს ლიცენზიას ახალ პროდუქციაზე ან ტექნოლოგიურ პროცესს, შეუძლია ნაკლები დანახარჯებით აწარმოოს პროექტი და პროდუქციის გაყიდვები, ასევე მცირე მოსამზადებელი სამუშაოები. ასეთ შემთხვევაში საერთაშორისო კომპანიის წარმოების ექსპლოატაციასთან დაკავშირებული და მატერიალურ-ტექნოლოგიური მომარაგების რისკი მცირდება. გარდა ამისა კომპანიამ შეიძლება აღმოაჩინოს რომ ლიცენზიების შექმნა უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ანალოგიური ტექნოლოგიების დამუშავება საკუთარი ძალებით.

ლიცენზიები იმის და მიხედვით თუ რა მოცულობის სამუშაოებს მოიცავს შეიძლება იყოს უბრალო, განსაკუთრებული და მთლიანი.

განსაკუთრებული ლიცენზიის დროს მყიდველს ეძლევა განსაკუთრებული უფლებები ობიექტის გამოყენებაზე შეთანხმებულ ტერიტორიაზე, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არა მარტო ერთ ქვეყანას, ასევე რეგიონს და შეიძლება მთელი რიგი ქვეყნების ჯგუფსაც.

მთლიანი ლიცენზია ნიშნავს კომპანიისადმი ყიდვის და ყველა ობიექტის გამოყენების უფლების გადაცემას, ანუ ფაქტიურად მთლიანად გაყიდვას ინტელექტუალური საკუთრებისა.

უბრალო ლიცენზიის დროს ლიცენზიის გამყიდველი ან იტოვებს ობიექტის გამოყენების ლიცენზიის უფლებას შეთანხმებულ ტერიტორიაზე თვითონ, ან უთმობს ამ უფლებას სხვა კომპანიებს.

სხვა კონკრეტული მეთოდი ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გადაცემის არის ფრანჩაიზინგი. ბევრ რამეში ფრანჩაიზინგი წააგავს ლიცენზირებას.

ფრანჩაიზინგი ეს არის საქმიანობა, რომლის დროსაც კომპანია, რომელიც ყიდულობს ფრანჩაიზინგს, გადასცემს მყიდველ კომპანიას გამოიყენოს მისი სავაჭრო ნიშანი(მარკა) და უწევს მუდმივ დახმარებას მყიდველს მის ბიზნესში, რომელიც გამოდის მათ შორის ფორმალური დამოკიდებულების ჩარჩოებიდან.

ინჟინერინგი. ინჟინერინგის ქვეშ იგულისხმება საერთაშორისო კომპანიის საქმიანობის სფერო, რომელიც დაკავშირებულია საინჟინრო – ტექნიკურ და საკონსულტაციო ხასიათის სამუშაოთა კომპლექსის შესრულებასთან.

ინჟინერინგი განისაზღვრება, როგორც საქმიანობის ინტელექტუალური სახეობების ერთობლიობა, რომელიც მიმართულია საინვესტიციო და სხვა პროექტების გადაწყვეტაზე რესურსებისა და ტექნოლოგიების გამოყენების, მათი რაციონალურ და ეფექტური შერჩევის ხარჯზე. მეტ ნაკლებად ხშირად გამოყოფენ ორი სახის ინჟინერინგს: კონტრაქტები მართვაზე და მზა (დასრულებული) კონტრაქტებზე.

საერთაშორისო ბაზარზე, ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ გაწეული ბიზნეს მომსახურების ყველაზე გავრცელებულ მეთოდს წარმოადგენს კონტრაქტები მართვაზე. საერთაშორისო კომპანიების აქტივების ერთ-ერთი უმთავრესი დეფიციტია ნიჭიერი მენეჯერები, ამიტომ, მიუხედავად მსხვილი კაპიტალდაბანდებებისა და პროგრესული ტექნოლოგიებისა ბევრ კომპანიას აქვს სირთულეები, არაკვალიფიციური მმართველი კადრების. კონტრაქტები მართვაზე წარმოადგენს საშუალებას, რის მიხედვითაც საერთაშორისო კომპანიებს შეუძლიათ გააგზავნონ თავისი მმართველი პერსონალის ნაწილი სხვა ქვეყანაში მოქმედი კომპანიის დასახმარებლად, ან გაუწიოს სპეციალიზირებული სპეციალური მმართველობითი მომსახურება, დროის გარკვეულ პერიოდში,

გარკვეულ თანხაზე. მართვაზე კონტრაქტები გამოიყენება იმისათვის, რომ უზრუნველყოს კლიენტების მომსახურების ფართო დიაპაზონი. (რომელიც მოიცავს საერთო მართვას, ფინანსურ მართვას, პერსონალის მართვას, საწარმოს მართვის მომსახურებას). კონტრაქტის დიდი ნაწილი ხშირად ეხება ადგილობრივი პერსონალის სწავლას, იმ მიზნით რომ გაიზარდოს კომპანიაში კლიენტის მომსახურებაზე პასუხისმგებლობა მომავალში⁵⁰.

მზა პროექტები გულისხმობენ კონტრაქტის დადებას საწარმოს მშენებლობაზე, რომლებიც გადაეცემიან მფლობელებს გარკვეული თანხის შემდეგ, როდესაც არის მიღწეული მთლიანი მზადყოფნა ექსპლოატაციის დაწყებისათვის.

საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც რეალიზებას უკეთებენ „დასრულებულ პროექტებს“, (გასაღების ჩაბარებით) უფრო ხშირად წარმოადგენენ სამრეწველო დანადგარების დამამზადებლებს. ისინი აწვდიან მოწყობილობათა ნაწილს პროექტის მიხედვით. დამკვეთის როლში, როგორც წესი გამოდის კომპანია, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს პროდუქციის გარკვეული სახეობის წარმოება. უკანსკნელ წლებში მოცემული სახეობების თითქმის ყველა მსხილი პროექტი დადებულ იქნა ქვეყნებში, რომლებიც იყვნენ ნავთობის მწარმოებლები, აჩქარებული ტემპებით აწვითარებდნენ იფრასტრუქტურას და მრეწველობას. ამგვარად ინჟინერინგული მომსახურების ბაზარმა უკანასკნელ დროს მიიღო დიდი განვითარება. მსგავსი კონტრაქტების ჯამური მოცულობაერთერთი მაჩვენებელია, რომელიც აიძულებს მოცემული მოქმედების სფერო გამოყოს საერთაშორისო ბიზნესის სხვა ოპერაციებიდან. ბევრი კონტრაქტი აქ იდება მილიარდობით დოლარზე. ეს ნიშნავს, რომ შესაბამისი ბაზარი გაყოფილია მძლავრ საერთაშორისო კომპანიებს შორის.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები(პუი)⁵¹ ეს არის საერთაშორისო კომპანიისათვის მეთოდი, რათა გაზარდოს თავისი კონკურენტუნარიანობა თანამედროვე გლობალურ ეკონომიკაში.

⁵⁰ Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005. С.16.

⁵¹ პუი-ს ბევრად გავრცელებული ფორმულირება მოცემულია მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მიერ, რომლის მიხედვით პუი ეს არის ინვესტიცია, როდესაც ერთის მხრივ, ინვესტორი რეზიდენტი გაიტანს საკუთარ აქტივებს სხვა ქვეყანაში, მასზე კონტროლის მიღების პირობით. www.wto.org/english/tratop_e/invest_e.htm

საერთაშორისო კომპანია პრაქტიკაში ახორციელებს უცხოურ ინვესტიციებს ან არსებულ უცხოური კომპანიის შეძენისას, ან ერთობლივ აქციონერულ საწარმოს შექმნას, რომელიც განთავსებულია უცხოურ ბაზარზე, ან ქმნის კომპანიას უცხოეთში „ნულიდან“. პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანა ასტიმულირებს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს და მიისწრაფვის გააუმჯობესოს საინვესტიციო კლიმატი მათთვის: აუქმებენ ადრე არსებულ შეზღუდვებს, აძლიერებენ გარანტიებს ნაციონალიზაციისაგან, უზრუნველყოფენ დიდ სივრცეს საბაზრო კონკურენციისათვის. კაპიტალის გატანა ამჟამად წარმოადგენს უმთავრეს ფაქტორს საერთაშორისო კომპანიის ფორმირებასა და განვითარებაში.

თავი 5. წარმოების ტრანსნაციონალიზაცია და მისი ძირითადი მიზეზები

საზღვარგარეთ წარმოებისა და კაპიტალის ექსპანსიის შედეგად საერთაშორისო კომპანიებმა მსოფლიო ეკონომიკა გადააქციეს საერთაშორისო წარმოებად, რითაც საფუძველი დაუდეს მისი განვითარების ახალ ეტაპს – საერთაშორისო ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციას. სამეურნეო ცხოვრების ინტერნეციონალიზაციის მთავარ ფორმას დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა საერთაშორისო ვაჭრობა. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების მსოფლიო განვითარება ამ ეტაპზე გახდა წარმოებისა და ტრანსნაციონალიზაციის პროტესტები. მოცემულ შემთხვევაში საერთაშორისო ვაჭრობა ასრულებს სპეციალიზაციისა და კოოპერირების ამოცანას. ამ შემთხვევაში აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ უმეტეს შემთხვევაში მოცემული ამოცანა სრულდება ერთი და იგივე ტრანსნაციონალური კომპანიის ჩარჩოში.

წარმოებისა და კაპიტალის ტრანსნაციონალიზაციაში მოცემულ შემთხვევაში იგულისხმება:

1. ახალი მოვლენები, ხარისხობრივი ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს მსოფლიო ეკონომიკაში, სახელდობრ, ტრანსნაციონალური კომპანიების და ტრანსნაციონალური ბანკების რიცხვისა და აქტივობის ზრდა;

2. მსოფლიო მეურნეობის ინტერნაციონალიზაციის პროცესის ახალი ეტაპი, განსხვავებული წინამორბედებისაგან: ქვეყნებისა და წარმოებების შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩართოს ხარისხის შეცვლა, რაც გამოიხატება სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესისა და საწარმოო პროცესის ინტერნაციონალიზაციაში, როდესაც მსოფლიო ბაზარი კარნახობს ხარისხის სტანდარტებს და პროდუქციის ტექნიკო-ეკონომიკურ მაჩვენებლებს, რომელსაც უშვებს როგორც დედა კომპანია, ასევე მისივე ფილიალები და შვილობილი კომპანიები;

3. სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ფორმა, რომლის შედეგს წარმოადგენს საერთაშორისო წარმოების განვითარება და ტნკ-ს ჩარჩოში, რომელიც მოიცავს წარმოებას დედა კომპანიების საწარმოებში, მის ფილიალებში და შვილობილ კომპანიებში პროდუქციის იმ სახეობებს, რომლებიც მონაწილეობენ საერთაშორისო შიგა საფირმო კოოპერირებაში;

4. კაპიტალისა და წარმოების ინტერნაციონალიზაციის ახალი, შედარებით მაღალი დონე, როდესაც ხორციელდება მისი გადასვლა ახალ ხარისხში;

5. ინტერნაციონალიზაციის პროცესი, რომელიც უწყვეტ კავშირშია ტნკ-ს მოღვაწეობის გაფართოებასთან, და ტნკ-ების გარდაქმნით საერთაშორისო საბაზრო ურთიერთობების რეალურ სუბიექტებად;

6. სამეურნეო ცხოვრების ორგანიზაციის ახალი ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის შემდგომ ინტერნაციონალიზაციას.

გლობალური ეკონომიკის ჩამოყალიბება, რომელსაც შესწევს უნარი იმუშაოს, როგორც ერთიანმა სისტემამ მთელი პლანეტის მაშტაბით რეალური დროის რეჟიმში, ხასიათდება ტრანსნაციონალური წარმოების პროცესის სწრაფი განვითარებით. საერთაშორისო კომპანიების საწარმოო ტექნოლოგიური ჯაჭვებიდან ცალკეული რგოლების ფართომასშტაბიანი გამოტანა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრებიდან, უცხოური ფილიალების ქსელის შექმნა, შვილობილი კომპანიების, გრძელვადიანი საკონტრაქტო ურთიერთობების დამყარება ნაკარნახევია მსხვილი ტექნიკო-ეკონომიკური წინსვლით საწარმოო ბაზაში, რაც დაკავშირებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებასთან.

კავშირისა და ინფორმაციის სრულყოფამ მიიყვანა მსოფლიო ქვეყნებსა და რეგიონებს შორის სივრცითი ბარიერის წაშლამდე. საკომუნიკაციო და სატრანსპორტო ხარჯები, ასევე საწარმოო პროცესების კოორდინაციაზე დანახარჯები შემცირდა იმ დონემდე, რომ უმეტეს შემთხვევაში მეტნაკლებად წარმოების ორიენტაციის ეფექტური მეთოდი ხდება მისი ცალკეული ფაზების განლაგება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. რის შედეგადაც ეროვნული მეურნეობები ეკონომიკურად იხლიჩება ცალკეულ ნაწილებად და ისინი ხდებიან ინტერნაციონალური წარმონაქმნების რგოლებად (კონცერნების, კავშირების და ა. შ. სახით).

ინტერნაციონალური სისტემა მოიცავს ერთიან საწარმოო ტექნოლოგიურ, საორგანიზაციო – საინფორმაციო, სოციალურ–ეკონომიკურ ბაზას, რომელიც ფარდობითად არის დამოკიდებული ნაციონალური ეკონომიკების ეფექტურობის პარამეტრებზე, სადაც განვითარებულნი არიან ცალკეული სტრუქტურული ქვეგანყოფილებები. სხვანაირად რომ ვთქვათ ტრანსნაციონალური ბიზნესი ხდება შედარებით დამოუკიდებელი თვითწარმოების პროცესებისაგან რომელიმე ქვეყნის ნაციონალურ საზღვრებში. უფრო მეტიც, სოციალურ–ეკონომიკური არაერთგვაროვნება ემსახურება, როგორც გენერატორი ტრანსნაციონალური ფორმირებების ზრდას და განვითარებას. ტრანსნაციონალური სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების კოორდინაცია მრავალჯერადად ზრდის მათ პოტენციალს კონკურენტულ ბრძოლაში.

წარმოების ტრანსნაციონალურ პროცესს, როგორც თანამედროვე მსოფლიო მეურნეობის ფენომენს აქვს ობიექტური საფუძველი. ტრანსნაციონალიზაციის ეკონომიკური პროცესები განაპირობებულია უპირატესი შესაძლებლობებით და აუცილებლობით კაპიტალის გადაადინებით ერთი ჯგუფის ქვეყნებიდან თავისი შედარებითი ზედმეტობით სხვა ქვეყნებში, რომლებშიც არის მისი დეფიციტი, სადაც ამასთან ერთად გაცილებით ბევრია წარმოების სხვა ფაქტორები, რომლებიც არ შეიძლება იქნას გამოყენებული ეფექტურად თვით წარმოების პროცესებში კაპიტალის უკმარისობის დროს. ამასთან ეს პროცესები განიცდის სტიმულირებას

რისკების შემცირების მოთხოვნით სხვადასხვა ქვეყნებში კაპიტალის განვითარების გზით.

ტრანსნაციონალური კომპანიების ჩამოყალიბებისა და განვითარების მიზეზები მრავალფეროვანია, მაგრამ ისინი ამა თუ იმ ხარისხით დაკავშირებული არიან ბაზრის არასრულყოფილებასთან, შეზღუდვების არსებობით საერთაშორისო ვაჭრობის განვითარების გზაზე, მწარმოებლების ძლიერი მონოპოლური ბატონობით, სავალუტო კონტროლით, მნიშვნელოვანი სატრანსპორტო დანახარჯებით, სხვადასხვა ქვეყნების საგადასახადო კანონმდებლობათა განსხვავებაში. წარმოების ტრანსნაციონალიზაცია საერთაშორისო კომპანიებს აძლევს რიგ უპირატესობებს, სახელდობრ, უცხოური ფილიალები უზრუნველყოფენ მათ ხელმიწვდომობას ნედლეულის უცხოური ბაზრების ნედლეულთან და საქონელთან, წარმოების დანახარჯების შემცირებას, მოგების ზრდას და ა.შ. მოცემული უპირატესობები სახეზეა, ამიტომ ისინი შეგვიძლია განვიხილოთ როგორც ტრანსნაციონალური წარმოების პროცესის აქტიური განვითარების მიზეზები. ჩამოვთვალოთ მათგან ძირითადი:

1. ეფექტურობის ზრდის და კონკურენტუნარიანობის გაძლიერების შესაძლებლობები, რომლებიც წარმოადგენენ საერთოს ყველა მსხვილი წარმოებისათვის და რომლებიც აერთიანებენ თვინთ სტრუქტურებში მომმარაგებელ საწარმოო, სამეცნიერო-კვლევით, გამანაწილებელ და გამსაღებელ საწარმოებს.

2. კომპანიის ხელშეუხებელი აქტივების (მართვის, მარკეტინგის და სხვა გამოცდილება) მობილურობის ზრდა, რომლებიც ტრანსნაციონალური კომპანიის ჩარჩოებში შეიძლება გადატანილი იქნას სხვა ქვეყნებში. ამასთანავე ამ აქტივების გამოყენების საგარეო ეფექტები არ გადიან კომპანიის ფარგლებს გარეთ და ისინი რჩებიან მის საკუთრებად.

3. დამატებითი საშუალებები ეფექტიანობის გაზრდის, თავისი კონკურენტუნარიანობის გაძლიერებისა და საზღვარგარეთული ქვეყნების რესურსებთან შეღწევის გზით. (შედარებით იაფი და შედარებით კვალიფიცირებული სამუშაო ძალის, ნედლეულის რესურსების, სამეცნიერო-

კვლევითი პოტენციალის, საწარმოო შესაძლებლობების და მიმღები ქვეყნის ფინანსური რესურსების გამოყენება)

4. კომპანიის უცხოური ფილიალის პროდუქციის მომხმარებელთან სიახლოვე და ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა, რაც მოიცავს მიმღები ქვეყნის ფირმების კონკურენტულ პოტენციალს და ბაზრების პერსპექტივას. ტნკ-ების ფილიალები იღებენ მნიშვნელოვან უპირატესობებს მიმღები ქვეყნის ფილიალებთან შედარებით. სამეცნიერო-ტექნიკური, დედა კომპანიის და მისი ფილიალების მმართველობითი პოტენციალის გამოყენების შედეგად.

5. შესაძლებლობა, თავის ინტერესებში მოაქციოს სახელმწიფოებრივი თავისებურებები, კერძოდ საგადასახადო პოლიტიკა სხვადასხვა ქვეყნებში, ვალუტის კურსის სხვაობა და ა.შ.

6. თავისი ტექნოლოგიებისა და პროდუქციის სასიცოცხლო ციკლის გახანგრძლივების შესაძლებლობა, რომლებიც მოცილებულნი უნდა იყვნენ მათი დაძველებისას უცხოურ ფილიალებში და ამასთან ძალისხმევის და რესურსების თავმოყრა დედა კომპანიაში ახალი ტექნოლოგიებისა და ნაკეთობათა დამუშავებისათვის.

7. პირდაპირი ინვესტირების მეშვეობით კომპანია იღებს შესაძლებლობას გადალახოს სხვადასხვა ბარიერები ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე ექსპორტის შესვლის გზაზე. სტიმულს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხშირად ქმნიან ნაციონალური სატარიფო ბარიერები.

მაგალითად, 1960-იან წლებში ინვესტიციის დიდი ნაკადი აშშ-დან ევროპაში შექმნილი იყო ტარიფებით, რომელიც დადგენილი იყო ევროპის ეკონომიკური თანასაზოგადოებით. მზა პროდუქციის ექსპორტის ნაცვლად ტნკ-ებმა შექმნეს თავისი საწარმოები ევროკავშირის ქვეყნებში, ამით გვერდი აუარეს მათ ტარიფებს. გარე ეკონომიკური ექსპანსიის ეფექტურობა, როგორც საშუალება კონიუქტურული რყევების შერბილების საშუალება, ფასდება მაღალ დონეზე და ითვლება უფრო მეტად, ვიდრე ის, რომელსაც უზრუნველყოფენ სუფთა ნაციონალური მეთოდები ეკონომიური რისკების დაწვევისა. მრავალრიცხოვანი გამოკვლევების საფუძველზე მეცნიერ-ეკონომისტები მივიდნენ დასკვნამდე, რომ

ბევრ ქვეყანაში ფილიალებით არსებობა შედარებით საიმედოდ იძლევა გარანტიას მოგების მიღების სტაბილობისა, ვიდრე ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორები, როგორცაა კომპანიის მსხვილი აბსოლუტური ზომა, ან მისი საწარმოო პროგრამის დივერსიფიცირების ხარისხი ქვეყნის შიგნით⁵².

კომპანიას თავისი წარმოების ზომებით თავისუფალი მანევრირება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას შესწევს უნარი მიიღოს მოგება წარმოების მცირე ზომების დროსაც. საწარმოო ფილიალების ფართო ქსელი, რომლებიც განლაგებული არიან სხვადასხვა ქვეყნებში, საშუალებას აძლევს ტრანსნაციონალურ კომპანიებს გაზარდონ წარმოება იქ, სადაც შეუძლია განახორციელოს ის მაქსიმალური სარგებელით და შეზღუდოს იქ, სადაც ის წამგებიანია. ფირმები, რომლებიც შედიან საერთაშორისო კონცერნში და ჩავარდნილი არიან რთულ მდგომარეობაში, შეუძლიათ მკვეთრად შეკვეცონ წამგებიანი საწარმოები. ტნკ-ების უფრო გაბედული ქმედებები ნაციონალურ ფირმებთან შედარებით აიხსნება იმით რომ მუდმივი დანაკარგების დაფარვის მიღწევა თავიანთი შიგა კონკურენტებისაგან განსხვავებით, შეუძლიათ არა მარტო წამგებიანი წარმოების შენარჩუნების გზით, არამედ იმ შემოსავლების ხარჯზე, რომლებსაც ისინი იღებენ სხვა ქვეყნებში.

თავი 6. კომპანიების ტრანსნაციონალიზაციის დონის შეფასება

დღემდე გრძელდება კამათი იმის შესახებ, განვსაზღვროთ გამოთქმა „ტრანსნაციონალური კომპანია“, და კრიტერიუმები, რომლებიც უფლებას იძლევა გამოვყოთ ტნკ სხვა ფორმებისაგან. სხვადასხვა წლებში და სხვადასხვა გამოკვლევებში გამოიყენებოდა და გამოიყენება კორპორაციის ტრანსნაციონალურთან მიკუთვნების სხვადასხვა კრიტერიუმები:

- ქვეყნების რაოდენობა, რომლებშიც მოქმედებენ კომპანიები (სხვადასხვა მიდგომებთან მიმართებით მინიმუმ შეადგენენ 2–დან 6 ქვეყანას);

⁵² Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005. С.16.

- იმ ქვეყნების განსაზღვრული მინიმალური რისკი, სადაც განვითარებულია კომპანიის საწარმოო სიმძლავრეები;

- განსაზღვრული ზომა, რასაც მიაღწია კომპანიამ;

- უცხოური ოპერაციების მინიმალური წილი ფირმის შემოსავალში ან გაყიდვებში (როგორც წესი, 25%);

- სამ ან მეტ ქვეყანაში „ხმის მიმცემი“, აქციების არა ნაკლებ 25%-ის ფლობა არის წილობრივი მონაწილეობის მინიმუმი უცხოურ სააქციო კაპიტალში, რომელიც უზრუნველყოფს ფირმას, რომ გაუწიოს კონტროლი უცხოური საწარმოს ეკონომიკურ საქმიანობას და წარმოადგენდეს პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს;

- კომპანიის პერსონალის მრავალეროვნული შემადგენლობა, მისი უმაღლესი ხელმძღვანელობის შემადგენლობა და სხვა;

თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ტერმინის ტნკ-ის ფორმულირება მრავალი ქვეყნის ინტერესებს ეხება, ტნკ-ს განსაზღვრის უკანასკნელი კომპრომისული ვარიანტი გაერო-ში განისაზღვრება ასე, რომ ტნკ ეს არის კომპანია:

- კომპანია მოიცავს ერთეულებს ორ ან მეტ ქვეყანაში, იურიდიული ფორმისა და მოქმედების არის დამოუკიდებლად;

- კომპანია, რომელიც ოპერირებს გადაწყვეტილებების სისტემის ჩარჩოებში, ეს უფლებას იძლევა გაატაროს შეთანხმებული პოლიტიკა და განახორციელოს საერთო სტრატეგია ერთი ან მეტი ხელმძღვანელი ცენტრის მეშვეობით;

- კომპანია, რომელშიც ცალკეული ერთეულები დაკავშირებულნი არიან საკუთრების მეშვეობით ან რომელიმე სხვა სახით. ისე, რომ ერთ და მეტს იმათგანს შეუძლიათ ჰქონდეთ მნიშვნელოვანი გავლენა სხვათა საქმიანობაზე და სახელდობრ, გაიზიაროს ცოდნა, რესურსები და პასუხისმგებლობა სხვებთან ერთად.

ზემოთ მოყვანილ კრიტერიუმებთან ერთად, გაეროს ეკონომიკური სტრუქტურები იწყებენ სულ უფრო ხშირად ტნკ-ს აგრეგირებული მაჩვენებლების გამოყენებას, მაგალითად ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი და ქსელის გავრცელების ინდექსი[33].

კომპანიის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$I_{ტრ} (A_n/A_0 + \Pi_n/\Pi_0 + III_n/III_0) : 3,$$

სადაც: $I_{ტრ}$ – ტრანსნაციონალიზაციის ინდექსია;

A_n –კომპანიის საზღვარგარეთული აქციები;

A_0 –კომპანიის საერთო აქციები;


Π_n –საქონლის გაყიდვის მოცულობა და მომსახურება საზღვარგარეთული ფირმების;

Π_0 –საქონლის გაყიდვისა და მომსახურების საერთო მოცულობა;

III_n –კომპანიის საზღვარგარეთული შტატი;

III_0 –კომპანიის მუშაკთა საერთო შტატი;

ამრიგად, მოცემული ინდექსი ეფუძნება კომპანიის სამეურნეო საქმიანობის ზომების შედარებას სამშობლოში და საზღვარგარეთ. 100 უმსხვილესი არაფინანსური კომპანიის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის დინამიკა უკანასკნელი წლების მიხედვით წარმოდგენილია ნახაზ 11-ზე.



ნახ. 11. 100 უმსხვილესი არაფინანსური ძოფლიო კოოოოაციეის ინდექსის დინამიკა

ნახ. 11–დან ჩანს, რომ მიუხედავად ინდექსის გარკვეული რყევების არსებობისა (მინიმალური მაჩვენებელი დაფიქსირებული იყო 2012 წელს, ხოლო მაქსიმალური– 2016 წელს), მისი საშუალო მნიშვნელობა როგორც წესი, აჭარბებს 50 %-ს. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის ცვლილებაზე პირველ რიგში მოქმედებს კომპანიების შერწყმისა და შთნთქმის პროცესი: ტნკ–ები რომლებიც შთნთქავენ საზღვარგარეთულ საწარმოებს, არსებითად ზრდიან თავისი ტრანსნაციონალიზაციის დონეს.

კომპანიის ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის ანალიზი, მათი ნაციონალური მიკუთვნების გათვალისწინებით, უფლებას გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ტნკ–ები ზომით მცირე განვითარებული ქვეყნებიდან (მაგ: ნიდერლანდები, შვედეთი, ფინეთი) ანხორციელებენ თავის საქმიანობას უფრო მეტად საზღვარგარეთ, ვიდრე დედა კომპანიის ბაზირების ქვეყანაში, რადგანაც ზომები და შეზღუდული შესაძლებლობები ნაციონალური ბაზრებისა აიძულებენ მათ ეძებონ ახალი ბაზრები, მსხვილი ქვეყნების ტრანსნაციონალური კორპორაციებისაგან განსხვავებით, მაგ: ისეთი ქვეყნებისაგან, როგორცაა აშშ, იაპონია, გერმანია, რომელთა მიხედვითაც ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი საშუალოზე დაბალიც კია.

ქსელის გავრცელების ინდექსი (NSI), ისევე როგორც ტრანსნაციონალიზაციის ინდექსი, იძლევა აგრეგირებულ დახასიათებას კომპანიის ფუნქციონირების „საერთშორისო ხარისხის,, და გამოითვლება როგორც პროცენტული შეფარდება უცხოური ქვეყნების რიცხვისა, რომლებშიც ტნკ ანხორციელებს თავის საქმიანობას (ათავსებს წარმოებებს, ეწევა სამეურნეო საქმიანობას და ა.შ.), ქვეყნების საერთო რაოდენობასთან, რომლებშიც კორპორაციას პოტენციურად შეუძლია იფუნქციონიროს. NSI-ის ინდექსის ანალიზი 100 უმსხვილესი კომპანიის მიმართ საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ ადრე ფორმულირებული დასკვნა: ნაკლები ფართობის მქონე ქვეყნები შედარებით აქტიურად ითვისებენ საზღვარგარეთულ ბაზრებს, ვიდრე დიდი სახელმწიფოები⁵³.

⁵³ Хасбулатов О.Р. Развитие страны: центры и периферии, Издательство Экономика, 2009.

თავი 7. საერთაშორისო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია და მისი თეორიული ასპექტები

ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის პრობლემა უკანასკნელ წლებში სულ უფრო და უფრო დიდ ყურადღებას იქცევს, როგორც მეცნიერ-ეკონომისტებში, ასევე სხვადასხვა დონის მენეჯერ-პრაქტიკოსებში და ეს გასაკვირი არც არის: ბიზნესის ინტერნაციონალიზაციით დაინტერესებული არიან ყველა მეტნაკლებად მნიშვნელოვანი, საერთაშორისო კომპანიები. ამ პროცესის ინტენსივობა იზრდება და შეუქცევადი ხდება.

რა ფაქტორები აიძულებს კონკრეტულ კომპანიას რომ მიიღოს გადაწყვეტილება თავისი ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის შესახებ? წარმოადგენს თუ არა ეს გადაწყვეტილება ეკონომიურ გაანგარიშებას მისი კომპანიის დადებით შედეგებამდე მისაყვანად თუ იძულებითი რეაქციაა ნეგატიურ გარე ქმედებებზე? შევეცდებით ვუპასუხოთ ამ შეკითხვებს.

ყველა ფაქტორი, რომელიც „უბიძგებს კომპანიას,, მისი ბიზნესის ინტერნაციონალიზაციისაკენ, შეიძლება პირობით დავყოთ ორ ჯგუფად:

- ფაქტორები, განპირობებული კომპანიის სპეციფიური თავისებურებებით და ინდივიდებით;
- ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია გარე სამყაროსთან.

ფაქტორების პირველი ჯგუფი შეიცავს ამბიციებს, დასახულ მიზნებს, სტრატეგიას, კომპანიის წარსულ გამოცდილებას. მეორე – დაკავშირებულია გადასახადის დონესთან, სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან, რენტაბელობასა და ზრდის პოტენციალთან.

გადაწყვეტილება, კონკრეტული ეროვნული კომპანიის გარე ბაზარზე გასვლის შესახებ წარმოადგენს, როგორც წესი, საკმაოდ რთულ საქმეს, რომელიც მოითხოვს გარკვეულ ბიძგს, რომელიც შეიძლება იყოს მოქმედების შედეგი. მაგალითად „ფირმის შიგა,, მდგომარეობით და ძალებით:

- კომპანიის ფუნქციონირების მოტივები;
- ეროვნული ეკონომიკის წარმატება;
- კომპანიის მენეჯმენტის როლი.

კომპანიის ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის გადაწყვეტილებაზე შეიძლება ასევე იმოქმედოს გარე ძალებმა, მაგალითად;

- სარფიანი წინადადება, რომელიც არ შეიძლება იყოს იგნორირებული (მაგ; წინადადება რომელიც მოდის უცხო ქვეყნის მთავრობისაგან);
- შეჯიბრის ეფექტი, როდესაც კომპანიები მიყვებიან თვის კონკურენტებს სხვა, სახელდობრ გარე ბაზრებზე;
- ძლიერი უცხოური კონკურენცია.

განვიხილოთ უფრო დაწვრილებით შიგა და გარე ფაქტორები. რომლებიც ახდენენ ზაგავლენას კომპანიის გადაწყვეტილებაზე მოახდინოს თავისი ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია.

შიდა საფირმო ფაქტორები. კომპანიის ფუნქციონირების მოტივები. არსებობს რამდენიმე მიზეზი, რომელთა მიხედვითაც კონკრეტულ კომპანიას შეუძლია გადაწყვიტოს „გასვლა საზღვარგარეთ,, :

- გასაღების ბაზრების ძებნა;
- საჭირო ნედლეულის ძებნა(მოძიება);
- შედარებით ეფექტიანი წარმოების პირობების მოძიება.

უმრავლესი კომპანიები მიდიან თავისი ბიზნესის ინტერნაციონალიზაციაზე, რათა მოიძიონ შედარებით ტევადი გასაღების ბაზარი. ამ აზრით, უფრო ხელსაყრელია იმ ქვეყნების ბაზრები, რომელთა მოსახლეობა მრავალრიცხოვანია; ჩინეთი, ინდოეთი, ბრაზილია (სხვა თანასწორი პირობებით) ამასთან ერთად, ამ გადაწყვეტილების მიღებისას არ უნდა ავურიოთ კონკრეტული ქვეყნის მაცხოვრებელთა რიცხვი, იმ პოტენციურ მყიდველთა რაოდენობასთან, რომელიც იძენს ამ კომპანიის ნაწარმს. საკმაოდ ხშირად, ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მიზეზი არის კომპანიის მისწრაფება ამაღლოს წარმოების ეფექტურობა/ან თავისი პროდუქციის განაწილება. სახელდობრ ამ მიზეზის გამო „PHILIPS,,-მა გადაიტანა თავისი წარმოება მალაზიასა და სინგაპურში, რომლებიც წლების განმავლობაში სპეციალიზირდებოდნენ ელექტრონიკის ეფექტურ წარმოებაზე. ამავე მიზეზის გამო, ზოგიერთმა ამერიკულმა კომპანიამ გახსნა თავისი ფილიალები ნიდერლანდებში. ძირითადი ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს ამის გაკეთება

არის ნავსადგურის (პორტის) არსებობა, მაღალკვალიფიცირებული, ინგლისურად მოლაპარაკე მუშახელი და ევროკავშირის ღია ბაზარი.

კონკრეტული კომპანიის ბიზნესის ინტერნაციონალიზაციას შეიძლება ხელს უწყობდეს აგრეთვე იმ ნედლეულის მოძიება, რომელიც საჭიროა ამ პროდუქციის წარმოებისათვის. სწორედ ამის გამო უმრავლესმა ნავთობგადამამუშავებელმა კომპანიებმა განახორციელეს მნიშვნელოვანი ინვესტიცია ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, ბევრი კომპანია კი, რომლებიც დაკავშირებული არიან ტექსტილის (საფეიქრო) წარმოებასთან და ასევე ცნობილმა მოდის სახლებმა, გახსნეს თავისი წარმოებები ინდოეთსა და პაკისტანში, ქვეყნებში, რომლებიც აწარმოებენ უმაღლესი კლასის ბამბა-ნედლეულს.

ნაციონალური ეკონომიკის წარმატება. თუ კომპანიამ შეძლო მიეღწია საგრძნობი წარმატებისათვის ადგილობრივ ბაზარზე, მაშინ მისი შემდგომი წარმატებული ზრდა არის როგორც წესი, სრულიად ბუნებრივი, ამ შემთხვევაში კომპანიას შეუძლია თავდაჯერებულად გავიდეს მსოფლიო ბაზარზე, მითუმეტეს რომ თანამედროვე პირობებში საქონლის უმეტესობა სარგებლობს დაახლოებით ერთნაირი მოთხოვნილებით მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. ისეთი კომპანიები, როგორცაა მაგალითად ERICSSON ან NOKIA დასაწყისში თავისი პროდუქციის რეალიზაციას ახდენდნენ შვედეთსა და ფინეთის ადგილობრივ ბაზრებზე და მხოლოდ ამის შემდეგ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე. საკუთარ ქვეყანაში წარმატებამ შეიძლება შექმნას საჭირო რესურსები მსოფლიო ბაზარზე ღირსეულად გასასვლელად და მიიზიდოს ახალი მენეჯერები, ახალი იდეებით და კომპანიის პრობლემების არასტანდარტული გადაწყვეტით.

მენეჯმენტის როლი კომპანიაში. კომპანიის მენეჯმენტის ამბიციები და დინამიზმი ითვლება მეტნაკლებად მნიშვნელოვან ფაქტორებად, რომლებიც განმსაზღვრელია ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის გადაწყვეტილების მიღებისას, ვინაიდან ის მოითხოვს გარკვეულ აქტივობას, ინიციატივას და პასუხისმგებლობას. ეს თვისებები კომპანიის მენეჯმენტისათვის განსაკუთრებით აუცილებელია და მნიშვნელოვანი, კომპანიის ბიზნესის ინტერნაციონალი-

ზაციისათვის საწყის სტადიაზე მაშინ, როცა უნდა იყოს მიღებული ფუნდამენტალური სტრატეგიულად სწორი გადაწყვეტილება.

კომპანიის უმაღლეს მენეჯმენტში შესაძლებელია აღმოჩნდეს ადამიანი, რომელიც ფლობს ზემოთ აღნიშნულ თვისებებს; აქვს საერთაშორისო ბიზნესის მართვის გამოცდილება, რომელმაც იცის მსოფლიო ბაზრის გარკვეული სეგმენტის თავისებურებები და მასზე უცხოელი მყიდველი. ასეთ მენეჯერს, რომელიც დაფუძნებულია მის მიერ მიღებულ ადრინდელ საერთაშორისო გამოცდილებაზე, შეუძლია კომპანიის ინტერნაციონალიზაციის პროცესის მოტივირება, გააღვიძოს ენთუზიაზმი და მისწრაფება მისი საერთაშორისო აქტივობისაკენ, თუმცა ზოგიერთი კომპანია დღეისათვის უფრო მეტად შეწუხებულია მოკლევადიანი მოგებით და ნაკლებად ფიქრობს გრძელვადიან პერსექტივებზე. სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობა უმაღლესი დონის მენეჯერებისა იწყებენ თვისი ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის შედეგების გააზრებას.

გარე ფაქტორები

ბიზნეს – წინადადებები საზღვარგარეთიდან. ასეთი წინადადებების შემოთავაზებისას, კომპანია აფასებს მათ შესაბამისი ბაზრების პოტენციალის კრიტერიუმით და მათთან დაკავშირებული რისკით. საზღვარგარეთული ბაზრის კვლევის დაწყებისას კომპანია თანდათან მეტად და მეტად ეგუება აზრს მისი მუშაობის შესაძლებლობებზე. ინვესტირება ეს პროცესია, რომელიც დაკავშირებულია არა მარტო ფინანსებთან, არამედ კომპანიის უმაღლესი მენეჯმენტის ფსიქოლოგიურ და ემოციურ დანაკარგებთან.

შეჯიბრების ფაქტორი. როდესაც წარმოებათა უმრავლესობა ატარებს ოლიგაპოლურ ხასიათს, რომელიმე კომპანიის დამოუკიდებელი ქმედება იწვევს გაურკვევლობას, რაც დაკავშირებულია ოლიგოპოლისტთა პოზიციით. როგორც კი ასეთი კომპანია იღებს ინტერნაციონალიზაციის და საზღვარგარეთის ბაზრებზე მუშაობის გადაწყვეტილებას, კონკურენტები როგორც წესი აკეთებენ იგივეს, რადგანაც შიშობენ თავიანთი კონკურენტული პოზიციების გაუარესებას. ასეთნაერად, კომპანიები მუდმივად თვალყურს ადევნებენ თავიანთი კონკურენტების ქმედებებს. მაგრამ ზოგჯერ კომპანიები გადიან ბაზარზე და

თვლიან რომ აუცილებელია მათი იქ ყოფნა, რათა აჩვენონ თავიანთი კონკურენტუნარიანობა. ამის მაგალითს წარმოადგენს ზოგიერთი დასავლური კომპანიის გასვლა ჩინეთის ბაზარზე, როცა მან გააღო კარი უცხოური ინვესტიციებისათვის. იგივე ხდებოდა ყოფილ საბჭოთა ბაზრებზე. შემდეგში კომპანიები იძულებულები იყვნენ წამოსულიყვნენ ზოგიერთი ბაზრიდან არასტაბილურობისა და მაღალი რისკების, დიდი ხარჯებისა და უპერსპექტივობის გამო. კერძოდ, 1998 წ. რუსული ბაზრიდან გავიდა კომპანია PHILIPS-ი. ზოგიერთი კომპანია ინტერნაციონალიზაციის შესახებ იღებს გადაწყვეტილებას, არა მხოლოდ თავიანთი კონკურენტების, არამედ თავისი კლიენტების გაყოლიებით. ასე ბევრი დანიური და შვედური ბანკები გაჰყვნენ აზიურ ბაზრებს, იმისათვის რომ არ დაეკარგათ თავიანთი კლიენტები და ჰქონოდათ მათი მომსახურების შესაძლებლობა. ამრიგად, ზოგიერთი ბაზარი გახდა განსაზღვრული პროდუქტისა და წარმოების ცენტრი.

უცხოური კონკურენცია. გარე მესამე ფაქტორი, რომელსაც შეუძლია იქონიოს გავლენა კომპანიის ინტერნაციონალიზაციაზე, არის ძლიერი საზღვარგარეთული კონკურენცია ნაციონალურ ბაზარზე. ამრიგად კომპანიებს უწევთ თავის დაცვა და ბევრ შემთხვევაში ეს მათ აძლევს კარგ სარგებელს, რადგანაც ისინი იწყებენ უფრო აქტიურ მუშაობას და ტოვებენ ახალ, მანამდე აუთვისებელ ბაზრის სეგმენტებს. ამავდროულად კომპანიას შეუძლია გაიზიაროს, რომ მისი პროდუქცია არც ისე ცუდია უცხო კონკურენტებთან შედარებით. ამიტომაც ხშირად კონკურენტის შემოსვლა ბაზარზე აძლევს ფირმას საშუალებას შეაფასოს თავისი პროდუქციის ხარისხი და მისი პოტენციური შესაძლებლობები უცხოურ ბაზარზე. ჯანსაღი კონკურენცია აიძულებს ფირმებს მუდმივად გააუმჯობესოს ხარისხი და სრულყოს თავისი ტექნოლოგიები.

თანამდროვე პირობებში, როცა მუდმივად რთულდება წარმოების ტექნოლოგიები და მის საფუძველზე გამოშვებული პროდუქცია, უცხოური გაყიდვების საფუძვლიანი დამუშავება ხდება აუცილებელი საჭიროება.

ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდა წარმოადგენს სრულიად ბუნებრივ და შეუქცევად პროცესს, რომელიც იმსახურებს თუნდაც

მოკლე მიმოხილვას მისი თეორიული ასპექტების. ამ მიზნით განვიხილოთ მთავარი თეორიები, დაკავშირებული კომპანიის ქცევასთან ინტერნაციონალიზაციის პირობებში.

საქონლის ცხოვრებისეული ციკლის მოდელი. მოცემული მოდელი გამოქვეყნებული იყო რ. ვერნონის (აშშ) მიერ 1966წ. სტატიაში „საერთაშორისო ინვესტირება და საქონლის ციკლში ვაჭრობა“. ამ მოდელის შესაბამისად ახალი საქონელი ცხოვრებაში გაივლის ციკლის რამოდენიმე სტადიას. სახელდობრ, კომპანიისათვის საქონლის საერთაშორისო არსებობის ციკლი, რომელიც პირველად აქვს ათვისებული, ასე გამოიყურება:

1. პროდუქციის მონოპოლიური წარმოება და ექსპორტი;

2. ანალოგიური პროდუქტის მაწარმოებელი უცხოური კონკურენტების გამოჩენა და მათი დაფუძნება ბაზარზე. (უპირველეს ყოვლისა თავისივე ქვეყნების ბაზარზე);

3. კონკურენტების გასვლა მესამე ქვეყნების ბაზარზე და შესაბამისად პიონერი ქვეყნებიდან პროდუქციის ექსპორტის შემცირება;

4. კონკურენტების გასვლა პიონერი ქვეყნების ბაზარზე.

რა თქმა უნდა ტექნოლოგიურად კომპანიას ახალი კონკურენციის წარმოშობისას ნაწარმის მწარმოებლებისაგან შეუძლია დაიწყოს ახალი პროდუქტის წარმოება. თუმცა არსებობს სხვა გამოსავალიც, თუ გაძლიერდა ექსპორტზე დაწოლა-ააწყო წარმოება უცხოეთში, ეს გაუგრძელებს საციცოხლო ციკლს პროდუქტს, მით უმეტეს რომ სტადიების ზრდისას ხშირად წარმოებათა გასავალი ჩვეულებრივად დაბლდება, რასაც მივყევართ პროდუქციის ფასის შემცირებამდე და აგრეთვე უცხოეთში წარმოების დაფუძნების შესაძლებლობების გაზრდაზე, აგრეთვე ექსპორტის გაფართოებაზე. მაგრამ პროდუქციის ექსპორტთან შედარებით უცხოური წარმოება ხშირად უფრო ხელსაყრელია-უფრო დაბალი ცვალებადი გასავლის გამო (ხელფასი, ნედლეული) იქმნება შესაძლებლობა თავი აარიდოს მებაჟეთა ბარიერებს, ხდება პოზიციების გამყარება სხვა კომპანიებთან ბრძოლაში.

ინტერნაციონალიზაციის მოდელი. მოცემული მოდელი ეყრდნობა ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატის რ.კოუზის იდეას, იმის შესახებ რომ დიდი კომპანიის შეგნით, მის ქვედანაყოფებს შორის, არსებობს შინაგანი ბაზარი, რომელსაც არეგულირებენ კომპანიისა და მისი ფილიალის ხელმძღვანელები.

ინტერნაციონალიზაციის მოდელის შემქმნელები, ინგლისელები პ.ბაკლი და მ.კესონი, ავტორები წიგნისა „მულტინაციონალური წარმოების მომავალი,, (1976) თვლიან რომ ბაზრების დაყოფა მშობლიურ და უცხო კომპანიებს შორის განპირობებულია ორი ფაქტორის მოქმედების ეფექტზე: ადგილმდებარეობისა და მფლობელობის ეფექტებზე. სინამდვილეში შეიძლება მოხვდეს რომელიმე პროდუქცია ნაციონალურ ბაზარზე შემდეგი მეთოდით:

1. მშობლიური მწარმოებლისაგან;
2. უდიდესი მულტინაციონალური კომპანიების ფილიალებისაგან, რომლებიც მუშაობენ ამ მოცემულ ქვეყანაში;
3. უცხოური კომპანიების ექსპორტის საშუალებით;
4. მალტინაციონალური კომპანიების ექსპორტის საშუალებით.

პირველ ორ შემთხვევაში ბაზრის მომსახურება ხდება სამამულო პროდუქციით. შემდგომ ორში კი, უცხოური პროდუქციით. მეორე, მესამე და მეოთხე შემთხვევაში კი წარმოებას ფლობს და მართავს უცხოური კომპანია. ადგილმდებარეობისა და მფლობელობის ეფექტების შედარებისას შესაძლებელია განვსაზღვროთ ნაციონალური და უცხოური კომპანიების ბაზრების გაყოფის პრინციპები. სხვაობა ექსპორტსა და ლოკალურ მომსახურებას შორის ბაზარზე, ცხადია განპირობებულია ხარჯების ეკონომიის შედეგებით, რაც განაპირობა კონკრეტული პროდუქციის წარმოების ხელსაყრელმა ადგილმდებარეობამ.

ქსელური მოდელი. თუ ჩვენ მივყვებით ამ მოდელს, კომპანიები გადიან გარე ბაზარზე, იმიტომ რომ სხვა კომპანიები მათივე ნაციონალურ ქსელში-ასევე ინტერნაციონალდებიან. წარმოებითი სისტემა შედგება როგორც წესი წარმოებაში დასაქმებული და სადისტრიბუციო პროდუქციით. კომპანიების ურთიერთქმედება კი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს ბადის სახით. რომლის შიგნით კომპანიები ურთიერთ კავშირში არიან და ამიტომაც მათი ქმედება უნდა იყოს

კოორდინირებული. ეს ბადეები სტაბილურია ან შეიძლება იცვლებოდნენ, ამასთან ერთად ქმნიან ურთიერთ კავშირის ახალ სახეებს. კომპანიები არიან ურთიერთდამოკიდებული და უნდა ანვითარებდნენ კავშირებს ქსელის სხვადასხვა კომპანიებთან. დროის ნებისმიერ მომენტში კომპანია დამოკიდებულია გარე რესურსებზე, რომლებსაც ფლობენ სხვა კომპანიები. რაც უფრო მაღალია ინტერნაციონალიზაციის ხარისხი, მით უფრო ძლიერია კავშირი სხვადასხვა საერთაშორისო კომპანიების ქსელებს შორის.

ეკლექტიკური მოდელი. ინგლისელი ჯ. დანიზის მოდელმა შეითავსა სხვა მოდელებიდან ყველაფერი ის, რამაც გაიარა შემოწმება სინამდვილეში, ამიტომაც მას ეკლექტიკურ მოდელს უწოდებენ. ამ მოდელის მიხედვით კომპანია იწყებს წარმოებას საზღვარგარეთ იმიტომ რომ ერთდროულად არსებობს სამი წინაპირობა:

1. კომპანიას აქვს შედარებითი უპირატესობა ამ ქვეყანაში სხვა კომპანიებთან შედარებით (იგულისხმება მესაკუთრის სპეციფიკური უპირატესობები).

2. კომპანია იყენებს უცხოეთში წარმოების ზოგიერთ ფაქტორებს უფრო ეფექტურად, ვიდრე საკუთარ სახლში. მაგალითად: ადგილობრივი მუშახელისა და ნედლეულის სიახვის გამო, ადგილობრივი ბაზრის დიდი ზომით, საუკეთესო ადგილობრივი ინფრასტრუქტურით.

3. კომპანიისათვის ხელსაყრელია, ყველა ეს უპირატესობა გამოიყენოს უცხოეთში თვითონ და არ მოახდინოს მისი რეალიზაცია იქ საქონლის ექსპორტითა და მომსახურებით, ან თავისი ცოდნის გაცემის ლიცენზიის სახით, ადგილობრივ კომპანიებზე. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ეკლექტიკური მოდელი სარგებლობს უდიდესი პოპულარულობით.

თავი 8. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მამოძრავებელი ძალები და მეთოდები

იმ მიზეზების განხილვისას, რომლებითაც კომპანიები ახდენენ თავისი ბიზნესის ინტერნაციონალიზებას (მთლიანად ან ნაწილობრივ) დროულია დავსვათ შეკითხვა: რა მეთოდების გამოყენებაა საჭირო რომ კომპანია შევიდეს უცხოურ ბაზარზე?

საერთოდ არსებობს სამი ძირითადი ფორმა საერთაშორისო კონკურენციისა, დამოკიდებული იმაზე სად იმყოფება საწარმო – თავის ქვეყანაში, თუ უცხოეთში. პირველი და შედარებით მარტივი ფორმაა საქონლის წარმოება და მომსახურება შიგა ბაზარზე და მათი ექსპორტი უცხოურ ბაზარზე. მეორე ფორმა საერთაშორისო კონკურენციისა, მდგომარეობს საქონლის წარმოებისა და მომსახურების გადატანაში უცხოურ ბაზარზე, რომელსაც საფუძვლად უდევს ადგილობრივ დამოუკიდებელ კომპანიასთან შეთანხმება. არსებობს ასეთი კონტაქტების სხვადასხვა სახეები, მაგრამ ისინი მიეკუთვნებიან შემდეგ ძირითად კატეგორიებს:

- ტექნოლოგიური ლიცენზია;
- ფრანჩაიზინგი;
- შეთანხმება ტექნიკურ მომსახურებაზე;
- მმართველობითი კონტრაქტი;
- გამზადებული კონტრაქტი;
- საერთაშორისო იჯარის კონტრაქტი;
- საკონტრაქტო ერთობლივი საწარმო.

ეს კონტრაქტები იდება ჩვეულებრივ, კონტრაქტის ერთ-ერთი მონაწილის მიერ ტექნოლოგიების გამოყენების შეზღუდვით, გარკვეული ვადით.

მესამე ფორმის პირობებში უცხოური კონკურენციის საქონელი და მომსახურება ხდება საზღვარგარეთის ბაზარზე, მაგრამ ეს წარმოება ხორციელდება იურიდიული პირის მიერ, რომლის სტრუქტურებშიც შედის განხილული საერთაშორისო კომპანია, ამასთან ერთად ის ფლობს აქციების საკონტროლო პაკეტს (არანაკლებ აქციის 10%). საკუთრების ასეთი მფლობელობა, რომელიც ანხორციელებს კონტროლს აქტივებზე, წარმოების მოცულობით, ფინანსური ნაკადებით და უცხოური ოპერაციების მიმართ გადაწყვეტილებების მიღების პროცესით, საერთაშორისო სტანდარტებით ფასდება როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. კომპანიის ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის განმასხვავებელი მახასიათებლები მოცემულია ცხრილ 9-ში.

თანამშრომლობის ფორმა	ძირითადი დახასიათებანი		
	შეზღუდვა ვადებში	ნებართვის გადაცემის და რესურსების მოცულობა	ნებართვის გადაცემის და რესურსების გადაცემის მეთოდი
უცხოური შვილობილი წარმოება, რომელიც მთლიანად ეკუთვნის დედა კომპანიას.	შეუზღუდავია	როგორც წესი, მთელი მოცულობა	შიდა
ერთობლივი სააქციო წარმოება.	შეუზღუდავია	ფართო	შიდა
ლიცენზიები	შეზღუდულია კონტრაქტის პირობებით	შეზღუდული	საბაზრო
ფრანჩაიზინგი	შეზღუდულია კონტრაქტის პირობებით	ფართო, შეიცავს ურთიერთდახმარებას	საბაზრო
მზა კონტრაქტები	შეზღუდულია კონტრაქტის პირობებით	შეზღუდული	საბაზრო
ერთობლივი საკონტრაქტო წარმოებები	შეზღუდულია კონტრაქტის პირობებით	სპეციალური	შერეული
მოიჯარის საერთაშორისო კონტრაქტები	შეზღუდულია კონტრაქტის პირობებით	უმნიშვნელო	საბაზრო

ცხრილი 9. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ტიპოლოგიის ხერხები

ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მზარდი პროცესის მთავარ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს:

1. ნაციონალური რესურსების ბუნებრივი დეფიციტი ზოგიერთ ქვეყანაში და წარმოების ორგანიზაციისათვის ხელშემწყობი უკეთესი პირობები სხვაგან, ანუ სხვა ქვეყნებში;
2. ნაციონალურ ბაზრებზე კონკურენციის გართულება, რომლებიც დუნდებიან მათი ერთგვაროვანი პროდუქციით გაჯერებისას;
3. წარმოების დანახარჯების შემცირების შესაძლებლობა და გასაღება უფრო მეტად იაფი მუშახელის მოზიდვით და მიმღები ქვეყნების ადამიანთა კაპიტალით.

ასევე უცხოური კაპიტალის გამოყენება, კომპანიების მართვის ტექნოლოგიები და გამოცდილება.

4. დამატებითი გზებისა და შესაძლებლობების გამოყენება, რათა ამაღლდეს თვიანთი საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობა, მსოფლიო ბაზრებზე გართულეული კონკურენციის პირობებში;

5. ხარჯების შემცირება, რაც დაკავშირებულია ნაციონალურ სახელმწიფოებრივ რეგულირებასთან – ისეთები, როგორცაა გადასახადები, ბუნების დაცვის ღონისძიებებზე დანახარჯები, რათა მიღწეულ იქნას გარემოს დაცვის ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანა და ა.შ.

6. ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების გამოყენება, რაც დაკავშირებულია კომპანიის დანაკარგების შემცირებასთან, მიმღები ქვეყნის სახელმწიფოებრივი რეგულირებისაგან: საზღვარგარეთულ საწარმოებში კომპონენტების დამზადების გადანაწილება, სატრანსპორტო ფასები და სხვა ღონისძიებები საბაჟო ბარიერების და მიმღბ ქვეყნებში სავაჭრო შეზღუდვების გადახდის მიზნით.

7. საქონელზე გრემელვადიანი მოთხოვნილების გაურკვევლობის ზრდა, ასევე სხვა მრავალრიცხოვანი ეკონომიური და პოლიტიკური რისკები, რომლებიც უბიძგებს მეწარმეს თავისი ბიზნესის გეოგრაფიული დივერსიფიკაციისაკენ.

8. საშუალება მიეცეს გამოიყენოს უცხოური ინდუსტრიალური ინფრასტრუქტურა, ასევე გამოიყენოს სხვა ქვეყნების სავალუტო რესურსები.

ინტერნაციონალიზაციის ზრდას ხელს უწყობს ასევე ისეთი მეორადი ფაქტორები, როგორცაა: 1. კაპიტალის ინტერნაციონალიზაცია, რომელიც წარმოადგენს ნაციონალური კაპიტალის ურთიერთგაერთიანების და გადახლართვის პროცესს, რაც გამოიხატება ქვეყნებს შორის კაპიტალის მიგრაციით სულ უფრო და უფრო მზარდი ტემპით. 2. სამეცნიერო და ტექნიკური კვლევების ინტერნაციონალიზაცია – სხვადასხვა ქვეყნების ძალისხმევა სამეცნიერო სამუშაოების ჩასატარებლად, რომელიც რეალიზებული იქნება საერთაშორისო ვაჭრობის პატენტებით და ლიცენზიების მეშვეობით. 3. ეკონომიკისა და ტექნიკის ყველა დარგში, სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების ინფორმაციის მსოფლიო

ნაკადი. 4. კავშირებისა და ტრანსპორტის საშუალებების სრულყოფა, რაც მისცემს საშუალებას კომპანიებს ოპერატიულად მოახდინონ რეაგირება სხვა ქვეყნების დამკვეთების სურვილებზე, რათა მაქსიმალური დონით დააკმაყოფილონ მათი მოთხოვნილებები.

საწარმოს ინტერნაციონალიზაციის პროცესის გავრცელებასა და გაძლიერებას ხელს უწყობს განვითარება და ურთიერთშერწყმა შემდეგი ეკონომიური ფაქტორების:

- შრომის საერთშორისო დანაწილების მაღალი დონე;
- კაპიტალის დაგროვება და კონცენტრირება;
- კომპანიების კოოპერირება და სპეციალიზაცია მსოფლიო მაშტაბით;
- მსოფლიო ბაზრის აჩქარებული ფორმირება;
- საგარეო ვაჭრობის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წინსწრებადი

ტემპის ზრდა განვითარების დინამიკისა და ინდუსტრიასთან შედარებით.

ამრიგად, მსოფლიო სამეურნეო სისტემის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს სხვადასხვა ქვეყნების ნაციონალურ მეურნეობებს შორის ურთიერთობათა გაღრმავების და განვითარების ობიექტურ ეკონომიკურ პროცესს. მისი ზემოქმედება მსოფლიო სამეურნეო პროცესებზე ატარებს კომპლექსურ ხასიათს და პრაქტიკულად მოიცავს მსოფლიო მეურნეობის ყველა ქვესისტემას და ყველა ქვეყანას.

თავი 9. გლობალიზაცია, როგორც ინტერნაციონალიზაციის ახალი თვისება

გლობალიზაცია განმარტებულია, როგორც ქვეყნებსა და რეგიონებს შორის ენობრივი, ტერიტორიული, ეკონომიკური, პოლიტიკური, ფსიქიკური ბარიერების რღვევის და კულტურულ-ცივილიზაციური ერთობისა და რეგულირების ზეერონული სისტემის შექმნისკენ მიმართული პროცესი⁵⁴.

⁵⁴ აბრალავა ა. ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. მონოგრაფია. თბ. 2005, გვ.11

სამეურნეო ცხოვრების ყოველმხრივმა ინტერნაციონალიზაციამ, რომელიც გავრცელებულია პრაქტიკულად მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, განაპირობა მისი ახალი ფორმის წარმოშობა და განვითარება – სოციალურ–ეკონომიური განვითარების გლობალიზაცია. გლობალიზაცია წამოვიდა მსოფლიო სამეურნეო სისტემის ინტერნაციონალიზაციისაგან და წარმოადგენს მის უახლეს ეტაპს. გლობალიზაციის ეპოქაში სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის ტენდენციების დაგროვებამ მსოფლიო ეკონომიკა გაიყვანა ხარისხობრივად ახალ დონეზე, როდესაც ნაციონალური მეურნეობების ურთიერთკავშირის და ურთიერთდამოკიდებულების ხარისხმა მიაღწია ისეთ კრიტიკულ მასას, რომ გარდაუვალი გახდა სამი ახალი მოვლენა.

1. მსოფლიო მეურნეობა მეტნაკლებად ურთიერთდაკავშირებული ნაციონალური ეკონომიკიდან გარდაიქმნება საკმაოდ ერთიან ეკონომიკურ სისტემად, სადაც ნაციონალური მეურნეობები ერთიანი მსოფლიო სამეურნეო ორგანიზმის ქვესისტემებად იქცევიან, რომლებიც შეკავშირებულნი არიან არა უბრალოდ შრომის საერთაშორისო დაყოფით, არამედ თავისი მამუტაბებით გიგანტური, ზოგჯერ მსოფლიო წარმოება გასაღების სტრუქტურებით, გლობალური ფინანსური სისტემით და პლანეტარული საინფორმაციო ქსელით.

თუ XX საუკუნის 50-იანი წლებიდან, ნაციონალური ეკონომიკის გახსნილობა, რომელიც განისაზღვრება პროცენტული ფარდობით საგარეო ტვირთბრუნვასთან (ექსპორტი+იმპორტი) შეადგენდა საშუალოდ 16%-ს, 2002 წელს მან მიაღწია 36%-ს, ხოლო მომსახურების ექსპორტისა და იმპორტის გათვალისწინებით –48,2%-ს, ეს ნიშნავს იმას რომ საშუალოდ მსოფლიოში საქონლის და მომსახურების თითქმის ნახევარი, მთლიანად ან ნაწილობრივ იქმნება იმ ქვეყნების ფარგლებს გარეთ, სადაც ისინი მოიხმარება. ამრიგად, თვითწარმოქმნილმა ურთიერთდამოკიდებულებამ უმეტეს ნაციონალურ ეკონომიკებს შორის გარდაქმნა ისინი მეტნაკლებად ავტონომიური ეკონომიური სისტემებიდან გლობალური სამეურნეო ორგანიზმად.

2. საყოველთაო მსოფლიო ეკონომიკური ურთიერთობა სულ უფრო იძენს წამყვან განმსაზღვრელ როლს, მაშინ როდესაც ქვეყნის შიგა ეკონომიკური ურთი-

ერთობანი მსხვილი და ძლიერი ქვეყნებისთვისაც კი, თუ არ ვილაპარაკებთ სხვა ქვეყნებზე, იძულებული არიან მიესადაგონ გლობალური ეკონომიკის რეალობას. ეს აიხსნება იმით, რომ მსოფლიო ეკონომიკური სივრცე გადაიქცევა უმსხვილესი საერთაშორისო კომპანიების მოქმედების არედა, რომელთათვისაც ნაციონალური საზღვრები ნიშნავს არა უმეტესს ეკვატორის ხაზისა.

3. გლობალიზაციას ობიექტურად მივყევართ ნაციონალური სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციების წაშლასთან და შესუსტებასთან, ისინი კარგავენ საშუალებას ეფექტურად გამოიყენონ მაკროეკონომიკური რეგულირების ისეთი ტრადიციული ბერკეტები, როგორცაა საექსპორტო და საიმპორტო პოლიტიკა, ეროვნული ვალუტის ცვალებადობის კურსი.

კაპიტალის მაშტაბური კონცენტრაცია და ცენტრალიზაცია მსხვილი და სამრეწველო ფინანსური კომპანიების შერწყმისა და შთანთქმის პროცესის ზრდა, კომპანიების ეკონომიკური სტრატეგიული ინტერესების გასვლა ეროვნულ საზღვრებს გარეთ, რომლებიც თანდათანობით კარგავენ თავის ეკონომიკურ მნიშვნელობას და იძლევიან სულ უფრო მეტ შესაძლებლობებს წარმოების ფაქტორების და საქონლის თავისუფლად გადაადგილების – ყველაფერი ეს, წარმოადგენს მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის წახნაგებს.

ეკონომიკური გლობალიზაციის საერთო პროცესების მთავარ მექანიზმს წარმოადგენს საერთაშორისო კომპანიების მოღვაწეობა, რომლებიც ქვეყნებს შორის ტრადიციული შრომის განაწილებას ზემოდან ადებენ ფირმის შიგა შრომის განაწილებას. სახელდობრ ისინი თავისი ბიზნესის საწარმოო პროცესების ცალკეულ ნაწილებისა და სტადიების განლაგებით სხვადასხვა ქვეყნების ტერიტორიებზე, წარმოადგენენ ეკონომიკის გლობალიზაციის წამყვან ფაქტორს.

საერთაშორისო კომპანია წარმოადგენს გაერთიანების ორგანიზაციულ ფორმას, რომელიც ემყარება სხვა ქვეყნებში განთავსებულ კონტროლირებადი კომპანიების ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურაში მონაწილეობის სისტემას, რომლის ბაზას წარმოადგენს საკუთრების ერთიანი ტიტული და რომელიც ეკუთვნის დედა კომპანიას, რომელიც დარეგისტრირებულია როგორც ნაციონალური კუთვნილების იურიდიული პირი.

საერთაშორისო კომპანია მოქმედებს მსოფლიო მასშტაბით გლობალურ საფუძველზე, რათა მიაღწიოს საერთო მიზნებს, ფირმის შიგა მართვის და საწარმოო პროცესში შრომის ტექნოლოგიური განაწილების ერთიან პრინციპებს. საერთაშორისო კომპანიებს ასევე უწოდებენ ტრანსნაციონალურ კომპანიებს, გლობალურ კომპანიებს, ჯგუფებს, რაც არ ცვლის მათი მნიშვნელობის არსს. ის მხოლოდ ასახავს მათ ორგანიზაციული სტრუქტურის და საქმიანობის განსაკუთრებულ ნიშნებს.

საერთაშორისო კომპანიის მენეჯმენტი გლობალური პოზიციიდან გამომდინარე ერთდროულად უნდა ითვალისწინებდეს მსოფლიო ბაზრებზე ქცევის შემდეგ მოთხოვნილებებს:

- ჰქონდეს ბაზრების კონკურენციის გლობალური ხედვა, სწრაფად რეაგირებდეს საზღვარგარეთ წარმოებისა და გასაღების პირობების შეცვლაზე;
- კარგად იცნობდეს თავის მოწინააღმდეგეებს;
- აკონტროლებდეს საკუთარ ოპერაციებს მსოფლიო მასშტაბით, ან უკიდურეს შემთხვევაში სამეულის მასშტაბით (იგულისხმება აშშ, იაპონია);
- სწრაფად ცვლიდეს ტაქტიკას და თუ ეს აუცილებელია სტრატეგიასაც, როგორც კი შეიქმნება კონკურენტების მხრიდან მისი ბაზრიდან გამოძევების საშიშროება (იგულისხმება რომ ის უნდა იქცეოდეს როგორც საერთაშორისო ბიზნესის გლობალური მონაწილე);
- პირველ რიგში ოპერირებდეს მაღალტექნოლოგიურ სამრეწველო დარგებში;
- განათავსოს თავისი წარმოება იქ, სადაც ის ყველაზე რენტაბელურია, შედარებითი დანაკარგების, კანონისა და წარმოების ურთიერთგაცვლის პრინციპების შესაბამისად.

თავი 10. ტნკ, როგორც მსოფლიო ეკონომიკის განვითარების სისტემაშემქმნელი ფაქტორი

თანამედროვე ტრანსნაციონალური კომპანიები თამაშობენ დომინანტურ როლს მსოფლიო ეკონომიკაში. ამის აღიარება იყო ტნკ-ების ფენომენის შესასწავლად გაეროს სპეციალური კომისიის შექმნა 1974 წელს, რომელიც შემდგომში შევიდა გაეროს კონფერენციაში ვაჭრობის და განვითარების შესახებ (UNCTAD-United Nations Conference on Trade and Development). მათი კვლევის მასალები და სტატისტიკა წარმოადგენენ ძირითად ოფიციალურ წყაროს ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარების შესახებ.

შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციები, ეკონომიკური სიძლიერის ზრდასთან და გავლენის გაძლიერებასთან ერთად, რომელსაც ისინი ახდენენ საერთაშორისო ეკონომიკაზე და საერთოდ მთელს მსოფლიო ეკონომიკაზე, ამ ეტაპზე ხდებიან მისი განვითარების უმთავრესი ეკონომიკური სუბიექტები მსოფლიო სამეურნეო სისტემაში. ამაში ადვილიდ დავწმუნდებით, თუ გავეცნობით UNCTAD -ის სულ რამოდენიმე სტატისტიკურ მონაცემს.

ტრანსნაციონალური კორპორაციები აკონტროლებენ მსოფლიო სამრეწველო წარმოების 50% – ზე მეტს, მსოფლიო საგარეო ვაჭრობის 60%-ზე მეტს, და აგრეთვე ახალი ტექნიკის, ტექნოლოგიების და ნოუ-ჰაუს მსოფლიო პატენტების და ლიცენზიების ბაზის დაახლოებით 80% -ზე მეტს. ტნკ-ების წილზე მოდის პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების უდიდესი წილი, თანაც ყველაზე მსხვილი ტნკ-ების პირველი ასეულის ხელშია მისი მსოფლიო მოცულობის დაახლოებით 40%. ტნკ-ების კონტროლის ქვეშ არის პურის მარცვლის, ყავის, სიმინდის, ტყის მასალის, თამბაქოს და რკინის მადნის მსოფლიო ბაზრის 90%; სპილენძის და ბოქსიტების ბაზრის 85%; 80%-ჩაის და კაკლის; 75%- ბანანების, ნატურალური კაუჩუკის და ნედლი ნავთობის.

ტნკ-ების მნიშვნელობა საერთაშორისო წარმოებაში, ვაჭრობაში, ფინანსებში და სხვა ყველა სფეროში განუწყვეტლივ იზრდება მსოფლიო ტრანსნაციონალური

წარმოების ზრდის პროპორციულად. მისი დინამიკის ფრაგმენტები ასახულია ცხრილ 10-ში.

ქვეყნები	ტნკ-ს წარმოების მოცულობა, % მშპ-დან	
აშშ	23	25
იაპონია	12	24
დიდი ბრიტანეთი	44	48
გერმანია	17	24
საფრანგეთი	6	7
ს უ ლ	17	22

ცხრილი 10. ტრანსნაციონალური კორპორაციების წარმოების დინამიკა

ზოგიერთი ტნკ-ს წარმოების მოცულობა აღემატება მსოფლიოს ბევრი ქვეყნის შესაბამის მოცულობას, რაც ასახულია ცხრილ 11-ში, სადაც წარმოდგენილია UNCTAD-ის უკანასკნელი წლების გამოკვლევები მსოფლიოს 100 უმსხვილესი ეკონომიკური სტრუქტურის გამოსავლენად.

1. აშშ	9882.8
2. იაპონია	4677.1
3. გერმანია	1870.9
4. დიდი ბრიტანეთი	1413.4
5. საფრანგეთი	1286.3
6. ჩინეთი	1076.9
7. იტალია	1068.5
8. კანადა	689.5
9. ბრაზილია	595.5
10. მექსიკა	574.5

11. ესპანეთი	555.0
12. ინდოეთი	474.3
13. კორეის რესპუბლიკა	457.2
14. ავსტრალია	394.0
15. ნიდერლანდები	364.9
16. არგენტინა	285.0
17. რუსეთი	251.1
18. შვეიცარია	240.3
19. ბელგია	231.0
20. შვედეთი	227.4
21. თურქეთი	199.9
22. ავსტრია	191.0
23. ჰონკონგი	163.3
24. პოლონეთი	162.2
25. დანია	160.8
26. ინდონეზია	153.3
27. ნორვეგია	149.3
28. საუდის არაბეთი	139.4
29. სამხრეთ აფრ.რესპ.	125.9
30. ტაილანდი	121.9
31. ვენესუელა	120.5
32. ფინეთი	119.8
33. საბერძნეთი	112.0
34. ისრაელი	110.3
35. პორტუგალია	103.9
36. ირანი	99.0
37. ეგვიპტე	98.7
38. ირლანდია	94.4

39. სინგაპური	92.3
40. მალაიზია	89.7
41. კოლუმბია	81.3
42. ფილიპინები	74.7
43. ჩილი	70.5
44. „Wal-Mart stores”	67.7
45. პაკისტანი	61.6
46. პერუ	53.5
47. ალჟირი	53.3
48. „Exxon Mobil”	52.6
49. ჩეხეთი	50.8
50. ახალი ზელანდია	50.0
51. ბანგლადეში	4.1
52. გაერთ.არაბ.ემირატები	46.5
53. “General Motors”	46.2
54. უნგრეთი	45.6
55. “Ford motors”	45.1
56. “Mitsubishi”	44.3
57. “Mitsu”	41.3
58. ნიგერია	41.1
59. “Citigroup”	39.1
60. “Itochu”	38.4
61. “Daimler Chrysler”	37.5
62. “Royal Dutch/Shell”	37.3
63. “BP”	37.0
64. რუმინეთი	36.7
65. “Nippon T&T”	36.1
66. უკრაინა	35.3

67. მაროკო	33.5
68. "AXA"	32.5
69. "General Electric"	32.5
70. "Sumitomo"	31.9
71. ვიეტნამი	31.3
72. "Toyota Motor"	30.4
73. ბელორუსია	29.9
74. "Marubeni"	29.9
75. კუვეიტი	29.7
76. "Total Fina Elf"	26.5
77. "Enron"	25.2
78. "ING Group"	24.9
79. "Allianz Holding"	24.9
80. "E.ON"	24.3
81. "Nippon Life Insurance"	23.8
82. "Deutsche Bank"	23.5
83. "AT&T"	23.1
84. "Verizon Comm."	22.6
85. "US Postal Service"	22.6
86. ხორვატია	22.4
87. "IBM"	22.1
88. "CGNU"	21.5
89. "JP Morgan Chase"	21.0
90. "Carrefour"	21.0
91. "Credit Suisse"	20.8
92. "Nissho Iwai"	20.5
93. "Bank of America"	20.2
94. "BNP Paribas"	20.2

95. "Volkswagen"	19.7
96. დომინიკ.რესპუბლიკა	19.7
97. ურუგვაი	19.7
98. ტუნისი	19.5
99. სლოვაკეთი	19.1
100. "Hitachi"	19.0

ცხრილი 11. ტნკ-ს და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების წარმოების მოცულობები, მლრდ USD

რაოდენ დამაჯერებელიც არ უნდა იყოს რაოდენობრივი მახასიათებლები და თანამედროვე ტნკ-ების ეკონომიკური სიძლიერის შეფასებები, არასწორი იქნებოდა ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა შეფასებულიყო მხოლოდ მათი ფილიალების და შვილობილი კომპანიების რაოდენობით, გაყიდვების მოცულობით, ინვესტიციებით ან მიღებული მოგებით. ყველა განხილულ მაჩვენებელს, რა თქმა უნდა, აქვს არსებითი მნიშვნელობა, რადგან მათ აქვთ დიდი წილი საერთაშორისო წარმოებასა და გაცვლაში. მაგრამ, აქ უფრო მნიშვნელოვანია სისტემური ეფექტი, რომელიც ჩნდება მსოფლიოს ეკონომიკური პროცესების ობიექტურად არსებული ურთიერთკავშირებიდან და ურთიერთდამოკიდებულებიდან ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში. ტნკ-ების უპირატესობებს სისტემური ეფექტის გამოყენებაში შეგვიძლია მივაკუთნოთ:

1. ბუნებრივი რესურსების ფლობის კაპიტალის და ცოდნის გამოყენების უპირატესობა, განსაკუთრებით R&D(Research and Development) შედეგებით საგებლობა, იმ კომპანიებთან შედარებით, რომლებიც ახორციელებენ სამეწარმეო საქმიანობას ერთ ქვეყანაში და უცხოურ რესურსებზე თავიანთ მოთხოვნილებებს იკმაყოფილებენ მხოლოდ ექსპორტ-იმპორტის გარიგებების საშუალებით⁵⁵.

⁵⁵ Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика: Учебник для вузов -2-е изд. перераб. и доп. –М.: Высш. шк. 2004

2. საშუალება ოპტიმალურად განათავსონ თავიანთი საწარმოები სხვადასხვა ქვეყნებში მათი შიდა ბაზრის ზომის, ეკონომიკური ზრდის ტემპის, სამუშაო ძალის კვალიფიკაციის და მისი ფასის, სხვა ეკონომიკური რესურსების ხელმისაწვდომობის და ასევე ინფრასტრუქტურის განვითარების გათვალისწინებით. აქვთ საშუალება გაითვალისწინონ პოლიტიკურ-სამართლებრივი ფაქტორები, რომელთა შორის უმთავრესია პოლიტიკური სტაბილურობა.

3. ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია მთლიანი სისტემის ფარგლებში, რაც მიზნად ისახავს ისეთი სტრატეგიის შემუშავებას, რომელიც საშუალებას იძლევა გადახდილ იქნას ნაკლები გადასახადები – მოგების გადანაწილების შესაძლებლობა კორპორაციაში შემავალ კომპანიებს შორის ისე, რომ ყველაზე დიდი მოგება ქონდეთ იმ კომპანიებს, რომლებიც სარგებლობენ საგადასახადო შეღავათებით .

4. მსოფლიო სამეურნეო სისტემის ფინანსური რესურსების გამოყენება თავიანთი მიზნებისათვის, რადგან მათი დაფინანსების წყაროს წარმოადგენს არა მხოლოდ და იმდენად არა დედა კომპანიები, რამდენადაც მიმღები ქვეყნის იურიდიული და ფიზიკური პირები. ამისათვის ტნკ-ების საზღვარგარეთული სტრუქტურები პრაქტიკაში ფართოდ იყენებენ მიმღები და აგრეთვე მესამე ქვეყნების ფინანსური სესხების ინსტიტუტებს.

5. რაციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც იმყოფება ტნკ-ს ხელმძღვანელობის ყურადღების ქვეშ და განუწყვეტლივ იხვეწება.

6. მუდმივი ინფორმირებულობა სასაქონლო, სავალუტო და საფინანსო ბაზრების კონიუქტურის შესახებ სხვადასხვა ქვეყნებში, რაც საშუალებას იძლევა კაპიტალის ნაკადები ოპერატიულად გადაყვანილ იქნას იმ სახელმწიფოებში სადაც იქმნება საუკეთესო პირობები მაქსიმალური მოგების მისაღებად და, იმავდროულად, გადანაწილდეს ფინანსური რესურსები მინიმალური რისკებით.

7. კარგად დივერსიფიცირებული ტნკ-ის შედარებითი დამოუკიდებლობა დეპრესიული (შეიძლება ხანგრძლივიც) მოვლენებისგან მსოფლიო მეურნეობის ცალკეულ დარგებში.

ტნკ-ს ფუნქციონირების დადებითი ასპექტების ასახვის დროს, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შეაქვთ არსებითი წვლილი გლობალურ მსოფლიო მეურნეობაში შემდეგი მიმართულებებით:

- ხელს უწყობენ ყველა სახის რესურსების ოპტიმალურ გადანაწილებას;
- ხელს უწყობენ წარმოების ოპტიმალურ განლაგებას;
- მათი მეშვეობით უფრო აქტიურად ვრცელდება ახალი საქონელი და ტექნოლოგიები;
- ადგილობრივი მონოპოლიების პოზიციების შერყევით, ხელს უწყობენ კონკურენციის გაძლიერებას;
- მათი მეშვეობით ფართოვდება საერთაშორისო თანამშრომლობა.

ტნკ-ს თვალსაჩინო უპირატესობამ მსოფლიო ფინანსური, მატერიალურ-ტექნიკური და შრომითი რესურსების ათვისების სფეროში, ამ რესურსების გაერთიანების საშუალება ეკონომიკურად მიზანშეწონილ და მომგებიან საქმიანობის სახეებში, უზრუნველყო მისი მნიშვნელოვანი, ნაციონალურ კომპანიებთან შედარებით, წარმოების ეფექტიანობის ზრდა და სამეწარმეო რისკების შემცირება.

მსოფლიო მეურნეობის გარდაქმნით საერთაშორისო (ტრანსნაციონალურ) წარმოებაში, ტნკ-მ განაპირობა მისი განვითარება სხვადასხვა მიმართულებით: ტექნიკური დონის, პროდუქციის ხარისხის და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებიდან დაწყებული დამთავრებული მენეჯმენტის ფორმების და კომპანიების მართვის სრულყოფით. შვილობილი კომპანიების და ფილიალების მეშვეობით, რომლებიც განლაგებულია ასეულობით ქვეყანაში, ისინი მოქმედებენ ერთიანი სამეცნიერო-სამეწარმეო სტრატეგიის მიხედვით, რომლის ფორმირება ხდება მათ დედა კომპანიებში, ფლობენ უზარმაზარ სამეცნიერო-სამეწარმეო და საბაზრო პოტენციალს, რომელიც განაპირობებს მსოფლიო ეკონომიკური სისტემის დინამიკურ განვითარებას.

ტნკ და მათი როლი პირდაპირი საზვარგარეთული ინვესტიციების (პსი) ბაზარზე. XX საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო ბიზნესის მთლიანი

პრაქტიკა მეტყველებს იმაზე, რომ საკვანძო სუბიექტები, რომლებიც განაპირობენ პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მასშტაბებს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, არიან ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებიც განიხილავენ კაპიტალის გატანას და მის ეფექტიანად გამოყენებას საზღვარგარეთ, როგორც თავისი ეკონომიკური სიძლიერის საფუძველს. წარმოების მნიშვნელოვანი წილის გატანა საზღვარგარეთ, შექმნა იქ ფილიალების და შვილობილი კომპანიები, ინტეგრირებული საქონლის და მომსახურების ტრანსნაციონალური წარმოების ერთიან ქსელში, რაც საშუალებას აძლევს ტნკ-ების მაქსიმალურად ეფექტიანად გამოიყენონ მათ მფლობელობაში მყოფი რესურსები, და ამით განახორციელონ თავიანთი კონკურენტული უპირატესობები.

ცნება „პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები“ თავის თავში მოიცავს სამ კომპონენტს:

- 1) აქციონერული კაპიტალი – პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტორის მიერ უცხოური კომპანიის წილის ყიდვა;
- 2) ფირმის შიდა სესხები და სასესხო შეთანხმებები დედა კომპანიას და მის საზღვარგარეთულ ფილიალებსა და შვილობილ კომპანიებს შორის;
- 3) რეინვესტირებული შემოსავლები.

აღვნიშნავთ, რომ მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოში აქციების 10%-ის ფლობა ითვლება საკმარისად განხორხორციელებულ იქნას კონტროლი ინვესტირების ობიექტზე და აქციების შესაბამისი პაკეტი განიხილება, როგორც პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიცია. იგივე შეხედულება აქვთ საერთაშორისო ეკონომიკურ ორგანიზაციებსაც: ყველა დაბანდება, რომელიც არის 10%-ზე ნაკლები მათი აზრით არის პორტფელური ინვესტიცია.

ძირითად ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ ტრანსნაციონალური კომპანიების პირდაპირი ინვესტიციების შესაძლებლობებს და ზომებს, წარმოადგენენ:

1. ტექნოლოგიური ლიდერობა: პირდაპირი ინვესტირების განხორციელებით საზღვარგარეთულ კომპანიაში, კორპორაცია მიისწრაფვის შეინარჩუნოს

კონტროლი საკვანძო ტექნოლოგიაზე, რომელიც უზრუნველყოფს მის კონკურენტულ უპირატესობას დარგში.

2. უპირატესობები სამუშაო ძალის კვალიფიკაციაში, რომლებიც ჩვეულებრივ იზომება შრომის საშუალო ანაზღაურების დონით. რაც უფრო მაღალია შრომის ანაზღაურების დონე კორპორაციაში, მით უფრო დიდია მისი პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების წილი.

3. უპირატესობები რეკლამაში, რომლებიც ასახავენ საერთაშორისო მარკეტინგის დაგროვილ გამოცდილებას: რაც უფრო მაღალია რეკლამის დანახარჯის ხვედრითი წილი კორპორაციის გაყიდვების მოცულობაში, მით უფრო დიდია მისი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობა.

4. მასშტაბის ეკონომია. რაც უფრო დიდია კორპორაციის წარმოების მოცულობა, რომელიც ორიენტირებულია შიდა ბაზარზე, მით მეტია კორპორაციის პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციები. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სანამ მოხდება კაპიტალის ინვესტირება საზღვარგარეთ, ტრანსნაციონალური კომპანიები, როგორც წესი, ცდილობენ მთლიანად გამოიყენონ მასშტაბის ეკონომიის ეფექტი შიდა ბაზრის ფარგლებში.

5. წარმოების კონცენტრაციის ხარისხი, რომლის ზრდასთან ერთად ტნკ-ს პირდაპირი საზღვარგარეთული ინვესტიციების მოცულობა მატულობს.

6. ბუნებრივი რესურსებით უზრუნველყოფა. რაც უფრო მაღალია ტნკ-ს კონკრეტულ ბუნებრივ რესურსზე მოთხოვნილება, მით უფრო დიდი მოცულობის პირდაპირი ინვესტიციების ექსპორტი ხდება იმ ქვეყანაში, სადაც ეს რესურსი მოიპოვება.

7. მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდების სატრანსპორტო ხარჯების შემცირება კომპანიის დაარსებით მის სიახლოვეს.

8. საზღვარგარეთული სახელმწიფოს იმპორტის ბარიერების გადალახვა მოცემული ქვეყნის ტერიტორიაზე ტრანსნაციონალური კორპორაციის კონტროლირებადი კომპანიის შექმნის გზით.

პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტიციებს, რომლებსაც ახორციელებს ტნკ კონკრეტული ქვეყნის ეკონომიკაში, შეუძლიათ მოახდინონ წინააღმდეგობრივი

ზეგავლენა მასზე. კერძოდ, პსი-ს პოზიტიური ზეგავლენა მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე შეიძლება განსაძღვრულ იქნას შემდეგი მიმართულებით:

1) ტნკ-ს შვილობილი კომპანიების და ფილიალების შექმნა ხელს უწყობს კაპიტალდაბანდებების, შრომის ნაყოფიერების და დასაქმების დონის ზრდას;

2) ხელის შეწყობა ტექნოლოგიების, სავაჭრო ნიშნების, პატენტების და ლიცენზიების, აგრეთვე მმართვეობითი და მარკეტინგული უნარების გადამცემის დროს;

3) ექსპორტის დივერსიფიკაციის უზრუნველყოფა: ტნკ-ს ხშირად იყენებენ როგორც ერთი ქვეყნიდან მეორე სახელმწიფოს ბაზარზე საქონლის გადაადგილების არხს;

4) მიმღები ქვეყნის ეკონომიკური სისტემის კონკურენტუნარიანობის ხელშეწყობა.

ტრანსნაციონალური კორპორაციების პსი-ს შესაძლო ნეგატიური შედეგები კონკრეტული ეკონომიკისთვის შესაძლოა იყოს შემდეგი:

1) ადგილობრივი კომპანიების მხრიდან კონტროლის დაკარგვა ნაციონალურ წარმოებაზე და ნაციონალური განვითარების სტრატეგიის ფორმირებაზე;

2) სამამულო კომპანიების შიდა კაპიტალდაბანდებების განდევნა უცხოური ინვესტიციების მიერ და ადგილობრივი კომპანიების განდევნა ნაციონალური ბაზრიდან ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ;

3) მიმღები ქვეყნის საგადამხდელო ბალანსის გაუარესება, თუ ფილიალების წარმოება მოითხოვს იმპორტის მოცულობის მნიშვნელოვან ზრდას. ამასთან ერთად ნეგატიური ეფექტი მით უფრო ძლიერი იქნება, თუ მოცემული წარმოება ორიენტირებული იქნება ადგილობრივ, და არა საექსპორტო ბაზარზე;

4) ნაციონალური ეკონომიკის დანაკარგები იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნიდან გატანილი კაპიტალის მოცულობა (რეპატრირებული პსი-ს მიხედვით შემოსავლების და „როიალტის“ სახით) გადააჭარბებს ნაციონალურ ეკონომიკაში ინვესტირებულ პირდაპირ საზღვარგარეთულ ინვესტიციების მოცულობას.

მიმღები ქვეყნისათვის პსი-ს შედეგების განხილვისას, აუცილებელია გვესმოდეს, რომ ინვესტიციები ახდენენ განსხვავებულ ზეგავლენას განვითარებული და განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკაზე. განვითარებული ქვეყნები მოგებაში არიან პსი-ს ნაკადების აქტივიზაციისაგან: მოქმედებენ რა უმთავრესად თავიანთი ინტერესების დასაცავად, ისინი განსაზღვრავენ მსოფლიოს ქვეყნების მესამედის ეკონომიკურ განვითარებას. პსი-ს შენაკადი ამ ქვეყნებში ხდება ისედაც მაღალეფექტური ეკონომიკის დამატებითი სტიმული სამომავლო განვითარებისთვის. პსი-ს შენაკადი ამ ქვეყნებში ხდება დამატებითი სტიმული ისედაც უკვე მაღალეფექტიანი ეკონომიკის. ხარისხიანი ნორმატიულ – სამართლებრივი ბაზა, საბანკო სისტემის განვითარების დამაკმაყოფილებელი დონე, ეკონომიკის მაღალი მიზიდველობა ტნკ-ს მიერ მიღებული შემოსავლების რეინვესტირება, საშუალებას აძლევს განვითარებულ ქვეყნებს მიიღონ მაქსიმალური სარგებელი პსი-ს მოზიდვებიდან.

პსი –ს ზეგავლენა განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნების ეკონომიკურ სისტემებზე შესაძლოა იყოს როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიურიც. წამყვანი მეცნიერების მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა პსი-ს ზეგავლენის შესახებ მიმღები ქვეყნების ეკონომიკაზე მიგვიყვანეს სამ ძირითად დასკვნამდე:

1. პსი ახდენს პოზიტიურ ზეგავლენას მიმღები ქვეყნის ეკონომიკაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოს აქვს გამოკვეთილი პროგრამა უცხოელ ინვესტორებთან ურთიერთობაში და კარგად ჩამოყალიბებული პოლიტიკა უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და მათი ეფექტიან გამოყენების შესახებ.

2. პსი-ს შენაკადმა შეიძლება უკიდურესად ნეგატიური ზეგავლენა მოახდინოს როგორც ქვეყნის საერთაშორისო კონკურენტუნარიანობაზე, ასევე მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებზე, გამოკვეთილად ჩამოყალიბებული პროგრამის და კარგად მოფიქრებული პოლიტიკის გარეშე.

3. ქვეყანაში შემოსული ჰსი–ს დადებითი ზეგავლენის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კონკურენციის მაღალი ხარისხი იმ დარგებში, სადაც შემოდის უცხოური ინვესტიცია.

აუცილებელია ასევე აღინიშნოს, რომ მიმღები ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე და მის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებით ზეგავლენას ახდენს მხოლოდ გრძელვადიანი უცხოური კაპიტალი, ხოლო ხანმოკლე, სპეკულაციური, პირიქით წარმოშობს ფინანსურ რყევებს და ხშირად საკმაოდ ნეგატიურ ზემოქმედას ახდენს შესაბამისი ქვეყნების ეკონომიკაზე.

ტრანსნაციონალური კორპორაციების მონაწილეობა საერთაშორისო ბიზნესში მრავალმნიშვნელოვანია და აქვს რამდენიმე დონე. უპირველეს ყოვლისა ისინი არიან თანამედროვე ფორმის შრომის განაწილების და საერთაშორისო დონის კონკურენციის მეტად აქტიური მონაწილეები. ცალკეული სახელმწიფოების ჩარჩოებში ისინი კონკურენციას უწევენ ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებს ნედლეულის და გასაღების ბაზრების დაკავებაში, აგრეთვე ადგილობრივი დოტაციების და სხვა შეღავათების მოპოვების დროს.

მოცემული რთული და ხანდახან კონფლიქტური სისტემის ჩარჩოებში არსებობს ტნკ–ს სახელმწიფოებთან და მთავრობებთან ურთიერთობის ორი სფერო: პირველი საერთაშორისო კორპორაციის სათავო სტრუქტურას და მის სამშობლოს (ბაზირების ქვეყანა) შორის; მეორე – ტრანსნაციონალურ კორპორაციას და მიმღები ქვეყნის მთავრობასთან.

ვერავინ ვერ უარყოფს თეზისს, რომ ტრანსნაციონალური კორპორაციების საქმიანობა მეტად მჭიდროდ არის დაკავშირებული მათი წარმოშობის ქვეყნის ინტერესებთან. უფრო მეტიც, შეიძლება გადაჭრით ითქვას შემთხვევების აბსოლუტურ უმრავლესობაში სახელმწიფოების და მათ ტერიტორიაზე ბაზირებული ტნკ–ს ინტერესები ობიექტურად ემთხვევა ერთმანეთს (რაც კარგია „ჯენერალ მოტორს“-ისთვის, კარგია ამერიკისთვის).

ეპოქაში, რომელშიც სხვა სახელმწიფოს პირდაპირი პოლიტიკური კონტროლი გახდა შეუძლებელი, ტნკ–ები აძლევენ საშუალებას „თავის“ ქვეყნებს, რომლებსაც აქვთ ტექნოლოგიური და ეკონომიკური უპირატესობები, ყოველგვარი

ბარიერების გარეშე მიუწვდებოდეთ ხელი სხვა სახელმწიფოს რესურსებზე. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა სახელმწიფოებს შეუძლიათ გამოიყენონ პროტექციონისტული პოლიტიკა ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების საქონლის მიმართ, ტნკ, განათავსებს რა თავის წარმოებას ამ ქვეყნის ტერიტორიაზე და ამით თავიდან აცილებს „თავისი“ ქვეყანას პროტექციონისტული ბარიერის გადალახვას და უნარჩუნებენ მას მოცემულ საბაზრო სივრცეს არსებული საერთაშორისო შრომის დანაწილების სისტემაში. სხვა სახელმწიფოების ტერიტორიებზე თავისი საკუთრების ანკლავების შექმნით, ფილიალების და შვილობილი კომპანიების სახით, ტნკ აარსებს და აძლიერებს თავისი ბაზირების ქვეყნის პოზიციებს საზღვარგარეთ.

განვითარებული ქვეყნები, თავის მხრივ, აქტიურად უწყობენ ხელს თავიანთ ტნკ-ების განვითარებას, იყენებენ რა მრავალფეროვან საშუალებებს ტრანსნაციონალური კაპიტალის მხარდაჭერისა, რომელთა შორის შეგვიძლია გამოვყოთ:

- სახელმწიფო გარანტიებით უზრუნველყოფა და უცხოური ინვესტიციების დაზღვევა;
- საზღვარგარეთ ტნკ-ს ინვესტიციების დაცვა შესაბამისი ორმხმრივი შეთანხმებების გზით;
- აგრეთვე საინვესტიციო სფეროში საერთაშორისო არბიტრაჟის სპეციალიზებული ინსტიტუტების შექმნა, კერძოდ ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება.

ხანდახან ტნკ მიმართავს უშუალოდ სახელმწიფო ეკონომიკური მხარდაჭერის ფორმებსაც. ეს შესაძლოა იყოს სპეციალური სუბსიდიები გარკვეული მაღალტექნოლოგიური დარგების სასარგებლოდ, ბიზნესის სფეროში „ნაციონალური ჩემპიონების“ შექმნა, რომლებიც ხშირად გარდაიქმნებოდნენ ტრანსნაციონალურ კომპანიებში. ცნობილია მაგალითები, როდესაც ხორციელდებოდა ტრანსნაციონალური კომპანიების პირდაპირი მხარდაჭერა ინფორმაციის დახმარებით, პროდუქციის გასაღების სტიმულირებით და მათი

წარმოშობის ქვეყნის დიპლომატიური ინსტრუმენტების და სამსახურების დახმარებით.

ახალ ტენდენციას ტნკ-ს და ბაზირების ქვეყანას შორის ურთიერთობაში წარმოადგენს ზოგიერთი სახელმწიფოს სწრაფვა დააწესოს მათზე გარკვეული კონტროლი, რამაც გამოიწვია ტრანსნაციონალური კორპორაციების საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჯგუფის წარმოქმნა სახელმწიფო მონაწილეობით, რომელთაგან ყველაზე მსხვილები არიან განლაგებულნი საფრანგეთში, იტალიაში, ავსტრიაში და ინდოეთში.

ტნკ-ს ურთიერთობები უფრო რთულად ყალიბდება ნაკლებად განვითარებულ, მათ შორის განვითარებად ქვეყნებთან, რაც განპირობებულია მათი ეკონომიკური ინტერესების შეუთავსებლობით. რიგ შემთხვევებში ტნკ-ს შეუძლია შეიტანოს გარკვეული წვლილი განსახილველი ჯგუფის ქვეყნების განვითარებაში, რაც აისახება:

- მათ მიერ ნაციონალური წარმოების ზოგიერთ დარგში მოწინავე სამეწარმეო ტექნოლოგიების მიღებაში (მომპოვებელი, საფეიქრო, სამკერვალო, ელექტრონული და სხვ.);
- განვითარებადი ქვეყნების გარდაქმნაში ნედლეულის ექსპორტიორებისგან მზა პროდუქციის მომწოდებლებად;
- ტექნოლოგიური ინოვაციების პროცესების დაჩქარებაში;
- ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების და კორპორაციების ადგილობრივი მუშაკების შემოსავლების ზრდაში;
- მმართველობითი მეთოდების მოდერნიზაციაში და ა.შ.

თუმცა ტნკ-ს განვითარებად ქვეყნებთან ურთიერთობის პრაქტიკა გვიჩვენებს აგრეთვე ტრანსნაციონალური კაპიტალის შესაბამისი ქვეყნის ეკონომიკაზე უამრავ ნეგატიური ზეგავლენის ფაქტს. ძირითად მიზეზთა შორის, რომლებიც ახდენენ ასეთ გავლენას შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი:

1. ადგილობრივი კომპანიების მიმართ ტნკ-ს მხრიდან სასტიკი კონკურენციის შესაძლებლობა;

2. საშიშროება იმისა, რომ მიმღები ქვეყანა შეიძლება გახდეს მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში ტექნოლოგიების თავმოყრის ადგილი;

3. უცხოური კომპანიების მიერ მიმღები სახელმწიფოს მეტად განვითარებული და პერსპექტიული მრეწველობის სექტორების ხელში ჩაგდება. ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებსაც რყევის მომენტებშიც კი აქვთ საკმაოდ დიდი ფინანსური რესურსები, აქტიურად იყენებენ ცუდ კონიუქტურას სხვა კომპანიების ხელში ჩასაგდებად;

4. შესაძლებლობა იმისა, რომ თავიანთ ჩარჩოებში ტრანსნაციონალური კომპანიები თავს მოახვევენ მიმღები ქვეყნის კომპანიებს შრომის დანაწილების არაპერსპექტიულ მიმართულებებს;

5. ტრანსნაციონალური კომპანიების ორიენტაცია შთანთქმაზე იწვევს საინვესტიციო პროცესების მერყეობის ზრდას. მსხვილი საინვესტიციო პროექტები, რომლებიც უკავშირდება რეალურ კაპიტალდაბანდებებს, გამოირჩევიან გარკვეული მდგრადობით – არ შეიძლება მათი დაწყება ხანგრძლივი მომზადების გარეშე და ასევე მათი მოულოდნელად დასრულება საგრძნობი დანაკარგების გარეშე. ხელში ჩაგდების პოლიტიკა კი, პირიქით, სავარაუდოდ, გამოიწვევს ფინანსურ მერყეობას;

6. ტრანსნაციონალური კორპორაციების მდგრადობა აძლევს მათ საშუალებას მიიღონ გადაწყვეტი ზომები კრიზისის შემთხვევაში – საწარმოების დახურვა, წარმოების შემცირება, რაც იწვევს უმუშევრობას და სხვა ნეგატივ მოვლენებს. ამით აიხსნება, კერძოდ, დეზინვესტიციის მოვლენაც (ქვეყნიდან კაპიტალის მასობრივი ამოღება);

7. ტრანსნაციონალური კორპორაციების მიდრეკილება გააზვიადონ რეაქცია კონიუქტურის ცვლილებაზე იძლევა უამრავ მიზეზს, რომ შემცირდეს პროდუქციის გამოშვება, თუ ამ სახელმწიფოს კონკურენტუნარიანობა ამა თუ იმ მიზეზის გამო მცირდება;

8. წინააღმდეგობის გაწევა იმ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციაზე, რომლებშიც მოღვაწეობს ტნკ;

9. მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობის დარღვევა. ასე, ტრანსფერტული ფასების პოლიტიკის მანიპულირებით, ტნკ-ს შვილობილი კომპანიები გვერდს უვლიან სახელმწიფო კანონმდებლობას, მაღავენ რა შემოსავლებს საგადასახადო დაბეგვრისაგან მათი ერთი ქვეყნიდან მეორეში გადატანით;

10. მონოპოლიური ფასების დაწესებით, პირობების დიქტატით, რომლებიც ზღუდავენ განვითარებადი ქვეყნების ინტერესებს.

ყველაფერი ზემოთ ნათქვამის გათვალისწინებით, ყველა სახელმწიფო, რომელიც იღებს ტნკ-ს თავის ტერიტორიაზე, უნდა ითვალისწინებს ტრანსნაციონალური კაპიტალის თავის ქვეყნის ეკონომიკაზე (და პოლიტიკაზეც!) ზეგავლენის დადებით და ნეგატიურ ყველა შესაძლო ასპექტებს, იმისათვის, რომ სახელმწიფოს და მისი მოქალაქეების ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული.

თავი 11. ტრანსნაციონალური კომპანიის მართვის ხარისხი და ფილოსოფია

მართვის ფილოსოფიის ქვეშ ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ საერთო პრინციპები, რომელთა საფუძველზე იგება თანამედროვე ტნკ-ების მართვის სტრუქტურა და ხორციელდება მსგავსი რთული სისტემების მართვის პროცესები. რა თქმა უნდა, ხარისხის ფილოსოფია და მართვის ფილოსოფია ურთიერთდამოკიდებულია— ხარისხის ფილოსოფია აყალიბებს კომპანიის საქმიანობის მიზანს და მიმართულებას, და მართვის ფილოსოფია განსაზღვრავს ამ მიზნის მისაღწევად საჭირო შესაფერის ორგანიზაციულ საშუალებებს. მართვის ფილოსოფიის და ხარისხის ფილოსოფიის საფუძველები ჩადებული იყო ფ.უ. ტეილორის მიერ.

ცნება „სისტემა“, რომელიც წარმოადგენს ერთერთ ცენტრალურს ეკონომიკურ კიბერნეტიკაში, გულისხმობს ფართო გაგებით მოწესრიგებულ ერთობლიობას ურთიერთდამოკიდებული ელემენტებისა, რომლებიც ქმნიან ერთიან მთლიანს და ერთგვარად ურთიერთმოქმედებენ მოცემული მიზნის მისაღწევად.

სისტემების თეორიის თვალსაზრისით ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენენ ღია ზერთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებს, რომლებიც ფუნქციონირებენ გარემოს ცვალებადობის და გარემოს სუსტი პროგნოზირება-

დობის პირობში. ასეთ პირობებში ფუნქციონირებადი ტრანსნაციონალური კომპანიები უნდა პასუხობდნენ შემდეგ ძირითად სისტემურ მოთხოვნებს:

- კონკრეტულ პირობებში სისტემის ქცევის პროგნოზირების შესაძლებლობა;
- უნარი წინააღმდეგობა გაუწიონ სისტემის დამანგრეველ ტენდენციებს;
- ცვალებად პირობებთან ადაპტირების უნარი;
- თავისი სტრუქტურის ცვლილების უნარი და ჩამოყალიბოს ქცევის ვარიანტები;
- მიზანდასახვის უნარი და მისწრაფება, ანუ მიზნების ჩამოყალიბება სისტემის შიგნით.

ასეთი სისტემების ეფექტური მართვა რთული პრობლემაა, მით უმეტეს, რომ შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბების დროს უნდა იყოს გათვალისწინებული უამრავი სპეციფიკური პირობები, რომელთა გათვალისწინება თავის მხრივ არ წარმოადგენს მარტივ ამოცანას. განვიხილოთ მათგან ძირითადი.

გლობალიზაცია. სამეწარმეო და ტექნოლოგიური შესაძლებლობების ზრდა მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში, სამომხმარებლო და სარესურსო ბაზრების საყოველთაოობა მოითხოვს კომპანიისგან მოქმედებათა გლობალურ ორგანიზებას. საერთაშორისო კომპანიის საქმიანობა არ შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ პროდუქციის წარმოებით და მისი ექსპორტირებით სხვა ქვეყნებში. მას უნდა ჰქონდეს გლობალური სტრატეგია, რომელიც მისცემს საშუალებას იმოქმედოს სხვადასხვა ქვეყანაში დამატებითი ღირებულების შექმნის ტექნოლოგიური ჯაჭვის ნებისმიერ სტადიაზე. ამასთან ერთად გლობალური სტრატეგიის გამოსამუშავებლად საერთაშორისო კომპანია უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ამ ქვეყნის კონკურენციის და გარემოს პირობებს.

მოდელირება. ტრანსნაციონალურ კომპანიას შეუძლია უზრუნველყოს თავისი თანამშრომლების ოპერატიული, დამოუკიდებელი და საპასუხისმგებლო მოქმედება, მხოლოდ მაშინ როდესაც მათი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღებისთვის საერთო ბაზა იქნება კომპანიაში მიმდინარე სოციალურ-

ეკონომიკური პროცესების შესაძლო განვითარების ვარიანტების მოდელირების ანალიზი.

დამატებითი ღირებულების შექმნა და სამუშაოს ხარისხი. ხელახლა შექმნილი დამატებითი ღირებულების მოცულობის მაქსიმიზაციისთვის საჭიროა ტნკ-ს ძალისხმევების და საშუალებების კონცენტრაცია იმ სფეროებში, რომლებშიც კომპანიას აქვს კონკურენტული უპირატესობები და მაღალი ხარისხის პროდუქციის გამოშვების შესაძლებლობები. ეს საჭიროებს ყურადღების გაძლიერებას არა მხოლოდ დიზაინის და პროდუქციის გადანაწილების ხარისხის მიმართ, არამედ მთლიანი კომპანიის საქმიანობის მიმართაც.

ტნკ-ს ეკონომიკური სისტემების გახსნილობა. საერთაშორისო კომპანიები არ უნდა ფუნქციონირებდნენ მხოლოდ, როგორც დახურული სისტემები, რომლებიც დაინტერესებულნი არიან მხოლოდ თავიანთი შიდა მიზნების ოპტიმიზაციით. მათ უნდა მიიღონ აქტიური მონაწილეობა კულტურულ და სხვა ტრადიციულად არამომგებიანი სტრუქტურების მხადაჭერაში, გაამახვილონ ყურადღება ბიზნესის სხვა სახელმწიფოში წარმართვის ეთიკაზე, აგრეთვე გამოიმუშაონ გარკვეული მსოფლიო სტანდარტები ტრანსნაციონალური კორპორაციებისთვის.

კლიენტის წამყვანი როლი. ტნკ-ს სხვადასხვა ქვეყნის კლიენტების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უნდა იყოს მმართველობითი გადაწყვეტილებების უცვლელი წინაპირობა საერთაშორისო ბიზნესის დარგში. ბაზარზე არაორიენტირებული ფუნქციები არ უნდა იქნას უზრუნველყოფილი რესურსებით, და არც უნდა ფინანსდებოდეს.

ფუნქციების ინტეგრაცია და გადაჯვარედინება. მმართველობის ტრადიციული ფუნქციონალური სისტემა მოიცავს მის ისეთ ცალკეულ სფეროებს, როგორც არის მარკეტინგი, წარმოება, სამეცნიერო კვლევები და ა.შ. რთულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემებში მან უნდა გაუწიოს კოორდინირება ფუნქციების რიგს. ასეთი მიდგომის დროს ორგანიზაციული სტრუქტურები უნდა გარდაიქმნებოდნენ პირამიდულებიდან ბრტყელში (მატრიცულ), ტნკ-ს ზედა დონის მენეჯმენტის და უშუალო შემსრულებლებამდე დონეების მინიმალური რაოდენობით.

მოქნილობა. ტნკ-ს განმსხვავებელი ნიშანი უნდა იყოს მუდმივი შეგუება დინამიკურ გარემოსთან, პირველ რიგში ინდივიდუუმების ერთგულების, გუნდების უპირატესი გამოყენების, მაღალი შიდა კონკურენტუანობის და დევერსიფიკაციისკენ მისწრაფების ხარჯზე.

მოთხოვნების და წინაპირობების განზოგადებით, რომლებსაც საჭიროა პასუხობდნენ ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის თანამედროვე სტრუქტურები, უნდა ეფუძნებოდეს, ერთის მხრივ მმართველობის მეცნიერულ პრინციპებს, და მეორე მხრივ – ითვალისწინებდეს ტრანსნაციონალური წარმოების სპეციფიკას თანამედროვე პირობებში.

ტნკ-ს მართვის ოპტიმალური სტრუქტურა უნდა უზრუნველყოფდეს საზღვარგარეთ მყოფი ფილიალების უწყვეტ ხელმძღვანელობას დედა კომპანიის მიერ და იმავე დროს აძლევდეს საშუალებას საზღვარგარეთული ფილიალების მენეჯერებს დამოუკიდებლად მიიღონ გადაწყვეტილებები მომხმარებლების მოთხოვნის დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით ადგილობრივი ბაზრის სფეციფიკის გათვალისწინებით და მიმღები ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი 12. ბიზნესის მართვის საბაზისო ორგანიზაციული სტრუქტურები


ბიზნესის, მათ შორის საერთაშორისო, მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურების საერთო პრინციპების აგების სამეცნიერო კვლევები, საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მართვის სტრუქტურის ორი ტიპი: *იერარქიული* და *ადაპტური (ორგანული)*. პირველ ტიპს მიეკუთვნება: წრფივი ფუნქციონალური, წრფივ-შტაბური და დივიზიონალური მმართველობის სტრუქტურები, მეორეს – ბრიგადული (კროს-ფუნქციონალური), საპროექტო და ასევე მატრიცული (პროგრამულ-მიზნობრივი) სტრუქტურები.

განვიხილოთ ზემოთ ჩამოთვლილი მმართველობის ორგანიზაციული სტრუქტურების ტიპები მათი თანამედროვე მენეჯმენტის იდეების შესაბამისობის თვალსაზრისით.

წრფივი ორგანიზაციული სტრუქტურა. იერარქიული(ან ბიუროკრატიული) სტრუქტურის ყველაზე მეტად გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს წრფივ-ფუნქციონალური (წრფივი) სტრუქტურა.

წრფივი სტრუქტურების საფუძვლებს შეადგენენ აგებულების „შახტური“ პრინციპი და მმართველობის პროცესის სპეციალიზაცია კომპანიის ფუნქციონალური ქვესისტემების (მარკეტინგი, წარმოება, კვლევები და დამუშავებები, ფინანსები, პერსონალი და ა.შ.) მიხედვით. ყოველი ქვესისტემისთვის ყალიბდება სამსახურების იერარქია(„შახტა“), რომელიც კვეთს კომპანიას ზემოდან ქვემოთ.

ყოველი სამსახურის შედეგების შეფასება ხდება მონაცემებით, რომლებიც ახასიათებენ მათი მიზნების და ამოცანების შესრულებას. შესაბამისად იქმნება მუშაკების წახალისების და მოტივაციის სისტემა. ამასთან საბოლოო შედეგი (მთლიანობაში კომპანიის მუშაობის ხარისხი და ეფექტურობა) იძენს, ასე ვთქვათ, მეორეხარისხოვან მნიშვნელობას, რადგან მიღებულია, რომ ყველა სამსახური ამა თუ იმ ხარისხით მუშაობს მის მისაღებად.



ნახ. 12. მართვის წრფივი ფუნქციონალური სტრუქტურა

წყარო: შედგენილია თანაავტორების მიერ

წრფივი სტრუქტურის უპირატესობები:

- ფუნქციების და ქვედანაყოფების ურთიერთკავშირების მკაფიო სისტემა;
- ერთმმართველობის მკაფიო სისტემა – პროცესების ერთობლიობა, რომლებიც მიმართულია საერთო მიზნის მისაღწევად, ერთი მმართველის ხელშია თავმოყრილი ;

- მკაფიოდ გამოხატული პასუხისმგებლობა;
- საშემსრულებლო ქვედანაყოფების სწრაფი რეაქცია ზემდგომების პირდაპირ მითითებებზე.

წრფივი სტრუქტურის ნაკლოვანებები:

- არარსებობა რგოლების, რომლებიც არიან დაკავებული სტრატეგიული დაგეგმვის საკითხებით; ყველა დონის მმართველის საქმეში ოპერატიული პრობლემები დომინირებენ სტრატეგიულებზე;

- პასუხისმგებლობის გადადების და საქმის გაჭიანურების ტენდენცია პრობლემების გადაწყვეტისას, როდესაც საჭიროა რამდენიმე ქვედანაყოფის მონაწილეობა;

- მცირე მოქნილობა და შეგუება სიტუაციის ცვლილებისადმი;

- ეფექტიანობის და სამუშაოს ხარისხის კრიტერიუმები კომპანიის ქვედანაყოფებში მთლიანობაში განსხვავდება ერთმანეთისგან; ქვედანაყოფების სამუშაოს ხარისხის და ეფექტიანობის კრიტერიუმების შეფასების ფორმალიზაცია იწვევს შიშის და განცალკევებულობის ატმოსფეროს;


- დიდი რაოდენობის „მმართველობითი სირთულეების“ არსებობა მუშაკებს, რომლებიც უშვებენ პროდუქციას და იმ პიროვნებას შორის, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას;

- ზედა დონის მმართველების გადატვირთვა;

- კომპანიის მუშაობის შედეგების დიდი დამოკიდებულება ზედა მმართველების კვალიფიკაციაზე, პირად და საქმიან თვისებებზე.

შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე პირობებში სტრუქტურის ნაკლოვანებები აღემატებიან მის უპირატესობებს. ასეთი სტრუქტურა ცუდად შეთავსებადია ხარისხის თანამედროვე ფილოსოფიასთან.

წრფივი საშტაბო ორგანიზაციული სტრუქტურა. ორგანიზაციული სტრუქტურის ეს სახე წარმოადგენს წრფივი სტრუქტურის განვითარებას და მისი დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ ლიკვიდირებულ იქნას მისი მთავარი ნაკლი, რომელიც უკავშირდება სტრატეგიული დაგეგმვის რგოლების არარსებობას. წრფივი საშტაბო სტრუქტურა შედგება სპეციალიზებული ქვედანაყოფებისგან (შტაბები), რომლებსაც არ აქვთ უფლება მიიღონ გადაწყვეტილება და მართონ ქვემდგომი დანაყოფები, ისინი მხოლოდ ეხმარებიან შესაბამის მმართველს ცალკეული ფუნქციების შესრულებაში, უპირველესად ეს არის სტრატეგიული დაგეგმვის და ანალიზის ფუნქციები. სხვა მხრივ ეს სტრუქტურა შეესაბამება წრფივს (ნახ. 13.)



ნახ. 13. მმართველობის წრფივ-საშტაბო სტრუქტურა

წყარო: შედგენილია თანაავტორების მიერ

წრფივი საშტაბო სტრუქტურის უპირატესობები:

- სტრატეგიული საკითხების უფრო ღრმად დამუშავება, ვიდრე წრფივ სტრუქტურაში;
- ზედა დონის მმართველების გარკვეული განტვირთვა;
- გარე ექსპერტების და კონსულტანტების მოწვევის შესაძლებლობა;
- საშტაბო ქვედანაყოფებისთვის ფუნქციონალური მმართველობის უფლებების მინიჭებასთან ერთად ასეთი სტრუქტურა კარგი, პირველი ნაბიჯია მართვის უფრო ეფექტიანი ორგანული სტრუქტურების მიმართულებით.

წრფივი საშტაბო სტრუქტურის ნაკლოვანებები;

- პასუხისმგებლობის არასაკმარისად ზუსტი განაწილება, რადგან პირები, რომლებიც იღებენ გადაწყვეტილებას არ მონაწილეობენ მის შესრულებაში;

- მართვის გადაჭარბებული ცენტრალიზაციის ტენდენციები, წრფივი სტრუქტურის ანალოგიური, ნაწილობრივ შესუსტებული სახით.

ამგვარად, წრფივი სამტაბო სტრუქტურა შეიძლება იყოს კარგი შუალედური დონე წრფივი სტრუქტურიდან უფრო ეფექტიანობისკენ გადასვლისას. სტრუქტურა იძლევა საშუალებას, მართალია გარკვეული შეზღუდვებით, განხორციელებულ იქნას ხარისხის თანამედროვე ფილოსოფიის იდეები.

მოცემული მოდელი გამოიყენებოდა პრაქტიკულად ყველა ტნკ-ს განვითარების ადრეულ სტადიებზე. მის მეტად ერთგულ მიმდევარს წარმოადგენს კორპორაცია „Ford“-ი.

ტნკ-ს მართვის დივიზიონალური სტრუქტურა

კლასიკური წრფივ-ფუნქციონალური სტრუქტურები ახასიათებს პატარა და საშუალო კომპანიებს ნაწილს. მათ იშვიათად იყენებენ ტრანსნაციონალური კომპანიების დონეზე, უფრო ხშირად – მათი საზღვარგარეთული ქვედანაყოფების დონეზე. მსხვილი კომპანიებისთვის დომინანტური გახდა ორგანიზაციის მართვის სტრუქტურის აგების დივიზიონალური სქემა.

წრფივი ფუნქციონალური სტრუქტურის დივიზიონალურში გარდაქმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო კომპანიების ზომების უეცარი ზრდით, ტექნოლოგიური პროცესების გართულებით, მათი საქმიანობის დივერსიფიკაციით და ინტერნაციონალიზაციით, როდესაც დინამიკურად ცვლადი გარემოს პირობებში შეუძლებელი გახდა ერთი ცენტრიდან ერთმანეთისგან განსხვავებული და გეოგრაფიულად დაშორებული კომპანიის ქვედანაყოფების ეფექტიანად მართვა.

დივიზიონალური სტრუქტურები დაფუძნებულია მსხვილი ავტონომიური საწარმო-სამეურნეო ქვედანაყოფების (განყოფილებები, დივიზიონები) და მათი შესაფერისი დონის მმართველობის გამოყოფაზე, ამ ქვედანაყოფებისთვის ოპერატიულ-საწარმოო დამოუკიდებლობის მიცემით და მოგების მიღების პასუხისმგებლობის გადატანით ამ დონეზე.


კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანო იტოვებს უფლებას განახორციელოს მკაცრი კონტროლი ზოგადი კორპორაციული განვითარების, სამეცნიერო-კვლევითი შემუშავებების, ფინანსების, ინვესტიციების სტრატეგიის საკითხებზე. მაშასადამე, დივიზიონალურ სტრუქტურებს ახასიათებს შეერთება ცენტრალიზებული სტრატეგიული მართვის ზედა ეშელონებში და საქმიანობის დეცენტრალიზაცია განყოფილებებში, რომელთა დონეზეც ხორციელდება ოპერატიული მართვა და რომლებიც არიან მოგებაზე პასუხისმგებელნი. განყოფილებების დონეზე (დივიზიონები) მოგებაზე პასუხისმგებლობის გადატანასთან დაკავშირებით, ისინი განიხილებიან როგორც „მოგების ცენტრები“, რომლებიც აქტიურად იყენებენ მათთვის მინიჭებულ თავისუფლებას მუშაობის ეფექტიანობის ზრდისთვის.

მართვის საკვანძო ფიგურები ორგანიზაციებში, სადაც არის დივიზიონალური სტრუქტურა, არიან უკვე არა ფუნქციონალური ქვედანაყოფების მმართველები, არამედ მენეჯერები, რომლებიც ხელმძღვანელობენ საწარმოო დანაყოფებს (დივიზიონებს). სტრუქტურიზაცია დივიზიონების მიხედვით ხორციელდება, როგორც წესი, ერთერთი კრიტერიუმის მიხედვით: გამოშვებული პროდუქციის (ნაწარმი ან მომსახურება)-სასაქონლო სპეციალიზაცია; ორიენტაცია მომხმარებლების გარკვეულ ჯგუფებზე-სამომხმარებლო სპეციალიზაცია; ტერიტორიების, რომელთა მომსახურებაც ხორციელდება – რეგიონალური სპეციალიზაცია.

საერთაშორისო დივიზიონალურ-სასაქონლო სტრუქტურა (ნახ. 5) გამოიყენება იმ ტნკ-ების მიერ, რომლებსაც აქვთ ძალიან დივერსიფიცირებული პროდუქცია, განსხვავებული მისი წარმოების ტექნოლოგიით, მარკეტინგის მეთოდებით, რეალიზაციის არხებით და ა.შ.

მას იყენებენ, უპირველეს ყოვლისა, ის ტრანსნაციონალური კომპანიები, ვისთვისაც განსხვავებები გამოშვებული პროდუქციის სახეობებს შორის უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე განსხვავებები გეოგრაფიულ რეგიონებს შორის, სადაც ხდება ამ პროდუქციის რეალიზაცია. ამ სახის სტრუქტურა ხელს უწყობს კომპანიის საერთაშორისო ორიენტაციას, მაგრამ მისთვის დამახასიათებელია

(თუმცა იგივენაირად, როგორც ნებისმიერი სხვა დივიზიონალური სტრუქტურისთვის) კომპანიის ცალკეულ დივიზიონებს შორის კოორდინაციის შესუსტება; მათი საქმიანობის დუბლირების გაძლიერება.



ნახ. 14. საერთაშორისო დივიზიონალურ-სასაქონლო სტრუქტურა

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005, с.57.

საერთაშორისო დივიზიონალურ-რეგიონალური სტრუქტურა (ნახ.15)
გამოიყენება ისეთი ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ, რომლებსაც რეგიონალურ (გეოგრაფიული) განსხვავებებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გამოშვებული პროდუქციის განსხვავებებს.


მართვის ასეთ სტრუქტურას ტრანსნაციონალური კომპანიები გამოიყენებენ დარგებში, რომლებიც უშვებენ ტექნოლოგიურად ნაკლებად ცვალებად პროდუქციას (ავტომობილები, სასმელები, კოსმეტიკა, სურსათი, ნავთობპროდუქტები). ასეთი სტრუქტურის დადებით მხარეს შეუძლია მიეკუთნოს გეოგრაფიულ რეგიონებთან მჭიდრო კავშირი და საქმიანობის კოორდინაციის მაღალი მაჩვენებელი მათ ფარგლებში, და ნაკლოვანებებს – ცალკეული ქვედანაყოფის სამუშაოს სუსტი კოორდინაცია და მათი საქმიანობის დუბლირება.

შერეული დივიზიონალური სტრუქტურა. მართვის ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა შეესაბამებოდეს კომპანიის ფუნქციონირების კონკრეტულ პირობებს, და ისინი ტრანსნაციონალურ კომპანიებს აქვთ იმდენად რთული და განსხვავებული, რომ არცერთი ორგანიზაციული სტრუქტურა სუფთა სახით ვერ შეესაბამება. ამის გამო მსხვილი ტნკ-ების ფუნქციონირების პრაქტიკაში ყველაზე ხშირად გამოიყენება შერეული (გიბრიდული) სტრუქტურა, რომელშიც ერთერთ კრიტერიუმზე აქცენტის გაკეთებასთან ერთად ერთვება სტრუქტურული კავშირები სხვა კრიტერიუმის მიხედვით. შერეული სტრუქტურა ძალზედ პოპულარულია ამერიკულ ტრანსნაციონალურ კომპანიებში, განსაკუთრებით თუ საქმიანობა ძალიან დივერსიფიცირებულია.

თუ დავახასიათებთ დივიზიონალური სტრუქტურების გამოყენებას ტრანსნაციონალური კომპანიის დონეზე, ავლნიშნავთ, რომ დივიზიონალური მართვა ხორციელდება წრფივი ფუნქციონალური პრინციპის საფუძველზე.

დივიზიონალური სტრუქტურების განხილვის დასკვნისას ხაზი გაუსვათ მათ უპირატესობებს, ნაკლოვანებებს და ეფექტიანი გამოყენების პირობებს.

ასეთი სახის სტრუქტურის უპირატესობებია:



ნახ.15. საერთაშორისო დივიზიონალურ-რეგიონალური სტრუქტურა

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании,: Москва “Высшая школа”, 2005, с.58.

— მრავალპროფილიანი კომპანიების მართვის უზრუნველყოფა, რომელშიც დასაქმებულია ასეულ ათასობით თანამშრომელი და რომლის ქვედანაყოფები ტერიტორიულად დამორებულია;

— საშუალება ტნკ-მ მიაქციოს იმდენივე ყურადღება კონკრეტულ პროდუქტს, მომხმარებელს ან გეოგრაფიულ რეგიონს, რამდენსაც მას უთმობს მცირე სპეციალიზირებული კომპანია, რის შედეგადაც შესაძლებელია უფრო სწრაფი რეაგირება გარემოში განვითარებულ მოვლენებზე, ცვალებად პირობებთან ადაპტირება;

— ორიენტირება ტრანსნაციონალური კომპანიის საქმიანობის საბოლოო შედეგების მიღწევაზე (კონკრეტული სახის პროდუქციის წარმოება, განსაზღვრული სახის მომხმარებლის მოთხოვნების დაკმაყოფილება, კონკრეტული რეგიონალური ბაზრის საქონლით გაჯერება).

— მართვის სიძნელების შემცირება, რომლებიც ექმნება ზედა რგოლის მმართველებს;

— ოპერატიული მართვის განყოფილების გამოყოფა სტრატეგიულიდან, რის შედეგადაც ტრანსნაციონალური კომპანიის უმაღლესი მმართველობა კონცენტრირებას ახდენს სტრატეგიულ დაგეგმვაზე და მართვაზე;

— მოგებაზე პასუხისმგებლობის გადატანა დივიზიონების დონეზე, ოპერატიული მმართველობითი გაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაცია;

— კომუნიკაციების გაუმჯობესება;

— დანაყოფების მმართველების ფართოდ აზროვნების განვითარება, აღქმის მოქნილობა.

ორგანიზაციული სტრუქტურების განსახილველი ტიპის ნაკლოვანებებია:

— მმართველობის იერარქიულობის ზრდა, რამაც მოითხოვა მენეჯმენტის საშუალო რგოლების შექმნა სამუშაოს კოორდინაციისთვის;

— დივიზიონების მიზნების დაპირისპირება კომპანიის განვითარების საერთო მიზნებთან, მრავალდონიან იერარქიაში ქვედა და ზედა დონეების ინტერესების შეუთავსებლობა;

— დივიზიათაშორისი კონფლიქტების წარმოქმნის შესაძლებლობა, კერძოდ ცენტრალიზებულად განაწილებადი საკვანძო რესურსების დეფიციტის დროს;

— დივიზიონების საქმიანობის დაბალი კოორდინაცია: საშტაბო სამსახურები განცალკევებულია, ჰორიზონტალური კავშირები შესუსტებული;

— რესურსების არაეფექტიანი გამოყენების შეუძლებლობა სრულად, რადგან ისინი მიმაგრებულია კონკრეტულ ქვედანაყოფზე;

— მრავალდონიანი იერარქია დივიზიონების ფარგლებში წრფივი ფუნქციონალური სტრუქტურების ყველა ნაკლით;

— მაღალი ხარჯები მმართველობითი სტრუქტურის შესანახად.

მნიშვნელოვანი რაოდენობის ნაკლოვანებების მიუხედავად, დივიზიონალური სტრუქტურა, რაშიც გვარწმუნებს პრაქტიკა, საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნას ხარისხის თანამედროვე ფილოსოფიის იდეების უდიდესი ნაწილი.

ტნკ-ს დივიზიონალური სტრუქტურების პრაქტიკული გამოყენების გამოცდილებამ აჩვენა, რომ ისინი მეტად ეფექტიანი არიან მსხვილი საერთაშორისო კომპანიების პირობებში, კომპანიების, რომლებსაც აქვთ გამოსაშვები პროდუქციის ფართო ნომენკლატურა, ძლიერ დივერსიფიცირებული წარმოება, რომელიც ნაკლებად არის დამოკიდებული საბაზრო კონიუქტურის რყევებზე და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვაზე.

სხვა პირობებში საჭიროა გადასვლა მმართველობის იერარქიული სტრუქტურებიდან ორგანული ტიპის სტრუქტურებზე, რომლებიც უფრო მოქნილია, ადაპტური, უკეთესად შეგუებული დინამიკურ ცვლილებებთან და საერთაშორისო წარმოების მოთხოვნებთან.

ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის ადაპტური სტრუქტურები

ადაპტური მართვის სტრუქტურები განვითარებას იწყებენ 1980-ანი წლებიდან, როდესაც, ერთის მხრივ საქონლის და მომსახურების საერთაშორისო ბაზრის შექმნამ მკვეთრად გაამწვავა საერთაშორისო კომპანიების კონკურენცია, მოითხოვა მათგან მუშაობის მაღალი ეფექტიანობა და ხარისხი, ბაზრის ცვლილებებზე სწრაფი რეაქცია, მეორეს მხრივ-ცხადი გახდა იერარქიული ტიპის სტრუქტურების ამ პირობებთან ადეკვატური შესაბამისობა.

ადაპტურ ორგანიზაციულ სტრუქტურებს ახასიათებს მმართველობითი ორგანოების მუშაობის ბიუროკრატიული რეგლამენტაციის არარსებობა, სამუშაოს დეტალური განაწილების არარსებობა, მართვის სტრუქტურის მოქნილობა,

გადაწყვეტილებების მიღების დეცენტრალიზაცია, ყოველი მუშაკის ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საქმიანობის საერთო შედეგზე.

გარდა ამისა, ადაპტური ორგანიზაციული სტრუქტურები, როგორც წესი, ხასიათდება შემდეგი ნიშნებით:

— უნარით შედარებით ადვილად შეიცვალონ თავიანთი ფორმა, მოერგონ ცვალებად პირობებს;

— რთული პროექტების, კომპლექსური პროგრამების, რთული პრობლემების მოგვარების დაჩქარებულ რეალიზაციაზე ორიენტაციით;

— მოქმედების დროში შეზღუდვით, ანუ დროებით საფუძველზე დაარსებით, იმ დროს როდესაც საჭიროა პრობლემის მოგვარება, პროექტის, პროგრამის შესრულება;

— დროებითი მართვის ორგანოების შექმნით.

ადაპტური ტიპის სტრუქტურების ნაირსახეობას განეკუთვნება ბრიგადული, საპროექტო, მატრიცული(პროგრამულ–მიზნობრივი), და ასევე ქსელური ორგანიზაციული სტრუქტურები.

მმართველობის ბრიგადული (კროს–ფუნქციონალური) სტრუქტურა. ამ სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს სამუშაოების ორგანიზება ჯგუფების (ბრიგადების) მიხედვით. მისი ძირითადი პრინციპებია:

— სამუშაო ჯგუფების (ბრიგადების) ავტონომიურობა;

— გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება სამუშაო ჯგუფების მიერ და საქმიანობის ჰორიზონტალური კოორდინაცია;

— ხისტი ბიუროკრატიული ტიპის მმართველობითი კავშირების შეცვლა უფრო მოქნილით;


— ამოცანების შესამუშავებლად და გადასაწყვეტად სხვადასხვა ქვედანაყოფის მუშაკების მოზიდვა.

ეს პრინციპები ამსხვრევენ იერარქიული სტრუქტურებისთვის დამახასიათებელ თანამშრომლების ხისტ დაყოფას წარმოებითი, ინჟინერულ–ტექნიკური, ეკონომიკური და მმართველობითი სამსახურების მიხედვით,

რომლებიც ქმნიან იზოლირებულ სისტემებს თავიანთი მიზნობრივი დადგენილებებით და ინტერესებით.

ასეთი პრინციპების მიხედვით აგებულ ორგანიზაციაში, შეიძლება შენარჩუნდეს ან არაა ფუნქციონალური ქვედანაყოფები (ნახ.16).

პირველ შემთხვევაში მუშაკები იმყოფებიან ორმაგ დაქვემდებარებაში – ადმინისტრაციულ (იმ ფუნქციონალური ქვედანაყოფის მმართველის, რომელშიც ისინი მუშაობენ) და ფუნქციონალურს (იმ სამუშაო ჯგუფის ან ბრიგადის მმართველი, რომელშიც ისინი მუშაობენ). ასეთი ორგანიზაციის ფორმას ეწოდება კროს-ფუნქციონალური, ბევრ რამეში ის უახლოვდება მატრიცულს. მეორე შემთხვევაში ფუნქციონალური ქვედანაყოფები, როგორც ასეთი გაუქმებულია; ასეთ ორგანიზაციას ჰქვია ბრიგადული. ეს ფორმა საკმაოდ ფართოდ გამოიყენება პროექტების მართვის ორგანიზაციაში.



ნახ. 16. კროს-ფუნქციონალური ორგანიზაციული სტრუქტურა

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании,; Москва “Высшая школа”, 2005, с.61.

ბრიგადული (კროს-ფუნქციონალური) სტრუქტურის უპირატესობები:

— მმართველობითი აპარატის შემცირება, მმართველობის ეფექტიანობის ზრდა;

— კადრების, მათი ცოდნის და კომპეტენტურობის მოქნილად გამოყენება;

— თვითსრულყოფისთვის პირობების შექმნა;

— დაგეგმვისა და მართვის ეფექტიანი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობა;

ფართო პროფილის სპეციალისტების საჭიროების შემცირება;

ბრიგადული (კროს-ფუნქციონალური) სტრუქტურის ნაკლოვანებები:


— ურთიერთმოქმედების გართულება(განსკუთრებით კროს-ფუნქციონალური სტრუქტურისათვის);

— ცალკეული ბრიგადების სამუშაოს კოორდინაციის სირთულე;

— პერსონალის მაღალი კვალიფიკაციის და პასუხისმგებლობის საჭიროება;

— მაღალი მოთხოვნები კომუნიკაციის მიმართ.

ორგანიზაციული სტრუქტურის მოცემული ფორმა მეტად ეფექტიანია კომპანიებში, რომლებსაც ჰყავთ სპეციალისტები მაღალი დონის კვალიფიკაციით და აქვთ კარგი ტექნიკური უზრუნველყოფა, განსკუთრებით პროექტების მართვასთან შეხამებით. ეს არის ორგანიზაციული სტრუქტურების ერთერთი ტიპი, რომელშიც მეტად ეფექტიანად ხორციელდება თანამედროვე ხარისხის ფილოსოფიის იდეები.




ნახ. 17. ორგანიზაციის სტრუქტურა, შემდგარი სამუშაო ჯგუფებისაგან

მართვის პროექტული სტრუქტურა. ეს სტრუქტურა გამოიყენება საერთაშორისო კომპანიებში, განსკუთრებით კომპლექსური ხასიათის მსხვილი პროექტის შემუშავების და განხორციელების დროს, რომელიც მოიცავს, ერთის მხრივ, დიდი რაოდენობის სპეციალიზებული ტექნიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა საკითხების გადაწყვეტას, და მეორეს მხრივ – სხვადასხვა ფუნქციონალური და წრფივი ქვედანაყოფების საქმიანობას. ორგანიზაციულ პროექტებს შეიძლება მივაკუთვნოთ ნებისმიერი მიზანმიმართული ცვლილებების პროცესი სისტემაში, მაგალითად, საზღვარგარეთული წარმოების რეკონსტრუქცია, ახალი პროდუქციის სახეობების და ტექნოლოგიების შემუშავება და ათვისება, ობიექტების მშენებლობა და ა.შ.

პროექტული სტრუქტურის ქვეშ იგულისხმება დროებითი სტრუქტურა, რომელიც იქმნება კონკრეტული კომპლექსური ამოცანის გადასაწყვეტად (ნახ. 18). პროექტული სტრუქტურის აზრი მდგომარეობს იმაში, რომ შეიკრიბოს ერთ გუნდში სხვადასხვა პროფესიის ყველაზე კვალიფიციური თანამშრომლები მოცემულ ვადებში, დასახული დონის ხარისხით და ამ მიზნისათვის გამოყოფილი მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების ფარგლებში რთული

პროექტის განსახორციელებლად. პროექტზე სამუშაოების დასრულების შემდგომ სტრუქტურა იშლება, ხოლო პერსონალი გადადის ახალ პროექტულ სტრუქტურაში ან ბრუნდება თავის მუდმივ თანამდებობაზე (კონტრაქტით მუშაობის დროს-ითხოვენ სამსახურიდან).



ნახ. 18. მართვის პროექტული ორგანიზაციული სტრუქტურა

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, Москва “Высшая школа”, 2005, с.63.

ასეთი სახის მართვის სტრუქტურის უმთავრესი უპირატესობებია:

— მმართველობითი პერსონალის რაოდენობის შემცირება იერარქიულ სტრუქტურებთან შედარებით;

— კომპანიის სხვადასხვა სახის საქმიანობის ინტეგრაცია მაღალხარისხოვანი შედეგების მისაღებად განსაზღვრული პროექტის ფარგლებში;

— პროექტის რეალიზაციისა და პრობლემის გადაწყვეტისადმი კომპლექსური მიდგომა;

— ძალისხმევის კონცენტრაცია ერთი ამოცანის გადასაწყვეტად, ერთი კონკრეტული პროექტის განსახორციელებლად;

— პროექტული სტრუქტურების მეტი მოქნილობა;

— პროექტების მმართველების და შემსრულებლების მოქმედების აქტივიზაცია პროექტული ჯგუფების ფორმირების შედეგად;

— კონკრეტული მმართველის პირადი პასუხისმგებლობის ზრდა, როგორც პროექტის, ასევე მისი ელემენტების მიმართ;

პროექტების მიხედვით მმართველობის სტრუქტურის ნაკლოვანებები:

— ძალიან მაღალი მოთხოვნები პროექტის მმართველის კვალიფიკაციის, პირადი და საქმიანი თვისებების მიმართ, რადგან ის არა მხოლოდ უნდა მართავდეს პროექტის სასიცოცხლო ციკლის ყველა სტადიას, არამედ უნდა ითვალისწინებდეს პროექტის ადგილს კომპანიის პროექტების ქსელში;

— რესურსების განაწილება პროექტებს შორის;

— დიდი რაოდენობის პროექტების ურთიერთმოქმედების სირთულე კომპანიაში;

— ორგანიზაციის განვითარების პროცესის გართულება როგორც ერთი მთლიანის.

მართვის მატრიცული (პროგრამულ-მიზნობრივი) სტრუქტურა. იგი წარმოადგენს ქსელურ სტრუქტურას, რომელიც აგებულია შემსრულებლების ორმაგი დაქვემდებარების პრინციპზე: ერთის მხრივ უშუალო მმართველის ფუნქციონალური სამსახურის, რომელიც აძლევს პერსონალს და ტექნიკურ დახმარებას პროექტის მმართველს, და მეორე მხრივ— პროექტის ან მიზნობრივი პროექტის მმართველს, რომელიც აღჭურვილია საჭირო უფლებამოსილებით მართვის პროცესის განსახორციელებლად. ასეთი ორგანიზაციის პირობებში პროექტის მმართველი ურთიერთმოქმედებაშია ხელქვეითების ორ ჯგუფთან:

პროექტული ჯგუფის მუდმივ წევრებთან და ფუნქციონალური განყოფილებების სხვა მუშაკებთან, რომლებიც მას ექვემდებარება დროებით და საკითხების შეზღუდულ რაოდენობაში. ამასთან ერთად შენარჩუნებულია მათი დაქვემდებარება ქვედანაყოფების, განყოფილებების და სამსახურების უშუალო მმართველებზე. საქმიანობისთვის, რომელსაც აქვს გამოკვეთილი დასაწყისი და დასასრული⁵⁶,

ხდება პროექტების ფორმირება, ხოლო მუდმივი საქმიანობისთვის იქმნება მიზნობრივი პროგრამები. კომპანიაში შესაძლებელია პროექტების და მიზნობრივი პროგრამების თანაარსებობა. მატრიცული პროგრამულ-მიზნობრივი მმართველობის სტრუქტურის (ტნკ „ტოიოტა“) მაგალითი მოყვანილია ნახ. 19. ეს სტრუქტურა შემოთავაზებული იქნა კაორი იმიკავას მიერ 1970-იან წლებში და მცირე ცვლილებებით ფუნქციონირებს დღესაც, და არა მხოლოდ კომპანია „ტოიოტა“-ში, არამედ მსოფლიოს სხვა მრავალ კომპანიაშიც.

⁵⁶ Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании, : Москва “Высшая школа”, 2005

კორპორა- ტიული საქმიანობა	პროდუქ- ციის წარმოების დაგეგმარება	ნაწარმის დაგეგ- მარება	წარმოების მომზადება	მატერიალურ- ტექნიკური აღჭურვილობა	წარმოე- ბა	საქონლის ბრუნვა
ფუნქციები	ტექნიკური დაგეგმარება საქონლის წარმოების დაგეგმარება	პროექტირება შემოწმება	წარმოების დაგეგმარება წარმოების ორგანიზება	მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის კონტროლი	ფირმა „მოტომატი“-ს ქარხანა	საქონლის ბრუნვა ქვეყნის შიგნით საქონლის ბრუნვა საზღვარგარეთ
ხარისხი	○	○	○	○	○	○
დანახარჯები	○		○	○		
ტექნოლოგია		○		□	□	
წარმოება	□		○	□		
მარკეტინგი	○		□	□		○
პერსონალი					○	

მმართველობა
ქვედანაყოფების მიხედვით
მმართველობა მიზნობრივი
პროგრამების მიხედვით

○ - პროგრამაში მონაწილეობა; □ - უფრო აქტიური მონაწილეობა პროგრამაში

ნახ. 19. ტნკ „ტოიოტა“-ს მმართველობის მატრიცული სტრუქტურა:

წყარო: Михайлушкин А.И., Шимко П.Д. Экономика Транснациональной компании,; Москва “Высшая школа”, 2005, с.64.

მართვა მიზნობრივი პროგრამების მიხედვით „ტოიოტაში“ ხორციელდება ფუნქციონალური კომიტეტების მეშვეობით, რომელთა მოვალეობაა ვერტიკალური და ჰორიზონტალური სტრუქტურების გაერთიანება კომპანიის საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

მატრიცული სტრუქტურის უპირატესობებია:

- უკეთესი ორიენტაცია პროექტულ (ან პროგრამულ) მიზნებზე;
- უფრო ეფექტიანი მიმდინარე მართვა, ხარჯების შემცირების და რესურსების გამოყენების ეფექტიანობის ზრდის საშუალება;
- უფრო მეტად მოქნილი და ეფექტიანი გამოყენება ორგანიზაციის პერსონალის, თანამშრომლების სპეციალური ცოდნის და კომპეტენტურობის;
- საპროექტო ჯგუფების ან პროგრამული კომიტეტების შედარებითი ავტონომიურობა, რაც ხელს უწყობს მუშაკებში გადაწყვეტილების მიღების უნარის, მმართველობითი კულტურის, პროფესიონალური უნარების განვითარებას;
- პროექტის ან მიზნობრივი პროგრამის ცალკეულ ამოცანებზე კონტროლის გაუმჯობესება;
- ნებისმიერი სამუშაო ორგანიზაციულად გამოკვეთილად ფორმდება, კერძოდ, ინიშნება ერთი პირი – პროცესის „პატრონი“, ცენტრი ყველა იმ საკითხის, რომელიც ეხება პროექტს ან მიზნობრივ პროგრამას;
- მცირდება რეაქციის დრო პროექტის ან პროგრამის მოთხოვნილებებზე, რადგან შექმნილია ჰორიზონტალური კომუნიკაციები და გადაწყვეტილების მიღების ერთიანი ცენტრი.

მატრიცული სტრუქტურების ნაკლოვანებები:

- სირთულე გამოკვეთილი პასუხისმგებლობის დადგენაში ქვედანაყოფის, პროექტის ან პროგრამის დავალებით (ორმაგი დაქვემდებარების შედეგი);
- მუდმივი კონტროლის საჭიროება თანაფარდობაზე რესურსების, რომლებიც გამოიყოფა ქვედანაყოფებისთვის და პროგრამებისთვის ან პროექტებისთვის;

— მაღალი მოთხოვნები კვალიფიკაციის, პირადი თვისებების და საქმიანი თვისებებისადმი იმ პერსონალის, რომლებიც მუშაობენ ჯგუფებში, მათი სწავლების საჭიროება;

— ხშირი კონფლიქტური სიტუაციები ქვედანაყოფების, პროექტების და პროგრამების მმართველებს შორის;

— დარღვევის შესაძლებლობა წესებისა და სტანდარტების, რომლებიც მიღებულ იქნა ფუნქციონალურ ქვედანაყოფებში იმის გამო რომ, თანამშრომლები, რომლებიც მონაწილეობენ პროექტში ან პროგრამაში, მოწვეტილნი არიან თავიანთ ქვედანაყოფებს.

ამგვარად, მატრიცული სტრუქტურის დანერგვა იძლევა კარგ ეფექტს ორგანიზაციებში, სადაც არის საკმაოდ მაღალი კორპორატიული კულტურა და თანამშრომლების მაღალი კვალიფიკაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა ადგილი ჰქონდეს მართვის დეზორგანიზაციას (კომპანია „ტოიოტა“-ში მატრიცული სტრუქტურის დანერგვას დასჭირდა დაახლოებით 10 წელი). თანამედროვე ხარისხის ფილოსოფიის იდეების განხორციელების ეფექტიანობა ასეთ სტრუქტურაში დამტკიცებულია კომპანია „ტოიოტა“-ს პრაქტიკით.

ქსელური სტრუქტურა, როგორც თანამედროვე ტნკ-ების ორგანიზაციის უახლესი ფორმა

ბოლო წლებში ტნკ-ების სტრუქტურაში ხდება არსებითი ცვლილებები, რომელთა არსი მდგომარეობს გლობალური მიდგომის რეალიზაციაში, რომელიც ითვალისწინებს შედეგის ოპტიმიზაციას არა ყოველი ცალკეული რგოლისათვის, არამედ მთლიანი კორპორაციისათვის, ერთდროულად საერთაშორისო კომპანიის მმართველობის დეცენტრალიზაციასთან და მისი რეგიონალური რგოლების მნიშვნელობის ზრდასთან ერთად.

ტრანსნაციონალური კომპანიების მართვის თანამედროვე მეთოდებზე გადასვლა განუყრელად დაკავშირებულია მათ ქსელურ ორგანიზაციასთან, შესაბამის სტრუქტურებთან, ქსელურ კომპანიებთან. ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციის ქსელური პრინციპების გამოყენება ხდება წამყვანი

მიმართულება მრავალი ტნკ-ს ფუნქციონირების პრაქტიკაში, რაც განპირობებულია შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

- გარემოს დინამიზმის ზრდით და კომპანიის სწრაფი ადაპტაციის საჭიროებით ამ ცვლილებებთან;
- საერთაშორისო კომპანიების მწარმოებლური და კომერციული საქმიანობის მუდმივი გართულებით;
- საერთაშორისო კონკურენციის გამლიერებით;
- კომპანიების საერთაშორისო სივრცის გაფართოებით: კომპანია გადარჩენის მიზნებისთვის უნდა ფლობდეს შესაძლებლობას სწრაფად გააფართოვოს თავისი ბაზარი მსოფლიო მასშტაბებამდე;
- საყოველთაოდ მიღებული კოოპერაციის ფორმების დაბალი ეფექტიანობით საერთაშორისო წარმოების რთული პრობლემების გადაწყვეტის დროს;
- მისწრაფება შრომის ავტონომიურ ფორმებისკენ;
- ქსელური კომპიუტერული ტექნოლოგიების და მსოფლიო საკომუნიკაციო ქსელების განვითარებით.

სავარაუდოდ, საერთაშორისო კომპანიებმა გადაიღეს ქსელური სტრუქტურა, მოდულობა, გახსნილობა, ასევე მმართველობის სტრუქტურის კონფიგურაციის ცვალებადობის მოქნილობა ინფორმაციული ქსელებისგან.

თანამედროვე ტნკ-ს ტერმინალური რგოლები წარმოადგენენ, კომპიუტერული ქსელური ტექნოლოგიების ენით თუ ვიტყვით, თავისებურ „პორტებს“, ღიას იმისათვის, რომ კორპორატიულ ქსელს შეუერთდნენ ახალი ელემენტები, სხვადასხვა დონის ფირმათაშორისი ტრანსნაციონალური სტრატეგიული ალიანსების მეშვეობით. კერძოდ, ქსელს შეუძლია გააერთიანოს, მაგალითად, ნედლეულის მომწოდებლები და პროდუქციის მწარმოებლები კონკრეტული პროექტის რეალიზაციის ინტერესებისათვის. მისი დასრულების შემდეგ პროექტის მონაწილეები იშლებიან, იმისათვის რომ გახდნენ ახალი ღირებულებითი ქსელის ელემენტები შემდეგი სამეწარმეო პროექტის ფარგლებში. რადგან ამ შემთხვევაში ნებისმიერი ფუნქცია ხორციელდება კონტრაქტულ

საფუძველზე, გარიგების კონტრაგენტების შეცვლა შესაძლოა საჭიროებისამებრ, რაც იწვევს განსახილველი ქსელური სტრუქტურის დანახარჯების შემცირებას.

ქსელური სტრუქტურები, როგორც ეს გამომდინარეობს ზემოთ ნათქვამიდან, უფრო მეტად ეყრდნობიან საბაზრო მექანიზმებს, ვიდრე რესურსების ნაკადების ადმინისტრაციული ფორმების მართვას. მაგრამ ეს მექანიზმები – არ არის უბრალოდ საბაზრო ურთიერთობები დამოუკიდებელ სამეურნეო სუბიექტებთან. სინამდვილეში ქსელის სხვადასხვა კომპონენტები (მონაწილეები) აცნობიერებენ თავიანთ დამოუკიდებლობას, აფასებენ მას და უნდათ ინფორმაციის გაზიარება, ერთმანეთთან კოოპერირება, თავის პროდუქციის ან მომსახურების მიწოდება იმისათვის, რომ შეინარჩუნონ თავიანთი ადგილი კონკრეტულ ღირებულებით ჯაჭვში (ქსელში).

უფრო მეტიც, შეიძლება იმის მტკიცება, რომ ჯაჭვის ლოგიკა, ან შიდა ბაზრის, გულისხმობს საბაზრო ეკონომიკის შექმნას კომპანიის შიგნით. მასში ორგანიზაციული ერთეულები ყიდიან და ყიდულობენ საქონელს და მომსახურებას ფასებით, რომელიც ჩამოყალიბებულია ღია ბაზარზე.

საბაზრო ურთიერთობების გადატანამ კომპანიის შიდა გარემოში („შიდა ბაზრების“ შექმნა) გააცოცხლა მოცემული სტრუქტურის ტიპები – ქსელური კომპანიები, რომლებშიც იერარქიული სტრუქტურის ბრძანებების თანმიმდევრობას ენაცვლება პროდუქციის მოწოდებაზე შეკვეთების ჯაჭვი და სხვა კომპანიებთან ურთიერთობების გაღრმავება.

ამასადაამე, ქსელები, წარმოადგენენ კომპანიების ან სპეციალიზირებული ერთეულების ერთობლიობას, რომელთა საქმიანობის კოორდინაცია ხდება საბაზრო მექანიზმების მეშვეობით ნაცვლად მბმანებლური მეთოდებისა. ამასთან ერთად საჭიროა გარკვეული იყოს ის, რომ ქსელური კომპანია არ ნიშნავს კომპანიების ქსელს. აქ საუბარია არა იმდენად კომპანიებს შორის ურთიერთობების ინტენსიფიკაციაზე, არამედ მათ შიდა ევოლუციაზე – ვერტიკალურად ინტეგრირებული კორპორაციების დეცენტრალიზაციაზე და საქმიანი კავშირების ფორმირებაზე წვრილი და საშუალო ფირმებისაგან. ქსელური ორგანიზაციის ლოგიკის მეტად ნათელ მაგალითს წარმოადგენენ კორპორაციები „Dell“ და „Nokia“

– „ახალი ეკონომიკის“ ლიდერები, რომლებიც მუშაობენ კომპიუტერების და ტელეკომუნიკაციების წარმოების სფეროში. კომპანიის ტრანსფორმაციის დროს კომპანია-ქსელში წარმოებითი პროგრამების უფრო მოქნილი შესრულებისათვის ცენტრალიზებულ სტრუქტურებს ენაცვლება ფედერაციული სტრუქტურები.

საქმიანობის ცალკეული სახეობები „ ქსელიზაციის“ დროს შეიძლება გადაცემულ იქნას სხვა კომპანიებისათვის, რომლებიც სპეციალიზდებიან, მაგალითად, მარკეტინგულ კვლევებზე, ნედლეულით და მასალებით უზრუნველყოფაზე, ბუღალტრული ანგარიშგების შედგენაზე, კადრების შერჩევაზე და მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ერთი დარგის ან კომპანიების ჯგუფის პროდუქციის გაყიდვის შემდგომ მომსახურებაზე.

მთლიანობაში კომპანია შეიძლება განთავისუფლდეს უამრავი სახის საქმიანობისგან და მოახდინოს რესურსების კონცენტრირება თავისთვის პრიორიტეტულ დარგების სპეციალიზაციაზე, უნიკალურ პროცესებზე. კომპანიისთვის ის დარგებია უნიკალური, რომლებიც მოიცავენ თავის თავში მოცემული კომპანიის უპირატესობებს.

მაშასადამე, ქსელიზაციის სტრატეგია შეიძლება შედარებულ იქნას საკუთარი მწარმოებლური საქმიანობის შევიწროების მეთოდებთან, როდესაც კომპანია თავს ანებებს ზოგიერთ მიმართულებას და გადასცემს მათ გარე შემსრულებლებს. ზოგიერთ შემთხვევაში გარე შემსრულებლებს გადაეცემა თვითონ პროდუქციის წარმოებაც, ასეთ შემთხვევაში საქმე გვაქვს გარსობრივ ან ღრუ კომპანიებთან.

ღრუ ტარნსნაციონალურმა კომპანიებმა, წარმოქმნილებმა დარგებში, რომლებიც დაკავებული არიან სამომხმარებლო საქონლის გამოშვებით, მოიპოვეს თვალსაჩინო განვითარება ბოლო წლების მსოფლიო პრაქტიკაში. ეს კომპანიები ფლობენ უკვე ცნობილ სავაჭრო მარკას და ადგენენ რომელი საქონელი უნდა გამოუშვას კონკრეტულმა კომპანიამ, როგორ და ვის უნდა მიეყიდოს, ანუ თავისთვის იტოვებენ მხოლოდ მთლიანი პროცესის საერთო მართვის ფუნქციას – საქონლის შექმნით დაწყებული მისი საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვით დამთავრებული.

ტრანსნაციონალური კომპანიების ორგანიზაციის და მართვის ქსელური მოდელები გადიან ინტენსიურ აპრობაციას მსოფლიო ეკონომიკური სისტემის სხვადასხვა დარგებში, რაც საშუალებას გვაძლევს ვილაპარაკოთ საერთაშორისო კომპანიების ქსელური პრინციპების აგებულების უპირატესობებზე, მათი ფუნქციონირების სირთულეებზე და ქსელური კომპანიების და მართვის ქსელური სტრუქტურების გამოაშკარავებულ ნაკლოვანებებზე.

ქსელური სტრუქტურების უპირატესობები:

- კომპანიების ადაპტურობა ცვალებად პირობებთან, მათი სწრაფი რეაქცია კონიუნქტურის ცვლილებაზე;
- კომპანიის საქმიანობის კონცენტრაცია სპეციალიზაციის პრიორიტეტულ დარგებზე, უნიკალურ პროცესებზე;
- დანახარჯების შესამჩნევი შემცირება, მათი რაციონალური სტრუქტურა და შემოსავლების ზრდა;
- დასაქმების დაბალი დონე, კვალიფიციური სამუშაო ძალის გამოყენების დუბლირების გამორიცხვა;
- საუკეთესო პარტნიორების მოზიდვა ერთობლივ საქმიანობაზე ქსელის ფარგლებში, მეორეხარისხოვანი შემსრულებლების გამოყენების გამორიცხვა;
- კონტრაგენტების კეთილი ნების დამოკიდებულებები, რომლებიც მიმართულია განსზღვრული, ზუსტად გამოთვლილი შედეგების მიღებაზე.

ქსელური კომპანიის და ქსელური სტრუქტურის სპეციფიკურ სისუსტედ შეიძლება დასახელებულ იქნას:

- ქსელური მოდელების ფორმირების დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალიზაციას, საკვანძო კომპეტენციებზე კონცენტრაციას, მაშინ როდესაც კომპანიის განვითარების თანამედროვე ტენდენციები, პირიქით, მეტყველებენ საერთო პროფილის მრავალგეგმიურ კვალიფიკაციაზე ორიენტაციის საჭიროებაზე.
- ქსელური კონცეფცია არღვევს სეგმენტირების და მოდულირების ორგანიზაციულ პრინციპებს, რომლებიც დამახასიათებელია ავტარკიული (მეურნეობრივად განცალკევებული, ჩაკეტილი, თვითუზრუნველყოფილი)

ორგანიზაციული სტრუქტურებისათვის, ისეთების როგორებიც არიან ვენჩურული საწარმოები, „ფაბრიკა ფაბრიკაში“, „საწარმო საწარმოში“ და ა.შ.;

— ქსელური სტრუქტურების დროს წარმოიქმნება შედეგების დიდი დამოკიდებულობა კადრების შემადგენლობაზე, იზრდება რისკები, დაკავშირებული კადრების დენადობასთან;

— პრაქტიკულად არ არსებობს ქსელის მონაწილეების მატერიალური და სოციალური მხარდაჭერა იმის გამო, რომ უარი ითქვა კლასიკურ გრძელვადიანი შეთანხმებების ფორმებზე და ჩვეულ შრომით ურთიერთობებზე;

— არსებობს ზედმეტად გართულების საშიშროება, რომელიც გამომდინარეობს კერძოდ, კომპანიის მონაწილეების სხვადასხვა გვაროვნობიდან, გაუგებრობისგან მასში მონაწილეობის შესახებ, ქსელების გახსნილობისაგან, თვითორგანიზების დინამიკისაგან, ქსელის მონაწილეებისთვის დაგეგმვის გაურკვევლობაში.

ტრანსნაციონალური კაპიტალის ორგანიზაციული სტრუქტურის ევოლუციის ხასიათის განხილვის შეჯამებისას, გამოვყოფთ, რომ არ არსებობენ ეფექტიანი ან არაეფექტიანი ორგანიზაციული სტრუქტურები. ყველა სტრუქტურას აქვს დადებითი და უარყოფითი მხარე, რომლებსაც უნდა გაგება და განხილვა გარკვეული დროის კონტინუუმში. არსი მდგომარეობს იმაში, რომ ყოველი კომპანია ირჩევს ისეთ ორგანიზაციულ სტრუქტურას, რომელიც დაეხმარება მას მაქსიმალური ეფექტით მიაღწიოს მისი სტრატეგიული გეგმების რეალიზაციას.

ქვემოთ შემოთავაზებულია სტატიები, რომელიც წარდგენილ იქნა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებზე. კერძოდ:

